

„ანეკდოტი“

ლიტერატურული უკრნალი
N1, 2025



მხატვარი ნინო გოგოდიშვიდი




ქვიშხეთუხი ზაფხულის
ტყევის ბიძაძე

ივანე ივანიშვილის
სახელობის
„ერთი მოთხრობის“
კონკურსების
ანალიზი (2023-2024)



თანამდებობა
ქართული
პოეზია
ინტერვიუ



„გუგინი“ თუ
„გუგინი უკან“?



რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი




ოუკი

მხატვარი თამარ თამარაძე

ახალი წიგნები





ანეკდოტი

№1. (№46) აპრილი. 2025

ლიტერატურული ფუნქციონირება

პოეზია	
მუხრან ლაბანძაძე ერთი ლექსი	3
ბეგონია	
თამაზ ჯაბოდნიშვილი	
რევაზ ინანიშვილის „ერთი მოთხრობის“ კონკურსების (2023-24) შედეგები, შთაბეჭდილება	4
სილოვან ნადიმანიძე-100 ლექსები	9
წიტილი – ბეგონია	
მანანა ბაბაჩავა ქვიშხეთური ზაფხულის ტრადიციები გრძელდება	10
თვალსაზრისი	
თამაზ ჯაბოდნიშვილი „გუშინწინ“ თუ „გუშინ უკან“? (საკითხის დასმის წესით)	15
მანანა ბაბაჩავა ლექსები	17
თაბატაძე	
ქართველი პოეტების ლექსები ინგლისურად	
(გალაკტიონ ტაბაძე, ოთარ ჭილაძე, ოთარ ჭელიძე, საშა გველესიანი, რაულ ჩილაჩავა, კახა შალამბერიძე, თამაზ გველესიანი, ზურაბ გოგრიჭიანი, მანანა სამყურაშვილი)	
თარგმნა მზია ჯიჩიხაშვილი-ლორთქიფანიძე	18
პბტა	
მანანა ბაბაჩავა ორი ნოველა	26
ზაქარია ნიკოლაძე „ცალთავალა დევის“ შესვლა სულეთში	28
მზია სეთაგუძე – 80 ლექსები	29
მთაწმინდის მონუმენტი ფიქციურად – „სიბნელის დასაწყისიდან“	30
„ანეკდოტის“ სტრუქტურა – ჯგერუა „მღვანე“	
სახიბი ლომაძე	32
ახანა ბასილაძე	34
ბიოხიბი ზახაძე	35
პოეზია	
მთაწმინდის მონუმენტი	37
დანი მანუჩიშვილი	38
მზია ნიკოლაძე	40
პბტა	
მანანა ბაბაჩავა სახლის ტელეფონი	42
ნიკოლაძე ერთი ნაწერი პური	45
პოეზიის დღიურიდან	
ჯაბა ლაბაძე ესპანური „კანტატა“	48
პოეზია	
მთაწმინდის მონუმენტი-ბადაშვილი	50
თამაზ ბაბაძე	51
პატივსაცემისთვის	
მზაბაძე აყაშაძე-ბადაშვილი გამოცანები	53
თაბატაძე	
მანანა ბაბაჩავა „კრეჭანა“ ჩვენს რეალურ თარგმანს მეტა-სანგოშვილმა	57
ბაბაჩავა ნიკოლაძე თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა	58
პბტა	
მთაწმინდის მონუმენტი თოვლის კაცი	59
ლუკან გოთუა – 120	
თამაზ მანუჩიშვილი „ოდესსე გამეგონოს თავისუფლება“	60
მანანა ბაბაჩავა-სახიბი ნიკოლაძე შოთა ნიშნიანის უკვდავი პოეზია	64
დანი მანუჩიშვილი-სახიბი ნიკოლაძე შემორჩენილი ბარათების ქრონოლოგია (დასაწყისი)	67

ISSN 1987-9717

ქელტუელ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ქუნად „ანელთან“ ახსებელი
ლიტერატურული გაუთიანება:

რეზო (მემლიანე) აღამია
ნინო არსენაშვილი
რეზაზ გალანჩიშაძე
თამარ ბაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლელია ქიტოშვილი –
სასლთს უცოშვილისა
თემურ ჩალაგაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკიშვილი
ჯუბა ღებელი
თამაზ სმალაძე
თემურ ჯაბოღნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი ჰედაქოი
თამარ შაიშმელაშვილი

გაქუანის ჰიხვედ გვედზე: ნინო ბობოლიშვილის ნაშუაზი
გაქუანის ბოლო გვედზე: მხატვარი – ნინო ბობოლიშვილი

ქურნალ „ანელის“ ყველა ნომრის წაკითხვა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის საიტზე: www.nplg.gov.ge – ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

ლოგოს ავტოი
ბიოიზი ზუიბიანი

ჰელაქიის ტელეფონი: 551 00 50 58

ჰელაქიის ინტერნეტოტა: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ქუნადში გამოქვეყნებუდ მასალებზე ჰასუხისმგებელია ავტოი. გამოსაქვეყნებელი სტატიის
მოცულობა აი უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჟე გვედს

ქუნალი დაიბეჟდა გამომცემლობა „მნიგნობაში“

პოეზია

მუჰამან ლეზანიძე



1* * *

ბატებიც არსად ყიყინებდნენ
სოფელში დღესდღეობით,
ცაცხვები მაინც ღიღინებდნენ
ფუტკრების მეშვეობით.

რა აბიბინებდა, ღმერთო ჩემო,
ცაცხვსა და ურთხმელს?!
რა აღიღინებდათ, ღმერთო ჩემო,
უგუნურ ფუტკრებს?!

ზვარეთის თემში ღარი იყო –
უცხო რამ სანახავი...
სოფელი მთებში მკვდარი იყო –
არ ჩანდა დამმარხავი!

1. კრებულიდან: „ხელახლა წაიკითხება,
ხელახლა – სუვეერალფერი“!... 2022..

თმშურ ჯაბოდნიშვილი



რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ 2023-2024 წლების კონკურსების შედეგები და შთაბეჭდილება

2024 წლის კონკურსი უხვმოსავლიანი გამოდგა და ეს იმ ფონზე, როცა ჩვენში ამჟამად ასე მომრავლებულია სახელობითი ლიტერატურული კონკურსები და პრემიები. რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის მონაწილეთა რიცხოვნობა ერთ ასეულს აღწევს, რაც ორმაგად სასიხარულოა. ერთი მხრივ, რევაზ ინანიშვილისადმი ყურადღების, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართული მწერლობის ძალუმი პულსირების თვალსაზრისით. ეს კი, ცხადია, ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური სიმაღლის მაჩვენებელიც არის.

„ერთი მოთხრობის“ კონკურსის უდიდესი ღირსება და მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებისათვის ისიც არის, რომ არა ერთი ნიჭიერი დამწყები მწერლის წახალისებას და მწერლობაში დამკვიდრებას უწყობს ხელს, ბევრს იზიდავს და უძლიერებს ინტერესს მწერლობის იდუმალებებით მოცული სამყაროსადმი, რადგან კონკურსში გამარჯვების გარდა, თავად კონკურსში მონაწილეობის ფაქტიც უაღრესი სტიმულატორია და შემოქმედებითი სურვილისა და ენერგიის აღმძვრელიც. უთუოდ ამის გამოვლენაა მწერლობის სამყაროში მწერლობის სახელის მაძიებელთა არანახული მოზღვაება, რაც თავისთავად, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

დღევანდელი ჩვენი მწერლობის ერთი ნიშანი ისიც არის, რომ ავტორების დიდზე დიდი ნაწილი ჰუმანიტარული განათლების მქონეა; უფრო მე-

ტად ფილოლოგები სიტყვის, ფრაზის ბუნების „მცნობები“ და დაგეგმვების დამფასებლები, ანდა ჟურნალისტები არიან. ეს გარემოება უკვე ტრადიციად უნდა ჩაითვალოს, რადგან კარგა ხანია, რაც დამკვიდრდა. სიახლეს ამ მხრივ მედიაციის სფეროდან შემოსული ავტორები ქმნიან. მათი მზარდი და წარმატებული ცდები რეალურ სამწერლო ტენდენციას ქმნის პროფესიონალურადაც და თემატურ-პრობლემური თვალსაზრისითაც. კონკურსის მონაწილეთაგან ბევრი ბუნებით არ არის მწერალი, ამიტომ მათი თქმა, ფრაზა მოკლებულია ზიბლიანობას, უფრო პუბლიცისტურად ნაკეთებია, გარანდული, ნასხეპი. ამის გამო ისინი მწერლობაშიც პოეტ ან მწერალ ფილოლოგებად თუ ჟურნალისტებად რჩებიან.

უზერხულიც კი არის იმაზე ლაპარაკი, რომ მწერალი დაბადებიდანვეა მწერალი, მწერლად იბადება, განათლების წყალობით კი პროფესიონალურად იხვეწება მხოლოდ. ამის უტყუარი ილუსტრაციაა ხალხური (ფოლკლორული) მთელნი, არაინფორმალად წერა-კითხვის არმცოდნე ბუნებითი მწერალი.

მხატვრული, ანუ სახეობრივი აზროვნება ბუნებითია, თანდაყოლილი და არა ნასწავლი – განათლებით შეძენილი. ფილოლოგიური (თუნდაც ჟურნალისტური!) განათლება სხვაზე მეტად მხოლოდ ხვეწს მწერლის ნიჭს, როგორც ბუნებრივ ალმასს აქცევს ბრილიანტად; თუმცა ბრილიანტი ბრილიანტად რომ იქცეს, ბუნებრივი ალმასი უნდა იყოს. ასეთივე მიმართებაა მთქმელსა და მწერალს შორის, ანუ მწერალი ბუნებით მთქმელი (ფოლკლორისტული გაგებით) უნდა იყოს.

ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გახსენება (მეითხველისათვის დიდი მობოდიშებით!) მაიძულა ბოლო ორი წლის, განსაკუთრებით 2024 წლის კონკურსის თანამდევმა პროცესებმა და ცალკეული კონკურსანტის რეაქციებმა კონკურსის შედეგებზე.

რეაქციები კონკურსის შედეგებზე, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარია, ზოგი, ასე ვთქვათ, თავშეკავებითა და ჟიურისადმი გაბუტვაში გამოიხატება. გაბუტვა გულისტკენის ფორმად უნდა ჩაითვალოს და ამაში არაბუნებრივი არც არაფერი უნდა იყოს. მით უფრო, რომ საქართველო პატარა (მცირერიცხოვანი) ქვეყანაა და ყველა ყველას ნათესავი თუ არა, ახლობელი, ნაცნობი და მეგობარია, ანუ „ჩვენიანი“ თვით სადღესიო რადიკალიზმის მიუხედავად. ჟიურის წევრებიც ასე თუ ისე არ არიან გადამთიელები ავტორებისათვის და კონკურსში წარუმატებლობა ახლობლების უყურადღებოდ და დაუფასებლობად აღიქმება. ამგვარი გულისტკივილი კიდევ გასაგებია, მაგრამ უფრო მიუღებელი და დამაფიქრებელი გაგულისება და აგრესიული ლლიცინით მისი გამოხატვაა.

ლლიცინი იოლია (დიდი ნიჭი არ სჭირდება!). ძნელი კარგი მოთხრობების წერაა. ამასთან, გასათვალისწინებელია კონკურსის ბუნება – კარგ მოთხრობებს შორის უკეთესის გამორჩევა. კონკურსში წარუმატებლობა სულაც არ ნიშნავს ცუდი, მდარე მოთხრობის ავტორობას. ამიტომ ლლიცინით, ჟიურის მისამართით აპელირება (თქვენი მოსაწონი მოთხრობა რით ვერ დაგწერეთ), ნიადაგს მოკლებულია და ავტორის პიროვნულო-

ბაზე მიმანიშნებელი. ამნაირი ავტორების საყურადღებოდ უნდა გავიმეორო, რომ ჩვენი ჟიურის შემადგენლობა მაქსიმალური ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ე.წ. ოლიმპიური სისტემით მუშაობს: თავიდან ყველა წევრი ყველა საკონკურსო მოთხრობას ეცნობა, აფასებს ქულებით (ერთიდან – ათამდე), მეორე ეტაპზე მაღალქულიან მოთხრობებს ეცნობა და გამარჯვებულებს ავლენს ჟიურის თავმჯდომარე ჟიურის წევრებთან ერთად, მათთან შეთანხმებით და მათი დასტურით. ამიტომ აღნიშნულ თემაზე ჟიურის მისამართით ღლიცინი კონკრეტული ავტორის „შურისძიებაზე“ მეტად დამაფიქრებელია, თანაც იმიტომ, რომ პროტესტის ღლიცინით გამოხატვა, თანაც სოციალური ქსელის უთავბოლო სივრცეში არ უნდა ეკადრებოდეს მწერლობას – ერის ინტელექტუალობის მსაზღვრელ შემოქმედებით მოღვაწეობას.

* * *

ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია „ერთი მოთხრობის“ 2024 წლის კონკურსის შედეგები. ჟურნალმა „ანეულმა“ გასული წლის მეოთხე ნომერში გამოაქვეყნა გამარჯვებული მოთხრობების ტექსტები.

სტანდარტულ ნომინაციაში პირველი ადგილი მიეკუთვნა **ნინო მანძულაშვილის** მოთხრობას „ასული“. ამ მოთხრობაში გაცოცხლებულია ქართული ისტორიის ურთულესი ხანა – დავით IV აღმაშენებლის მეფობის ერთი ეპიზოდი, კერძოდ, ყივჩაღთა მბრძანებლის ათრაქა შარაღანის ძის ასულ გურანდუხტზე ქორწინების ამბავი.

მწერლობა მუდამ ეტანებოდა წარსულის ამბების გაცოცხლებას, წარსულში მომხდარი ამბების, როგორც თავისებური უნივერსალიების, თხრობას თანამედროვეობის განცდათა ენით და იმის ცხადყოფას, რომ ადამიანის ცხოვრება ბედისწერით განსაზღვრულ გზებს მიჰყვება და რაც მთავარია: ამ გზებზე არაფერია ახალი, მოულოდნელი და უჩვეულო; ყველაფერი დღევანდლობა (ამჟამინდელი), თანადროულობა, მომხდარიც, მიმდინარეც და მათი განცდაც. შესაბამისად, განცდების საკუთარი (ავტორისაც და მკითხველისაც!) გადასახედიდან გააზრება – შეფასება. ამ გაგებით არის სწორედ ადამიანის ყოფა უნივერსალია – ადამიანისაგან ამით ექებება გამართლება (თვითგამართლება!) იმას, რაც ახლა, მის თვალწინ ხდება და საკუთარი თავის დანუგეშება. ამგვარი უნივერსალის დონეზე გაკითხვებს ნ. მანძულაშვილი თავისი პერსონაჟების ანგარებით – პოლიტიკურად გათვლილი – ქორწინების ამბავს. ამით არის უზრუნველყოფილი მოთხრობის ხიბლიანობა. ყივჩაღთა დამოყვრებისა და ჩამოსახლების თემა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში ტკბილმწარე ილუზილებას შეიცავს, პოლიტიკური ქორწინების ამბის წინწამოწევით მოთხრობის ავტორმა მკითხველი მოვალეობისა და გრძნობის მარადიული ჭიდილის სიმწვავეზე დააფიქრა. თხრობის შორეულ წარსულში გადატანის მიუხედავად, მისი პერსონაჟები, კონკრეტულ ისტორიულ დროჟამულობაში ცხოვრების მიუხედა-

ვად, ჩვენს თანამედროვეებად აღიქმებიან თავიანთი ლტოლვა-მისწრაფებებით, ვნებებითა და განცდებით. ღროთი მანძილის ძლევა, ადამიანის საფიქრალის ღრე მათი განცდების აზიდა მოთხრობის ავტორის მწერლური ნიჭის მაჩვენებელია.

მოლოდინისა და რეალობის შეუსაბამობა, უარყოფილი მღერის მრისხანება, შურისძიება, უარყოფილისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილი, რაც მაშაკაცის ბუნების ამოცნობის მცდელობას ერთვის, დაკისრებული მოვალეობისადმი ანგარიშის გაწევის გარდუვალობის გაცნობიერების ფონზე, ქმნის სწორედ უმწვავეს გრძნობათა ჭიდილს. პერსონაჟები ძლიერი პიროვნებანი არიან, არ ეძლევიან ვნებას, გრძნობებს თრგუნავენ და ფხიზლად აფასებენ ვითარებას, იცნობიერებენ საკუთარ ადგილს ღროსა და თავს მოხვეულ რეალობაში.

მოთხრობის პერსონაჟებს არჩევანის წინაშე თავად რეალობა აყენებს, მაგრამ ისინი არ აკეთებენ არჩევანს (მიუხედავად იმისა, რომ თავთავისებურად გაურბიან ნაძალადევ ქორწინებას), რადგან კარგად გრძნობენ ამ ქორწინების საჭიროებას, აუცილებლობას შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ისინი ეგოიზმის შხამს არ ანაცვალევენ ქვეყანას, ხალხს, ტრადიციას ამოფარებით ცდილობენ (გათხოვილი ქალიშვილის მშობლების სახლში ხანგრძლივი სტუმრობით) ერთობის შენარჩუნებას, რაც სულის მოთქმის, საკუთარ თავში თავისთავის პოვნისათვის საჭირო ღროა, საკუთარი თავის ღროსა და სივრცეში „წაკითხვის“ დრო.

ეს მარადიული ადამიანური საფიქრალია, დიდზე დიდი პრობლემა. სწორედ ამ პრობლემით ეხმიანება ეს მოთხრობა ისტორიას და, ამავედროულად, ჩვენს თანამედროვეობას, გარკვეულწილად მერმისსაც (ვითარცა გაფრთხილება!) და ამაშია მისი მხატვრული ღირსება. ეს არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რამაც გადაწყვიტა მისი ბედი – კონკურსში გამარჯვება – პირველი ადგილის მიკუთვნება.

კიდევ ერთი ღირსება მოთხრობისა არის მისი ენა, ჭეშმარიტად მხატვრული, არა გრამატიკულად გაწყობილ-გარანდული, არამედ ბუნებრივი, – შეგრძნებით ხიბლიანი (მოსმენით – წაკითხვით რომ მიგიზიდავს და ადამიანის სულის სიღრმეებში წვდომით რომ მოგნიბლავს შენთვის „შეუმჩნეველად“). ამ ფონზე გულდასაწყვეტ წაცუნად მოჩანს ისეთი ჩავარდნები, როგორებიცაა: „სხვენის იატაკზე (?) დაბალ სარკმელთან იჯდა“... ანდა „თვალი ცეცხლს გაუყინა ქალმა“.

„სხვენის იატაკი“ გაუგებარი გამოთქმაა, ოქსიმორონად მიღების შემთხვევაშიც. ცეცხლისთვის თვალის გაყინვა კი ქართული ხატოვანი გამოთქმის თვალის გაშტერების ზედმეტად ხელოვნური ანალოგია. ასეთი გადაცდომები ასეთი მაღალი ღონის მოთხრობისათვის უხერხულია.

* * *

მეორე პრემია მიენიჭა **გიორგი პაპუაშვილის** მოთხრობას „ჩუმი ნაბიჯების ხმა“. გ. პაპუაშვილი ცნობილი მწერალია, მაღალი ინტელექტით და გემოვნებით გამორჩეული პროფესიონალი, რასაც თუნდაც საკონკურსოდ შერჩეული მოთხრობის

სათაურად შერჩეული ოქსიმორონი მოწმობს. ჟანრობრივად ეს მოთხრობა, ჩემი აზრით, თანამედროვე მწერლობის იმ მიმდინარეობას ეკუთვნის, რომელიც თანამედროვე ნატურალიზმით მოიხსენიება თანამედროვე ადამიანური ყოფის უკიდურესი გაშლუბების, ყველაწარმოად პირობითობის უგულებელყოფის და სათქმელის ნატურალისტური პირდაპირობის გამო. ამგვარ ახალი დროის ნატურალიზმს ტერმინოლოგიურად უფრო ნეონატურალიზმი შეეფერება. იგი გლობალისტური მოვლენაა, გლობალიზმისა, რომელმაც თავისი პრაგმატიზმის გაფეტიშების გამო ნილებები ჩამოხსნა ყველას და ყველაფერს და გააშლელა ადამიანის სული, კაცობრიობას დაავიწყა ევფემიზმების შნოიანობა და ხიბლი და ყველაფერს ყველაფრის გამოხატვის უფლება მიანიჭა. მწერლობაში ასეთნაირად აღორძინდა ნატურალიზმი – ნეონატურალიზმი. ნეონატურალიზმი იმზირება ისეთ დეტალებსა და ყოფითი რეალიების მიზნობრივ აღწერათა სიზუსტეში, როგორებიც არის სტუდენტობა, სატრფიალო ურთიერთობა ფილოლოგ გოგონასა და ჭაბუკ იურისტს შორის, სიყვარულის თავჩენის საფუძველი – პოეზიის ტრფიალი, პოეზიის წარმოჩენა იმ ფენომენად, რომელიც ადამიანის სულს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნებს სიწმინდეს, სისუფთავეს, შეურყენელობას, ოცნების სურვილსა და უნარს.

მოთხრობაში რამდენიმე თემა შემოთავაზებული: ქალაქის, როგორც ცივი პრაგმატიზმის სივრცის სოფლის ლამის პასტორალურ იდილიასთან შეპირისპირების, სადაც ილანდება სოფლური ყოფის მიხვავახიშვილისეული რემინისცენცია, რაც ფინალში სულიერების პრაგმატიზმზე ადმატების ზეიმის გალაკტიონის სახის მეტაფორიკით გვეძლევა; ცხოვრების პრაგმატიკასთან ადამიანის შერკინება და, იმავდროულად, ოცნებისეული ცხოვრების შენარჩუნება.

ეს ურთულესი პრობლემა ავტორის მიერ ნატურალისტური სიზუსტით არის გადაწყვეტილი, პერსონაჟის სულის გაბზარვის, გაორების გარეშე, ცხოვრების ღვიძლ შვილად დარჩენით და გულში პოეტური გზნების სიყვარულითა და დაფასებით.

უჩვეულო და გამონაკლისური მოთხრობის რეალიებში სწორედ პერსონაჟის შინასამყაროს უცვლელობა, სიმყარე, პრაგმატიზმისა და რომანტიკულობის სიმბიოზია, უფრო ზუსტად, პრაგმატიზმისათვის გონივრული ანგარიშის გაწევა. სხვა მხრივ, პერსონაჟების ცხოვრების ქარგა გასული საუკუნის 70-80-იანი წლების თსუ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ტიპური სურათია.

ასეთივე გამონაკლისურია პოეზიისადმი პროფესიონალი იურისტის ერთგულება, მით უფრო სიცოცხლის მიძღვნა, პოეზიის დიდ მეტაფორასთან – გალაკტიონთან ერთად (მის კვალდაკვალ) ზეცად ამაღლების მისტერიული სურათი მოთხრობის ფინალში, სადაც გალაკტიონის მეტაფორულობა გამძაფრებულია დიოგენესეული დატვირთვისმქონე ორმოს სიმბოლიზებით.

მოთხრობაში წინა პლანზე პერსონაჟთა მსჯელობა-განსჯება, ამბავი კი უკანაა გადაწეული. ამასთან, ეს განსჯა-მსჯელობები უფრო პროფესიონალი ფილოლოგისეულებია. ამიტომ პერსონაჟი

– დიპლომირებული იურისტი – ადვოკატი, უფრო ფილოლოგია, ლიტერატურის კრიტიკოსი, ადვოკატურ საქმიანობაზე უფრო მინიშნებებია, ზედაპირული აღწერა-საუბარი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ავტორი ფილოლოგად რჩება (მისთვის ეს სფეროა პროფესიული), იურისპრუდენციის სივრცე კი ნაკლებად არის ცნობილი. მაგალითად, მოთხრობაში პოეზიასა და განსაკუთრებით გალაკტიონზე სტუდენტი, შემდეგ დიპლომირებული ფილოლოგი მსჯელობს და არა იურისტი (განსაკუთრებით საგულისხმო პასაჟია ამ მხრივ გალაკტიონის პალტოს ამბის გაიგავება, რასაც ხელი შეუწყო ნ. ტაბიძემ თავის „გალაკტიონით“ და მეტნაკლებად სხვა გალაკტიონოლოგებმაც).

მოთხრობის ნატურალისტურობა კი ყოფითი რეალიების მოწოდებაშიც ვლინდება. ერთ-ერთია, მაგალითად, თანამედროვე ქართულ სოფელში ცივილიზაციის შეჭრის ნატურალისტური ჩვენება – კანალიზაციის მოწყობა, წყალსადენის სახლში ქალაქურ ყაიდაზე შეყვანა, აბაზანა-ტუალეტის მოწყობა და ა.შ. ამგვარი რეალია მოთხრობაში უხვად გვხვდება, რაც ამ ნიჭიერ ნაწარმოებს ყოველთვის არ ადგება სასიკეთოდ და ესეისტურ, მხატვრულ ნარკვევში გადაზრდის ელფერით მოსავს. ამან განაპირობა სწორედ მოთხრობისათვის მეორე ადგილის მიკუთვნება.

* * *

მესამე პრემია მიენიჭა ქეთევან გაბინაშვილს მოთხრობისათვის „ზოპარკის ავტობუსი“. ჟანრობრივად ეს მოთხრობა ბიოგრაფიულია, თემატურ-პრობლემურად – ადამიანში სულის გაუხეშების, სიკვდილის საგა.

ბიოგრაფიული ჟანრი იმით არის მომგებიანი, რომ ავტორს ამბის შექმნისა და თხრობის რამდენიმენაირ შესაძლებლობას უქმნის. ერთ შემთხვევაში საკუთარი ცხოვრების რეალიების ამბად ტრანსფორმაციის შესაძლებლობა ეძლევა, მეორე შემთხვევაში გამონაგონ ამბავში საკუთარი ბიოგრაფიული პასაჟების ჩართვის, ხოლო სხვა შემთხვევაში საკუთარ მხატვრულ ტექსტში თითქოს არ მონაწილეობდეს – დისტანცირდება და სხვას აყენებს მოთხრობელის როლში და პირველი პირისაგან წარმართავს თხრობას.

ქეთევან გაბინაშვილი ბიოგრაფიული ჟანრის ამ მესამე ფორმით წარმართავს თხრობას. მოთხრობის პერსონაჟი საკუთარი ბავშვობის რამდენიმე ასაკის რეალიებს მოუთხრობს მკითხველს – პირველად 4 წლის ასაკში გადამხდარსა და განცდილს, შემდეგ 8 წლის ასაკის, 11 წლის და ბოლოს, 32 წლის ასაკში გადატანილს. ამ დეტალებზე გადის ადამიანის სულის გაუხეშების, კვდომის, გაუცხოების ტრაგედია, რომლის სათავე, ავტორის ფიქრით, ბავშვის სათუთი, გულუბრყვილო და სუფთა ცნობისწადილისადმი გულგრილობა და უყურადღებობა, სიცრუე და სიტლანქება, თითქოს ბედისწერით განსაზღვრული დაბადებიდანვე რომ დაჰყვება დამოკლეს მახვილსავე.

იგი გარდაცვლილი ძმის შემდეგ არის დაბადე-

ბული და მისი ნაცვალია, სახელიც მისი ჰქვია და ოჯახის წევრთა ცნობიერებაში ძმის სიკვდილში დანაშაულის მონაწილეა იმით, რომ თითქოს მისი ადგილი უკავია. ამ განცდით არის განსაზღვრული სიცივე და გულგრილობა, მისი გულისტკივილის შეუმჩნეველობა, რამაც მოთხრობის მთავარი პერსონაჟი 32 წლის ასაკში მარგინალიზაციამდე მიიყვანა, დაუნდობელ, უჟმურ ქუჩის ბიჭად გადააქცია. ამ გარდასახვის გრძელი გზის თხრობით ეს პერსონაჟი ძალიან წააგავს ილია ჭავჭავაძის „სახრჩობელას“ გმირს, მის აღსარებას, ოღონდ ეგაა, რომ ცალკეული პასაჟების თხრობა ყოველთვის ვერ არის სათანადოდ მოტივირებული.

მოთხრობის ძლიერი პასაჟია საყვარელი სათამაშოს – ზოოპარკის ავტობუსის დამტვრევის ეპიზოდი ძმების კინკლაობის პროცესში. იგი ბუნებრივად არის და ბავშვის თვალთა დანახულიც და განცდილიც (ბავშვის შინაგანადგომიდან პროცირებულია გაწყობა, ცემა, პატარა ძმის თანაგრძნობის ტირილი – გამოსარჩლება, სათამაშოს დამტვრევაზე მთვრალი მამის რეაქციაც; მამის ავტორიტეტის განცდაც, მომხდარის მიზეზების გარკვევის სურვილის უქონლობაც, გულგრილობით ბავშვის სათუთი სულიერი სამყაროს ფეხქვეშ გათელვა).

უზუსტესი ფსიქოლოგიური რეალია – ცხოვრების უკუდმართობის ღვინოში ჩაკვლის მცდელობა თავისზე სუსტზე ბოღმის გადანთხმევით, სუსტის დაჩაგვრის გამართლება ცხოვრების „მხრებზე დიდი ტვირთის აკიდების“ – მეტაფორიკით (სხვა საკითხია ამის შემჩნევა მამის მრისხანე სახესა თუ გამოხედვაში 11 წლის ბავშვის მიერ).

შთამბეჭდავია ბავშვის მიერ ცემის განცდის პასაჟიც, თუმცა ძნელი წარმოსადგენია მისგან ამგვარი შეფასებაც: „ქამარს რკინის ბალთა აქვს, მხარზე მხედება. იატაკზე ვწვები, მტკივა სხეულიც და სულიც. მიჭირს ადგომა. ვტირი“.

ჩვენს მწერლობაში ამგვარი ნატურალისტური პასაჟი იშვიათობაა. გაბედული კალმის მოსმაც არის მწერლისაგან – ასეთი გაშიშვლება ადამიანური ყოფის შავნელი ხვეულებისა, გაშიშვლება ადამიანის სულისა და უსასტიკესი დამსუსხავი ხელი ცხოვრების დაუნდობლობისა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ბავშვის ოცნებებით ნაშენებ სამყაროს და მისი ენის არცოდნით, გულგრილად მიჰკერძავს უსამართლობის სუსხს.

კარგია ვაჟა-ფშაველას „მთის წყაროსთან“ დაკავშირებული პასაჟი – მინიშნება პერსონაჟის ბავშვური ცნობისწადილის ვაჟას მხატვრულ სამყაროსთან სიახლოვეზე, წყაროს სულიერი განცდის საკუთარ სულიერ მსგომარეობასთან გაიგივებით...

და კიდევ: პერსონაჟის სულიერი სამყაროსადმი სრული გულგრილობა რეალობის პერსონალიის მხრიდან (მასწავლებლები, მშობლები, ყველა, საკუთარი ძმის გარდა), სრული გაუგებრობა და გაუცხოება მთელი სამყაროსაგან, რადგანაც „სამყაროს ყურებზე მაგრად მიეფარებინა ხელის-გულები და [პერსონაჟის] ტკივილები არ ესმოდა“.

და შემზარავი განაჩენი პერსონაჟისა გულგრილი საყაროსადმი: „მე აღარ შემწევს უნარი, ვინმეს გავეუგო, რადგან ჩემი სხეული დადლილია მარტო საუბრით, მარტო ლოცვით, მარტო ვედრებით“...

პერსონაჟმა საბოლოოდ გაიჯახუნა კარი და სხვა სახლი, სხვა ოჯახი მოძებნა – ქუჩა, თავისუფლების და თანასწორობის სივრცე. კომპარებია ცხოვრება და მან კომპარებში ცხოვრება ისწავლა. ბავშვობა კი სათამაშოთი – ზოოპარკის ავტობუსად შემორჩა. ისიც ნამსხვრევებად, ახლაც უჯრაში რომ ინახავს. ხსოვნით კი ყველაფერი ახსოვს. სამყარო ისევ ისეთია, როგორიც იყო, მაგრამ თუ ბავშვობაში უცხო იყო, წაუკითხავი, ახლა უკვე დაგემოვნებული აქვს. იგი ომია და ამ ომში ადამიანი მარტოა. უნდა იომოს, არაფრის არ უნდა შეეშინდეს, არავის სთხოვოს დახმარება და ამაშია კაცობა. ასეთია ავტორის ხედვა და ადამიანის სულის გაუხეშების ანატომია.

ვეფქრობ, ამ მოთხრობის თემატურ-პრობლემური აქტუალურობა მტკიცებას არ საჭიროებს, თუმცა ამ ფონზე მაინც უნდა აღინიშნოს მხატვრული გადაცდომები, რომლებიც ბავშვის ცნობიერებას უკავშირდება და ელფერს უკარგავს ამ კარგ მოთხრობას. პირველ რიგში, ეს შეეხება 4 წლის ასაკის ბავშვის ფიქრების გაცნობიერებას და მათი გადმოცემის ლექსიკას, მაგალითად, ასეთი თქმები: „დედა ისეთი სევდიანი თვალებით მიყურებს, თითქოს დაბადებას არ მპატიობს“; სიზმარი – ზმანება ცოცხლად დამარხვის განცდა, რაც ძალიან წააგავს ლუარსაბ თათქარიძის სიზმარს, ანდა 8 წლის ბავშვის თქმა: „ჩემი მარტოობა ჩემი ფარია, მე უნდა ვიბრძოლო და უნდა გადავჩრე; ასევე ასეთი ფრაზა: „მე ვწვები ემბრიონის ფორმაში“.

ზემოაღნიშნულმა განაპირობა კიდევაც მოთხრობის მესამე ადგილი.

* * *

საბავშვო პროზის ნომინაციაში გაიმარჯვა **თინა ლომთაძის** მოთხრობამ „ბებო“. ეს მოთხრობა აგებულია დროში მოგზაურობის პრინციპზე, რაც ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული. თვალში საცემია მოთხრობის ბიოგრაფიულობაც და ნატურალისტურობაც. ავტორის განცდა-განწყობილებების პროეცირება დამაჯერებლობას სძენს თხრობას, ერთი მხრივ, დეტალების, მეორე მხრივ, მათი განცდის თვალსაზრისით, ამით არის განსაზღვრული მოთხრობის წარმატება.

ბავშვობისდროინდელი ყოფა რეალობა ბავშვის მსოფლგანცდის პრიზმაშია გაცოცხლებული. შთამბეჭდავია ისეთი რეალიები, რომლებიც მყარად არის დალექილი მეხსიერებაში.

მაგალითად, წელიწადის დროთა აღქმა და განცდა; შემოდგომისა, რომელიც ბებოს სამზარეულოში შემოსახლდებოდა თავისი ზორავით – („გოგრებით, აკილოებით, ქაცვია ტოტებით, ზღმარტლით, კომშით, ბროწეულებით“ და იქ „აპირებდა გამოზამთრებას“), ზამთრისა („როცა მოთოვდა, ოთახში უცნაური სიჩუმე იდგა ცის და ღრუბლების სუნით“).

ბავშვური ფანტაზიის კარგი ნიმუშია ჭერზე ამძვრალი ბათქაშის ფიგურებად აღქმა და ყოველწლიურად მათი ცვლა. ასევე იმ ზღვარის წარმოჩენა, რაც ზრდასრულობასა და ბავშვობას შორის გაწოლილა („ახლა სოფლის დაკეტილ სახლში ჩავდივარ, რომ დიდგოგობისგან გავიქცე ცოტა

ხნით“. ავტობიოგრაფიული დოკუმენტის გავექცევა).

აქ ზრდასრულის თვალთა განცდილი სიცოცხლე შემოგვცქერის ბავშვობასა და ბავშვობაზე თხრობას შორის დროით მანძილად რომ გაწოლილა, სადაც მწერლის ნიჭიერება ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებების გაცოცხლების უნარით იზომება.

მოთხრობას შთამბეჭდაობას მატებს საბავშვო პროზის არსებითი ნიშანი – ყველაფრის გასულიერება, ყველაფრის ყველანაირი უნარით ავსება. უთუოდ ნიჭიერების მაჩვენებელია ასეთი პასაჟი: „დატრიალდება სახლში გვირილების სურნელი, დაიორთქლება ფანჯრის მინები და გაიღვიძებენ ბავშვობის ანგელოზები“, ანდა:

„იქ საძინებელში, პატარა რომ ვიყავი, ჩემთან ერთად ძილის დამაფრთხილებელი ღამის ჩრდილები ცხოვრობდნენ“.

პრემიერებული მოთხრობა დროსთან გაჯიბრებაც არის, დარღვეული კავშირის მოგონებებით აღდგენის მცდელობაც კავშირისა, დაუნდობელი აწმყო რომ ებრძვის, ებრძვის წარსულს, მის ხიბლს და შიშველი სინამდვილის პირისპირ რომ ტოვებს ადამიანს. სწორედ ამის გამოხატულებაა ბავშვობაში დაბრუნების შეუძლებლობა, რასაც სიმძაფრეს მატებს ამ შეუძლებლობის გაცნობიერებით განპირობებული სიჯიუტე, თანაც იმის გამო, რომ ბავშვობის სულიერ სისუფთავეს და ბედნიერ გულუბრყვილობას ერჩის და მის ხსოვნას შლის მეხსიერების მატრიციდან.

* * *

ცალკე უნდა ითქვას პრიზიერებული მოთხრობების შესახებ. კარგი მოთხრობების დაჯილდოება პრიზების მინიჭების ფორმით „ერთი მოთხრობის“ კონკურსის კარგი ტრადიციაა. კონკურსი, ჩვეულებრივ, სტანდარტული ნომინაციის 3 და საბავშვო ნომინაციაში ერთ გამარჯვებულს ავლენს. კარგი მოთხრობები კი ყოველთვის გაცილებით მეტია და წარმატების ამ ფორმით აღნიშვნა ერთგვარად ხელს უწყობს ჟიურის ობიექტურობას, სამართლიანობას. 2024 წლის კონკურსმა სტანდარტულ ნომინაციაში სამ მოთხრობას მიანიჭა პრიზები. ესენია:

ნათია ჯიქურაშვილის მოთხრობა „მამა“, ეკა უკლებას „აღსარება“, სანდრო უსტიაშვილის „სალოცავი ნიში“ და თეა ირემაშვილის „ტყუპები და წივილა“ („საბავშვო ნომინაციაში“).

ყველა მოთხრობა მაღალი ქულებით შეფასდა, 30-დან არანაკლებ 27 ქულით. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათმა ავტორებმა კონკურსში გაიმარჯვეს.

ეკა უკლება მწერლობაში ექიმების თემის შესანიშნავი წარმომადგენელია. მის საკონკურსო მოთხრობაში ექიმის პროფესიული საქმიანობის თხრობაა, სადაც ადამიანის სხეულის მკურნალობა გადანასკულია მისი სულის გამრთულებასთან.

ნათია ჯიქურაშვილის მოთხრობა („მამა“) თემატურ-პრობლემურად არის გამორჩეული, მისი პერსონაჟი მესამე თაობის წარმომადგენელია ჩვენში დავიწყებული საქმიანობისა – ხარაზისა (მეწაღობისა). ავტორს მიმზიდველად აქვს გაცოცხლებული

ხელოსნობის ტრადიციები და სამყარო.

ნათია ჯიქურაშვილი ცნობილი ავტორია, ნაყოფიერად იბრძვის, წერს კარგ ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს და მკითხველის ფართო საზოგადოება ჰყავს. მისი საკონკურსო მოთხრობის კარგი მხატვრული დონეც არ არის მოულოდნელი.

კარგი მოთხრობაა **სანდრო უსტიაშვილის** „სალოცავი ნიში“. საინტერესო და აქტუალურია მისი თემა და პრობლემა – ჩვენი თანამედროვეების სულიერებისაკენ მიბრუნება, დანერგული სალოცავების აღდგენა, რაც გადანასკულია თაობათა კავშირის თემასთან. კარგი ქართულით თხრობა ალაგ-ალაგ პუბლიცისტურ განსჯებშია გადაზრდილი – სახეობითის ნაცვლად ავტორი სათქმელს პუბლიცისტურში (მიზეზ-შედეგობრივ ღიაობითში) გადაზრდის, რაც მოთხრობას მხატვრული ნარკვევის იერით აღბეჭდავს.

საინტერესოა **თეა ირემაშვილის** „ტყუპები და წივილა“, მიმზიდველია თემატურადაც, თუმცა შიგნით შიგნით ისეთი პასაჟები და მსჯელობები გვხვდება, რაც ბავშვურ სამყაროს და, რაც მთავარია, ბავშვის მიერ ამ სამყაროს განცდას არ შეესიტყვისება, უფრო ზრდასრული ადამიანის თვალთ არის დანახული.

* * *

რაც შეეხება **2023 წლის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის შედეგებს**, გამორჩეულად შთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც კონკურსში მონაწილეთა რაოდენობის, ისე საკონკურსო მოთხრობების მხატვრული ღირსებით.

სტანდარტულ ნომინაციაში პირველი ადგილი მიენიჭა **სალომე გოგოლაძეს**, მოთხრობისათვის „დღეა სახლში არ არის“. მოთხრობის წარმატება განპირობა თემატურ-პრობლემურმა მტკივნეულმა აქტუალურობამ, რაც ჩვენი თანამედროვე ყოფის მოურჩენელ ტკივილად და ტრაგედიად იქცა. ესაა ეკონომიკური უსასოო მდგომარეობის გამო ქართველი ქალების უცხოეთში სამუშაოდ (თანაც, როგორც წესი, უღირსი და სამშობლოში უკადრებელი სამუშაოს) წასვლა.

ქართულ მწერლობაში ეს თემა უცხო არ არის, თუმცა უფრო უცხოეთში ჩვენი ქალების ყოფაა ყურადღების არეში მოქცეული. საკონკურსო მოთხრობის ღირსება კი ისაა, რომ მწერალი აქ დარჩენილი ოჯახისშვილის სულიერი სიმართლის, უდებოდ დარჩენილი შვილის უმძიმესი ყოფის ამბებს გვიამბობს,

უდებოდ დარჩენილი მთავარი პერსონაჟის ამბები გადმოცემულია მისი განცდების, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობის ეპიზოდების ფორმით, თანაც იმდაგვარად, რომ ეს ეპიზოდები მინიმუმ ელემენტარად აღიქმება მოთხრობის მთლიანი ტექსტის ფონზე.

II ადგილი წილად ხვდა **ირაკლი ნადარეიშვილის** მოთხრობას „პოეზიის დღე“. თემა ამ მოთხრობისა ასევე უაღრესად აქტუალურია. ესაა წიგნიერების კრიზისი მკითხველის წიგნისათვის ზურგშექცევის გამო და შედეგად წიგნის ავტო-

რის (შემოქმედი ადამიანის – პოეტის) უსაშველო ეკონომიკური სიღუპი.

პოეტისა და ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილებების უზრუნველყოფის თემა არ ახალია. ლექსებზე ეჭვიანობა პოეტების მეუღლეებისა ცნობი თემაა, თუმცა თითქოს წარსულს ჩაბარებული. ი. ნადარეიშვილმა კი იგი ჩვენს თანამედროვეობაში დაგვანახა და ცხადყო, რომ სულ ცოტა ხნის უხვპირობარაიანი წარსული წარსულს ჩაბარდა და ჩვენი თანამედროვე პოეტი კვლავ იმ შიშველი სინამდვილის წინაშე დადგა, რომელიც იუწყება, რომ ლექსის წერით ოჯახის რჩენის იმედი არ უნდა ჰქონდეს ხელოვანს. ეს მკითხველმა დიდი ვაჟას მაგალითით იცოდა. ი. ნადარეიშვილმა კი ნატურალისტური სიშიშველით და სიზუსტით ცხადყო პრობლემის აწმყოში არსებობა.

მესამე ადგილი მიეკუთვნა **ლია მამულაშვილის** მოთხრობას „სინთეზური წერტილი“. მოთხრობა ბიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება, თანაც იმ სახეობას, სადაც ავტორი მოთხრობელია, გარკვეულწილად მონწილეც, კონკრეტულად მაკავშირებელიც (მემტიანეც) მოთხრობის ამბისა, დროის მსვლელობას და მათემატიკური სამგანზომილებიანი (სინთეზური) წერტილი.

ბიოგრაფიულ ეპიზოდებთან ერთად მოთხრობაში აშკარაა ავტორის ახლობელი ნათესავის რევანშინანიშვილის ლიტერატურული რემინისცენცია, მხატვრული თხრობის სტილი, რაც მისი მშობლიური სოფლის ხაშმის მეტყველების სურნელით არის დამშვენებული.

საბავშვო ნომინაციაში გაიმარჯვა **თამთა ტაბატაძის** მოთხრობამ „რატომ დაკარგა ცისარტყელამ ფერები“.

მოთხრობის წარმატება განაპირობა ამბის თხრობის ზღაპრულმა მანერამ, ზღაპრულმა პერსონაჟებმა (მზე, მთვარე, ცისარტყელა, ვარსკვლავები...), ყველაფრის სულიერებით ავსების ტენდენციამ, რაც უზუსტესად მიესადაგება ბავშვის მსოფლალქმასა და მსოფლგანცდას.

მაღალმხატვრული ეფექტებით გამაოცებელია ამბის გადმოცემის მანერა, სადაც წაშლილია ზღვარი ბუნებასა და ადამიანს შორის (იმ გაგებით, რომ ბუნების ყოველი საგანი თუ მოვლენა ადამიანური უნარით – ფიქრით განცდილი.... არის ავსებული).

სიუჟეტი სადაა და იოლი აღსაქმელი: ცისარტყელა საყოველთაო სიხარულის და სიყვარულის მომგვრელია. მას მოგზაურობა მოესურვა. სხვადასხვა ქვეყანა მოიარა, გააოცა ადამიანურმა მანკიერებებმა. ყოველ მანკიერებაზე თითო ფერს კარგავდა. ბოლოს ადამიანები მიხვდნენ დანაშაულს, ხელი აიღეს ბოროტებაზე და ცისარტყელასაც დაუბრუნდა ფერები.

საინტერესოა მოთხრობის ფინალიც. არა ზღაპრული „ჭირი იქა, ლხინი აქა“, არამედ მკითხველისთვისაც ზნეობრივი არჩევანის შეთავაზება, თანაც ზღაპრულისა და რეალურის ზღვარზე დევს და სიკეთის სისრულის სასარგებლოდ არჩევანის გზას უჩვენებს.

ამ ღირსებების გამო დაიმსახურა თამთა ტაბატაძის მოთხრობამ გამარჯვება.

სილოვან ნარიშკინი - 100

სილოვან ნარიშკინი



ისე უეცრად...

ისე უეცრად მოსაღამოვდა,
ვარსკვლავნი დასხდნენ ღამის მდგმურებად,
შენც ხომ მოკვდები, როგორც სხვა მოკვდა,
ზეცის კამარა დაგეხურება.
შენც უნდა დასთმო ეს სამყოფელი,
და მარადიულს გაჰყვე ღინებას,
ეს მზეც, ეს ღამეც – ვარსკვლავთ მთოველი,
ასე ღამაზად რომ იმზირება,
ცხელ დღეებში რომ თავზე ივლებდი,
აღარ იქნება არც ეს ტყეები,
არც შემოდგომის წყნარი დიღები,
არც ტბობის ჟინი,
არც ტბობის ზარი,
არც მაყრიონი, არც დაფიონი,
აღარც არაგვი, არც ალაზანი.
არც რიონი და აღარც იორი...
შენთვის არ იყო ყოფა იოლი,
ზღვა ხალხში მუდამ მარტო იყავი,
ირგვლივ მრავალი მარადიორი
და აცდენილი მიზანს ისარი...
და რაც ღალატმა ცრემლი გადინა,
ქვეყნად რა გახსოვს შენ ამის მეტი,
ასე უბრალოდ, ასე ადვილად,
ნუთუ იოლად გაგვწირავს ღმერთი...

სამყაროში

მიმოფანტულა სამყაროში ქართველთა ძვლები:
ეგვიპტესა თუ ელადამი,
სპარსეთის მხუთავ ტრამალებში სძინავთ
დიდ გმირებს,

ზოგს კი, რომის მაღალ კედლებთან,
ამუდარიის, ენისეის, ეფრატის ხმებზე
ისმის იმათი ულაყების გმინვა-ჭიხვინი,
დაღესტნისა თუ სტამბოლის გზებში
წვანან გმირები, უსახელოდ დაცემულები.
მიმოფანტულა სამყაროში ქართველთა ძვლები...
არავინ ქვეყნად,
მხოლოდ დიდმა მზემ მოიხილა
მათი შნო და მათი იერი!
მათი სავალი თვალუწიერი!

ნერელი - ძეგლი

მანანა გაბეჩავა



ქიშხეთური ზაფხულის ბრადიცია ბრძოლა

მანანა გაბეჩავა, ნიკო ავალიშვილის ერთ-ერთი შთამომავალი, პროფესიით გეოლოგი, 1995 წლიდან დღემდე დაკავებულია ბიზნესით, კერძოდ – კომპანიის მართვის საკითხებით.

საქართველოს ერთ მშვენიერ, სააგარაკო ჰაერითა და კულტურის ისტორიით გამორჩეულ სოფელ ქიშხეთში დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აწ უკვე წმინდანად შერაცხილი დიმიტრი ყიფიანის შთამომავლების ეზო-კარს ემიჯნება ცნობილი მთარგმნელის, ჟურნალისტისა და თეატრალური მოღვაწის – ნიკო ავალიშვილის შთამომავლების სახლ-კარი.

XIX საუკუნიდან მოყოლებული – დღემდე, ამ დიდი ოჯახების რჩეულ წარმომადგენლებს, მეზობლობის გარდა, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. ამ ურთიერთობამ საუკუნე-ნახევარი გაძლო და დიდი სიყვარულით გრძელდება დღესაც, კეთილმსურველთა გასანარად, სხვათა სამაგალითოდ.

წინამდებარე წერილში ავალიშვილების ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქალბატონი მანანა გაბეჩავა, ემოციურად გვიყვება: ძვირფასი ოჯახების ურთიერთობაზე, ტრადიციებზე, ყოველდღიურობაზე, წარსულსა და აწმყოზე. დიდი სიბოროტი დაწერილი წერილი, ამავე დროს, საინტერესოა, როგორც ისტორიულ დღეთა ერთგვარი შემტანე.

XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ზაფხულის არდადეგების მოახლოებისთანავე, მშობლები საქიშხეთო სამზადისს იწყებდნენ. ძირითადად, პროდუქტებს იმარაგებდნენ, უფრო ისეთს, რაც ქიშხეთის მალაზიაში არ იყო, ან, თუ იყო, რიგში უნდა ჩავიდგარიყავით. აბა, სოფლის პროდუქტით კი გვამარაგებდნენ ჩვენი ერთგული და მშრომელი მეზობლები.

სკოლის ბოლო ზარი რომ დაირეკებოდა, ვიწყებდით ბარგის ჩალაგებას. ან, რა ჩასალაგებელი ჩვენ გვქონდა, ორი-სამი ხელი ტანსაცმელი (ერთი აუცილებლად გამოსაპრანჭი, ოღონდ იგივე, რითიც თბილისში ვიპრანჭებოდით), ერთი წყვილი ეზოს, ერთიც, ცოტა უკეთესი ფეხსაცმელი. ზოდა, რა თქმა უნდა, არდადეგებზე წასაკითხი წიგნები, რაც ჩვენი ტანსაცმლის მოკრძალებულ რაოდენობაზე

გაცილებით მეტი იყო, რაოდენობითაც და მოცულობითაც.

დათქმულ დღეს (შაბათი უნდა ყოფილიყო, რადგან მშობლები მუშაობდნენ) დედა, მამა, ჩემი ძმა მალე და თქვენი მონა-მორჩილი რკინიგზის სადგურზე ვხვდებოდით დეიდაჩემს – ნანას, ბიძას-ლომერს და ჩვენს დეიდაშვილებს, ნინო და არჩილ ახვლედიანებს. თბილისი-ბორჯომის „ელექტრიკით“, ნება-ნება, ნელი სვლითა და სიცილ-კისკისით შევუდგებოდით გზას მონატრებული ქვიშხეთისაკენ, სადაც დიდება მანანა და პაპა მიშა გველოდნენ, ჩვენზე, თითქმის ორი თვით ადრე წასულები, რომ კარმიდამო მოეწესრიგებინათ, სახლი დაელაგებინათ, ლოგინი გაემზეურებინათ, გემრიელი სადილი დაეხვედრებინათ თბილისიდან ჩასული, სწავლით გადაღლილი და თბილისური ჰაერით გაგუდული შვილიშვილებისათვის.

მატარებელი არ ჩქარობდა და ალბათ, ვერც ჩქარობდა... ყველა ქალაქში, სოფელსა თუ დაბაში აჩერებდა. მეზავრებიც აუჩქარებლად ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ. ჩვენ კი ძალიან გვეჩქარებოდა, ქვიშხეთი გვენატრებოდა! როცა ბავშვები წუწუნს ვიწყებდით, ლომერი კინოგადაღების ამბებს გვიყვებოდა, დედა კი, თბილისიდან წამოღებული საგზლით გვაპურებდა. ასე მზიარულად გადიოდა ის, თითქმის დაუსრულებელი 5-6 საათი. ყოველ გაჩერებაზე მამა დასასხლების სახელის შესაბამისად, უცებ, მოკლედ და სხარტად ლექსს გარიტმავდა, ასე მაგალითად: „შემოვდით გორში, ჯიბეში მაქვს გროში“, ან „შევიარეთ ხაშურში, საქმე გვქონდა აჭურში!“

ქვიშხეთის რკინიგზის სადგურიდან სახლამდე არც ისე გრძელი, მაგრამ აღმართიანი გზა გვქონდა გასავლელი. მშობლები ბარგს გადაინაწილებდნენ. ჩვენ ჩვენს პატარა, უფრო მსუბუქ ჩანთებს შევეჭიდებოდით და ასე მიუყვებოდით ულამაზეს გზას კომკის უბნისკენ... გზად, ჯერ ალვის ხეების გრილ და ჩრდილიან ხეივანს გავივლიდით ობელისკამდე. ცოტა აღმართზე, წყაროსთან შევჩერდებოდით გასაგრილებლად. ცოტა მერე – დიმიტრი ყიფიანის კარის ეკლესიის ნანგრევებს, ბოლშევიკების მიერ განადგურებულსა და გავერანებულს, ჩავუვლიდით. მშობლები და, მათი შემხედვარე, ჩვენიც, პირველად ვიწერდით... უფროსები გულისტკივილით, ჩუმად რაღაცას იტყოდნენ და გზას ვაგრძელებდით. კიდევ ერთი აღმართიც და ჩვენი, მთელს მსოფლიოში საუკეთესო სამეზობლოს ქვიშხეთური „ბიოჟაც“ უკვე ჩანდა. მის ერთ მხარეს დიმიტრი ყიფიანის შთამომავლების სახლები იდგა, ერთ მოკრძალებულ ეზოში ორი, კიდევ უფრო მოკრძალებული სახლი. ერთი ცოტა ზევით, ხის ბოძებზე, საიდანაც მთელი ქვიშხეთი ხელისგულზე იშლებოდა. აქ ჩვენი მეგობრები, დიმიტრის მეექვსე თაობა – თამარიკო და ქეთინო მიქაძეები ისვენებდნენ, ჩვენსავით, არდადეგებზე ჩასულები, დედ-მამასთან – დეიდა ლალისთან და ძია გივისთან ერთად.

მეორე სახლი, ერთსართულიანი, ვეჭა ყიფიანის დროს მოჩუქურთმებული ულამაზესი აივნით, უფრო ქვევით იდგა, ლობესთან, „ბიოჟის“ ახლოს. აქ თამარიკოს და ქეთინოს ბებიები, ქეთო და დოდო სულხანიშვილები ატარებდნენ მთელ ზაფხულს. ვეჭა ყიფიანის, ამ დიდებული ქალბატონის ქალიშვილებიც არაჩვეულებრივად მომხიბვლელნი და საინტერესონი იყვნენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ოჯახების



მანანა გაბეჩავა და თამარ მიქაძე ნიკო ავალიშვილის პორტრეტს კიდეზე ღიმილთა ყიფიანის სახლ-მუზეუმში (არჩილ სუთიაშვილის ფოტო)

ნათესაობა და სიახლოვე ყიფიანების გვარიდან მოდის. ჩემი დიდედის, მანანა ავალიშვილის დიდედა (დედის მხრიდან) – მაშო ყიფიანი, დავით ქართველიშვილის მეუღლე – ღიმილთა ყიფიანის ახლო ნათესავი გახლდათ. დავითს აგარაკი ჰქონდა ქვეშეთში, ყიფიანების სახლის გადასწვრივ და ამრიგად, ამ ორ ოჯახს, იმთავითვე, გამორჩეული ურთიერთობა აკავშირებდა. როდესაც მაშოსა და დავითის ქალიშვილი ბარბარე (ბაბო) ნიკო ავალიშვილის ვაჟზე, არჩილზე დაქორწინდა, ნიკოც ხშირი სტუმარი გახდა ქვეშეთისა და ასე დაიწყო დიდი ღიმილთისა და მასზე ასაკით უმცროსი, მისი იდეებითა და საქმეებით მოხიბლული და აღფრთოვანებული ნიკოს მეგობრობა.

იქვე, „ბირჟის“ უფრო უკან, ჩვენი ეზოს ღობე მოჩანდა, პაპას ხელით გამოთლილ-დალაგებული და ჩაცემენტებული ხის ღობე, პატარა ჭიშკრით. ეზოს ბოლოში იდგა ჩვენი სახლი, ალბათ, მთელ ქვეშეთში ყველაზე პატარა, ორ სართულზე განლაგებული, სულ ოცდაათი კვადრატული მეტრი... სახლი, რომელიც ჩვენს დიდ ოჯახსაც იტევდა და ჩამოსულ სტუმრებსაც. ყველას მასპინძლობდა, ათობდა, საინტერესო ისტორიებით ართობდა და ტკბილად აძინებდა, ლიხის გვირაბიდან ექოდ მონამღერი მატარებლის „ჩუქ-ჩუქ“ იავნანით.

კვირაობით, შუადღისას მშობლები თბილისში ბრუნდებოდნენ მშვიდად. იცოდნენ, რომ ამქვეყნად ყველაზე სახლო ადგილას და ყველაზე სახლო ხელში გვტოვებდნენ. მშობლებს ვემშვიდობებოდით მომავალ შაბათამდე და ამის მერე იწყებოდა ჩვენი ტრადიციული სამზადისი.

დიდება მანანამ ასე გვასწავლა, ქვეშეთში ჩასვლისას, მეორე დღესვე სტუმრად უნდა მივსულიყავით ქალბატონებთან – ქეთოსთან და დოდოსთან, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებთან და ჩვენი ოჯახის უახლოეს ნათესავ-მეგობრებთან. სამზადისი ასე იწყებოდა – პაპა მიშა ბიჭებს, მალვასა და არჩილს დაასაქმებდა. თავისი ხელით დარგულ, მოვლილ-მოყვანილ, უგემრიელეს ჟოლოს დააკრეფინებდა. დიდება გამოაცხობდა თავის განთქმულ ვაშლის „პეროგს“, ტკბილსა და ფაფუკს, ისეთს, როგორიც მხოლოდ დიდებას ხელეხს შეიძლო. მერე თავის ლამაზ, ელევანტურ კაბაში გამოეწყობოდა, ძველ, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე მოდურ ფენსაცემელს ჩაიცვამდა და პატარა, მრგვალ ელექტროქურაზე გაცხელებული თმის დასავარცხნი მამებით თავის მშვენიერ თმას

მსუბუქად დაიტალღავდა. ჩვენც ვფუსფუსებდით. გამოვივლიდით თბილისიდან წამოღებულ გასაპრანჭ ტანსაცმელს, ცოტა უკეთეს წვეილ, პაპას მიერ უკვე გაწმენდილ-გაპრიალებულ ფენსაცემელს და სტუმრად წასასვლელად მზად ვიყავით.

დიდება ბიჭებს ვაშლის „პეროგისა“ და დაწნულ კალათში ფაქიზად ჩალაგებული სურნელოვანი ჟოლოს წამოღებას სთხოვდა, წინ გავვიძვებოდა და ჩვენც სისხარულით მივეყვებოდით. ჩვენი ეზოდან მათ ეზომდე ალბათ 50 მეტრიც არ იქნებოდა, მაგრამ მაშინ, ზაფხულის ეს პირველი ვიზიტი, სრულიად განსხვავებული მსვლელობა იყო. „ბირჟაზე“ წამოსკუპებული, ჩვენი ტოლ-მეგობარი ქვიშხეთელი ბავშვები გაცხელებული გვაყოლებდნენ თვალს. ალბათ უკვირდათ, ცოტა ხნის წინ ნათამაშები და სოფლის შარავზის მტკვრში ამოსვრილები, ასე მწყობრად, გამოპრანჭულ-გაპრიალებულნი, თან ნობათით ხელში, სად მივდიოდით... დაფიქრებასაც ვერ ასწრებდნენ, ჩვენ უკვე ყიფიანების კარმიდამოში ვიყავით.

ქვედა სახლის დიდებულ, მოჩუქურთმებულ აივანზე ორი უშვენიერი ქალბატონი გველოდა, სიყვარულით სავსე თვალებითა და გაშლილი ხელებით. თამრიკო და ქეთინოც იქვე იყვნენ. ერთი სული გვქონდა ჩავხუტებოდით, მაგრამ დიდებას და ქალბატონების ეტიკეტის თანახმად, ჯერ უფროსებს უნდა მივსალმებოდით, შემდეგ – დეიდა ლალისა და ძია გივის, მხოლოდ ამის მერე, ბავშვებს. მართალი გითხრათ, ჩვენი სურვილიც ეს იყო, არანაკლებ გვიხაროდა ტკბილი, ხალისით სავსე ადამიანების ნახვა.

თითქოს ისე გამომდის, რომ ჩვენი შეხვედრის ადგილი მხოლოდ ქვიშხეთი იყო.. არა, სულაც არა, ბავშვები, შეძლებისდაგვარად, ვახერხებდით თბილისში შეხვედრასაც, გაუთავებელი მეცადინეობისა და დაუსრულებელ-აუცილებელი მუსიკის გაკვეთილებით დატვირთულებიც კი. უბრალოდ, ქვიშხეთის შეხვედრა სულ სხვა იყო, თითქოს სხვა ეპოქაში ვინაცვლებდით, ზღაპრულ წვეულებაზე მივდიოდით, არაჩვეულებრივი, სათავედასავლო ამბების მოსმენის მოლოდინით.

მრგვალ მაგიდაზე ბებიების ხელით მოქარგული, არშიამოკერებული თეთრი სუფრა იყო გადაფარებული. ზედ ლამაზად ეწყო ჩინური ფაიფურის ძველებური სერვისი, მაღალ ფეხზე შემდგარ ბროლის სამურაბეები, მათივე ხელით მოხარმუშალი ნაირ-ნაირი მურაბით; იქვე იდო ძველებური ვერცხლის კოვზები, ტარზე ამოტვიფრული წინაპრების ინიციალებით. სუფრის შუაგულს დიდ ვერცხლის ლანგარზე ლამაზად დაწყობილი, ბებია დოდოს განთქმული ბურბუმელა („ხვოროსტი“) ამშვენებდა, რასაც, ღირსეულად, ტოლს არ უდებდა ძველებურ ფაიფურის თეფშზე მოთავსებული დიდებას ვაშლის „პეროგი“. აივანზე სამოვრის ჩაი თუხთუხებდა... ნამდვილი, ფიჩხზე და შეშაზე აღულებული, ძველებური სამოვრის ჩაი... იმ ჩაის, მურაბას, ნამცხვარსა და ბურბუმელას სხვანაირი გემო და სურნელი ჰქონდა. აი ისეთი, რა დროც არ უნდა გავიდეს, სულ რომ გაგონდება. სულ რომ გინდა კიდევ, თუნდაც ერთხელ, სულ ერთი წამით გადააწყდე, შეიგრძნო... მაგრამ არა, აღარ განმეორდება... იმ ეპოქას, იმ ადამიანებს შეეძლოთ ასეთი განსაკუთრებული სურნელის დატრიალება. მე კი, იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ამ

ყველაფერს და დამამახსოვრდა.

დოლო და ქეთო ბებიების სამზარეულო მიყვარდა ძალიან. ძველებურ ნივთებს, მრავალ ქარტეხილ გამოვლილი ოჯახის შემორჩენილ რელიქვიებს ვათვალიერებდი. განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა ქეთოს გაპრილებული და თაროზე კოხტად, ზომის მიხედვით შემოლაგებული ქვაბები და ტაფები. ისე პრიალებდა, ჩუმად მივდიოდი და ვამოწმებდი, ზომ მართლა ლითონის იყო. კი, ლითონის იყო... თავადის ქაღის ნატიფი ხელით გაპრილებული.

ჩაის სმის შემდეგ დედა ლალი და ძია გივი მაღალფეხებზე შემომდგარ სახლში გადაინაცვლებდნენ... დიდი აივნებიდან კარგად მოსჩანდა ქვიშხეთის შებინდება...

ჩვენ, ბავშვებს, სუფრიდან ადგომის და იქვე მოკალათების უფლება გვქონდა. ბებიები საუბარს იწყებდნენ, თითქოს ისე, თავისთვის, იგონებდნენ წარსულს. თან, ხანდახან, თვალს გამოაპარებდნენ ჩვენკენ, თუ გვისმენნო. ბავშვისთვის, ზომ ის უფრო საინტერესოა, უფროსების საუბარს თავისი ნებით მოუსმინოს, ეცადოს, რომ სხვა ოთახში გასვლა და ეზოში თამაში არ სთხოვონ, რომ არცერთი ამბავი გამორჩეს, ყველა სიტყვა დაიჭიროს. ზოდა, ჩვენც ვისხედით ამ საოცარ, საინტერესო გარემოში, თითქოს ვმოგზაურობდით წარსულის ამბებში და კეთილ თავგადასავლებში. დიდდა და დოლო მშვიდი მოსაუბრეები იყვნენ, ქეთო უფრო ხალისიანი, თან დიდი იუმორით დაჯილდოებული. წინაპართაგან გაგონილსაც ისეთი ენით მოყვებოდა, სიცილისგან თავს ვერავინ იკავებდა. ყვებოდნენ იმ პერიოდზე, როცა დიმიტრი გახდა პირველი ქართველი ქალაქის თავი, სათავადაზნაურო ბანკის იდეის მნიშვნელობაზე, ილიას დიმიტრისადმი გამოთქმულ სიტყვაზე: „ის იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი მისი კალატოზები“. ასევე იმაზე, როგორ გააშენა უნიკალური ვენახი ქვიშხეთში, სათითაოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შერჩეული ვაზის ჯიშებით, როგორ იწურებოდა მასთან ღვინო საუკუნოვან ქვევრებში, როგორ ჩაუდგა სათავეში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რათა ერში განათლება შეეტანათ დიდ მოღვაწეებს, როგორ დააარსა პირველი ქართული თეატრი, სადაც სპექტაკლებში თამაშობდა მისი ვაჟი, ცნობილი მსახიობი კოტე ყიფიანი; რაოდენ საინტერესოა, რომ ქართულ პროფესიულ თეატრში ქალის როლის ერთ-ერთი პირველი შემსრულებელი (ოჯახის ქალბატონებთან ერთად) მაშო ყიფიანი გახლდათ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე და თეატრზე როცა მიდგა საქმე, დიდდამ დიმილით გადმოგვხედა და გვითხრა: „ზომ გახსოვთ, ამ საქმეში დიმიტრის გვერდით ჩემი პაპა – ნიკო ავალიშვილი იდგა“. ნიკო დიდი მოღვაწე იყო: მოგზაური, მთარგმნელი. იცოდა ევროპული და აღმოსავლური ენები, დიდხანს მოგზაურობდა იაპონიაში, თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული თეატრის საქმეში. პირველმა თარგმნა სერვანტესის „დონ კიხოტი“, პოლონელი მწერლის ადამ სენკევიჩის „ვიდრე ჰზვალ, უფალო“, შილერის „ყაჩაღები“. ეს წიგნები წამოგიღეთ და წაიკითხეთ ამ ზაფხულსო, მერე დაამატა: „მამაჩემი, არჩილ ავალიშვილი დიდი ილიას ნათლული იყო, ილიას ხელშეწყობით გაემგზავრა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში

განათლების მისაღებად“. ჩემს დედაშვილს მიუბრუნდა – „მისი სახელი, არჩილი რომ დაგარქვით, უნდა გახსოვდეს, ილია ჭავჭავაძის ნათლულის შთამომავალი ხარ, ეს დიდი ბედნიერება, ამასთან, პასუხისმგებლობა არის“.

გააგრძელეს კეთილშობილმა ქალბატონებმა საუბარი. ახლა თავიანთი დედების – ვეტა ყიფიანისა და ბაბო ქართველიშვილის ნათესაობა-ახლობლობა გაიხსენეს. მათი ქვიშხეთური საღამოები, მათი ოდესღაც იქვე, გადასწვრივ, დიდ, მწვანე ეზოში ჩამდგარი თეთრი სახლი „მეზონინით“. დიდდამ ის ორი ფიჭვიც გაიხსენა, სახლის ზემოთ, სერებზე რომ დაურგავს დავით ქარველიშვილს მისთვის... ახლაც იქ ღვანახ, მალღები და ლამაზები... ის ავბელითი ზაფხულის საღამოც მოიგონეს, როცა ქვიშხეთლებმა ამბავი მოუტანეს, წითლები მოდიან და რაიმე ზიანი რომ არ მოგაყენონ, სასწრაფოდ, ქალაქში უნდა დაბრუნდეთ. დატოვეს სიცოცხლითა და სიკეთით სავსე სახლი, რაც მოასწრეს, აუცილებელი ნივთები ჩაალაგეს პატარა ჩანთაში და ერთგულმა მეზობლებმა ტყე-ტყე გამოიყვანეს გზაზე, საიდანაც ურმით ჩამოაღწიეს ქალაქში. არც აქ დახვდით კარგი ამბავი. სულ მალე, მაშინდელ მლეთის ქუჩაზე (ამჟამად, ხორავასა და შანიძის კუთხის) მდებარე ნიკო ავალიშვილის სახლიდანაც გაიშალა სახლის და ამავე სახლის სარდაფში მიუჩინეს ადგილი. სარდაფში, რომელიც სულ მალევე ქართველი საზოგადო მოღვაწეების, ხელოვანების, არტისტების, მეცნიერების და ოჯახის სანათესაოსა და მეგობრების ხშირი სტუმრობისა და საინტერესო შეკრების ადგილი გახდა. ტრადიცია ჯერ დეიდაჩემმა – შესანიშნავმა მუსიკოსმა ნანა ავალიშვილმა და ცნობილმა კინოოპერატორმა – ლომერ ახვლედიანმა, შემდეგ შვილებმა – ნინო (კინორეჟისორი) და არჩილ (კინოოპერატორი) ახვლედიანებმა გააგრძელეს და დღემდე ასეა...

ქართველიშვილების კარმიდამოში დასახლებაზე ქვიშხეთლებს უარი უთქვამთ... მოგვიანებით ლიხს იქიდან ჩამოუყვანიათ ოჯახები. საუბარში დოლო და ქეთო ჩაებნენ – დიმიტრის სახლი არ დაანებეს ქვიშხეთელმა გლეხებმაო. შეგვინარჩუნესო... აი კარის ეკლესია კი ჩამოანგრეს იმ უღმერთოებმაო. თურმე, ჯერ ვერ ბედავდნენ დანგრევას, მერე ვიღაც ახალგაზრდა ბოლშევიკს გადაუწყვეტია თავის გამოჩენა, გუმბათზე ამძვალა, ჯვარს შეჭიდებია, ფეხი დაცდენია და გადმოვარდნილა... არ გარდაცვლილა, ხეიბრად დარჩენილა სამუდამოდ... და მაინც დაანგრეს უღმერთოებმა ყიფიანების კარის ეკლესია...

გავიდა დრო და XX საუკუნის 60-იან წლებში დიდდას ხმა მიაწვდინეს – ქვიშხეთში, შენს უბანში, თავართქილაძეების მოსაზღვრედ, მიქაძეების გვერდით, სახლი იყიდებაო! აფორიაქთა დიდდა მახანა, აიყოლია პაპა მიშა და სულ ცოტა ხანში დაუბრუნდა თავის საყვარელ ქვიშხეთს, იმავე უბანს, იგივე მეზობლებს, გარემოს... არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამხელა იქნებოდა სახლი, მთავარია, რომ ის იყო!

მერე? მერე იყო ჩვენი უდარდელი, ლალი ბავშვობა! ჯერ თამრიკოს და ნინო ახვლედიანის, მეზობლებისა და ახლო მეგობრების – ლალანიძეების, მერე ჩემი და ქეთის თაობა.. სოფიკო პატარაიაც ჩამოდიოდა მამასთან ერთად. ერთი სიამოვნება იყო გამოჩენილი რეჟისორის, ჩვენთვის – ძია გურამის

საინტერესო მონაყოლის მოსმენა...

შემოქმედებით ატმოსფეროში გაზრდილი ბავშვები თავადაც ვცდილობდით, გვქონოდა თეატრალური დადგმები, ანშლაგით ჩატარებული სპექტაკლები. სპექტაკლზე მოსული მაყურებლები (ძირითადად, მშობლები) გაამხიარულა ჩვენმა მიგნებამ. იყო ბევრი გართობა და იუმორი...

დრო გადიოდა... ჩვენ ვიზრდებოდით, ჩვენი ლამაზი დიდება-ბებიები ხანში შედიოდნენ... მაინც ცდილობდნენ, წელში გამართულებს ევლოთ, ძველი ხიბლით... ზოგჯერ ასერხებდნენ, ხშირად – ველარ. სტუმრობისას, ისევ, ელეგანტრად გამოეწყობოდნენ, მოირგებდნენ თეთრი ბამბის ძაფისგან ყაისნალით მოქსოვილ-მოქარგულ საყელოებს თავიანთ, მაინც ყველაზე მოდურ და ლამაზ კაბებზე და ემზადებოდნენ ერთმანეთის სანახავად. პირველი ვიზიტი ისევ ჩვენი იყო. შემდეგ უკვე ჩვენთან იშლებოდა ჩაის სუფრა. ამჯერად, პაპა მიმას დადგმული სამოვარი თუხთუხებდა ჩვენი ძალიან პატარა, მაგრამ, ამავე დროს, ყველას დამტვევი სახლის ეზოში. სუფრაზე კი პაპას დარგულ-მოვლილ-ნაფერებ-აყვავებული ვარდის, ჟოლოს და ალუბლის მურაბა იდგა, ავალიშვილ-ქართველიშვილებიდან შემორჩენილი ძველებური ჩაის სერვისი და ვერცხლის კოვზები, რომლებზეც მათი წინაპრების ინიციალები იყო დატანილი. მურაბების გემოში იგრძნობოდა დიდელას სიტკბო, გემოვნება, არისტოკრატიული თავდაჭერილობა.

თანდათან მიდიოდა ბებიების თაობა. ახლა დეიდა ლალიზე იყო პირველი ვიზიტი დიდელასთან, როგორც ამ ორი დიდი ოჯახის უხუცეს წარმომადგენელთან.

ამასობაში გოგოები გაუთხოვდით. გაჩნდნენ ჩვენი შვილები. თამარიკოს ნიკა და სოფო, ქეთის – დალიკო (ჩემი ნათლული) და ჩემები: ნანიკო და ელისო. ისევ ჩავდიოდით ქვიშხეთში, წელიც არ გამოგვიტოვებია.

ახლა უკვე მამას მანქანით მივდიოდით, მამა დასტრიალებდა იქაურობას, გვერდში ედგა მეზობლებს. სოფელში ხშირად წყლის პრობლემა იყო და, როგორც ჰიდროგეოლოგი და მიწისქვეშა წყლების სპეციალისტი, მამა ყოველთვის პოულობდა წყაროებს სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის. იმ რთულ წლებში მან მოახერხა და იმავე ეზოში უფრო მოზრდილი, კომფორტული სახლი ააშენა. პატარა სახლი, კი, ქვიშხეთელი ბავშვების „შტაბი“ გახდა და კვლავ აივსო სიცილი-კისკისითა და სიხარულით.

90-იანი მძიმე წლებიც დადგა. შეიძლება ითქვას, ქვეყანა იქცეოდა. ქვიშხეთში სასწაული მოხდა! პატრიარქის კურთხევით, დიმიტრი ყიფიანის კარის ეკლესიის აღდგენა-აშენება დაიწყო! ამ საქმეს სათავეში ქვიშხეთის სახლ-მუზეუმის დირექტორი-გივი გელაშვილი ედგა. დიდი მონაწილეობა მიიღო ქვიშხეთის საამაყო მკვიდრმა, იმ დროს იტალიაში საქართველოს ელჩმა, ჩვენმა უახლოესმა მეზობლმა და მეგობარმა, ბეგი თავართქილაძემ. მთელი ქვიშხეთი, ქალიან-კაციანად, დიდიან-პატარაანად, ჩაება ამ საშვილიშვილო, დალოცვილ საქმეში! ორ წელიწადში აღდგა ქვიშხეთის აღდგომის სახელობის ეკლესია, ჩამობრძანდა პატრიარქი, აკურთხა იქაურობა.. და იმ დღიდან აღარ შეწყვეტილა მსახურება!

ჩვენი შვილები იზრდებოდნენ, დიდელა ხანში

შედიოდა, პირველი სტუმრობა ისევ დეიდა ლალიზე იყო, ამჯერად, შვილიშვილებით მოდიოდა, მათაც უნდა ესწავლათ ორი დიდი ოჯახის ტრადიციები... სწვლობდნენ კიდევ. ამის მაგალითად, თამარიკოს და ჩემი ქალიშვილების – სოფოს და ელისოს განუყრელი, სანიშნო მეგობრობის მოყვანაც ეყოფა.

90-იანი წლების დამსვენებლებისათვის ქვიშხეთი ერთგვარ ბედნიერების კუნძულად იქცა! აქ ხალხს ერთმანეთი უყვარდა, ყველა ერთმანეთს მხარში ედგა. თამარიკო ისევ დგამდა სპექტაკლებს. ამჯერად, უკვე მოზრდილი თაობისთვის. სრული სერიოზულობით იწერებოდა სცენარი, იდგებოდა წარმოდგენები. ქეთიმ ამ სპექტაკლებში სხვადასხვა როლი დიდი წარმატებით მოირგო. მიქაძეების ზედა სახლის აივანი, შემდგომ ეზო, მსურველ-მაყურებლებს ძლივს იტევდა. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: მეგობრები, ნაცნობები, მეზობლები, ასევე „დაჩნიკები“ (ასე უწოდებდნენ იქაურები ღროებით ჩამოსულ დამსვენებლებს). მებათ-კვირას ჩამოსული მეუღლეები გაკვირვებულნი და ამაყნიც იყვნენ ცოლების არტისტიკული მონაცემებით.

ამ პერიოდში, დიმიტრი ყიფიანის მამულში, სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ჩამოსული ცნობილი მწერლები, პოეტები, მთარგმნელები ლიტერატურულ საღამოებს მართავდნენ. ამ შემოქმედებითი საღამოების მონაწილე თამარიკოც იყო. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით, ჩვენი ბავშვებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ამ ყველაფერში, ესწრებოდნენ, უსმენდნენ, კითხულობდნენ, მსჯელობდნენ..

ცხოვრება ამასობაში თავისი გზით მიდიოდა... ხან ზევით, ხან ქვევით... ცოტა დამუხრუჭებაც გვასწავლა, ბევრი ბრძოლაც, უამრავი მიტევებაც... სიყვარულის უხვად გაცემამი და სიკეთის კეთებაში ხელს ვერაფერი გვიშლიდა. ჩვენც ჩვენებურად ვცდილობდით, ხშირად გამოგვიდოდა... ზოგჯერ, იქნებ, არც...

ცხოვრების ყოველდღიურ ფერხულში ჩართულებს, ხან განსაკუთრებულად ბედნიერი დღეები გამოგვაფხიზლებდა და ხან უძვირფასესი ადამიანების გარდაცვალებით გამოწვეული გაუსაძლისი და მოუჩინებელი გულისტკივილი შეგვარყევდა ძლიერად...

ყველასათვის უსაყვრლესი, სამაგალითო და მისაბამი ადამიანი, სიკეთის და სიყვარულის ეტალონი – დეიდა ლალი გაეცაცოლეთ დიდი წინაპრების ზეციურ ოჯახში... შემდეგ, მია გივი, მშვიდი, კეთილი, მოკიდრული, უხადო პროფესიონალი, დიდი ოჯახის უნიკალური არქივის შემგროვებელი და მცველი... მოგვიანებით, თამარიკო შეეხო ამ არქივს, იმ წერილებს, ფოტოებს, რომელთა შესახებ ბებიები გვიყვებოდნენ ჩვენს ბედნიერ და ლალ ბავშვობაში... შეეხო, გახსნა... გადაფურცლა... დაფიქრა... ისევ დახურა... შეინახა... გადმოიბარა და უკვე თვითონ დაუდგა დარაჯად საგანძურს.

...შვილიშვილების დაბადებით ვხარობდით... ჯერ ჩემი ნანიკოს ელენე გაჩნდა, მერე, დალიკოს სანდრო.

2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, როცა მოულოდნელად გზა ისე ჩაიკეტა, რომ ქვიშხეთში მყოფი ოჯახის წევრების ჩამოყვანაც კი ვერ მოვასწართ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილები, იმით ვინუგეშდებით თავს, რომ ყველანი ერთად იყვენ. ჩემი ოჯახიდან – დედა, 15 წლის ელისო

და 5 წლის ელენე. მიქაძეებიდან: ქეთი, გია, 19 წლის დალიკო, 16 წლის სოფო და წლინახევრის სანდრო! ოჯახების დაცვის პასუხისმგებლობა დედამ აიღო, მას თავდაცვის შტაბის უფროსის წოდება მიანიჭეს დანარჩენებმა.

აგვისტოს იმ დღეებში ჩვენი მხიარული და ლალი ქვიშხეთის კომკის უბანი უეცრად დიდ ციხესიმაგრედ იქცა.

ომი დამთავრდა... ისევ დაგვარგეთ: ადამიანები, სახლები, მიწები, ტერიტორიები, სიმშვიდე... და მაინც, ცხოვრება გაავარძელეთ...

2015 წელი... ნიკა... აქ სიტყვები უძღურია... ჩემი თამრიკოს, სულხანის, სოფოს... ქეთის, დალიკოს ოჯახის უდიდესი ტკივილი... თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ზაფხულის ჭრელი თბილისი ახლობლებისათვის შავით შეიმოსა. მიქაძეების ეზომ მოიწვინა. რამდენიმე წლის მერე თამრიკო და ქვიშხეთის საყვარელი სიძე, სულხან ისაკაძე, მაინც ჩავიდნენ ქვიშხეთში, გვიან შემოდგომაზე სულხანმა და გიამ ნიკას სახელზე ღობის ძირას კაკლის ნერგი ჩარგეს... მაღალფეხებიანი სახლის ყოვლისმომცველ და ყოვლისმომსწრე აივნიდან გადახედა თამრიკომ თავის საყვარელ ქვიშხეთს.. სად არ ატარა ფიქრებმა, ალბათ... პატარობადი დრობაში დადგმული სპექტაკლები... დედა, მამა... ნიკა! უკანა გზაზე თავისი მზრუნველობისა და ბრძოლის ნაყოფს – დიდი წინაპრის სახლ-მუზეუმს დახედა, ყოფილ მამულებში გაისეირნა, თბილისში დაბრუნებამდე კარის ეკლესიაში სანთელი დაანთო და ქალაქისკენ წამოვიდა.

თბილისში წმ. დიმიტრის ტაძარს ეწვია.. მერე დროებით დახურული არქივი გახსნა და მუშაობა გააგრძელა! აღარც დაუხურავს! თითქოს ურჩივსო წინაპართა სულებმა, თითქოს, სთხოვაო ნიკამ!

...და მუშაობას შეუდგა. ისეთ მუშაობას, მხოლოდ მას რომ შეუძლია და მართლ მას რომ გამოსდის... სერიოზულ, თანამიმდევრულ, გამართულ, პროფესიონალურ, მართლაც რომ სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობას.

შედეგად, ჯერ ერთი უნიკალური სქელტანიანი წიგნი-ალბომი გამოცა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, შემდეგ მეორე – ყიფიანების შთამომავლებზე, შესვენების გარეშე კიდევ ერთი – ბიძის, გამოჩენილი რეჟისორის გურამ პატარაიას ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი პორტრეტი დახატა.

შესანიშნავი გამოვიდა სამივე, ან სხვაგვარად როგორი შეიძლება ყოფილიყო – საუკუნოვანი არქივისა და დიმიტრი ყიფიანის მეექვსე თაობის, უნიჭიერესი თამარ მიქაძის ტანდემი?

ქვიშხეთური ზაფხულის ტრადიციები გრძელდება... დედა ისევ დაგვყავს აგარაკზე. გზად მამას სახალისო ექსპრომტებს ვიკონებთ... ვიცით, რა ერთგულებით გველოდება საყვარელი სოფელი. უკვე თამრიკო და ქეთი მოდიან დედასთან პირველი ვიზიტით... ტრადიცია არ ირღვევა... ახლა უკვე ჩვენი დედა, მარინა, ოჯახის ბურჯი და სამი თაობის გამზრდელ-აღმზრდელი, გვიამბობს დიდი წინაპრების ამბებს...

ამბობენ, რომ დაბადებისას ვერ აირჩევ დედ-მამას, და-მამას, მაგრამ შეგიძლია, აირჩიო მეგობარი. ჩვენი ორი ოჯახის ცხოვრებაში სხვანაირად მოხდა... დიმიტრი ყიფიანისა და ქართველიშვილ

-ავალიშვილის ოჯახებში დაბადებული თითოეული თაობა ბავშვობიდან მეგობრობდა: ვეტა და ბაბო, მანანა – ქეთო და დოდო, ნანა, მარინა – ლალი, თამრიკო, ქეთი – ნინო და მე.. ნიკა, დალიკო – ნანიკო, სოფო და ელისო, ელენე და სანდრო...

მალე ახალი სიცოცხლე მოევიწიება ჩვენს ოჯახებს უფლის წყალობით და გაგრძელდება ასე სულ, დაუსრულებლად... აივსება წინაპართა ეზოები ბავშვებით, დიდებით, სტუმრებით... სამოვრის ჩაისაც ავადღულებთ და ვაშლის „პეროვსაც“ გამოვაცხობთ, ისეთს თუ ვერა, ვეცდებით, ჩვენს შვილიშვილებს მოეწონოთ. მერე თვითონ გაავრძელებენ დღემდე სიყვარულით და სიფაქიზით მოტანილ ტრადიციას, ახალსაც შემატებენ... არც ძველს დაივიწყებენ. სხვაგვარად არ გამოვა, სხვაგვარად ვერც გამოვა... იმიტომ, რომ ეს წინაპართა დანატოვარია... იმიტომ, რომ ეს ქვიშხეთია, ჩვენი პატარა კომკის უბანი, სიყვარულის და სიკეთის საყვანი, ჩვენი ციხესიმაგრე. მის კედლებს ერთგული ადამიანები იცავენ, მას ზემოდან მთაწმინდა დაჰყურებს, გვერდიდან ყიფიანების კარის ეკლესია უდგას, სოფლის თითოეულ ოჯახსა და სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს კი, სამშობლოსთვის შეწირული დიდი ქართველის წმინდა სული დასტრიალებს.

P. S. როცა თამრიკომ დამირეკა და თავისი ახალი წიგნის იდეა გამიზიარა, სიხარულით ცას ვეწიე! მუშაობის პროცესში შემომთავაზა, როგორც ავალიშვილების ოჯახის შთამომავალი და დიდდა მანანას სეხნია, რაიმე მოგონებას ზომ არ დაწერო... ძალიან გამიზიარა და მყისვე დაეთანხმდი.. თან ბევრიც მსმენია დიდდასგან... საუბარი რომ დავამთავრეთ და პირველი სიხარულის ტალღამ გადაიარა, ცოტა დავფიქრდი... ავლელდი... ეს დიდი პატივიც იყო ჩემთვის და უზარმაზარი პასუხისმგებლობაც... თანაც, თამარ მიქაძის საავტორო წიგნში ჩემი მოგონებების ჩართვა ცოტა არ იყოს და, ზედმეტ თავდაჯერებად მივიჩნიე... მაგრამ, ისევ თამრიკოს ვენდე, ძალა მოვიკრიფე და დავწერე... ბევრი რამ დედასთანაც გადავამოწმე, დიდდას მერე, ისაა ჩემი მემატიანე... სანამ თამრიკოს გადავუგზავნიდი, დედას წაუკითხე... ყურადღებით მისმენდა.. ზოგჯერ ცრემლიც მოადგა, შიგადაშიგ ბევრიც იცინა და, საბოლოო ჯამში, ჩემი მოგონებების ისტორიულ ფაქტებთან შესაბამისობა დამიდასტურა...

ერთი კი დაამატა, რაც აქამდე არცერთმა ვიცოდი: მე რომ გაეჩენილვარ, სულ რაღაც სამი კვირის წაუყვანივარ დედას ქვიშხეთში, ივნიისის ბოლო ყოფილა... ისე მომხდარა, რომ პაპა და დიდდა ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ გაჰყლიან, მამა მუშაობდა და დედა მარტო აღმოჩნდა 3 კვირის ბავშვით ხელში.. ამ დროს ქალბატონი ქეთო უკვე ქვიშხეთში ყოფილა. ერთი წუთით არ უგრძვნია დედას მარტობა.. ქალბატონი ქეთო მასეირნებდა დილა-საღამოს ქვიშხეთის ორღობეებში... დედას ეხმარებოდა სახლის საქმეებში.. მეფერებოდა და მაძინებდა... ასე, დაბადებიდან სულ რამდენიმე დღეში, აღმოვჩნდი ვეტა ყიფიანის ქალიშვილის, კეთილშობილი ქალბატონის ლამაზ, ნაზ და სანდო ხელებში... ვინ იცის, რამდენი ლოცვა, სიკეთე და სიყვარული გადმოვიდა ჩემზე მაშინ...

თეატრის

თეატრ ჯაგოდნიშვილი



„გუშინწინ“ თუ „გუშინ უკან“? (საკითხის დასმის წესით)

ენა და მით უფრო მეტყველება უაღრესად მგრძნობიარეა დროის მსვლელობის იმ გაგებით, რომ უზუსტესად რეაგირებს დროის სულისკვეთების მიმართ – კარს უღებს ახალ ლექსიკა-ფრაზოლოგიას, არაიშვიათად მხოლოდ სიახლის გამოისობით, მშობლიურ ენობრივ სამყაროში (თუზაურუსში) შესატყვისი ლექსიკური ერთეულის, შესიტყვებისა თუ გამონათქვამის არსებობის შემთხვევაშიც კი ახალს – ნასესხებს ისისხლისხორცებს, ქმნის სინონიმებს, პარონიმებს და ამკვიდრებს (ამის კლასიკური მაგალითია ეპოქათა მსვლელობაში ჩვენს მეტყველებაში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები (სრული სინონიმები „სვე“, „ბედი“, „იღბალი“ და მრავალზე მრავალი სხვა). მაგრამ ეს ენის გამდიდრების უწყვეტი პროცესია და ყველანაირად მისაღები. უფრო საყურადღებოა ეპოქებისეული იმდაგვარი ენობრივ-სამეტყველო ნოვატიები, რომლებიც შეეხება ბუნებრივი ენის ბუნებრივ სამეტყველო მიზნობრივ მოდელებს, რომლებიც საწარმოთქმო ინტონაციურ მოდელებს ქმნიან. მაგალითად, XVIII საუკუნეში ქართული მეტყველება ინტონაციურ მოდელებს ესადაგებოდა თავისი გრამატიკული, ლოგიკური თუ ინტონაციური მოდელებით, XIX საუკუნეში თანდათან გათავისუფლდა მათგან (ამგვარი მახვილებით გაწყობილი მოდელებისაგან) და ახლებს დაემყარა.

XX საუკუნეში ქართული მეტყველება გაიმართა მკაცრად რეგლამენტირებული, გრამატიკულად გარანდებული (თავისებურად ნასესხები) სამეტყველო მოდელებით, რომლის ერთი მოთხოვნა (წესიერი მეტყველების საზომი) იყო სიტყვის ბოლოდან ინტონაციური მახვილის მეორე მარცვალზე დასმა ინტონაციური (აღმადიანები ხომ სწორედ ინტონაციებით მეტყველებენ – კონკრეტული (მიზნობრივი) შინაარსებით აღავსებენ თუნდაც ერთსა და იმავე სიტყვას და ქმნიან სხვადასხვა გამონათქვამებს. ამ სამეტყველო მოვლენის საუკეთესო მაგალითია ტ. ჭაბჭავაძის ლექსი „მცირე ლინგვისტიკური საგა“ და ბევრიც სხვა.

XXI საუკუნე ქართულ ისტორიაში ახალი ეპოქა შემოაბრძანა ყველანაირი გაგებით. თანამედროვე სამყაროში საქართველოს სრულფასოვანმა

ინტეგრირებამ არაჩვეულებრივად გაზარდა ჩვენში ქართულზე უფრო ახალგაზრდა ენის – ინგლისურის მნიშვნელობა, რაც ენობრივ-სამეტყველო სფეროს კონტაქტირების ყველანაირობაში გამჟღავნდა – არა მარტო ლექსიკა-ფრაზოლოგიის შემოჭრაში ნეოლოგიზმების ფუნქციით, არამედ მიზნობრივი სამეტყველო მოდელების ინტონაციური მახვილების გადმოღებით (სიტყვაში ინტონაციური მახვილის ბოლოდან პირველ მარცვალზე გადატანით, როგორც ქართული კითხვითი სიტყვისთვის იყო ბუნებრივი კითხვით წინადადებაში). ასევე შესიტყვებებისა და გამოთქმების მიხედვით გაწყობით. არაბუნებრივი ამაში თითქოს არც არაფერია, მაგრამ ასეა ნამდვილად? ჰეგემონი ენა (თუნდაც საერთაშორისო საკომუნიკაციო ფუნქციით!) პრაგმატიზმის თვალსაზრისით არის ანგარიშგასაწევი, მაგრამ არა მიმღები ენის ფილოსოფიური მენტალური ბუნების რღვევის ხარჯზე.

ამას გარდა, ქართული მიზნობრივი მეტყველების ბუნებრივი მოდელების ცვლა გამოიწვია თანამედროვე გლობალიზმის მოვლენებმა, განსაკუთრებით სამყაროს ერთ დიდ სოფლად ქცევამ, ჟამთაშვლის ცივილიზაციისმიერმა აჩქარებამ და აღმდინების კონკურენტულობის გამწვავებამ, საზოგადოებრივი ფუნქციის შენარჩუნების მცდელობების სიმწვავემ და არნახულმა ნევროზულობამ – აგრესიაში გადაზრდილმა ენობრივმა ექსტრემიზმმა. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა სამეტყველო კონფლიქტოლოგიის სფეროში, ყველანაირი ევფემიზმების უგულებელყოფაში, სკაბრეზულობის სიმძვლეში, ყოვლისმომცველ აგრესიულობაში (იგულისხმება როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი), თვით პროპაგანდის სფეროს ჩათვლით (აგრესიული პროპაგანდის სახით).

გლობალიზმის „სიო“ გარკვეულწილად (ენობრივი ჰეგემონობის მიუხედავად) ინგლისურ ენასაც შეეხო, ქართული ენის სიწმინდის დაცვა სახელმწიფო ენის პალატის მეთაურობით მაინც დარჩა ზრუნვის საგნად. ენის პალატა მუშაობას აქტიურად აგრძელებს, გამოსცემს ენობრივი ნორმების კრებულებს – სამი თუ ოთხი კრებული უკვე გამოსცა. ამის მიუხედავად, ქართული მეტყველების „მოწესრიგების“ მსურველთა მხრიდან ნაჩქარევი და ფორმალური (გრამატიკული) ჩარევები მაინც იჩენს თავს. ასეთებს ავიწყდებათ, რომ ქართული მეტყველება ყოველთვის არ ემორჩილება მისივე გრამატიკის მიერ დაკანონებულ წესებს, არღვევს ენობრივი მენტალობის სასარგებლოდ.

ერთი ამგვარი ჩარევის მაგალითია ქართული ბუნებრივი თქმისადმი („ორი დღის წინ“, „გუშინ წინ“, „ორი წლის წინ...“) ზოგიერთი გრამატიკის მიმართება. მათ მიაჩნიათ, რომ გრამატიკული დროის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით სწორი არის ფორმები: „ორი დღის უკან“, „ორი წლის უკან“ და ა. შ., მაგრამ შემოთავაზებულმა ფორმებმა სამეტყველო პრაქტიკაში მაინც ვერ მოიკიდა ფეხი. მცირედი გამოხატვისის გარდა, წიგნიერი საზოგადოების უმეტესობა, ჩვენი ენის ბუნებრივი მატარებლები, ვინც გენეტიკურად ფლობს ქართულ ენას, უწინდებურად გამოიყენებს გამოთქმებს „გუშინ წინ“, „ორი დღის წინ“, „ორი წლის წინ“, „უწინ“, „უწინდებურად“, „უწინარეს ყოვლისა“, „უწინდელი“ და ა. შ.

„უკან“ ადგილის (კონტექსტში დროის) ზმ-

ნიზელით შენაცვლება „წინ“ ზმნიზედის ანალოგიური მნიშვნელობით ვერ არის საყოველთაო და ესეც გახაზავს ამ „ნოვაციის“ ხელოვნურობას და ნაძალადეგობას. მაგალითად, რატომ ვერ ვამბობთ „გუშინ უკან“ „გუშინ წინის“ ნაცვლად, „უკან-დელს“ „უწინდელის“ ნაცვლად, „უკანა წლის“ „წინა წლის“ ნაცვლად, „უკანდებურად“ „უწინდებურის“ ნაცვლად და ა. შ.

ამასვე ადასტურებენ ქართველი ლინგვისტების სამეცნიერო ქართული ენის პრაქტიკა და პოეტების (მწერლების) მხატვრული ენა. მაგალითად, აკადემიკოს **თ. გამყრელიძის** ასეთი თქმა: „ჩინელმა ფილოსოფოსებმა შექმნეს დაახლოებით **სამი ათასი წლის წინათ**“, ანდა **პოეტ თამარ გაბროშვილის** თქმა ლექსში „დაბრუნება“: „სად, ანდა რატომ ვიყავით წინათ“¹. სხვა უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც ადასტურებენ, რომ „წინ“ და „უკან“ ზმნიზედების გამოყენება სწორად ესმით ჩვენი ენის **ჭირისუფლებსაც** და ენის მატარებლებსაც.

ისე თუ დავაკვირდებით, „წინ“ ზმნიზედის „უკან“ ზმნიზედით შენაცვლებას რუსული ენიდან კალკირების ელფერიც დაჰკრავს. მაგალითად, თქმა „ორი დღის უკან“ რუსული თქმის პირდაპირი კალკია („Два дня тому назад“).

„წინ“ ზმნიზედის გამოყენების მართებულობას „უკან“ დროის (და არა ადგილის) ზმნიზედის ნაცვლად სხვაგვარადაც ეძებნება ახსნა.

ცნობილია, რომ სიტყვა გენეტიკური ცოდნის მატარებელი, ეროვნული კოსმოგონიის მემკვიდრეა. სიტყვის სემანტიკაშია მთაბეჭდილი ინფორმაცია, კონტექსტურად და არა მარტო გრამატიკულ ფორმაში.

ქართული კოსმოგონიის მიხედვით სამყარო სფეროსებრია (ბურთისმაგვარი). ამასვე მიუთითებს თქმა „ცარგვალიც“. გლობუსიც ხომ ამ ალქმის ფიზიკური გამოხატულებაა. ეს ბურთი (ცარგვალი) სკნელებად არის დაყოფილი: ზეცა – ზესკნელი, ადამიანთა სამყოფელი – შუა სკნელი, რომელიც შემოფარგულებულია წინა სკნელით და უკანა სკნელით, გარდაცვლილთა სამყარო ქვესკნელშია. იგი სიმურდ მდინარით არის განცალკევებული შუა სკნელისაგან, ანუ სამზოვსაგან.

განსაკუთრებული სამყაროს სფეროს დროჟამულობაში ბრუნვის ტრაექტორიაა, ანუ სვლა-გეზია. ანუ სვლა არა ზევით (ჩრდილოეთიდან) ქვევით (სამხრეთისაკენ), არამედ ქვემოდაც (სამხრეთიდან) ზევით (ჩრდილოეთისაკენ), ანუ შენაცვლებულია პოლუსები.

ქართული წყაროები, სოციალური კულტურა, მსოფლიოს სხვა ხალხების კულტურისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთს ქვემო მხარედ მოიაზრებს, სამხრეთს – ზემო მხარედ. მაგალითად, სამხრეთით მდებარე ქართულ რეგიონებს საერთო სახელით მოიხსენიებს – ზემო ქართლს. ზემო მესხეთს უწოდებს შავშეთს, ტაო-კლარჯეთს..., ჩრდილოეთით მდებარე რეგიონს კი ქვემო ქართლს უწოდებს (მაგ. მარნეულის, ბოლნისის... რეგიონს). ანუ შებრუნებულია დედამიწის (ცარგვალის) გლობუსის ალქმა. და არა მარტო: შებრუნებულია დროის

მსვლელობის განცდაც.

ქართული კოსმოგონიით დროის ალქმა, მართალია, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ნაწილებად დაყოფას ემყარება, მსოფლიოს სხვა ხალხების მსოფლალქმის მსგავსად, მაგრამ პოლუსების შენაცვლების მაგვარად ისტორიის გზებზე ჩვენი ერის სვლაგეზიც შებრუნებულია (საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროა, რაც თავისთავად უძველესი ცივილიზაციის ნიშანია).

წარსული უბრალოდ მომხდარს კი არ აღნიშნავს მხოლოდ, არამედ მომხდარზე უფრო (რამდენადმე) ადრინდელს, მომხდარზე უფრო ადრე მომხდარს, რომელიც წინ უსწრებს მომხდარს (ანუ უფრო წინანდელს, უ-წინ-დელს). მაგალითად, გუშინ მომხდარზე უადრესს, თუნდაც ერთი დღით ადრე მომხდარს. ანუ წარსულს უახლეს წარსულად (გუშინდელობად) მოიაზრებს, ხოლო შედარებით შორეულ წარსულს – გუშინდელზე ადრე ანუ წინ მომხდარად.

იქნება პოლუსების შენაცვლება და დროის ღიწების ამგვარი განცდა ქართული მიგრაციის (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) კვალსაც შეიცავდეს.

ჩვენმა ენამ დროის განცდის ამგვარი უჩვეულო მოდელის გამოხატვა „წინ“ დროის (და არა ადგილის!) ზმნიზედაც დააკისრა და მყარი იდიომით დაამკვიდრა: „გუშინ წინ“ და „ზევით“ ადგილის ზმნიზედისათვის დროის გაგების დაკისრებით (მაგ. „ხვალზევით“ გარეკახურ მეტყველებაში). ამიტომ სწორ თქმად უნდა დავტოვოთ „გუშინ წინ“, „ორი წლის წინ“, „უწინდელი“, „უწინდებურად“ და სხვა ამგვარი.

ქართული კოსმოგონიური მოდელი ღრმა ასტრონომიულ და ასტროლოგიურ ცოდნას ემყარება და ამას ადასტურებს ასტროფიზიკის დიდი სახელის ნიკოლაი ალექსანდროვიჩ კოზირევის მოსაზრებაც სამყაროსეული ენერგიის რაობაზე, ამ ენერგიის წარმომავლობასა და ენერგიის ერთეულის შესახებ. მისი მტკიცებით სამყაროს ენერგია – ვარსკვლავების მთავარი საწვავი – დროა, დროის მსვლელობაა. ენერგიის ერთეული კი სულია, სულისკვეთება და განწყობა. მთავარი ენერგია სამყაროში მომავლიდან მომდინარეობს. გამოდის, რომ სამყაროს ენერგიის ტრაექტორიაც (სვლა-გეზი) მომავლიდან მომდინარეობს ჩვენკენ, ანუ მომავლიდან წარსულისაკენ. ამ აზრის ლოგიკურობას ის ცხადყოფს, რომ მომავლისათვის აწმყო (ჩვენი დრო) წარსულია.

ამ სვლა-გეზის შესაბამისია ქართული კოსმოგონია: მომავლიდან ჩვენი აწმყოსაკენ და აწმყოდან წარსულისაკენ ანუ ისტორიისაკენ. ამიტომ არის უადრესად ძვირფასი ქართველი კაცისათვის ისტორია. იგი ისტორიას განიცდის არა წარსულად, არამედ მომავლის ორიენტირად და ისტორიიდან კი არ მოდის, ისტორია მას წინ უდევს და იქითკენ მიდის.

ქართული მეტყველების სიწმინდის გარდა, ზემოაღნიშნულ სამეტყველო მოვლენის სისწორის ხაზგასმას სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ:

ბოლო ხანს გააქტიურდა კვლევები ქართული კულტურის ბუნების, წარმომავლობის შესახებ, დაჟინებით მსჯელობენ იმის თაობაზეც, რომ ქართველმა ხალხმა ძალიან ადრე, თანამედროვე წელთაღრიცხვაზე ძალიან ადრე არა მარტო კულტურა,

1. გამყრელიძე თ., ნ. მარზე სტატია პატარა

კრებულში, გვ. 70.

2. გაბროშვილი თ., კრებული „ახალი წელი“, გამომცემლობა „გეა“, 1993, გვ. 6.


არამედ ქართული ცივილიზაცია შექმნა, ეძებენ ამ ცივილიზაციის ნაშთებს, ნიშნებს... თანამედროვე გლობალიზმის პროცესებში ამ ძიებებს, ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის.

ქართული ცივილიზაციის შემორჩენილი ღირებულებები უმთავრესად მითო-პოეტურმა ენამ შემოგვინახა: ამირანის მითში რკინის დნობის ტექნოლოგიების მსოფლიო ცივილიზაციაში შემოტანილი წვლილის თხრობით; მედეა-იაზონის მითში ოქროცურვილის დამზადების ტექნოლოგიით და სამედიცინო ცოდნით; ღვინის კულტურით და სხვა.

ქართული კოსმოგონიით სამყაროს პოლუსების, დროის სვლა-გეზისა და სამი (წარსული, აწმყო, მომავალი) ძირითადი ნაწილის გააზრების სპეციფიკა ქართული ცივილიზაციის არსებობის უტყუარობის კიდევ ერთი წონიანი საბუთია.

• • •

შალვა მჭედლიშვილი



ქოზი ვენახში

პატარა ქოზი ვენახის ბოლოს,
მუშლის ზომლები რომ დასცახცახებს
და ხეხილების ეხვევა ბოლი
მე მირჩევნია ყველა სასახლეს!
პაწია ქოზი ვენახის ბოლოს,
შაშვის ჭახჭახით ცას რომ გასძახის,
აი, აქ შევხვდით ოდესღაც ერთ დროს,
იისფერფრთება აპრილის ქარში,
და ჩვენც თვალბეჭე მზის შუქი გვენთო
და ჩვენც აპრილის მზეს ვგავდით მაშინ!
ო, პაწაწინა და მყუდრო ქოზი,
ჩალით სათუთად გადანახური,
შემკრთალი შორი ორთქლმავლის მოთქმით,
წამწამზე დილის ცვარნამნასხური.
რა იქნა ლურჯი ჟამთა ცვლის ბოლო,
ის ბობოქარი აპრილის ქარი...
პაწია ქოზი, ვენახის ბოლოს,
ყვავილთა შუქში მოწყენით მდგარი!

* * *

ეჰ! პაპაჩემო, დღეს აღარა ხარ,
გოჯი მიწისთვის ასე რომ თრთოდი...
აწ შენს მიწაზე, შენს ნასახლართან
მგლები ყმუიან და ჰკივის ჭოტი!
ვაგლახ გადახმა „ქარზე ვენახი“,
„ზორბასეული“ საზღაპრო მსხალიც,
აღარ მეცნობა დღეს კარდენახი,
სხვანი სახლობენ... სულ სხვანი, სხვანი!
ქარს გაჰყვა წლები, წლები მრავალი,
უკანასკნელი დაღა ყავარიც.
აღვაც, მშვენება შენი სახლისა,
შუქი რომ ედგა მუდამ ვაზების,
ერთმაც არავინ მოისაკლისა
ის არემარე ულამაზესი!

დიდთოვლობაში ქიზიყში თქმული

თქვენ იქ ილხინეთ, სადაც გენებოთ,
ჩვენ ქვევრის პირას მოვილხნეთ ასე...

ცაც რომ ფიალით მოგვეჩვენება,
მუშუნა მაჭრის ნაპერწკლით სავსე!
აქ სხვაგვარია ღვინის სმის ეშხი,
ღარდიმანდები უყვარს ამ კუთხეს.

აქ თვით ბახუსმა აიღვა ფეხი,
აქ ზომ ბახუსი ღმერთად აკურთხეს!
ვცნობ მის ოქროს კვერთხს და ვაზის გვირგვინს,
ცნონებულ პაპას მაგონებს იგი!

ქიზიყო ჩემო, ტკბილო ქიზიყო,
თუშურქუდიან ღომების დედაც,
წყეულიმც ვიყო, თუ დაგივიწყო,
კურთხეულ იყავ, დიდება შენდა!

დღეს

განქრა, წავიდა, ქარს ჩაბარდა ძველი დიდება,
თითქოს აროდეს არ გვეყოლია მოთა, ილია...
წრფელი ცრემლებიც, ცრემლებიც კი გამოილია
და თითქოს კეთილს მომავალიც აღარ

გვპირდება.

პატიოსნებას ვინ დასტიროს წუმბეში ნათრევს,
აღარც სინდისი, აღარც ძმობა, აღარც დანდობა,
ორი ნუგეში დარჩა მხოლოდ დღევანდელ

ერთი სიკვდილი და მეორე არამზადობა!
ქართველს,

ქუჩის მიტინგზე

რაზე ოცნებობს ნეტავი
ბრბო მზესუმზირას მკენეტავი?
რად ენატრება ბორკილი,
ისევ ღონდება უღელზე?
ახალ კერპს მუხლებმოყრილი
წრფელ დიტირამებს უმღერებს?
მასაც დაამზობს ის ხვალე?
ერთ მუშტად აღიმართება,
ბრბო უგზური და მრისხანე,
მოყვასის სისხლით დათვრება?
აღსდგება, ხუნდებს დაამსხვრევს,
ძვლებს ყოველივეს დაღეწავს,
რომ კვლავ სასტიკად დამარცხდეს,
ახლა სხვას ეყმოს გარეწარს?!

თარგმანი

გალაკტიონ ტაბიძე



მე და ღამე

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალაღმე იწვის,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს
მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ
იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის
დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს
წერილი.
საიდუმლო შუქით არე, ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი
გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში
დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიადაგს კი არ
ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე
უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და
ალერსი;
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი
ლეინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში
მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში
მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწე და
ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!




ქართველი
პოეტების ლექსები
ინგლისურად თარგმნა მზია
კვირიკაშვილი-ლოურენსმა

• • •

Galaktion Tabidze

Night and I

Now, the time of verse writing, midnight is burning,
melting.
The breeze, blowing from my window, field's fairy
tale is telling;
The environs laid by the moon can't get rid of the silver
blanket.
The gentlest breeze at my window swings and sways
the lilac branches.
The sky is adorned by blue columns; colours of dove is
its trimming.
It is so full of sense and magic, as this letter is rich and
rhythmic.
The background is surrounded by the mysterious light,
So full and filled with passions as my heart is whole
tonight.
Since I've carried this my secret – it has been a long
time now –
I won't reveal it to anyone; don't allow the breeze
even to know.
Nor my friends, they will not know how much sorrow
my heart holds
Or, in the depth of my grievous heart, what is eternally
stored.
My heart's feelings can never steal the moment most
exciting,
Never can grab my heart's secret, even a lovely
woman's cuddling.
Nor moaning in my night sleep, nor the chalice full of
wine.
Cannot ever grab my secret, that mystery my heart
hides
Only the night that is shining in my window, in my
sleepless times,
Knows my mystery, my secret ... knows everything
the white night.
How I was left alone, how I suffered by ruthless life
We are only two in this world now: the night and I,
I and the night.



როცა ცა მემღვრება...

ცა როცა მემღვრება შავ ზღვასავით
და როცა მეწყება განსაცდელი,
როდესაც შენს გარდა აღარსაით,
არასგზით აღარ მაქვს გასაქცევი,

ტკივილი ცოტახნით დამიამე,
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ძარღვებში სისხლივით დამიარე,
თვალებში შუქივით შევიჭერი.

შემივსე საგულე ცარიელი
და, ნიშნად ხელახლა დაბადების,
სიმხნევე მაღირსე წამიერი,
არა გთხოვ სიწმინდეს სამარემდის.

არა გთხოვ მეუღლის ერთგულებას,
ირწმუნე სათქმელი განდობილი,
მაღირსებ ოცნების შესრულებას?
ცოტასიც დავრჩები მაღლობელი.

ჰო, მაგრამ მარტოდენ ბოდვებია
ჩემს შუბლში ძაფებად დაქსაქსული,
სხეულზე ცეცხლივით მოძვებია
სიცოცხლის უშენო დასასრული.

და იწვის ბუხარში წუხანდელი
წერილი, კუნძივით მობრიალე,
სტრიქონებს ედება ჟრუნტელი:
მარტო ვარ, მომხედე, მომიარე!

ლურჯ კვამლად იერთებს საკვამური
ლიცლიცა ღამეებს, საღამოებს
და როგორც ვეება საღამური
ოთახში აკვებს საგალობლებს.

ქარს მიაქვს შანთივით მწარე ბოლი,
და შენკენ გადმოაქვს დაქსაქსული,
ვით გულისჯიბიდან გალიდოლი,
აბებად გულისკენ გადასული.

თავზე ცა მემღვრება შავ ზღვასავით,
მეწყება უწყალო განსაცდელი,
გამიგე, შენს გარდა აღარსაით
არ მქონდა, არცა მაქვს გასაქცევი.

ტკივილი ცოტა ხნით დამიყუჩე,
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ზომ ხედავ, კუნძივით გავიროჯე,
ჰაერში კვამლივით შევიჭერი.

When the sky stirs up

When the sky stirs up like a black sea,
Troubles over me, and the ordeal begins,
When there are only you in my spirit,
O, no, I have no way to escape.

Make my pain decrease for a while,
Share with me my orphaned ceiling,
Flow like blood in my faded veins,
Enter in my vision like a light.

Fill my damaged heart to rebuild it,
Please alive it as a sign of rebirth,
Glance at me for the courage to give,
I'm not asking you for purity to a grave.

I'm not asking you for a wife's loyalty.
Trust each of my words, and take it as a gift,
Would you give me a chance to fulfil my dream?
I'll be grateful to even for a little...

But it seems it's only bitter delusions,
Woven into threads on my forehead,
It burns like fire, my blood and flesh,
My empty life without your cuddle.


Last night's letter burns with blaze,
Flared like wood in a fireplace,
And fever invades the lines of my verse,
I am alone, so come to me: be my carer.

The chimney merges into blue smoke,
The shimmering nights and early dawns,
And Reed pipe spreads its charming hymns
like a grand salute through the room.

The wind carries the smoke like a Stamp
And carries it to you, torn, like a shard,
Like Volland from a breast pocket,
like peals moving to the heart.

The sky above me stirred like a sea,
A merciless trial begins for me.
Understand that I have never had,
except you, nowhere else to run.

Calm my pain for a while, please,
Take my roof as your ceiling.
You see, I am black like wood coal,
I merged in the air like smoke.



მეზოვე

იქნებ შეეშვა, მეზოვე,
ჩემს ფოთოლცვენას,
წუხელ ქუჩიდან ფიქრებით
გავიხვეტია ხმელი
ფოთლები...
რატომ მართმევ
მეფურ მოწყენას

და შემოდგომის ხალიჩაზე მიშლი ხეტიალს.
დადიხარ ჩემად და ჯიუტად რაღაცას მღერი,
ხეივანს უთრთის ქარიანი ხმელი ვნებები,
დილიდან ცოცხზე გამოაბი ყვითელი ფერი
და ქალაქიდან გააძევე მოგონებები...
ჰგვანან აფიშებს, კედლებიდან ჩამონახევებს,
ქუჩის ქალები – დაბნეული ქუჩის სულები,
ხმელი ფოთლები ჩუმი სევდით ტოვებენ ხეებს,
როგორც ძველ სოფლებს სახადისგან

განწირულები.

მე ვიცი, სულს, მდუმარებით შემიშინდები,
სევდამ ფანჯრიდან გასაფრენად რატომ გიბიძგა,
გადახვეწილან საღვაც ღამით ჩემი ჩიტები
და მკვდარმა ქუჩამ სიჩუმეში გამოიღვიძა.
ინანე მაინც, მეზოვე, გესმის, მაიცა!...
ხმელი ფოთლები ჩემი გზაა ზამთრისპირისკენ,
სიკვდილიც თვალის ასახვევად თეთრებს ჩაიცვამს,
დალღილ სახეებს კვლავ სიმშვიდით

დაავვირისტებს.

ყველანი ერთხმად კართან მომდგარ ზამთარს
ვნებდებით,
ჩავიკეტებით და ღიმილი გაზაფხულამდე
გადაიდება.

გაცრეცილი მზის დაბედებით,
დროცაა უკვე სულის კარებს ნაზად ვხურავდე.
გადაიქცევა ეს ქალაქი შიშველ ქუჩებად,
ვეძებ საცრემლოს და ვერ ვხვდები, ნეტავ, რა
მრჯიდა,

შუახნის ქალებს სახეები გამოუჩნდებათ
ფოთლებისაგან გამარცხული ღია ფანჯრიდან.
უკვე შესცივდა ქალაქგარეთ სიზმრების ჭაღაკს,
საღვაც შორს მოსჩანს სილუეტი პატარა ხიდის,
მხოლოდ სამრეკლო შეახსენებს გულწასულ

ქალაქს,

დრო მაინც მიდის, და-მი-ჯერ-ეთ, დრო მა-ინც
მი-დის!

ყვითელ ფერს თეთრი ფერი შეცვლის,
ცოცხებს – ნიჩბები,

ქუჩის კუთხეში მათხოვარი გაიყინება,
სარკმელთან ვდგავარ და მგონია, რომ ვემიჯნები
და თხელ მინაში ვერ შემოვა დროის ღინება...
თვალდახელშეა ღიმილიდან დარდში შევტოპე,
მიწა საზამთროდ გაშიშვლებულ სხეულს იქავეს,
ქუჩაში დადის მეზოვე, ეზოზე და ღინჯად უვლის
შემოდგომის დალღილ იგავეს.

სახლიც კანკალებს მორყეული საფეხურებით,
ზამთარი თბილი იქნებაო, მაიმედებენ,
ხელზე დავიყრი პურის მარცვლებს და ბელურები
ჩემს სულს სხეულზე ნისკარტებით მიაჭედებენ.

Yard Keeper

Yard keeper, you may leave my leaves in peace.
Last night, like thoughts, you swept leaves from the
street.
Let me rule my royal boredom; why do you interfere
with it?
Don't prevent my autumn carpet from wandering.
Don't be unfair.

Creeping and singing yourself something stubbornly,
The alley is trembling from passionate blowing winds,
You tied up a yellow colour on your broom from the
morning,

and banished all the precious memories from city life.

They look like torn posters hanging from the walls,
Like street women – confused street spirits,
The dry leaves leave the trees in silent sadness,
As old villages doomed by deadly infectious diseases.
You'll be scared by strange silence, I know, my soul,
Why did your sadness push you out of the window?
At night, my birds fled far away and vanished

somewhere.

And the dead streets woke up in deadly silence.
Yard keeper, wait for a minute, regret at last but not
least,

I am heading to winter's edge, lead me the dry leaves,
Even death will wear white to cover himself,
And it will stitch exhausted faces with peace again.
We all obey winter, standing close to the entrance.
We will lock ourselves and postpone smiles until
spring.

with the boldness of the sun, bringing unpleasant luck
It's time to close the doors of my soul gently.

This city will turn into bare streets,
I'm looking for a reason to cry, and why?
The faces of middle-aged women will be uncovered,
From denuded open windows robbed of leaves.
It feels chilled outside the city, the puddle of dreams.
Somewhere in the distance, you can see the silhouette
of a small bridge,

Only the belfry reminds the heart-damaged city,
Time still goes by, and time is rushing. Believe me,
please.

White will replace yellow, and brooms – shovels,
On the street corner, the frost will freeze a tramp,
I stand by the window, and I think I am untouched,
And the flow of time cannot enter through the thin
glass.

At once, instantly, I fell into pain from a smile,
The winter is itching, and the earth is preparing for
winter.

The earnest yard keeper Aesop walks on the street
caressing exhausted, worn-out autumn fable tales.
The house is trembling with its old steps,
They give me hope that winter will be warm.
On my palm, I will put bread grains for the sparrows,
They will nail my soul to my body with their beaks.



აპოკალიფსი

მე მოვესწარი სასწაულებს
სამყაროს ნგრევას,
როცა ქრონოსმა ცისქვეშეთი
ულმობელ ცელით
მითიბ-მოთიბა აგერ უკვე
მეოცე წელი
ეძებს და სამოსს ვერ პოულობს
შიშველი ევა.

შიშშილი... სისხლი... ნანგრევები... ცრემლები
ღვარი!..

ღელს და გადმოდღელს სიბოროტის შავი მორევი,
რათა წალეკოს ანგელოსთა ნაამბორევი
ღვთისმშობლის მიწა და სიყვარულს დაუღოს
ზღვარი.

ბრმა ბედისწერა მიაქანებს უფსკრულში საყდარს,
სმენას მიზაფრავს შორი ექო დამსხვრეულ ქარის.
მაღალ გაღავნებს აცამტკერებს ველური ქარი
და გეგონება – ავაზაკთა ოცნება ახდა.

ხმელეთი იძვრის... მორყევით ციხეებს ბურჯი,
ზღვა აყირავებს კრეისერებს, როგორც გლისერებს.
ორლესულებით მე გულ-მკერდი გადამისერეს,
გადამიღებს ალისფერად ველები ღურჯი.

ო, რა მხეცური სისასტიკით მღეწეს, მარბიეს,
ღინამიტებით ამომძირკვეს ძირის-ძირიდან.
ცისარტყელების ნანგრევებში მოჰყვა ირიდა
და ჩემი ზეცა სათარეშოდ დარჩათ ჰარპიებს.

გამეფებულა სიწყვდიადე მზიურ მთა-ბარში,
ქვეწარმავლები მოსდებიან სამოთხის ბალებს.
ქვეყნის დამქცევი გადარჩენილ კარიბჭეს აღებს,
ფშვნის ძალაყინით მარმარილოს, როგორც

ფეხმძიმე დედებს გაუფატრავთ მუცლები ხმლებით,
(არ სურთ იხილონ ეს კოშმარი მათმა ჩვილებმა).
აქ თვითონ ღმერთიც თითქოს ქვესკნელს
ემორჩილება,

როცა გაისმის ჯოჯოხეთის საზარი ხმები.
სასაფლაოა უწინდელი ნარინჯის ველი,
ჰყრიან ვეება ორმოებში დაგლეჯილ გვამებს.

აწ სასახლენი გადარეცილს ჰკვანან ვიგვამებს,
ბოლო ხანძარში იფერვლება ცხრველი ძელი.
ცოტაც და ქვეყნად არაფერი აღარ იქნება,
წაშლის, წალეკავს წარღვნა ყველა ზღვარსა და
ჯებირს.

საწამლავებით გაივსება ერთბაშად ჭები,
ვერავენი შესძლოს დამნაშავეს კვალის მიგნება.
ვისი მსხვერპლი ვარ, ვინ მაქცია სტიქიის მძევლად,
ცეცხლსა და გრიგალს დაუნდობლად ვინ

შემატოვა?
როგორც ყოველთვის, განსაცდელში ახლაც
მარტო ვარ,

და ღოცვის ნაცვლად მომეწია ურიცხვი წყევლა.
ყველა მათგანი მე უკლებლივ უნდა მახსოვდეს!..
ვიდრე ბოლომდე ამ სიგიჟის ტალღა დაცხრება,
მზე დედამიწას ნაკვერცხლებად დაენარცხება,
რომ მერე ჩემთვის არ აღმოხდეს აღარასოდეს.

Apocalypse

I witnessed miracles – the destruction of the world,
When Chronos mercilessly scythed the earth,
Trampling it underfoot, and so far, it is decades,
looking for her dress but can't find the naked Eve.
Hunger and blood ruins and tear-shed,
Boils and boils the black whirlpool of evil,
Trying to destroy the kingdom of angels,
The land and loving shelter of the Virgin Mary.
Blind destiny leads a temple to the abyss,
An echo of a crushed harp disturbs my mind,
The wild whirlwinds destroy high railings,
And you think, there, fulfilled the devil's dream.
The land is shaking, damaged the fortress tower,
The sea overturns cruisers like hydroplanes,
I was stabbed in the chest with sharp daggers,
and were painted in scarlet emerald fields.
Oh, what a ravaging, what a beastly cruel pillaging,
They uprooted me with dynamite from the bottom

of the earth,
under the ruins of rainbows appeared goddess Iris,
And my heaven was left to the harpies to be
marauded.

Reigns silence in the sunny mountain plane,
Reptiles invaded the gardens of paradise.
The foe of the country opens its surviving gate,
Force crumbles with crowbar marble as plaster.
Pregnant mothers prefer to pierce their bellies with
swords,

(The babies are not able to see this nightmare).
Here, God himself seems to obey the underworld,
When the horrible sounds of hell-precipice – are heard.
Turned to cemeteries, the former orange fields,
They are graves now, with corpses filled in huge pits.
From tumbled – down palaces to left – only ruins,
The last fire is the burning column of a life tree.
Very little and nothing will be there,
Floods will erase all the dams and margins.
Poisons will fill the wells all of a sudden,
No one will be able to trace the culprit.
Whose victim am I, who made me a hostage of the
disaster?

Who left me mercilessly for the fire and the hurricane?
As I always do, I'm alone in the ordeal right now,
And instead of praying, I've been chased by
a countless curse.

I must remember all of them! Without missing!
The end of this wave of madness subsides,
Until the sun will crash the earth like embers,
Because then it will never turn out for me again.
At once, instantly, I fell into pain from a smile,
The winter is itching, and the earth is preparing for
winter.

The earnest yard keeper Aesop walks on the street
caressing exhausted, worn-out autumn fable tales.
The house is trembling with its old steps,
They give me hope that winter will be warm.
On my palm, I will put bread grains for the sparrows,
They will nail my soul to my body with their beaks.



* * *

თან გაიყოლა შრიალი ხეთა
და გაარღვია ღრუბლების ალყა,
წავიდა... სევდა შემოეხეტა
ქალის, რომელიც ქარიშხალს გაყვა.

ის მიდიოდა... თმები-წვიმები
ჩამოაფარა ოცნებას ფარდად,
რა დამიტოვა წვა და წამების
და უსაშველო ტკივილის გარდა.

წავიდა გაქრა, როგორც სიზმარი,
როგორც „იყო და არა იყო რა“
და მზის ნათელი ყოველ ცისმარე
წაიღო ჩემი, თან გაიყოლა...

ის მიდიოდა და სუსტი მხრებით
მთელი სამყარო თითქოს მიჰქონდა
მან გამოისხა უეცრად ფრთები,
ქალმა, რომელიც ქარებში ქროდა...

ის მიდიოდა მარტოობაში,
არავინ სურდა ლურჯი ცის გარდა,
სურნელი, ჩემთან დარჩა ოთახში
ქალის, რომელიც არავის ჰგავდა...

წავალ გავყვები, მოვებნი გზა-კვალს
მაგრამ ქარიშხალს სადა აქვს ბინა?
ისევ ჯობია მძიმე გზამ მომკლას,
ვიდრე სიკვდილი მეწვიოს შინა.

ან კი სიკვდილი რაღაა მეტი,
თევზი უწყლობით იცოცხლებს რამდი?
გადამიყოლებს – ესაა ბედი –
ქარს წაყოლილი ამ ქალის დარდი...

თან გაიყოლა შრიალი ხეთა
და გაარღვია ღრუბლების ალყა.
გულში კი სევდა შემოეხეტა
ქალის, რომელიც ქარიშხალს გაყვა...

* * *

She took with her the rustling of trees,
and she broke through the dense cloud siege,
She left, and instead, sadness arrived
Of the woman who followed the storming wind.

She was going and with hair – rains,
She, like a curtain, covered my dreams,
What she left for me besides helpless
burning and tortured killer heart pain.

She has gone, vanished like a dream
Who was here or was not once upon a time?
And the light of the sun of every my dawn,
She took it with her and left me nothing.

She was walking, and her weak shoulders
It seemed as if it carried the whole world.
And she suddenly spread her wings,
The woman who blew in the whirlwinds.

She was alone and walked in loneliness,
She needed no one but only the blue sky,
With me, in my room, stayed her fragrance,
The woman – had never been like others.

I will go, follow, to search her footsteps,
But where does the Storm have an apartment?
It will be better if the hard road kills me
Before death visits me at home alone.

Or what is death more than my life-being?
How long can fish live without a drink?
It will destroy me – this is my fate –
The sorrow of the woman carried by the wind.

A rustling of trees accompanied her,
Breaking through the dense cloud siege.
Sadness invaded me, entering my heart,
Of the woman who followed the wind.



ჩემი სამშობლოს მთა-ბარი

მადლი სულს მიძრავს ჩემი მიწა-წყლის,
აქ სიყვარულის ადის ალმური.
მთაში ნისლეების გროვა მუდამის,
ბარში ელემი და გაზაფხული.

როცა თვალს ხიბლი მოეწაფება,
როცა ჩიტივით გული ფრთხილობს,
მე მინდა მაშინ ცაში აფრენა,
ამ სილამაზეს რომ ვეზიარო.

როდესაც ვიხევი ქარაფებს იპყრობს,
და მესმის საღვაც ირმის ბლავილი,
შეგლის ნუკრი ცვრიან ბალახს რომ იძოვს,
სასიყვარულოდ ფრთხილად გაივლის.

ცის კაბადონზე ლურჯი ოცნება,
მთაზე ღრუბელი წამოწოლილი,
სხვა სილამაზე არ მაგონდება
ბუნებისაგან წარმოშობილი

მიყვარს მერცხლების აუღურტუნება,
მზის ფოჩებს როცა ხელში ვადნებ,
როცა გარემო მივსებს გუნებას,
ავენტები და გავდიდვაცდები.

აპრილის თვეში კვირტების სკომა
და მზის აისი ხონხისფერ დილას,
როდესაც სიო უჩუმრად მოვა
და გაავლიტებს ყვავილებს მძინარს.

მთის ნაკადულის მიყვარს ბუტბუტი
და წყაროს წყალი მთაში ნახადი,
ტყის პირას მდელი, მიწა ზურმუხტი,
ვითარცა ხელით ნაშრომ-ნახატი.

ამ სილამაზეს ვერ მივატოვებ,
მზის სხივი მკოცნის, მელამუნება.
აქ უნდა ვიყო დიანაც, სწორედ,
მე სხვა სამოთხე არ მეგულება.

მალე დადგება ჩემი დაისი...
აცრემლდებიან ოდეს ვაზები.
მე ისევ მოვალ. როგორ? არ ვიცი,
ალბათ ცის ნამდ, ალბათ ყვავილში.

ამ სილამაზეს ვერ მივატოვებ,
მზის სხივი ისე მელამუნება,
აქ უნდა ვიყო დიანაც, მარად,
მე სხვა სამოთხე არ მეგულება.

Homeland

The grace of my land excites my heart,
Here is the flame of the ardour of love.
In the mountains, call me a pile of mists,
Eden and spring in the emerald fields.

When the sight misses beauty and charm,
When my heart pounds like a bird's heart,
I want to fly in the sky up and up,
Nature's fascination to greet and share.

When a stallion invades a sheer cliff,
And I hear the bleating of a deer,
As deer fawn grazes the dewy grass,
Searching for love with great care.

A blue azure dream in sky firmament,
The clouds lying on the high mountains,
I can't think of any other charm,
Originating from mother nature.

I love the sounds of swallow chirp.
When I melt in the laces of the sun,
When an environment fills my mood,
Then I feel great, and I glow up.

The bursting of buds in the April month,
And Sunrise on the pheasant-like dawn,
When a breeze sneaks up without sound
And the sleeping flowers gently wake up.


I love the bubbling of the mountain streams,
The water of a source, pure and clean,
The forest edge meadow and emerald fields,
Like a handwork of a human being.

And, oh, this beauty I can't ever leave,
Sun shines here in different means,
I must be here, yes, yes, forever,
And I don't accept another heaven.

There may sundown will arrive soon,
As soon as the vine emits teardrops,
I know I'll return, but when? I don't know,
Perhaps in a flower, perhaps as a dew.

And this beauty I can never leave,
Sun shines here in different ways,
I must be here, yes, I always will,
I don't want to accept another heaven.

ზურაბ გოგრიჭიანი



ყალბი და ნამდვილი

ირგვლივ ყალბია თითქმის ყველაფერი, ცრუ შეპირება, შამფური – შახთია, თვითონ დედა მზეც კი ამდენ სიყალბეში

ტყუილად ამოდის, ტყუილად ანთია...
ალიონს ვარდისფერს, საღამო ვარდისფერი,
თუმცა რას ვამბობ, რაღა დროს ვარდია,
სიმართლე შეგვტყუდა, გაჰქრა სიყვარული,
ახლა მთვარეც კი, სევდა და დარდია...
ზოგი ალთასაა, ზოგი ბალთას მიდის,
ზოგიც ერთ წრეში, მუდამყამს წრილებს...
დედა - მიწაც კი, ღვთისგან ჩვენთვის ქმნილი
დედა - მზის გარშემო, ამაოდ ტრიალებს
რისთვის ვიბადებით, არც – ვის არ ანადვლებს,
ჩვენი საუბარიც, ლიქნა და ფანდია,
ჰოდა ამიტომაც, და კიდევ – იმიტომაც!...
ამქვეყნად, დედა - მზეც ტყუილად ანთია...
სამყაროს გავიცნობთ, ძალიან შეგვტყუებდა,
რადგან ტყუილად ვიცხოვრეთ აქამდე...
ღვთისშვილი გონებით უნდა ხარობდეს
და არვინ კვდებოდეს თვით „გარდასახვამდე“...
რაც შეიძლება, ძალიან გაგვეჩიოს
ყალბისგან ნამდვილი, – წმინდა სანთელი!
თვით - ეულ ჩვენგანს დაგვებრუნებინოს
ღვთისშვილის გონი და ღვთისშვილის სახელი!

Zurab Gogrichiani

Fake and Real

Almost everything around is fake
A false promise, a spit, or branding iron.
The mother sun herself – among so many frauds
It rises in vain, and it shines in vain.

The pink of the morning and an evening pink
But what am I saying? No, it's not rose time.
We've hated the truth, and love disappeared
Now, even the moon is misery and sad.

No co-ordinations and suitable destinations,
People move around in the same circle,
Even Mother Earth had created for us,
It revolves in vain around the sun.

What we are born for, no one cares about it
Our words are also flattery and trick
That's why, and again – for the other reason,
In this world, Mother Sun shines in vain.

We will learn the world and will be ashamed,
Because we have lived to this day in vain,
God's child should rejoice with her mind
And before "transformation", let no one die.

Let us be able to as soon as possible,
choose the holly candle from the fake ones,
May each of us return to ourselves
The mind of God-child, self-respect and rank.

მანანა სამყურაშვილი

არ წახვიდე, ჩემთან დარჩი

გაზაფხულის ყვავილებზე მსურს ვგალობდე ვით
ბუღბუღი,
სიყვარულით მსურს ვამღერო ია, ვარდი და სუბუღი.
ზოგჯერ მთვარის სხივად ვიქმნე, გავანათო ბნელი
ღამე,
ვარსკვლავით ვიკაშკაშო, სხივსა ვფენდე ლაყვარდ
ცაზე.
მინდა მთის ჩანჩქერი ვიყო, მოვწოდებ ტინებს მთაზე,
კალმახები ფრთხილად დნენ ჩემს კალთას და
ლაშაზ თმაზე.
როგორა მსურს ქარი ვიყო, ცით ნაბნევი ფანტელები,
რა ჯობია ტრფობას ასეთს, ხელის გულზე
ჩამოვდები.
მინდა ნაკადული ვიყო, მთის ფერდაზე მორაკაკე,
ნახად ვმღერდე მთის სიმეხზე, სიო მყავდეს
მოთვალთვალე.
ნელდ ტოტებზე მწვანე კვირტებს გაზაფხულზე მე
ვქარგავდე,
ავფეთქდე და ავეყვავილდე, მთელ სამყაროს მე
ვქარგავდე.
დედამიწა მსურს შევმოსო ატლასის მსგავს მწვანე
ფარჩით,
ვიყვავილოთ ყველამ ერთად, არ წახვიდე, ჩემთან
დარჩი.
თითო სიტყვას სალხინობელს, გეფიცებით თქვენც
მოგაწვდით.

მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ!...

მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ! მტერთა რისხვას
რომ გადავურჩი,
მტერთა არა მინდა, მე ჩემს კახეთს გულში
სამუდამოდ მივჩაგრე...
მისდა სადიდებლად ლექსსა ვქარგავ, კახეთის ცას
და მღელღალს ფუნჯით ვხატავ. არაფერს არა გთხოვ
ოღონდაც ერთხელ, უფალო, შენს ლამაზ ხეცას
გადავხატავ.
მე, იმ ოქროს კიბეს, ცად მიმავალს, ბილიკ-ბილიკ
მიმოვქარგავ,
უფალო, შენდა სადიდებელს წმინდა საგალობელით
გამოვხატავ.
მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ! ჯვარცმული ქრისტე
რომ ჰყავს სალოცავად.
კაცთა მოღვმისაგან ნაწამები, დედას დღემდე რომ
მაქვს საწუხარად.
მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ! მცხეთას რომ აგებდა
სვეტიცხოველს,
რატომ აუგია ესე კარგი, ამგები ხელი რომ
ღამისავე.
მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ! შანთით რომ
მიწამეს ნაზი მკერდი,
ვერვინ შემიძრია რწმენა რჯულის, უფლის გვერდითა
ზის სულის მტრული.
მე იმ ჯიშის ვაზის რტო ვარ! ცრემლით რომ
მივსია ფიანალები,
წინაპართ სულის სადიდებლად, მტერს მსურს
გავუჩინო იარები.

Manana Samkurashvili



Stay with me

I want to be like a nightingale, chanting over the flowers of spring,
I want to sing and give joy to violet, rose and hyacinth.

Sometimes to become a moonbeam, pitch night to light up,
To shine like a star and sparkle over the boundless sky.

I want to be a waterfall, running on a rocky mountain,
Trouts to flutter in my skirt hem and beautiful hair waves.

O, how I want to be the whirlwind or the flakes spread in the sky,
What's better than falling in love and melting into the hand palms?

I want to be a mountain stream, coming with burbling downhill.
To sing on the mountain strings, accompanied by a gentle breeze.

To embroider every spring green buds on the branches of the trees.
To explore and to blossom, I to colour the whole earth.

I want to clothe the fantastic world with an emerald green veil,
Let us blossom together, and do not go; let's stay with me.

I have one word for everyone: pleasant, feast, and festive.

I am a branch of that kind of vine!

I am a branch of the thoroughbred vine that escaped the enemy's wrath
And what I could use from my enemies, I've stuck forever in my Kakheti heart.

I embroider a verse to praise it, painting the sky and meadow with a brush.
I'm not asking you for anything, My Lord, only to paint your beautiful realm.

That golden ladder heading to the sky, I embroider a stair by stair,
I will express your praising words with a yet unhearing holy hymn.


I am the thoroughbred kind of vine which has to pray for the crucified Christ –
Tortured by men, by human descendants, I still carry my motherhood grief.

I am a branch of that thoroughbred vine which created the Svetitskhoveli temple,
Who's right arm was cut only because its creation was incomparable.

I am a branch of the thoroughbred vine whose breast was burned with flamy steel.
No one could shake my faith in the law; my spirit dove sits at the Lord's side.

I am a branch of that thoroughbred vine who drinks endlessly tearful chalice vials;
I want to uproot the enemy's malice to glorify the ancestral spirit.

ოთარ ჭილაძე



* * *

რაც არ ყოფილა, ის არც იქნება,
მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც:
გზა გაიხსნება, ან შეიკვრება,
მომსვლელი მოვა, წამსვლელი წავა...
მეც წავალ, ოღონდ ცოტაც მადროვეთ,
ბარემ შევაფხო ბოლო ფურცელიც
და ამოვწურო ეს სიმარტოვე,
ეს ფორიაქი ამოუხსნელი.
გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს,
რითაც ღროს კვლავი და თავს ვირთობდი.
მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს –
კარგად იყავით. მადლობთ, მშვიდობით.

Otar Chiladze

* * *

What was not there, it never will be,
But whatever it was, it will stay still,
The ways will open or will be closed,
Who wants will come; who wants will go.
And I will go too; I need a little time,
I need to fill the last sheet of my left life,
To lapse my loneliness and my emptiness,
Unfathomable, my throbbing unrest.
All that made me live and entertained,
Were left in the past and depreciated...
I do not want my life to be different -
Goodbye! Thank you! Farewell.



პროზა

ვაჟა დანელია



აღსარება

ტელეფონის ზარმა დაიწვრიალა.
– გამარჯობა! – მოისმა ყურმილში უცნობის ხმა.
– ღმერთმა გამარჯვებული გატაროთ, ბატონო!
– პასუხი არ დამიყოვნებია.
– არ გაგიკვირდეთ, სასაფლაოდან გირეკავთ!
– საიდან?!
– სასაფლაოდან... არა, მკვდარი არ გეგონოთ, ნახევრად მიცვალებული ვარ.
– ასე უშნო ხუმრობა?! რომელი ხარ?
– არ გეხუმრებით, 85 წელს გადაცილებული მოხუცი ვარ. – შევატყვე ხმა გაეზარა.
– რით დაგეხმაროთ, ბატონო?! – ტონი შევცვალე.
– უკვე დამეხმარეთ. – ვიგრძენი, ტიროდა. – დედის საფლავზე ვარ და დაჩოქილი პატიებას ვთხოვ.
– რა დაუშავეთ ასეთი? – ცნობისმოყვარეობამ მძლია.
ხმა შეწყდა. ეტყობა, უცნობი ძალას იკრებდა.
– თავის ღროზე წარმოსადები ბიჭი ვიყავი, – განაგრძო ნაწყვეტ-ნაწყვეტ. – მეგობრები და ქალები ბუზებივით მეხვეოდნენ. მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ერთხელ ძმაკაცებთან ერთად სოფელში ჩავედი საქეიფოდ. ღაწვებ და ხელებდანაოჭებული დიდი ხნის უნახვი დედა სიხარულით ცას ეწია. მაშინვე დატრიალდა და ზღაპრული სუფრა გაგვიშალა. ის იყო, საღვთისმშობლის სათქმელად ფეხზე წამოვდექი, დედა რომ მომიახლოვდა, წელზე ხელი შემომხვია და საკოცნელად წამოიწია. უცებ თავი გვერდზე გადავხარე და ალაჟღავნებული ლოყა მის დამტკნარ ტუჩებს მოვარიდე...
ყურმილში ისევ სიჩუმემ დაისადგურა.
– დედა წამიერად გაშეშდა, – ხმის კანკალით განაგრძო უცნობმა. – მაგრამ არაფერი შეიმჩნია. „შენ რომ მყავხარ, შვილო, სიცოცხლედ ისიც მეყო“, – მითხრა მან და ხელების ცახცახით გამშორდა. ეს ეპიზოდი არავის შეუმჩნევია, რადგან დამშეულთ თავი სალაფავში ჩაერგოთ.
მეორე დილით წამოსვლისას ერთ-ერთი მეგობარი დედას ხელზე ემთხვია და გულუხვი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა. ცოტა

ხნის შემდეგ შევნიშნე, მალულად როგორ გადმოა-
პურჭყა და ტუჩები ცხვისასხოცით მოიწმინდა.

დღეა უხმოდ დამემშვიდობა. ხელის გამოწვდა
უნდოდა, მაგრამ ძვლებზე ნახევრად ჩაშავებულ
ტყავადაფარებულ თითებს რომ დახედა, უმაღლეს
უკან წაიღო. გულში კი რაღაც ჩამწყდა, თუმცა
მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია – მა-
ლევე ტვინის სიღრმეში დაიღვქა და გადამავიწყდა.

უცნობმა შეისვენა და ღრმად ამოიხვნეშა.

– ახლა რას საქმიანობთ? – საუბრის თემის
შეცვლა ვცადე.

– დაუძლურებული მოხუცთა თავშესაფარში
ვარ, – ცრემლმა ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი. –
ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი მყავს. რძლებმა
ჩემთან ცხოვრება არ მოისურვეს. შვილები თვეში
ერთხელ თუ შემომივლიან ზრდილობისთვის,
შვილიშვილების სახე კი თითქმის დამავიწყდა...
ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ
ქრისტიანი კაცი ვარ და თავი როგორ მოვიკლა!..
დღეს დილით გაზეთში თქვენი ნოველა წავიკითხე
დედაზე. ბევრი ვიტირე – ჭაბუკობისდროინდელი
ის ეპიზოდი დამიდგა თვალწინ. კელარ მოვითმინე.
თავშესაფრიდან გამოვიპარე და 60 კილომეტრი
ტაქსით გამოვიარე სასაფლაოზე ამოსასვლელად.
აი, ახლა აქ ვარ და დედას პატიებას ვთხოვ!.. ხომ
მაპატიებს?!

– გაპატიებს, ბატონო, გაპატიებს, – ვუთხარი
გულშეკუმშულმა. – დედა ყოველთვის გვაპატიობს,
რადგან ვუყვარვართ.

– დედა, მაპატიე-ე-ე!.. ყურმილში ხრიალის
ხმამ შემძრა.

ტელეფონი გაითიშა.

დედა

თებერვალშია დაბადებული. სამწუხაროდ, ამ
დროს სოფელში ჩასვლას ვერ ვახერხებ, ხოლმე.
არადა, ვიცი, ყოველთვის მოუთმენლად მიმეღის.
ამჯერადაც გავუცრუე იმედები...

იმ დილით კი უთენია გავემურე რკინიგზის
სადგურისკენ – დედის ღღეს მივულოცავ-მეთქი
და თბილისი-ფოთის მატარებლით დასავლეთისკენ
ავიღო გეზი. აგარას რომ გავცდით, ფანჯრის მინას
ფანტელები მოაწყდნენ.

– ეს რა გაუთავებელი ზამთარი გვიდგას, –
დაიწუწუნა თავმალში გახვეულმა ჩია ქალმა,
რომელსაც ფეხებთან დიდი ფუთები ელაგა.

– მარტი ქალებს გვაგოთ, ქალებს, – ვითომ გახ-
უმრება სცადა ზორბა მამაკაცმა, რომელიც ძლივს
ეტეოდა სავარძელში.

ქალმა რაღაც უპასუხა, მაგრამ მათი სუბრისთვის
არ მიმიყურადებია. ჩემი ფიქრები დედას დასტრი-
ალებდა. უნებურად მორბენალ ბოძებს გავადევნე
მზერა. „ტელეგრაფის“ მავთულებზე, როგორც
კარგი მუსიკოსი, ქარი უკრავს ცივი ზამთრის

უსახელო მელოდიას“, – ჭაბუკობისას დაწერილი
ლექის სტრიქონები გამახსენდა...

თეთრებში გახვეულიყო ხაშური. გვირახს იქით
ბარდნამ იმატა. სოფელშიც კარგა ძალი თოვლი
დამხვდა. შინ მისვლამდე ჩემს დასთან შევიარე.
დიდი ხანია, არ მინახავს. მთელი ოჯახი დატრიალ-
და – უმაღლესი ღომისთვის წყალი შედგეს, დისშვილი
ხის ქვეშ შეყუჟულ ქათამს გამოეკიდა. დედასთან
მიმეჩქარება, მაგრამ ვინ გიშვებს — ერთი საათი
არაფერს შეცვლისო.

ღუმელში შემა ტკაცუნობს, ოთახში თბილა,
გარეთ კი ისევ ხვავრიელად თოვს. გულმა არ
მომითმინა და სახლში დავერკე. ყურმილი დედამ
აიღო. დღესასწაული მივულოცე. როგორ ხარ-
მეთქი, ვკითხე.

– აბა, როგორ ვიქნები ამ ამინდის გადამკიდე, –
მოისმა ყურმილის მეორე ბოლოდან.

– დედი, ამინდს რად უჩივი?

– მარტი დაიწყო, შვილო, და თოვლი კი არ
გვშორება.

– რა თოვლი, დედა, ალბათ, ჭირვეული მარტის
თოვლ-ჭყაპმა შეგაწუხა.

– შენს თავს ვფიცავ, ოჩაფულე თოვლი დევს.

– ისე მაგულიანებ, ლამის საგუნდაოდ ჩამოვიდე...
მეგუნდავები?

– ოღონდ შენ ჩამოდი, შვილო, და... სიტყვა ვერ
დამთავრა, შევატყვე, ცრემლი მოაწვა.

– რეზინის ჩექმები თუ გაქვს?

– ოღონდ შენ გნახო და... ფეხშიშველა გამოვალ
საგუნდაოდ.

– კარგი, კარგი, დედა, აუცილებლად ჩამოვალ...

არ მახსოვს, როგორ ვისადილე. ჩემი დაც წა-
მოძვდა და ერთად გავუდევით გზას. ისევ ლამაზად
ბარდნის. თემშარიდან ჩემს სახლამდე შორი არ
არის, მაგრამ ახლა გზა რატომღაც გაიწვია. რო-
გორც იქნა, ჭიშკარს მივაღვეით. ჩამიჩუდი არ ისმის.
ეზოს ნახევარი გავლიეთ, გომურიდან მომავალი
დედა დავინახე, უკან ჩემი მეორე და მოსდევდა –
ალბათ, ძროხას წყალი და ჩალა თუ მიუტანეს.

გუნდა ვესროლე.

– რომელი ხარ? – მოულოდნელობისგან შეცბა,
შეღვა და დამაკვირდა.

– ხომ შემპირდი, გეგუნდავებიო. აი, ჩამოვედი...

სახე გაეხადრა. ოდნავ სიწითლემაც გადაჰკრა.
ნაბიჯი გადმოვდგა. ისევ შეღვა, მერე დაიხარა და,
გუნდა მესროლა თუ არა, ფაფუკ თოვლში ჩაიკეცა.
უმაღლეს ხელში ავიტაცე. ბელურასავით ფეთქავდა.

– ხომ არაფერი იტკინე, დედი?

– არა, შვილო, ფეხი გამისრიალდა, – თითქოს
თავი იმართლა. – რადგან შენ გხედავ, წაქცევა რას
მიზამს... – თვალები ცრემლით ავესო.

ჩემს ღებს შევხედე.

„დედა არ გვახსოვს შვილებსა“... რატომღაც
ამოტივტივდა გონებაში.

ზელიმხან შილაური



„ცალთვალა ღევის“ შესვლა სულეთში

(უსწავლელი, მაგრამ თვითმხილველი
ფშავლის აღწერით)

– სუ ბოლოსა?

– სუ ბოლოს დადგა ბიბინი!

სზგანაირად ვერ ვიტყვი, ე ბიბინ ცის ჯმა არი! რო მესწავლა, კიოთ ვიტყოდი სზგანაირადაცა! დადგა ბიბინი ისითაი რო ე მკვდართა მზე ზომ ემანდა ჰკიდავის და გვინათებს ცოდვიან-უცოდველთა და მაცოდარ-უმეცართა! ნანღვილ მზე ჩამოიდა!

– შენ ზვარ დაიკვლეთ, მაშ თუ მზე საიქიოში ჩამოიდა, ცოცხლებ რაღას იქამდენ?!

– არ დაკვლეთილვარ, ღელის რძეს გეფიცები, არც მინახავის, ობლად გავიზარდე ე კელუყრელი, მე გადამყვა ღელად!

მენ ესლა ამეს რო ეძახიან, – ჯოჯოხეთსა, – იქ არა ვარ, ზოლოთ არც ისე კარგადიადა ვარ, კოჭლ კაც რაიმა ცხოვრობდა ჩემ ქვენა, სააქაოს რო ეძახიან იქა, – და ეგ მეორ-მესამე ცოლთან გაღად-გადმოდიოდა წიფრან-კანატიშია! მე ზემოდან უსტვენდი, გაჩერდებოდა დავითო, დამიწყებდა ისითა გინებასა, როოო! გაეჩერდებოდი მენაცა. გაჩერდებოდა და მეც წაუსტვენდი... გამოარდებოდა იმის ღელაკაც ქეთავანი და რაც ამან გინება დამაკლო, ის წყევით მიმატებდა!... ისე მეცინებოდა, მუცელილა მტკიოდა. ცოტა კი აღარ ვიყავ, ბალ-ლობაგამოვლილი დ ეგენ იყვნიან ჩემ კინოები!...

– მაგათავ გიშველეს!

– მაშაა, მაგათავ მიშველეს, ეშმაკ რო ძანა მჩემულობდა, ინდე, რათა სჩადიოდაო, მაშინ გამამესარჩლა ჩემ ანგელოზი და უთხრა იმ წყეულსა:

– „ჩემ ბოიგარ იმდენ ნაგინებ-ნაწყევია რო ცოდვა მადლად გადაექცა“!

ესე დაეჭი ამ სამოთხესა, მარა მე ზო ვიცი რო ყოლოდ ვიქცეოდი, მცხენიან და სამოთხის კიდეზე ვდგევარ დაჩოქილი!...

– მაშ ეგ ცალთვალ ღევ შენზე ცოტა იყვის?

– კია. ჩემ მეზობელ იყვის, მე კი რა გამეგებოდა მაგისა, ზოლოთ მეზობლებოდა ძანა, მე თავად ბეჩავ ვიყავ, იმის ბეჩაობაც გულს მიკლავდა. ძანა სტანჯავდა ჯნვა-თესვა და თიბვა-ხვეტა. ძმობილებ არ ვიყვენით, ემა ჟამიათ ასდ-ჩასდევდა... მენ რო დამიძახებდა შორითაითავ, მთის კაცს გაუმარჯოსო, ე გულ მზედ მექცეოდა!

– ჰო, რას გიყვები?! დადგა ბიბინი, აქ აღარა გაიგებოდა, სად სამოთხე იყო და სად ჯოჯოხეთი! შამოიდა და მზეც შამაიყოლა!

– ურევ, ეგრე არ იქნებოდა, სულხან-საბა ამბობს რო სანამ ღმერთ ღმერთია, ჯოჯოხეთი ჯოჯოხეთიაო!

– რად არა გჯერავ ჩემო გიორგი, მე ზო არავინა მყავის, არც არავინ მაქსონ, საქართველოა ჩემ ღელაცა, მამაცა, შვილიცა და შვილიშვილიცა! მაგას გეფიცები!

– ვინებ მიეგებნენ, გეკსომება!

– მგებრები! ერთი და ორი? ე „ურჯულოებ“ უფრო ძალას იყვნიან: ჯოჯოხეთი დ იმის ღელაკაცი, ამე კიდენა... მუცალაი! ქისტურ ცეკვა რაღამ დაიწყეს წინწინა, გამიკვირდა და თურმე ცალთვალა ღევ შამოდენილა! ახიელს ზო სცნობდი შენცა, ეგა დ თამარ ვიცან კიდენა, აი აკვნიან ბაღლ რო დაუგორდა, ისა!...

– მანდაცა სტყუი ბოიგარო, რჯულიან-ურჯულოს რა უნდა ერთად საიქიოშია?

– აბა რავი მე მორიგისა და ხთიშვილთა, იმათ მადლს ვენაცვლე, და ცოცხლების მზე კი მაიყოლა, ჯერ ის მზე შამოიდა და მერე ეგ ცალთვალ ღევ შამაჰყვა!

– შენ თავდაყირა აყენებ მთელს ქრისტიანულს მოძღვრებასა!

– რასა ვჩადია? ღღლებ არ მინახიან, ზოგ კი ამბობდა იმასა რო იასო ქრისტე შამოიდა კიდენაო და ეგ ცალთვალა ღევ ქრისტეს უმცროს ძმა იქნებისავ, ხთიშვილიაო და ვერ ვიცი იმთვენი, ხთიშვილ ზო უკვდავია?

– მერე ჯენწიფეებმა და კიდე იმეებმა, რა ჰქვიან, აი თამარ მეფე რო უყვარდა, თავის ავთანდილ-ტარიელიანად... ეგენ ზო აქაც ერთადა სხედან, ბჭობენ საქვეყნოსა, ქვეყანა გვივიწროვდებაო, რა ვქნათო, ერთ-სხვას ერჩიან ძანაო! აბა ჩემნაირ უსწავლელს რა ესმის?

– ჯენწიფეებთან ზო დადგა და ჩემნაირ ბეჩავთაც თუ მაიკითხავდა?! მოდი ბოიგარო შენაცაო! დავით აღმაშენებელ ედგა გვერდზე და თან მე მიკრავდა გულშია!

– გულ-გონთ როგორღა იყავ ბოიგარო?!

– კია გიორგი, მაშინავ ვიცან ე ჩვენ ღევად, ბებრისად რაისადამ ი თხებ ზვარ დაუწოცავის, გაჯავრება რაღამ იცოდა ძანა, ცოლ-შვილთაც გამაჰყრიდა შინაითა! ჩარგულელებმა რო მოიკვეთოთო! მაგათ ზო ჭკვა არ მაეკითხება დ მენ არ მიუდებ, მაგ ცალთვალას ვერ უღალატებდი ღამა-რის ჯვრის მადლმა.

– ღროით როგორ იყო ბოიგარო?

– აბა რა ვიცი მე ღროისა, აქ ეგ არასაო, ერთმ ჯეკსურმა. ალუდამა რო აქაო გან ბევრ ღრო ასავ, ღრო საერთოდ არასავ! ეგ ალუდა იდგა ი



მგებრების მხედართმთავრად! აქეთ-იქით ლუხუმი
დ ლელაი ედგენ.

მე რამდენ კიდევე ვერ ვიცან, წიგნ არ წამიკითხა-
ვის, ჩემ პოემებს წაგიკითხავ მთის შვილო და
ველარ მასწრო ძმის გულმა!

— ...

— აბა რავი მენა, სანება სადლა იყო, სუ მალ-
ლაოთა! მერე ხთიშობელ დედაი!

აქ ერთ ღელელია, თევდორე ჰქვიან, წერა-
კითხვასაც გასწავლიო, ჯერ ეს დამასწავლა, ეგაო
ცხრა დასიაო, ჩვენ ზემოთაო, ზეციურ იერარქიად
უქმობენო:

სერაბიშნი,
ქერუბიშნი,
საყდარნი;

გელმწიფებანი,
ძალნი,
უფლებანი;

მთავრობანი,
მთავარანგელოზნი,
ანგელოზნი.

— ა ეგენ იყვნენ, მაგათ ბიბინ იდგა!

ვეფხისტყაოსან ხო ვიცი მენაცა, ეგ ინდო-არაბ-
მულაზანზარნიც, ერთად ვმზებდით, შოთაი დ
ეგ დადიოდიან და გულში გვიკრავდენ ყველასა.
ბევრს ვერცა ვცნობდი და ღელე თევდორე რო გამ-
წურთნის, მერე თანდათან მივკვდები! გმირ ღაჭაურა
კი ვიცან, აფხუშოელი, ლეკის ბელადს რო ჯიქურ
ჩასცა ხანჯარი!

— წასვლის დროა ჩემო ბოიგარო. დაგემშვი-
დობება გიორგი!

— მაიცა გიორგი, დამავიწყდა! ცალთვალ დევ
რომ შამოიდა მზიანადა, ჩემ ძმობილ ზელიმხანიც
მაი პატიჯა!

— ვინ ზელიმხანი?

— აი აბრეკს რო ეძახდენ, მენა ვმალავდი ჩემ
ცხვრის ბინაზე, ძმად გავიფიცენით, მთელ რუსეთის
იმპერია იმას დასდევდა მოსაკლაგადა!

ღმერთმა ხო იცის, მეწყინა

სიკვდილი ზელიმხნისაო!

ის კაცთაგანი არ იყო,

ანგელოზ იყო ცისაო!

5.01.2025

მზის სეთსგური - 80

მზია ხეთაბური




თოკი

შენი პერანგი ქარში ფრიალებს,
თოკზე თავდაღმა ჰკიდა, შრება...
მკლავებგამლილი კვლავ სატრფიალოდ
ქართან შეხებით დაეძებს შეებას.
ხან ჩემკენ იწევს, ხან ჯამბაზივით
უცხო ილეთით ესწრაფვის მთა-ბარს...
მალე შენს პერანგს წვიმის ემბაზი
ვით ცოცხალ სხეულს, სათუთად განბანს.
ჩემგან მოვლილი და ნაფერები
სხვა აივნისკენ დაბმული გარბის...
იქვე, კუთხეში, ტოკავს ფერები
მისთვის ოდესღაც ძვირფასი კაბის.
ღამდება...
ცრემლებს თოკივით ვაბამ,
ნელლი იჭვებით ფილტვებს ვიხრჩოლებ...
შენი პერანგი და ჩემი კაბა
საცაა, თავებს ჩამოიხრჩობენ!

* * *

მზეც კი ყოფილა უგუნებოდ,
ზღვაც კი დამშრალა,
ზოგჯერ ფიქრებიც თავს უფროხიან
შენილბულები,
ქალის მანდილი უქცევიათ ცხენის ავმარად,
საფერფლებად უხმარიათ ხელისგულები.
ქვეწარმავალიც გამომძვრალა
ტურფა ბალიდან,
მათრახიც ბევრჯერ მოხვედრია
ხელებს საფერებს,
არსებობს სხვისი საკუთრების
ყიდვა-გაყიდვაც...
არსებობს უფრო უარესიც:
სული — საფერფლედ.



„როგორ დაკბრუნდეთ შინ“

ოთარ ჭილაძის მონოლოგი ფილმიდან
„გზა შინისაკენ“

გუშინ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და თქმას აზრი ჰქონდა, დღეს კი ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ სათქმელმა დაჰკარგა აზრი. და იქნებ მართლაც აღარ ღირდეს, არათუ ლაპარაკი, არამედ საერთოდ ცხოვრებაც, თუკი ჩემი არსებობა იმდენად აღიზიანებს ვინმეს, რომ ჩემს დასაკნინებლად, ჩემს დასათრუნად და ალბათ ჩემს მოსაპოვადაც, მზად არის ნებისმიერი უსინდისობის ჩასადენად. მაგრამ ჩემი სიკვდილი, მით უფრო ნებაყოფლობითი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუკი ჩემი სიკვდილის მოსურნე ამის შემდეგ უკეთესი გახდება. ეს კი ძნელი წარმოსადგენია, უფრო სწორად, ძნელი დასაჯერებელია, რამდენადაც ცხოვრებისეული გამოცდილებით უფრო საწინააღმდეგოა სამოლოდნელი. ჩემი სიკვდილის მსურველი, ჩემს მერე, სხვას დაადგამს თვალს და ახლა სხვისი, მორიგი მსხვერპლის ყოფნა-არყოფნის საკითხი გახდება გადასაწყვეტი.

მართალია, ახლა ისეთი დროა, ძალაუნებურად, ყველანი პოლიტიკაში ვართ ჩათრეულნი – ერთადერთი, რაც დღეს კიდევ გვაკავშირებს, ალბათ ისევე პოლიტიკაა – მაგრამ ეს სრულებითაც არ იმსახურს იმას, მართლა პოლიტიკოსებად წარმოვნიშნოთ თავი, თითქოს პოლიტიკის წარმართვა ერთნაირად გვეხერხებოდეს ყველას, ანდა პოლიტიკის წარმართვაც ჩვენს გუნება-განწყობაზე იყოს დამოკიდებული ისევე, როგორც ჩვენგანვე გამოვნილი გმირის ბედი. განა ვინც, დაუშვავთ, მხატვრული ლიტერატურითაა დაინტერესებული, მწერალიცაა?! ანდა – ლიტერატორია?! ასევე პოლიტიკოსობაც. ეს კი ჩვენი საქმის საკეთებლად მოგვიწოდებს ყველას, ანუ მხოლოდ იმ იარაღით საბრძოლველად, რომლის ხმარებაც არა მარტო გვასწავლა ღმერთმა, არამედ დაგვაკისრა კიდევ.

კაცობრიობა, მართალია, ზოგადი ცნებაა, მაგრამ კი არ უარყოფს, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ყოველი ჩვენგანის განუმეორებლობას, ერთადერთობას, აუცილებლობას. კაცობრიობა სამშობლოდან იწყება და ვისაც ეროვნული ღირსება არ გააჩნია, მისთვის კაცობრიობა ცარიელი, არაფრის მთქმელი სიტყვაა, რომელსაც ნებისმიერი მნიშვნელობა შეგიძლია მიანიჭო შენი მსოფლმხედველობიდან

გამომდინარე. და კიდევ ერთი, ჩვენდა ჭირად, თუ ჩვენდა ბედად, ერთხელ და სამუდამოდ ვერავინ მოიპოვებს იმას, რისი დაკარგვაც შეიძლება. ბუნებაში კი მხოლოდ ის მოიპოვება, რაც იკარგება კიდევ. მოპოვება თავის არსში დაკარგვასაც გულისხმობს, დაკარგვა კი შესაბამისად, მოპოვებასაც, და ეს ვერაგული სიკეთე, თუ კეთილი ვერაგობა ჰქმნის იმ მოჯადოებულ წრეს, რომელშიაც იმედისა და უიმედობის განუწყვეტელი მონაცვლეობით გაბრიყვებული ადამიანი გამომწყვდეული – მორჩილებისათვის, მოთმინებისათვის, ყველა სიკეთესთან ერთად, მახსოვრობითაც დაჯილდოებული და ამდენად არა მარტო რაღაცის დამმახსოვრებელი, არამედ რაღაცის დამვიწყებელიც. იმ ადამიანის სიცოცხლე მარადისობის ტოლფასია. ანუ, რაც იყო, კიდევ ბევრჯერ იქნება, რაც არის, უკვე ბევრჯერ ყოფილა. მწერლობაც ზომ იმის მეთოდური შეხსენებაა, რაც უკვე არაერთხელ გადაგვხვდენია თავს. მაგრამ ჯერ არნახული განსაცდელი გველოდება წინ, თუკი ჩვენც, მწერლებიც, ჩვეულებრივი პოლიტიკური ავანტიურისტებივით, დასახგრევს გავამაგრებთ, დასავმობს გავამართლებთ, დრომოჭმულს განვაახლებთ და, ამავე დროს, შეგვეძლება, აუღელვებლად, თანმიმდევრულად, ჭკუის დარიგებითა და დაყვავებით, კიდევ ერთი სასიკვდილო ჭრილობა მივაყენოთ ხალხს, რომელსაც არათუ პირადად ჩვენთვის, არვისთვის არაფერი დაუშავებია, თუკი თავისუფლებისაკენ სწრაფვასა და ეროვნული ღირსების დაცვას არ ჩაუთვლით დანაშაულად.

კაცისა არ იყოს, ხალხიც გაჭირვებაში იცნობა. გაჭირვება ზოგს აბეჩავებს, აკნინებს, ზოგს კი პირიქით, კიდევ უფრო უმძაფრებს სიცოცხლის ჟინს და უხარს. გაჭირვებაში ჩავარდნილი ყველა ნორმალური ადამიანი და, აქედან გამომდინარე, ხალხიც, უპირველეს ყოვლისა, გაჭირვებიდან თავის დაღწევას ცდილობს და არავის არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ამ ურთულესსა და უკეთილშობილეს ბრძოლაში. რასაკვირველია, ასევე გასაჭირში ჩავარდნილსაც არა აქვს უფლება, სხვების იმედზე იყოს სულ, სხვას აბრალებდეს საკუთარ უმაქნისობას. ვინც გაჭირვებულს ვერ შევლის, ის გაჭირვებულზე უფრო უბედური ყოფილა და იქითაა მისახელი. ჩვენც მივხედავთ და მივუტევებთ ყველას, ვისაც ჩვენი შველა არ ძალუძს და იმასაც, ვინც მეგნებულად არ გვშველის, რადგან ისიც ადამიანია და არ უწყის, რას სჩადის. მხოლოდ ასე თუ ამოვალთ გასაჭირიდან. უფრო სწორად, მხოლოდ ასე უნდა ამოვიდეთ – თამამად, თავისუფლად რომ გავუსწოროთ თვალი კაცსაც და ღმერთსაც, რომ დღევანდელ მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ იმსახურებს მსაჯულისა და განმკითხავის წოდებას.

ყველაზე დიდი ბოროტება კი სიმართლის უარყოფაა. მწერლები უბრალოდ ვალდებული არიან ნებისმიერი გზითა და საშუალებით ჩასწვდნენ სიმართლეს, ვიდრე ბრალს დასდებენ ვინმეს. ყოველ შემთხვევაში, სხვაზე მეტის ცოდნა მართებთ ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ნებისმიერი ბრალდება, სამართლიანობა და უსამართლოც, ადამიანიდან მოდის და ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. მწერალს თავად ბრალდება კი არ უნდა აინტერესებდეს, არამედ ადამიანი, რომელიც ბრალსა სდებს და რომელსაც ბრალსა სდებენ. ღმერთმა იცის, რომელი მათგანი უფრო უბედურია და რომელს უფრო სჭირდება ყურადღება. ამის გარკვევა მთავარი მწერლისათვის,

თორემ, უმსგავსობისათვის თვალის არიდება და ყურის მოყრუება, ნამდვილად რომ მიუტკეველი საქციელია, ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა.

ადამიანის დადანაშაულება ადვილია. ამის მეტი რა ვიცით, თუნდაც ჩვენივე ცხოვრებიდან. საამისოდ არც ბევრი დროა საჭირო მაგრამ ძნელზე ძნელია მისი დაცვა და გამართლება, რაც არ უნდა უდანაშაულო იყოს ის. ძნელია არა მარტო ცხოვრებაში, არამედ წიგნშიც. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სხვა არც არაფერია ჭეშმარიტი მწერლისა და ინტელიგენტის მოვალეობა. ამიტომ, ვიდრე ვინმეს გავაძტყუნებდეთ, ბევრად აჯობებს, თუკი ჯერ საკუთარ სულში ჩავინედავთ — უფრო ღრმად, უფრო დაკვირვებით, უფრო გაბედულად. მაგრამ სხვათა გამტყუნება მაისც გაცილებით იოლია, ვიდრე საკუთარი, თუნდაც უმნიშვნელო ნაკლის აღიარება. საერთოდ, ადამიანი ასეთი — სხვის თვალში ბევრსაც ამჩნევს, როცა საკუთარში ღირსეულ ვერ დაუნახავს. გარდა ამისა, სხვათა გამტყუნება შენს გამართლებასაც გულისხმობს. რაკი სხვას ადანაშაულებ, თავად მართალი ყოფილხარ, როგორც კაცის, ისევე ღმერთის წინაშე. ამის ბრალიცაა ალბათ, ამ ბოლო დროს, ყველანი რატომღაც სხვებისაგან რომ მოვითხოვთ მონანიებას. მარტო ჩვენი თავი გვგონია დაჩაგრული და მარტო სხვა გვგონია დამნაშავე.

ძმათა ომი, სამწუხაროდ, თითქმის აუცილებელი უბედურებაა თავისუფლებისათვის, ღირსებისათვის, სამართლიანობისათვის მებრძოლი ხალხებისა. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ერთხელ კიდევ განმეორდეს წარსული, ანუ, მარადიულს ისევ ეფემერული ვამჯობინოთ, რისი შეტყობაც, თავისთავად ცხადია, დღეს არავის შეუძლია და გარკვეული დრო უნდა გავიდეს, დაბეჯითებით რომ ვთქვათ, გაღმა გავყავართ ბორანს, თუ უკანვე გვაბრუნებს.

ვერ დავეთანხმები იმათ, საკმაოდ დაჯერებულად რომ აცხადებენ დღეს: „ერი დამარცხდა“. ერი გუშინაც დამარცხებული იყო და გუშინწინაც... ჩემი აზრით, ერთხელ კიდევ მოხდა მოსახდენი. რაც არ უდა ძნელი გადასატანი იყოს ყველა ჩვენგანისთვის როგორც მსხვერპლის სიმძიმე, ისევე საკუთარი სიბრძნის, სისასტიკისა თუ სიბრძნის შეგრძნებაც, შინა ომი გარკვეული თვალსაზრისით საკუთარ სულში ჩაღრმავების ცდაა, რადგან მხოლოდ იქ თუ აღმოვაჩენთ თანდაყოლილ და შეთვისებულ მახვილებათა აღიარების უნარს, ურთმდისოდაც უბრალოდ უფლებაც არა გვაქვს უკეთეს მომავალზე ფიქრისა.

მართალია, ჩვენი მიზანი თავისუფლებაა, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლა არსებობისათვის ბრძოლასაც გულისხმობს, ოღონდ, ვინც შეგნებულად იბრძვის, ის, რა თქმა უნდა, თავისუფლების გარდა, არავითარ სხვა გასამრჯელოს არ ელოდება ამ ბრძოლიდან.

ყველა მოწოდება, რომელიც სახელოვან სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლეზე მაღლა აყენებს, კონკრეტული ადამიანებისთვისაა გადამხურული და არა ხალხისათვის. ოღონდ, საერთო განსაცდელის ჟამს, ყველა ჩვენგანი ხალხია, ანუ ქვეყნის ნებასურვილის აღმსრულებელია და არა პირადი ინტერესების დამცველი. ყველა ჩვენგანი თავისთავად ხდება იმ თვისებების გამომხატველი, რაც ხალხს ახასიათებს საერთოდ და ერთიანი, განუყოფელი არსების ნაწილად აღიქვამს თავს, რომელსაც ხალხი ჰქვია და რომელიც გაცილებით ძლიერდება და გონიერდება, ვიდრე ნებისმიერი

ჩვენგანი შეიძლება იყოს.

ადამიანის სიცოცხლე, ხანმოკლეა თუ ხანგრძლივი, საბოლოო ჯამში, მაინც ერთადერთი ნაბიჯით განიზომება, იმ ნაბიჯით, რომელსაც მაინცდამაინც მეორე ადამიანის და, აქედან გამომდინარე, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ გადადგამს იგი. მაგრამ სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმაა ძნელი. იმდენ სირთულესთანაა დაკავშირებული, როგორც ობიექტური, ისევე სუბიექტური თვალსაზრისით, ხშირად შეუძლებელიცაა, სამაგიეროდ, ამ გადამწყვეტ ნაბიჯთან შედარებით, სხვა ყველაფერი იოლიცაა და მარტივიც.

მწერალზე უკეთ ვინ იცის, თუ რა იოლად შეუძლია ძალასა და ძალაუფლებას სინამდვილის გამორუდება, თუ რა მარტივად იცვლება ნებისმიერი ფარისის ღეკორაცია და ნილებიც — მგელი შეიძლება ცხვრად, ცხვარი კი მგლად მოგვევლინოს. სინამდვილე გაცილებით შემზარავი და მთამბეჭდავია, ვიდრე რომელიმე ჩვენგანის კალამს ძალუძს დახატოს. ხოლო, რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო ძნელი გადასარჩენია, განსაკუთრებით კი დღეს, სისასტიკის, სილატაკის, გაყალბებული დემოკრატიის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ანექსიების ეპოქაში. **პატარა ქვეყნისათვის ყველაფერი წაღმა-უკულმა შეტრიალებულია — ის, რაც სხვებისათვის საზეიმოა, მისთვის შეიძლება სამელოვიარო აღმოჩნდეს, სასაცილო-სატირალი, საიმედო-სახიფათო და ასე შემდეგ.** მაგრამ თავისუფლება პატარა ქვეყნისთვისაც გარდაუვალია, ოღონდ, ჯერჯერობით, თავისუფლებისაკენ მიმავალში, სხვებთან შედარებით, კიდევ უფრო მიძმე დღეში ვართ ჩავარდნილი და ესეც გარდაუვალი, აუცილებელი მიძმე დღეა, თუკი თავისუფლება გვინდა. თავისუფლება, რასაკვირველია, დიდი მადლია, მაგრამ ასევე დიდი ტვირთიცაა. თავისუფლები-საკენ სწრაფვა ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა — დაიძვრება თუ არა ნაყოფი დედის საშოდან, იწყება მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა, რაც, ადვილი შესაძლებელია, სიკვდილამდეც გაგრძელდეს. ყველაფერი ბათილდება, ყველაფერი უქმდება. სიკვდილი მარადიული შვება კია, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ფარ-ხმლის დაყრაცაა. სიკვდილის მერე ისევ სიკვდილია, ანუ, არაფერი, მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხი უკვდავებისთვისაა გაჩენილი — მისი სასჯელიცაა და ჯილდოც უკვდავება, ანუ, განუწყვეტელი ტანჯვა და მოლოდინი. ხოლო კაცობრიობამ, თუკი ხვალაც აპირებს ცხოვრებას, დღეს უკვე უნდა იცოდეს სიმართლე ყველაფრისა და ყველას შესახებ. სილამაზისა რა მოგახსენოთ, სიმართლემ კი შეიძლება კიდევ იხსნას ჩვენი ცოდვილი ღედამიწა, კიდევ აღადგინოს ვინ იცის რამდენნაირად დაგლეჯილი, რამდენჯერ გადანაწილებული მისი სხეული — ყველა ჩვენგანის საერთო აკვანიცა და საერთო სამარცხ.

1993 წელი, ჟურნ. „სინემა“, №1

მოამზადა ლეილა ქიტოშვილი -
სახლთხუციშვილმა

მეოთხე ფილმი ციკლიდან — „გზა შინსაკენ“. სცენარის ავტორი და რეჟისორი — ნიკოლოზ დროზდოვი; ოპერატორი — ლერი მიხანაშვილი. კინოსტუდია „ფაქტი“, 1992 წელი.

„სნეოლის“ სცენარი

ჯგუფი „ზღვარი“

სერგი ლომაძე
კახა ბაციყაძე
გიორგი ზუხბაია

• • •

სმრბი ლომაძე



მოხეტიალე

მე არ მადარდებს,
რა იქნება სიკვდილის შემდეგ,
ან – თუ იქნება, საერთოდ, რამე.
მე არ ვიცი, რა არის იქით.
სხვაც, ბევრი რამ, არ ვიცი მე.
ჩემი არცოდნაც ცოდნა არის.
აქაც, იქაც, ყველაფერი მაინტერესებს.
მე ვერაფერი გამაოცებს, –
ვერცა გაქრობა სამუდამო,
ვერც დაბრუნება...
მიდის მგზავრი. ბრუნდება მგზავრი.
გზა სულ არის. მარადისია.
რისი მჯერა და რისი არა,
ეს არვინ იცის.
გზა კი სულ არის.
რა ვიცი და რა არ ვიცი,
ეს არვინ იცის.
გზა კი სულ არის.
არაა შიში.
გზა კი სულ არის.
ვუყურებ სივრცეს.
არის გოლგოთა უამრავი,
თუმცა აღდგომაც უამრავია.
მზის სხივთა თაფლი
ხანდახან მითქვამს,
რომ ვარ ზღვარი და უსაზღვროება,
ხანდახან მითქვამს,
რომ ვარ მისტერ პოეზია...
ვერ დამივიწყებენ.
მე მივდივარ.
მე ვაგრძელებ გზას...

* * *

ხანდახან ვამბობ, –
ზღვარის მთელს შემოქმედებას
(ზღვარელთა მთელს შემოქმედებას)
უსაზღვროება ჰქვია-მეთქი...
ხანდახან ვამბობ...
და გავცქერი შორ, შორ ჰორიზონტს...
მოდის ფიქრები ათასგვარი...
ხანდახან ვამბობ, –
„მშიერ ქალაქსაც ნისლეები ეცვა“...
ხანდახან ვამბობ...
(თუმცა ესეც მითქვამს:
„ფიქრის ქალაქსაც ნისლეები ეცვა“...
მითქვამს კიდევ სხვაგვარადაც)...
უცნაურია, –
სულ ფიქრობს კაცი,
სულ, სულ ფიქრობს.
იტყვის რაღაცას, მერე – შეცვლის,
მერე ისევ პირვანდელ ნათქვამს უბრუნდება,
მერე ცვლის ისევ...
იქანცება გონება, მაგრამ
ახალი ძალით ივსება შემდეგ,
და ფიქრობს კაცი,
სულ, სულ ფიქრობს,
ფიქრობს ყველაზე, ყველაფერზე...
ასე გადის დრო...

* * *

თავიდან ბოლომდე – პოეტი.
პოეტი – თავიდან ბოლომდე.
არ ვდარდობ, წინ თუა შორეთი,
თუნდ შორეთს დაარქვან – ბოლო დღე.
მუქია, როგორაც მაყვალი,
დღეები, დღეები რომ რბიან,
მზე ცეცხლობს ცად – სივრცის მაყალი,
ღრუბელი მრისხანე ორბია.
ჩემია აზრიც და სიგიჟეც,
შავ-ფერად დღეების დამსხვერვეც...
ვიცი, რომ შენ ჩემზე იფიქრებ
და ფიქრი კოსმოსებს დარჩება...
არსებობს ათასი გოლგოთა
(ყველას აქვს თავისი ბოლო დღე)...
ერთობა მწამს სულით ობოლთა...
მე მწამს პოეტობა – ბოლომდე!...
მაგ თვალთა მზერაში ვიცოცხლებ,
მაგ თვალთა სივრცეში დავრჩები,
და ჩვენზე იტყვიან ლეგენდებს
მომავლის ლამაზი ბავშვები...
გზას, მარადს, ვერ შეწყვეტს ბოლო დღე,
და მესმის ეს უსაზღვროეთი:
პოეტი – თავიდან ბოლომდე,
თავიდან ბოლომდე – პოეტი...

ზღვარი

*(სიტყვა „ზღვარი“ უამრავნაირად მაქვს
გააზრებული. რაც შეეხება კონკრეტულად ამ ლექსს,
ეს არაერთი შეკრებისას წავიკითხე, როგორც
უსათაურო ლექსი, თუმცა ხანდახან, მას, მაინც
ვასათაურებ, როგორც გავაკეთე ამ შემთხვევაში)...*

დაისი; ბოთლი აბსენტი; მტკვარი;
ბალი თოვლს ელის ახალს, სულ ახალს;
და პოეზია არის ის ზღვარი,
რომელიც ვერვის გადაულახავს...
ცა მზის ჯვარცმია, ცა დაისისა;
მტკვრისპირა ბალში ხეებიც იწვის
თითქოს... ხილვები არ გაიცრიცა;
შემაქვს, ფიქრებს, ფერები სიტყვის.
აზრები აზრებს უცებ მოება;
ფიქრთა ზღვა – სივრცეს პირისპირ შერჩი...
პოეზიაა უსაზღვროება...
გამოჩნდა მთვარე – ღამეთა ელჩი.
შენ კი... შენ მაინც აისზე ფიქრობ...

გზა-ბილიკი

*(მიყვარს სათაურთა უამრავნაირად გააზრება.
მიყვარს ტექსტთა უამრავნაირად გააზრება...
ეს „წინსართი“ ამ ლექსთანაც არის კავშირში,
მაგრამ უფრო, მაინც, ზოგადად ვთქვი)...*

ხანდახან, სირჩებს, თვითონ დრო დაცლის,
დრო ზომავს მანძილს მიწიდან ცამდე...
ძნელი არაა, რომ გწამდეს არვის,
ძნელი ისაა, ვინმეს რომ გწამდეს.
გზა რომ იპოვო, ისაა ძნელი,
შენივ შექმნილ გზას გაუყვე მყარად...
გარშემო არის ათასწლის ველი,
და შენ, გზა-ბილიკს, მთებისკენ კვალავ...

შემოდგომის ბალი

ბალი.
შემოდგომის ნათელი ბალი.
ფერად ფოთლებით
საესეა გზა.
მზე იღვრება
ფერად ფოთლებზე.
ანათებს გზა.
ანათებს ბალი.
რეალობა და ირეალობა
ერთად არის აქ...
შენ ხეტილობ
ამ სივრცეში
და ფიქრობ,
ფიქრობ...

* * *

ფიქრის სიმაღლეს ვინ ზომავს ნაძვით, –
ფიქრს ადარებენ მთებსა და ზეცას...
ირგვლივ ბალია ერთ-ერთი ტაძრის,
აქ ქარი ნაძვებს ეხლება, წეწავს.
შენ გადახედავ გზას, ბრძოლით გავლილს,
და გაიფიქრებ ალბათ ასე რომ, –
მთელი ცხოვრება გოლგოთა არის,
მაგრამ იმედი მაინც არსებობს.
შეივრძნობ შორეთს, – მთებში მზე იწვის,
დაისი ამბობს ათასწლის მითოსს,
ქარი ნელდება, ის ქრება თითქმის,
მუზა მოდის და სამყაროს ითხოვს.
შენ წერ, ფურცელი იქცევა აზრად,
გაუკვდავდება მკრთალი ფურცელი...
მერე კი, თითქოს მომხდარა არცრა,
ლიღინებ, შენთვის, ნირშეუცვლელი...
ხოლო მზე იწვის, კვლავ, სიმორეში...



პასა პაციკაძე



ურთმო ლექსი – როგორც პოეტური წერილი


როცა ფერები დაიბადნენ, იყავი ხილვა,
და გზებმა ამოწურეს თავის თავი,
შეჩერდნენ შენს თვალებთან...
თითები ჩუმად ჰყვებოდნენ
ამბავს – მოფერებაზე,
ჰყვებოდნენ შესხებით,
და თმის ღერებზე გეწერა ლექსები,
უამრავი ლექსი – თმის ფურცლებზე,
როგორც პოემა, რომელიც
უნდა ფურცლო
და უსასრულოდ უნდა იკითხო...
მფარავ ოცნებით,
მფარავ, როგორც თეთრი თოვლი,
მთას მაღალს, ცისკენ წასულს...
და მაღლა, მზის გულში,
სიცხისა და სიცივის აბსოლუტში,
უკვე მთელს ტანზე გაწერ ლექსებს
და ხარ შემოსილი ლექსთა ბრილიანტებით
და თვალს მჭრის ნათება საოცარი...
მერე კი თითები ჰყვებოდნენ ამბავს,
ამბავს – მოფერებაზე...
როცა ფიქრები დაიბადნენ, იყავი გრძნობა...
ჩვენ დასაბამიდან კარსებობთ...

გზის ადამიანად ქცევა

მწვანე ფოთლების ჩრდილში
წარსულს იგონებს გული,
წარსულს, რომელიც ჰგავდა
ბედნიერებას... თითქოს...
და რაც წლებს იქით დარჩა,
გინდა მონახო ფიქრში,
რომ არ ჩაგიქრეს გულში
ბოლო ნაპერწკლის სიტბო.
გახსოვს, დრო იყო ლექსის,
და ლექსის მერე – ცრემლი...
ლვინო, შინდისფრად მუქი,
ხშირად მეგობრად გახლდა,
და პოეზიის ათას
სხვისთვის უხილავ ფერში,
სამყარო,
როგორც მთებში,
წვიმაში ისე ჩანდა.
მახსოვს გზა, როგორც ბედი,
და ათასგვარი სახე,
მეუცნობელი ფიქრის –
მასზედ მიმავალ მგზავრთა,
მიმოდოდა ვინ სად,
ზოგიც – სიბერის იქით...
გზა იყო, ხშირად, მოწმე,
დამეგობრების, დარდთან...
ახლა ფოთლების ჩრდილში
ამ გზაზე დგახარ შენაც,
და თან იყოლებ შორით
ფიქრებს და კითხვებს ულევს,
და შენ გაოცებს ახლა
ყველაზე უფრო მეტად,
მნახველი ამდენ რამის, –
რომ გზაც ბერდება თურმე...
მწვანე ფოთლების ჩრდილში
წარსულს იგონებს გული,
წარსულს, რომელიც ჰგავდა
ბედნიერებას... თითქოს...
და რაც წლებს იქით დარჩა,
ცრემლებით ეძებ სულში,
რომ არ ჩაგიქრეს გულში
ბოლო ნაპერწკლის სიტბო.

ბიოგრაფი ზუსტადია

პორტრეტი



(სერგი ამბოხს, რომ პოეზია უღიადესია, ზოლო პოეზიას, საუკეთესოდ, პოემა გამოხატავს. იგი ამბოხს, რომ პოემა არის მთელი სამყარო, რომ, პოემა, მეტიც არის... სერგის უყვარს ადამიანთა უმკვეთრესი შეფასებანი, ადამიანთა ანთება, ზოლო როცა „პორტრეტი“ წაიკითხა, თქვა: „ხანდახან მიფიქრია, რომ, გარკვეული გაგებით, ლექსიც პოემაა. მაგალითად, ძალიან მომეწონა ეს ქმნილება, ამ ლექსს აქვს პოემის ძალა“... საერთოდ, სერგის შეუძლია ცოდნით სავსე ლაპარაკი ყველა საინტერესო თემაზე...).

გული – ადამიანი

იგი არასდროს სცნობდა იმედებს, სიცოცხლეს მხოლოდ სევდას ვერდიდა, იგრძნო ტკივილი სიღრმის სიღრმემდე და ამოუშვა გული მკერდიდან.
დატოვა, გულმა, იგი, მთლიანად, მხოლოდ ცხოვრებამ უარყო არე, გული შეიქმნა ადამიანად, გაალო კარი, გავიდა გარეთ.
ასე უბრალოდ გრძნობამ და ფეთქვამ იგრძნო სიშორე და – გზას რა უყვარს... ის კი ფანჯრიდან ხედავდა, მკვეთრად, რომ გული ქუჩას ნელა გაუყვია.
იგი ხედავდა, და მკერდის შიგნით ისევ იტევდა სევდას სადარდოს, სწყინდა, რომ გულმა დასტოვა იგი, არ უნანია თუმცა არასდროს რომ დაეფლითა გული ტანჯვისგან, რომ მოლოდინის ცეცხლი იახლა... და ცოტა ხანში, ჩუმი ფანჯრიდან, თვალთ თვალნათლივ მან დაინახა, როგორ შეჩერდა გული, და ისევ, ისევ ნაბიჯი, განცდა ისევ, და გული როგორ აუყვია სივრცეს, და გადავიდა, გული, სივრცეზე... ასე შეერწყა, გული, სამყაროს...

მზე მზერას ჰყვება, ვხედავ ნათელს, იმედთა მსხვერველს, გულზეა სევდა და ყოველი სევდა თუ არის... მე ვხედავ მთების უწონადო კიდეზე ხეებს, სილუეტს ვხედავ მწვერვალისკენ მიმავალ მგზავრის.
მე ვაკვირდები მზის დაღუპვას, ფერთა ვარდნილებს, მზერას იტაცებს, ჩემსას, მგზავრი, უჩუმრად მიხმობს, გამჩნევ ამღვრევას იმ უცნობი მგზავრის აჩრდილზე, იგი იმღვრევა და გაქრობას განიცდის თითქოს. მზე განზავდება მწუხარებით და ზიარ ზარვით, რალაც იცვლება, სივრცეებს კი კვლავ გული უცემთ, და, ცოტა ხანში, სილუეტი იმ შორი მგზავრის, მობრუნდება და სულის შიგნით ჩამხედავს უცებ. მზე კი ბრუნდება, მძვინვარდება მძიმედ და მძლავრად, ამომავალი წყვილიადიდან და არყოფნიდან, და ვხვდები მაშინ, რომ რაც შორად იფიქრა თვალმა, აქ, ჩემთან არის, მეტსაც გეტყვით – ის მე ვყოფილვარ.
პო, იგი მე ვარ – ამომავალ მზის მფრქვევი ფიქრი, ასე შორეულ მოარული, ასე ეულად, ის მგზავრი მე ვარ – მიმავალი მწვერვალს იქით, ეს კი, ვინც აქ ვარ, არც აროდეს დაბადებულა... მზე მკვდრეთით ღსდება, რომ სამყაროს სევდა მოჰფინოს, ღიადი სევდა...

უსასრულობით ხარ შემოსილი

მნიშვნელობაა ყოველი სიტყვა და სიღრმეები დაუფარავი... მე ასე ვფიქრობ: თუ ახლა გიყვარს, ის გყვარებია აწ და მარადის... უკუსვლა არის სული მდინარის, ჩამქრალ ვარსკვლავთა შუქი დაირხა, უსასრულობა სწორედ ის არის, რომ მოკვდი, მაგრამ გრძნობ, – ცოცხალი ხარ. გრძნობ, რომ მშვენიერათ სისრულე შეგმლის,

აღარ მოწყდება სული სხივისგან, და უსასრულო სიცოცხლე, შენში, არღავიწყება არის ფიქრისა. რაც მარად არის, ის ერთხელ იყო, ის, უსასრულოდ, სიცოცხლეს მიჰყვება, ანუ სიკვდილის შემდეგაც ფიქრობ, ანუ სიკვდილის შემდეგაც გიყვარს... ვთქვი: ჩემი ფიქრი ჩემი ცოდნაა...

ქმთევან ღოლიძე



იოანე ნათლისმცემელს

„უდაბნოს ნერგო“, იოანე,
მზეო – სანთელი
და სულიწმიდით ანთებულო
ღმერთის კანდელო.

წინამორბედო, ქრისტეს ძმაო,
ვაზო თავკვერო,
კანკელო უფლის,
იორდანეს გულის სარქველო.

ღამაბერტყინე, სულის ფუთა
ნაფლეთ-ნატკენი...
შემაძლებინე, განრღვეული
გული გაკვერო.

არ მისცე ნება
საქართველოს, ცოდვამ გაქელოს,
ევედრე უფალს,
სინანულით რომ გაგვამრთელოს.

გვირილის ფურცლების მირქმამდე

გვირილის ფურცლების მირქმამდე,
გაჩუქე ყვითელი მზე-გული,
მიყვარდი, „მძულდი“ თუ მიყვარდი,
ვიყავი მარადჯამს ერთგული.

ვიყავი ხანდახან მრისხანე,
კლდეებს ვასკდებოდი ენგური
და ჩემში არ იყო მისხალი
უსიყვარულობისებური.

ებურა, სინათლეს ებურა,
მოსავდა შეხვედრებს ქულებდი,
მეფურად, გხედავდი მეფურად,
შენს ნახვას ღამეებს ვუთევდი.

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარდი...
ქოხიც კი მოგირთე ლეკური,
გვირილის ფურცლების მირქმამდე,
გიძღვენი ყვითელი მზე-გული.

ლექების ნაწვეთარაზე

თმას შევიღებავ ინიოთა,
გავხლები შენი ზვარამზე,
ნაშენი ლექსის ფილითა
ხან ცას ვიქნები, ხან ასე

თავბრუს დავახვევ თითისტარს,
გამოღწეული ჯარაზე,
ძერე შეგხვდები კვირის თავს
ლექების ნაწვეთარაზე.

იყოფა წვიმა

გულში იმდენი
განცდა დაგროვდა,
თეთრი და შავი
არაგვი მინდა...

ანანურამდე
მოვდივართ ერთად,
ანანურიდან
იყოფა წვიმა.

ციცინათელებად დამყვებიან

ბევრი წელიწადი გამყინვარდა,
ცრემლიც გამყინვია ნახეტიანს,
ცრემლი, ფიჩხის კონად შეგროვილი,
გულის სარქველებით ნახვეტია.

გირჩევ წაიკითხო, ვერ მოგყვები,
ასეთ ტკივილებზე არ ჰყვებიან...
ცრემლის დარწმუნებულ წყალდიდობით
უკვე გაზაფხულის ბაღებია.

პურის თავთავივით ეგ თვალები
თავებს არასოდეს მაყვედრიან...
მე კი არ ვანათებ, ციმციმები, –
ციცინათელებად დამყვებიან.

გული ქვაში

მე რა ვიცოდი,
შენ თუ იყავი
ჩემი ბედი და
ჩემი იღბალი.
ჩვენ შორის იდგა
ქარის კედელი,
ჩვენ შორის იყო
წვიმის ტიხარი...
ლოდზე ცრემლებად
ჩამოვეღვარე
და რა ვიცოდი,
ქვა რომ იყავი...
და შეგიყვარე...
და ვილიბოვე,
გასკდა ლოდი და
გული ვიპოვე.

ტაბითა

ქურციკი ერქვაო,
თარგმანით – ამბობდნენ
და იყო ქურციკის მგვანი და

მხევალი ქრისტესი
მზრუნველი ხელებით
და გულის ცეცხლოვან კვარიდან

ჰქარგავდა სიკეთეს
პატარა თითებით...
და მოკვდა საბრალო ტაბითა.

მოუხმეს პეტრეს და
ელოდნენ მოციქულს,
ტკივილმა ღრუბელიც დაფლითა...

პეტრეს უჩვენებდნენ
ქურციკის ხელთქმნილებს,
ვიდრე მათთან იყო ტაბითა.

ცრემლები წვეთავდნენ
ქვრივების სამოსზე,
კაბების კალთების ღამიდან...

ტაბითას ნათითურ
ნაკეთებ-ნაკერებს
ქვესკნელი უმზერდა დაბლიდან.

ხალხი განიშორა
და ლოცვა იმდულრა...
თქვა პეტრემ: – „აღსდექი, ტაბითა“!

წამოჯდა ქურციკი,
მოციქულს შეხედა
და მისი მზის სიფერმკრთალიდან

გველივით ცივი და
„მომრევი“ სიცოცხლის
სიკვდილი მორჩილად გავიდა.

ქალაქ იაფოში
მადლით სულიწმიდის
უბრალო გულით და კაბითა

ცხოვრობდა მზეპურა
სიკეთის მთესველი,
ქურციკი, სახელად ტაბითა...

მოვიხვესურე გუდანი

მოვიხვესურე გუდანი
და ხატის კართან მიველო...
ჩემო სანთლების დამნთებო,
ზღვა-სადარდელის მთიბეგლო.

დელგმა-ბორიო წვიმაშიც
სულ ფეხშიშველი ვირბენო...
მთვარეც რო გაიხვესურებს
ნარინჯისფერად, – იმ ფერო...

წვიმამშვიდობის

წვიმამშვიდობის,
ჩემო კარგო, წვიმამშვიდობის!
შენც დაგეცრემლა
თბილი სევდა უამინდობის?

მე კი გენდობი,
უნაპიროდ, მე კი გენდობი,
გენდობა სული
და სხეულის ყველა ფერდობი.

რითი ვერთობი?
ალბათ მკითხავ, რითი ვერთობი,
ვაღაგებ სიტყვებს,
ფიქრში ვტკბები ჩვენი ერთობით.

ზღვამ არ მიიღო
მდინარე და ტალღის ფეთქებით
გადმოსულია...
და მდინარეს სტკივა ფერდები.

მაგრამ ბრძენი ღრო
თალხ ამინდებს აგვიფერადებს
და ყვითელი მზე
დაამარცხებს წვიმის ბელადებს...

წვიმამშვიდობის,
ჩემო კარგო, წვიმამშვიდობის!

შავი მოცვები

მენატრებიან შავი მოცვები,
დეკანებში გამორეული
როგორ იპოვე... როგორ მომძებნე
და წამიკითხე წვიმის რვეული.

შავი მოცვები – ციცქნა ლოცვებით
და სამყურები ღამეთეული,
კოწახურებსაც ესხათ მოწები
და სიყვარული ვერღატეული.

ლირიკის რიკულები

ავყევი ლირიკის რიკულებს,
რიალებს ფიქრები, რიალებს...
გულის კუნჭულიდან გიყურებს
და მთელი სამყარო ტრიალებს.
თუ გინდა, ქარს ჰკითხე, ნიავეებს,
თუ გინდა, ფანტელებს იანვრის,
ლექსებიც რომ დამიფრთიანე...
შენამდე ქარბუქში ვიარე.
შენამდე ვებრძოდი ყამირებს
და გზაზე მიპოვე ტიალი...
და თმებში ჩაყინულ ყვავილებს
სულის მოუბრუნე ფრიალი.
შენი სიყვარული ვისურე,
ნიმფებმაც ვარდისფრად მიმფერეს,
ავყევი ლირიკის რიკულებს
და გულში ჩაკიდულ კიბეებს.

დალი მაზმიშვილი



ის ცრემლი ვარ

ზედ რომ გაწვიმს, ის ცრემლი ვარ,
დარდი მინდა გაშორო,
ალარ ვიცი, სად მივდივართ,
მეკარგები, სამშობლოვ!
არწივს ფრთები შემოაჭრეს,
რატომ? – ვინ ვის აუხსნის,
სულში ერთგულების ნაჭდევს,
ჯვარი ჩვენვე დაუხვით!
ტირის დედა ღვთისმშობელი,
იმედს ცრემლი აქრობს და...
ემატება სადარდელი,
არ ჰყოფნიდა, რაც ჰქონდა?!
ბრაზისფერად იღებდა
უნდობლობის კარები,
მე თუ ის არ მეყვარება,
არც მას არ ვეყვარები!
მზისკენ თუ არ იწევს მართვე,
ვინ აუხდენს ოცნებას,
მზე თუ შრომანს ადგამს ნათელს,
მზითვე დაიკოცნება!
მერამდენედ შეუძლია
გულს ჭრილობის ატანა,
სიყვარული რაღას ჰქვია,
ტანჯვა თან თუ ატარა!
უფსკრულიდან აჩენილი
ქარნი დაპარპაშობენ,
კაცი, სამტროდ გაჩენილი,
მაცხოვარო, გვაშორე!
ზედ რომ გაწვიმს, ის ცრემლი ვარ,
დარდი მინდა გაშორო,
ალარ ვიცი, სად მივდივართ,
მეკარგები, სამშობლოვ!

ვიდრე ხარ

უშენობის დარდს ვითმენ და
მზე გადალებს ღრუბლებმა,
წვიმა, ნავერცხლი რითმებად,
შენი ხმით მესაუბრება!
ფიქრმა, ცით ჩამოტანილმა
უფლის სამყარო მაჩვენა,
ამ ჩემი მიწა-წყალივით,
ძნელია მარტო დარჩენა!
მაგრამ ღვთის მადლად თუ დაშერი,
გულს ვინც რა უნდა გაივლოს,
ვიდრე ხარ, შენივ ბაღნარში,
შენეული რტოც ყვავილობს!

* * *

ჩემ წილ სიყვარულს
დაგადებ წამლად,
წასვლის მერე კი...
მოგივალ ურცად,
შენთვის თუ არა,
მოვსულვარ ან რად...
ვერ მოგიჩინე
ჭრილობა თუმცა!
შენს სუნთქვას ვისმენ ბალახის ღერშიც,
მარადისობის მიჯნაც აქვეა...
ან ამიერში, ან იმიერში, უშენოდ ყოფნას
ნეტავ რა ჰქვია!

საჩუქარი

დღეს, აუცილებლად უნდა გნახოთ,
დღეს, აუცილებლად უნდა შეგხვდეთ,
მოულოდნელად შემოგდახოთ,
გზა-გზა შემოვცინო მაღალ ვერხვებს!
თვალებში ილივილივონ ალუბლებმა,
მეზობლის ბაღიდან რომ გადმომდგარან,
მოსვლა ხელმეორედ მომწყურდება,
ჩემმა მოსვლამ თუ თქვენ გაგახარათ!
ნუ გამეჯიბრები, ზენა ქარო,
სიყვარულის ვაგროვებ ყველა ნამცეცს,
დღეს მონატრებით უნდა დავიღალო,
საჩუქრად სიყვარული უნდა გავცე!

შენი მზერით

მოფრინდება მტრედით
სხივი, ხსოვნის ბაღიდან,
მოსვლისა და წასვლის გზას
შენი მზერით გაგყურებ,
სულში ცისარტყელების
ცვენა მაინც რად ღირდა,
ამშვენებდა ზეციერს
მთვარის თეთრი საყურე!
ლილკილოზე მთოვარის
ახლაც ცრემლი ციმციმებს,
ცა – სამყაროს დაირა,
სიყვარულისფერია...
დილაა თუ საღამო,
შენზე ფიქრს ვერ ვიცილებ,
ისე ჩემეულია, ისე შეუცვლელია!
მარტოობის კიბეა
ფიქრის ნაბილიკარი,
დროის უცვლელ მდინარეს
წლები უძღვის თავდებად,
ცის ნამიან ფარდაზე
ღრუბლებს პენტავს მირკანი,
ვიდრე შენ მელოდები,
ვიდრე ჩამოლამდება!

ტანგო

მზიანი დარია ნოემბრის თვის,
გზადაგზა ყვითელკაბა იფნებია,
ავტობუსი ფიქრთა ნართებს
მითვლის,
ფოთლები ხეების ფიქრებია!
ფოთლები, ზარნიშით ოქროსფერით,
ზენა ქარს, უეცრად ცეკვას სთხოვენ,
და ბრწყინავს ჰანგებში სხივანაქერი
ფერთა სინატიფე სისათნოვე.
ცეკვავენ ფოთლები ბოლო ტანგოს,
ამ სურათს რა უნდა შევადარო,
მათი აღმაფრენა ისე მათობს,
აცეკვე, აცეკვე, ზენა ქარო!
სიცოცხლე ზღაპარს რომ წააგავდა,
მაინც რომ დანებდნენ სიმარტოვეს,
არაფერი აღარ სურთ ცეკვის გარდა,
ხეებმაც, ხეებმაც მიატოვეს.
არც ფრთები დაინდეს, არც ჭაღარა,
ყველაფერი უეცრად გაირინდა,
მოცეკვავე ფოთლები დამენანა,
ცეკვის მერე, ქარსაც რომ გაუფრინდა.
ფოთლებივით მიფრინავენ თურმე წლები,
საგულეში სინანულის ბინდი წვება,
და მეც, სევდიანი ვილიმები,
რით ვუშველო მონატრების დავიწყებას?!

არაგველები

დილა ქარგავდა ხეობებს
ურიცხვ ღიბად და ნატებად,
მზე უკვერავდა ლომეულებს
მტრისთვის მოსაქნევ სატევარს.
გზებს დასხლტომოდა არაგვი,
ტანს ჟრუანტელი უვლიდა,
თითქოს სამყაროს ესმოდა
ძახილი დედის გულიდან!
მოდიან არაგველები,
ციხე-კოშკების შვილები,
თვალ-ტანადები, ლაღები,
უფლისგან დალოცვილები!
სულში მზე როცა გიბრწყინავს,
გულიც გულობს და არწივობს,
მამულისათვის სიცოცხლე
აბა, ვინ უნდა გაწიროს!
ასე მოვედით აქამდე,
ჰკითხეთ მარტყოფს და მარაბდას,
გვკლავდნენ, გვინგრევდნენ
ღვთის ტაძრებს,
ერთობის ძალა გვფარავდა!
რა დაავიწყებს მტკვრის ტალღებს
ელვას მოქნეულ ხმალისას,
კრწანისს ესმოდა ბლაგილი
ქელს გადმომდგარი ხარისა!
მთები – არაგველთ დელები,
იმ დღემ ძაძვით შემოსა,
სამასი ფიცვერცხლნაჭამის
მოხდა საუფლო შემოსვლა!
ცაში აფრინდნენ მტრედები,
ფერი ეცვალა სამყაროს,
კრწანისთან დარჩნენ, სამშობლო
ვინმემ არ გადაგვაყვაროს!
ახლაც მომესმის მათი ხმა,
ვერ ვთვლი გაფრენილ ნაბიჯებს,
საუკუნეთა ჭდეებს რომ
უთქმელად გადააბიჯეს!
დედის ნაცრემლზე ყვავილობს
ისევ ია და შროშანი,
სულის საოხად ცას სწვდება
საგალობელი „ოსანის“.
მოვიდნენ უკვდავებისთვის,
სხვა, ყველა კარი ჩარაზეს,
მონატრებული პირიმზე
სწორფერს კვლავ უცდის არაგვე.

თოვდა...

მთვარის ბროლს გაუფრინდა ფიფქთა კალთა,
კართან ჩემი სახლის, უთევია,
უთმენია დაშორება სახუკვართან,
და თან უთოვია უთენია!
ღლეებს მოწყენიათ უფიფქობა,
ქობა შემოდგომის არას შველის,
შენით მათა კალთებს
რაინდობა,
ნდობა, თეთრი ჩოხა, შესაფერი!
ო, რა სისპეტაკე თოვდა ციდან,
ცრიდა, ჩამოჰქონდა ქართ ნამღერი...
ფერი გვირილების, ამინდს ცვლიდა,
ვლიდა ქართლის გზებზე ღვთისმშობელი!

როგორ მომნატრებია

როგორ მომნატრებია
თბილისური ხედები,
საყვარელო ქალაქო,
შენ არასდროს ბერდები!
ქაშუეთის გუმბათზე
სხედან უფლის ჩიტები,
სიონს ლოცვით მოვივლი,
სიყვარულით ვმდიდრდები!
შენი მტკვარი, მთაწმინდა,
ანჩისხატის ზარები,
წმინდა მამადავითი,
სამების ნაკრძალები!
ნარიყალას კედლები,
მკერდზე ცისარტყელებით,
მიყვარს ტინზე მეტეხის
მტკვრისკენ ჩასაფრებები!
ვარდნაბანი უბნები,
ნაქარგ-ნახავერდები,
ხიდზე, რწმენის კედელთან,
წარსულის ლანდს
შევხედები!
ახსოვს დედა მდინარეს,
გვიხსნა რწმენის ნათელმა,
როგორ დათმო სიცოცხლე
ათასობით ქართველმა!
სასანთლეა მუდმივი
აბოს ტაძრის კარებთან,
აქ ვახტანგის გული ძგერს
ღმერთთან საზიარებლად!
კრწანისთან მუხლს მოვუყრი
სამას გმირთა სავანეს,
მათეული სიცოცხლე
შენს სიყვარულს მავალებს!
მიყვარს ლურჯი გუმბათი,
ფიქრი რწმენის ნახავეზე,
საუბარი ქართული,
ფეხზე მდგომი ლაზარი!
მზენაწური დღეები
ციდან მირონს გაღვრიან,
სამასპინძლო კარები
როგორ ფართოდ გაქვს ღია!
როგორ მომნატრებიხარ,
დროც რა უცებ გავიდა,
შენს სიყვარულს, თბილისო,
ვიწყებ ისევ თავიდან!



მზია წიკლაური



* * *

„წელწად დილასავ“ იცოდის ბებომ,
„კუმეტი ასავ, ხელთუძრავიავ“,
ესეც ქართული სიძველის ნიში,
შემონახული მხოლოდ მთაშია.
უქმის გატეხა ცოდვის ჩადენის,
დანაშაულის ტოლ-ფასია,
დანაშაულს კი, ჯვარის წინაშე
აღიარებდნენ ადრე თუ გვიან.
სულის სიწმიდე და სისპეტაკე,
ვაღადავებ, ახლაც ასეა,
ღმერთო, ნუ მოშლი ჯვარ-ჯვარის კარზე,
სახევესურეთოს ვალსა და საქმეს.
საკლავ, სანთელი მონანიების
და პატიების ტოლფასია,
აღბათ ეს რწმენაც სუფთა ქართული,
თავის სიძველით მხოლოდ მთაშია.
მე, მაინც მჯერა ყველა ხევსურის,
უკვდავი რწმენის და სუფთა გულის,
ღმერთო, შენ შეგთხოვ ყოვლის შემძლეო,
არ დაიკარგოს რწმენა ქართული.

1.01.2025

* * *

დაღამდა, ირგვლივ, უკუნეთმა დაისადგურა,
დაღლილი სული თითქოს მიკვდა, ისე მიჩუმდა.
შეუცნობლობა ამ წუთების დასანანია,
რადაცა დროით მისტიკაში გადაინაცვლა.
ისევ განვლილ წლებს, მოგონებებს ვეწვიე სტუმრად,
უღრან ტყეებს და კლდე-ჭიუხებს, გონების თვალით,
ყურში ჩამესმის, დაკარგული ბავშვების ვნება,
იპოვე... ვერუ... ვერუ... ფრინველთა გვემა...
ლეგენდა მთაში, ობლებისა, ზღაპრად ქცეული,
უკუნი ღამე ვეღარ იტევს ბუების კივილს,
მძვინვარე მხეციც შეიცოდებს თურმე ხანდახან,
და ბედისწერა უღმობელი, ქვა-კლდედ ქცეული.
საოცარია ტყის ბინადართ ცხოვრების წესი,
ამ საწუთროში მოსვლისა და გასვლის მიზეზი,
ღმერთო, უშველე შენის ძალით მოვლენილს წესად,
შენივე წყალობით მისცემოდეს, შვებაც და ვნებაც.

23.08.2024

* * *

გეჯის წყაროსთან

კაკასიონის ქედზე შეფენილ ხალხს გაუმარჯოს,
ქვეყნის დამცველად, რომ დაუნიშნავს არსთა

გამრიგეს,

როტული ცხოვრება უანდერძეს შთამომავლობას,
უღალატო და ერთგულ ყმებად ყოფნა შეჰფიცეს.
ცხოვრების წესი განსხვავებულ პირობებს ქმნიდა,
აღზრდა სპარტანულ და მეომრულ წესრიგს აჩვენდა,
ვაჟს ფეხზე გავლილს სათამაშოდ, ხის ფარ-ხმალს,
ხანჯალს

და სანადიროდ მოისარის კაპარჭს აცმევდა.

დედა დიაცი მეომარი ვით ამორძალი,
მატრიარქატის გადმონაშთი მართავდა ოჯახს,
მეომარ ქმარ-შვილს მხარში ედგა იმედად, ბურჯად,
თავის წილ შრომას აშველებდა თემსა და ოჯახს.
დედა ზრდიდა და უყვებოდა ვაჟებს ანდრეზად,
წარსულის ამბებს, დაუწერელ კანონებს მთისას,
ვეფხის და მოყმის შეყრის ამბავს მიუვალ მთებში,
შვილის სიკვდილით გამოწვეულ უცრემლო

გლოვას.

დღეს კი, გვაოცებს უცნაური მთის კანონები,
დაუწერელი ნათქვამი და ძარღვში გამჯდარი,
როგორც ხატის წინ, დანაპირებს ფიცით იცავენ,
არ გადადიან წინაპართა დაცულ ადამებს.

3.09.2024

* * *

„ხორაის წყალთანავ“ – იცოდეს,
„როშკის თავ“ არსებულ წყაროზე.
როშკიონთ ზალისად დალოცვილს,
ხორაის სახელნიც შამარჩნეს.
არხოტ გადავლაში დაეწაფები და
უზღვავე ენერგიით აგავსებს.
ალბათ მადლი მოსდევს, როშკიონთ ზალისა,
ან იქნებ, მაღლა აქვს წყალს, დალოცვისა.
არ ეღალატება წინაპართ კანონებს,
შენახვა უნდება ანდრეზს და თქმულებებს,
ნათელი მოჰფინე ყველა მიცვალებულს,
და ღმერთო, ნუ მოშლი მათ სახელს!

1.02.2025

* * *

მე, მინდა მთაში ცხოვრება მარტოს,
სრულად შევიგრძნო საწყისი მითის,
წინაპართ სულებს თაყვანი ვცე და
მივიღო მათგან სწავლება სიბრძნის.

16.01.2025

„უკვდავ უბერებელი ასავ“, – თვლიან ხევსურნი,
„ანაბრივ ევ წყალ თუ ასავ უკვდავების წყალივ და ევ
იფარავსავ“ „ზევიდან“ მინიჭებულ ხის ტანსავ, უკვდავ-
ების წიფელსავ უკვდავების წყალივ“.

გეჯის წყაროზე ცივი წყალის ჰეშვით დაღვევა,
ჯვარ-ჯვარის კარზე, მისულ მეზღვნეთ უწევდა
მუდამ,
ჯვარის კარ, მსახურთ, თაძიასა და მის მძა შინშებს,
მაწმიდართ ჰქონდა მისი მოვლა ვალდებულებად.
შუაგულ ტყეში ბუნებრივად ამოხეთქილ წყალს,
როდის დაერქვა გეჯის წყარო, არავინ იცის,
კობლეთ სალოცავს მობრძანებულს, გაღმ როშკით,
ნიშად,

თან მოჰყვა წესი ჯვარის კარის ამოქმედების...
წყაროც ჯვარის კარ, მოშორებით ამოხეთქილა,
და იყენებდნენ ათენგენას ჯვარის მსახურნი,
ხმელი წიფლის ქვეშ მოხუცბუყებს მიწის

სიღრმიდან,

და უკვდავებას უნარჩუნებს, როგორც მისტიკას.
ხმელი წიფლის ქვეშ ამომავალ გეჯის წყაროზე,
მეანდრეზენი გვიყვებიან ამბავს არაკად,
ხმელი წიფელი უხსოვარი დროიდან მოდის,
ალბათ წყაროა უკვდავების მიწის სიღრმიდან...
გეჯის წყაროზე გადავლას და წყალის დაღვევას,
ათენგენობას ნუ მოუშლი როშკიონთ, ღმერთო,
გაღმ როშკით, ნიშად მობრძანებულს

მთავარანგელოზს,

ტყეში სოფლის თავ, დამკვიდრებულს და
დაბრძანებულს.

5.12.2024

* * *

მზის სხივებს გავყვები ხევსურეთის მთებში,
არ შევეუშინდები ზამთარს და სიცივეს,
გამათბობს სურნელი ნაცნობი ბავშვობის,
და თბილი მოგონება, წინაპართ სულების.
არაყით დავთვრები, ვიტყვი სადიდებელს,
ჯვარ-ჯვარის კარისას, იმ დიდი „ხუცების“,
ნათელი დაგადგეთ „ნურაითამც შასწუხლებით“,
„თქვენ ნალოც ჯვარნიც, მწყალობელიმც იქნების“.

1.02.2025

პროზა

ნანა დემეტრაძე



სახლის ტელეფონი

როცა სწავლა დავიწყე, ექვსი წლის ვიყავი, მაშინ თბილისში ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე იყო. ქალთა სკოლა ახლოს იყო ჩემს სახლთან, მას თბილისის მე-12 ქალთა საშუალო სკოლა ერქვა. შენობა ძველი იყო (ყოფილი ქალთა ეპარქიალური გიმნაზია), სამსართულიანი, მაღალი ჭერით, ჰქონდა სპორტული მოედანი და მშვენიერი ხილის ბაღი, სადაც იყო ხეებიც და პატარა საცდელი ნაკვეთი. სკოლა ძალიან მომწონდა. ყოველ დილას დედას მივყავდი და მერე სამსახურში მიდიოდა. სკოლისკენ მიმავალ გზაზე დილას, ძირითადად, ერთი და იგივე ხალხი მხვდებოდა. ბავშვის გონება მათ კარგად იმახსოვრებს. ზოგი სკოლაში მიდიოდა და ზოგი სამსახურში. ვაჟთა სკოლა შედარებით შორს იყო და ასევე მშობლებს და ბებია-ბაბუებს ბიჭები მიჰყავდათ სკოლაში. ყოველ დილას, მოსახვევთან ახლოს, ერთი და იგივე ბიჭი მხვდებოდა. ის ბებიას მიჰყავდა სკოლაში პირველ წელს, ხოლო შემდეგ მარტო დადიოდა, მაგრამ მაინც ერთი და იგივე ადგილზე იკვეთებოდა ჩვენი გზები.

როცა მე-7 კლასში გადავედი, ქალთა და ვაჟთა სკოლები გაერთიანდა და ახლა უკვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ბიჭების ნაწილი ჩვენს სკოლაში გადმოიყვანეს, ისინი, რომლებიც სკოლასთან ახლოს ცხოვრობდნენ. ასევე გოგოების ნაწილი გადაიყვანეს ვაჟთა სკოლაში.

ის ჩემზე 3-4 წლით დიდი იყო და უკვე სკოლისკენ მიმავალ გზაზე კი არ მხვდებოდა, არამედ – სკოლის ღერეფანში. შეხვედრისას გამიღიმებდა ხოლმე მოკრძალებით. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მე-11 კლასში იყო და სანდრო ერქვა.

იმ წელს ჩვენ ადრე დაგვეწყო საზაფხულო არაღდეგები. დამამთავრებელ კლასს კი გამოსაშვები გამოცდები ჰქონდა. რაღაც საქმეზე შევიარე

სკოლაში, დირექტორმა თავისთან მიხმო, ის ჩემი ქართულის მასწავლებელიც იყო და ამიტომ კარგად მიცნობდა. მოხოვა, მოდი, ჩემს ოთახში დაჯექი და მე-11 კლასის საგამოცდო ფურცელი გადამიწერეო. ოთახის კარი ღია იყო. მე დიდი ყურადღებით, აუჩქარებლად ვწერდი.

ჩემმა ნაცნობმა სანდრომ შემოიხედა

– შენ რა, დირექტორად დაგნიშნეს? – მკითხა სიცილით.

– ღიახ, დამნიშნეს... – მეც გავუღიმე.

– რას აკეთებ? – მომიახლოვდა.

– მე-11 კლასის ნიშნების ფურცელს ვათეთრებ.

– შეიძლება ჩემი ნიშნები ენახო?... მაინტერესებს, ხომ არავინ გამიფუჭა ნიშანი.

მისი გვარი არ ვიცოდი და თვითონ მომიახლოვდა. როგორც აღმოჩნდა, სახელიც არ ვიცოდი, სიაში ალექსანდრე ეწერა. ჩვენს დროს ცოდნის შეფასების ხუთბალიანი სისტემა იყო და ის ისეთი რიხით შემოვიდა, მეგონა, ფრიადოსანი იქნებოდა. აღმოჩნდა, რომ სულ სამები ჰქონდა.

– კარგია, – თქვა, თუ სწავლობ, ყველა საგანში ერთნაირად წარმატებული უნდა იყო.

მე გავიცინე...

– ხედავ? – გამხიარულდი. ისეთი სახით იჯექი, მართლა დირექტორი მეგონე.

სახლში რომ მოვედი, დედას ეს ამბავი მოუყვები. გაეცინა და მითხრა – კარგია, ზოგჯერ ფრიადოსნობას იუმორის ქონა ჯობია.

იმ წელს სანდრომ სკოლა დაამთავრა და უბანში ხშირად მხვდებოდა. იმჟამად თბილისელ ახალგაზრდებს ერთი კარგი ჩვევა ჰქონდათ. საღამოობით ქუჩაში გამოდიოდნენ სასეირნოდ. ქალაქში ორი მთავარი ქუჩა იყო – რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტები (ახლა აღმაშენებელი). ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ხეების ქვეშ. ყველა ჯგუფს თავისი ადგილი ჰქონდა. გოგოები ქუჩაზე დავსეირნობდით. როცა ჩემი მეგობრებით სანდროს ჯგუფს ჩავუვლიდი, ის ან ხელს ამიწევდა და მესალმებოდა ან მკერდზე მიიდებდა ხელს და თავს ხრიდა.

მე ტანად პატარა ვიყავი და რატომღაც ჩემი ახლო მეგობარი ყველა მაღალი და გარეგნობით გამორჩეული იყო (ახლაც მიყვარს ლამაზ ქალებთან მეგობრობა). ყველა მათ აქცევდა ყოველთვის ყურადღებას და ჩემდამი სანდროს ასე გამოხატული სალამი მათ განცვიფრებას იწვევდა და მეც თავს ვიწონებდი. მაღლე ჩვენც დავამთავრეთ სკოლა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ეროვნული მოძრაობა ფეხს იდგამდა და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე, ზურაბ ჭავჭავაძესა და კიდევ სხვებზე ლეგენდები გვესმოდა. მიტინგები იმართებოდა. შლიდნენ მიტინგებს, მონაწილეებს აპატიმრებდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეკრებები თანდათან მატულობდა. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ამის განხორციელება კი არა, გაფიქრებაც არ შეიძლებოდა. დედაჩემიც მიშლიდა მიტინგებზე სიარულს.

– შენ არ იცი, კომუნისტები რა ვერაგები არიან,

საკუთარ შვილებსაც არ აპატიებენ საბჭოთა კავშირის დაშლას. საკუთარ შვილებსაც გაიმეტებენ სასიკვდილოდ. თქვენ არ იცით, რამდენი უბედურება გადავიტანეთ.

მეხვეწებოდა, მიტინგებზე არ წახვიდო.

მაშინ ტყუპები შემეძინა — გეხვეწები, ბავშვები არ დააბლო, მათზე იფიქრო.

დედის მჯეროდა, მაგრამ ხანდახან მაინც მივდიოდი. თავმოყვარეობა თუ სამშობლოს ბედი არ მაჩერებდა.

9 აპრილს, საღამოს 7 თუ 8 საათზე, ძალიან ცოტა ხნით შევეძელი გასვლა და იქ სანდროსაც მოგვარი თვალი, მომიტინგეებს შორის სცენაზე ტრიალებდა.

შემდეგ წელს 9 აპრილს ტიტებით მივდიოდი, რუსთაველზე შემხვდა.

— როგორ ხარ? — მკითხა ისე, თითქოს გუშინ ვნახე.

— კარგად, — ვუპასუხე.

— უფრო უკეთესად ვიქნებით, როცა დამოუკიდებლობა გავხდებით — იცი, მე პატარა გოგო შემეძინა, მან ხომ უნდა იცხოვროს დამოუკიდებელ საქართველოში.

— აუცილებლად, მაგრამ მე პატარა ტყუპები მყავს და ვერ ვმონაწილეობ, როგორც თქვენ.

— ვინ შეგეძინა, გოგოები თუ ბიჭები? — დაინტერესდა.

— გოგო და ბიჭი — გიორგი და მარიამი, — ვუპასუხე.

— ყოჩაღ! როგორ მაჯობე. მე შენი შვილებითვისაც ვაქტიურობ — მაღლობა გადავუნადე და წამოვედი.

დედაჩემის გამოცდილება თუ წინასწარმეტყველება ახდა. ბევრი ცუდი რამ მოხდა და ბევრი განსაცდელი გადავიტანეთ. სანდრო დამწუხრებული შემხვდა მერაბ კოსტავას პანაშვიდზე.

— ყველას თავის ბედი აქვს, — თქვა — მეც ვჯდებოდი იმ მანქანაში. ვიდაცამ დამიძახა, გადმოვედი და მანქანა წავიდა, ეჩქარებოდა.

— იცი რა? — ვუთხარი — ყველას თავის ბედისწერა აქვს. თუ უნდა გადარჩენილიყავი, მაინც გადარჩებოდი, მძლოდი ხომ გადარჩა.

— ესეც მართალია, — თქვა — ეგეც ბედისწერაა.

ქვეყანა აირია. პატრიოტული თემაზე დაწერილი ლექსები ხშირად ხეებზე და კედლებზე გვხვდებოდა გაკრული. ხალხი კითხულობდა, იწერდა და ზეპირადაც სწავლობდა.

როცა მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის საავტომობილო კატასტროფაში დაღუპვის ამბავი შევიტყვეთ, ინსტიტუტში ვიყავი და იქვე ლექსი დაეწერე. ჩემმა კურსელებმა ეს ლექსი აიტაცეს და ხელიდან ხელში გადადიოდა. როგორც აღმოჩნდა, გაამრავლეს და გააკრეს კედელზე. ინსტიტუტიდან სახლში გავბოდი. დიდი ხნით ჩემს ბავშვებს ვერავინ იტოვებდა. სანდრო ტელევიზიასთან შემხვდა მაშინ ის ქუჩა ჯერ კიდევ კოსტავას ქუჩა არ იყო. შორიდან დამინახა და დამიძახა.

— ნანა დემეტრაძე ხომ შენ ხარ?

— მე ვარ.

მან ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო — შენ მიუძღვენი ეს ლექსიმერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძეს?

ვიგრძენი, როგორ გავწითლდი — კარგი გოგო რომ იყავი ვიცოდი, მაგრამ ასე ძალიან კარგი? ამატირე, გოგო! — მითხრა და გადამეხვია — მაღლობა, ასეთი დიდი თანაგრძნობისა და სიყვარულისთვის. ისეთ ამაყი ვარ, ვერ აგიწერ. ისე გამიხარდა, რომ გიცნობ.

— გმაღლობთ, მეც ვამაყობ შენით, ხომ მითხარი, შენი შვილებისთვისაც ვიბრძვიო. მე ვერ ვიცლი, შენ კი ჩემს საქმესაც აკეთებ. შენი წახალისების გარეშე ასეთ ლექსს ვერ დავეწერდი.

გამოვეშვიდობე და სახლში გავიქეცი, ბავშვებთან მეჩქარებოდა.

ამის შემდეგ ყველაფერი აირია. ქვეყანაში უმძიმესი 10-12 წელი. პრეზიდენტი ბნელმა ძალებმა იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. სამხედრო ხუნტამ აიღო ხელში ხელისუფლება და შემდეგ ელუარდ შევარდნაძე მოიწვია მმართველად, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდა. დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ზვიად გამსახურდიას მომხრეები მიტინგებს მართავდნენ. მათ მთავრობა დევნიდა და ხშირად ქუჩაშიც ხვრეტდა. სანდრო აღარ მინახავს. მე საბურთალოზე ვცხოვრობდი და ძველ უბანში, იმ მხარეს, თითქმის არ დავდიოდი. ტრანსპორტიც აღარ მოძრაობდა. ფეხით დავდიოდი, პურის და ნავთის რიგში ვიდექით. ხალხი თურქეთში დადიოდა და იქ მუშაობდა. მიჰქონდათ რაღაც ნივთები და იქიდან საჭმელი და ტანსაცმელი ჩამოჰქონდათ.

ჩემი შვილები წამოიზარდნენ და ფეხსაცმელი ვერ ვიშოვე. არც ხელფასი იყო. ყველაფერი გაძვირდა. ჩემი თანამშრომლები თურქეთში დადიოდნენ და იქიდან ჩამოჰქონდათ ბავშვებისთვის ტანსაცმელი. როგორც მასწავლეს, შევიძინე სიგარეტის 2 ბლოკი, შევკრიბე სახლში უხმარი ნივთები, ბავშვების სათამაშოები, შეუკერავი საკაბეები. საჩუქრად მიღებული კოვზები და დანა-ჩანგალი და მე და ჩემი თანამშრომელი ღონარა მირიანაშვილი გავემზავრეთ თურქეთში. ღამის მატარებლით წავედით და დილას ბათუმში ვიყავით. სადგურთანვე იდგა ავტობუსი, რომელიც თურქეთში გადაგიყვანდა. დავიკავეთ ადგილები ბარგი დავტოვეთ და საღამოს 5 საათამდე თავისუფლები ვიყავით.

ბათუმში გავისეირნეთ. თბილი, სასიამოვნო ღლე იყო. მაისის ბოლო, ასე მასწავს. ეკლესიაში შევედით, რომ უფლისთვის დახმარება გვეთხოვა. ჩვენთვის უცნობ გზაზე მივდიოდით. ტაძრის იმ კუთხეში, სადაც იესო ჯვარზეა გაკრული და მიცვალებულებისთვის სანთლებს ანთებენ, სანდრო იდგა და სანთელს ანთებდა. მიგუხილოვდი და მეც დავანთე. შემხვდა და შეკრთა, ფიქრებში გართული უცებ გამოერკვა.

— როგორ მინდოდა, რომ ვინმე ახლობელი

შემხვედროდა.

– მე ვარ ახლობელი? – გამოკვირდა.

– მე ასე ვთვლი. ქვეყნიდან მივდივარ... – მიპასუხა.

– მერე შენი ცოლ-შვილი?

– ჩემი ცოლი ყოჩალი გოგოა, მან მირჩია ქვეყნიდან წასვლა. ჩემი მეგობარი „რევი“ ამ რამდენიმე დღის წინ მოკლეს, სადაც დოლიდის ქუჩაზე. იცი შენ, ჩვენი სკოლელი იყო.

– რევიშვილი? შენი კლასელი... ფრადოსნების დაფაზე რომ იყო გაკრული? მედალოსანი...

– ზო ჭკვიანი ბიჭი იყო. ძალიან ახლოს ვიყავით. ჩემს ცოლსაც შეეშინდა და მითხრა: მოდი, წადი, საზღვარგარეთ, სანამ აქ რამე ცუდი არ დაგმართნია. არჩევნები თუ ჩატარდება და გაიმარჯვებთ, დაბრუნდებით, თუ ვერა, მაშინ მე ვეცდები, მერე მოგნახო. ბავშვს მაინც გავზრდი მშვიდად – ვიცი, ყოჩალია, ბავშვს უჩემოდ გაზრდის.

– ძალიან გულდასაწყვეტია, მაგრამ ახლა ასეთ ვითარებაა, მეც შემძრა „რევის“ სიკვდილმა. მეც ვერაფერს გირჩევ, შენი ცოლი მართალია ალბათ, მამაცი გოგოა.

– დედა და ცოლი მეხვეწებოდა, მალე წადიო, მხოლოდ ბებია ტირიდა. გახსოვს ჩემი ბებია? სკოლაში რომ დავყავდი, გზაზე გხვდებოდით ხოლმე.

– როგორ არ მახსოვს, შენც მახსოვხარ ჩანთით ხელში.

– ბებია მაშინ ახალგაზრდა იყო. ახლა დაბერდა და მეხვეწა, ისე არ მომეკლა, რომ ვერ გნახო. რა ქნას, 37-მა წელმა ქმარი წაართვა, ომმა – მამაჩემი და ახლა მე. სად მივდივარ, თვითონ არ ვიცი.

– არაფერია, – ვეცადე, გამეძნეებინა – იქნებ ევროპაში გადახვიდე და სამუშაო იშოვო.

– ჰო, მეც მაგის იმედი მაქვს, თან ცოტა გერმანულიც ვიცი, ხომ გახსოვს, სკოლაში ბიჭები გერმანულს ვსწავლობდით, გოგონები – ინგლისურს – ჯგუფი იყოფოდა ხოლმე

– მახსოვს.

– დედაჩემი გერმანულის სპეციალისტია და სახლში მელაპარაკებოდა გერმანულად. ლაპარაკი შემიძლია.

– ძალიან კარგი, გაგიაღვილდება ურთიერთობა.

– თუ ევროპაში გადავედი...

გამოვემშვიდობე. ის სხვა ავტობუსით მიდიოდა.

როცა საზღვარზე გადავედით, არაფერი ჩამოურთმევიათ. ცოტა რამ გვქონდა და ადვილად გაგვატანეს. მაშინ ვნახეთ, რომ ძალიან მოუშვადებლები მივდიოდით სავაჭროდ. ხალხს უამრავი ტვირთი მიჰქონდა დიდი ჩანთებით. მე და ჩემი თანამშრომელი დონარა ჩვენს თავზე ვიცინოდით, სად მივდიოდით ასე ცარიელები.

ავტობუსში გოგონა გამოგველაპარაკა, მძასთან ერთად იყო. მისი უფროსი ძმა მიათრევდა მძიმე ჩანთას. გოგონამ თქვა:

– ჩვენ სტუდენტები ვართ. ერთოთხიანი ბინა გვქონდა რუსთვაში, ის გავეყიდეთ, რაღაც ნივთები

ვიყიდეთ და წამოვიდეთ გასაყიდად. რომ ჩვენთვის ჩასაცემელი ვიყიდოთ და მშობლებს შევპირდით, რომ ბინის ფულს უკან დავუბრუნებთ. ისე უნდა გავყიდოთ, რომ მოგება დავგვრჩეს.

ღამდებოდა, როცა ჩავედით. მზრუნველი ბიჭი აღმოჩნდა. ჩვენც გვეხმარებოდა. ღამის გასათევი ბინაც თვითონ მონახა. თქვენ ყველას ერიდეთ, კაცებს მე დაველაპარაკები...

კარგად მოვეწყვეთ. მე და დონარა ერთ პატარა ოთახში დავვაბინავა. თვითონ და-ძმა ჩვენ გვერდით ოთახში მოთავსდნენ. დილას მოკრძალებით დავვიკაკუნა და ჩვენთან შემოვიდა.

– თქვენ სიგარეტი ხომ არ გაქვთ? მყიდველი მოვიდა.

– მე მაქვს, – ვუპასუხე.

სოფლელი თურქი მამაკაცი შემოვიდა, მსუქანი და გაბურძნული. ჩვენს ვაჭრობას რუსთაველი ბიჭიც დაესწრო. მყიდველმა შემომთავაზა, „ყარ-ფუზში“ გაგიცვლიო, როგორც ჩანდა, საზამთრო ჰქონდა გასაყიდად ჩამოტანილი. ამაზე სიცილი დავიწყეთ, რაში გამოვიყენებდით ამდენ საზამთროს. შემდეგ ფული გადამიხადა. თვითონ რა ფასიც მოგვცა, დავთანხმდით. თურქეთის ლირა არც ერთს არ გვქონდა, ამ ფულით ყველამ გადაუხადეთ საფასური სასტუმროს მფლობელს.

სასტუმროს პატრონი ეროვნებით ქართველი იყო. ძველი ქართულით ლაპარაკობდა. ზვალაც თუ ღარჩებით, ამაღამაც ჩემთან მოდიოთ, დავვატყუა. თავისი ქართული გვარიც გვითხრა. შუახნის კაცი იყო. მარტო ცხოვრობდა დიდ სახლში. ცოლი გარდამცვალა და ბავშვები გერმანიაში ცხოვრობენო. მათი სურათებიც გვაჩვენა. მაღლობა გადაუხადეთ და წამოვედით.

ბაზარი, სადაც ჩვენი ნივთები უნდა გაგვეყიდა, ზღვის პირას იყო. შუადღეს კარგად დაცხა. მე ყველაზე სწრაფად გავეყიდე ყველაფერი. ფასზე არავის ვევაჭრებოდი, რასაც მიხდიდნენ, ვთანხმდებოდი. დონარამ სიგარეტი ვერ გაყიდა, იჯდა და მუშტარს ელოდა. დილით იმ კაცს არ მიჰყიდა, ფიქრობდა, ბაზარში მეტს გადაუხდიდნენ. მე ვეხმარებოდი გაყიდვაში, რომ დროზე მეყიდა ბავშვებისთვის საჩუქრები და წამოვსულიყავი. ჩვენს ახალ ნაცნობებს ქალის ნაირ-ნაირი ხელის საათები ჰქონდათ გასაყიდი, მე მათ წინ ვიჯექი და ხელზე ოქროს საათი მეკეთა, ოქროსსავე ღამაზი სამაჯურით. თითქმის ყველა გამკლავი მეკითხებოდა, ყიდიო?

– არა, აი საათები და ვუთითებდი მათკენ. ჩემმა საათმა მათ კარგი რეკლამა გაუწია. გოგონა ამბობდა – შენ რომ არა, ერთს არავის უკითხავს ჩემთვის საათი რა ღირსო, შენმა საათმა მიიზიდა მყიდველიო.

დონარას ნივთებიც გავეყიდეთ. ბავშვებისთვის საჭირო ტანსაცმელი და ცოტა ტკბილეულიც ვიყიდეთ და მივედით ნაცნობებთან გამოსამშვიდობებლად. მათ კიდევ ბევრი რამ ჰქონდათ გასაყიდი და იმ ღამეს იქ რჩებოდნენ.

ირმა აბულაძე



ერთი ნატყერი პური

რაჭაში ერთხელ ვისვენებდი. ერთადერთხელ. იქ გატარებული რამდენიმე დღე ტკბილ მოგონებად ღამრჩა მეხსიერებაში. თითქმის გაილია ჩემი ცხოვრება, მაგრამ ველარ მოვახერხე ამ ულამაზესი კუთხის სტუმრობა.

სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელს დამპატიჟა მეგობარმა თავის ლამაზ სოფელში. სექტემბერი იყო. სულ ხუთი თუ ექვსი მოხუცი დაფარფალებდა დაცლილი სოფლის ორღობებში. ერთიც ლოგინად იყო ჩავარდნილი. მე ის არ მინახავს, მაგრამ ყოველდღე ვისმენდი მის ამბებს, რადგან რიგრიგობით დადიოდნენ ავადმყოფის მოსანახულებლად და მოსავლელად და შემდეგ ერთმანეთს უზიარებდნენ ამბავს მის მღვთმარეობაზე. გეგმავდნენ, რა ეჭმით, რა მიეტანათ მისთვის. წუხდნენ, რომ არავინ აკითხავდა. მისი მოვლა საკუთარ მოვალეობად გაეხადათ, მთავარ საქმედ ექციათ, ერთგვარ მისიად, რომელსაც პირნათლად ასრულებდნენ და რომლის წყალობითაც თავს უფრო საჭირო ადამიანებად თვლიდნენ. სხვა საქმეც ჰქონდათ ამ მოხუცებს – ტყიდან სოკო და პანტა მოჰქონდათ, ზამთრის მარავს იშვადებდნენ. საღამოობით მოდიოდნენ სოფლის „საჭორიკნოზე“ სავსე კალათებით და მსხალს ჩირავდნენ (შუაზე ჭრიდნენ გასაშრობად). ყველა მათგანის აივანი ჩირის ლასტებით იყო სავსე. რად უნდოდათ ამდენი ჩირი, ვერ ვხვდებოდი.

ზაფხულში, თურმე, ახალგაზრდებით ივსებოდა სოფელი. ყველა მათგანთან ჩამოდიოდნენ ქალაქში წასული შვილები და შვილიშვილები, ამ მიყრუებულ სოფელს ახალგაზრდების ჟრიაშული ავსებდა. ახლა უკვე ზაფხულის მოგონებებით ცხოვრობდნენ მოხუცები. იხსენებდნენ, ვინ რა გააკეთა, როგორ იცელქა, რა უამბო, სად წავიდა, როგორ გაიხუმრა... გუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ეს მოგონებები მეორე ზაფხულამდე უნდა გამოეზოგათ და ერთი და იმავე ამბების მოყოლით გაეყვანათ სევდიანი გრძელი დღეები.

როცა მივედით, ჩემი სკოლელი სანდრო ჩვენს ნაცნობ ბიჭს ელაპარაკებოდა. ის ბიჭი ჩვენთან მოვიდა და ღას უთხრა:

– რა ვქნათ? ამ ბიჭს თბილისიდან ვიცნობ, ევროპაში უნდა გადასვლა და ფული აკლდება, 100 დოლარი უნდა მივცეთ, – დამ იუარა.

– მერე ჩვენ რომ დაგვაკლდეს და ბინა ველარ ვიყიდოთ, მამას რა ვუთხრათ?

მე ფული უკვე დახარჯული მქონდა.

– იცი, – ვუთხარი – მე ფული აღარ მაქვს, ჩემი ოქროს საათი ყველას მოსწონდა. უკვე დაღამდა და მყიდველიც აღარ არის. არც ვიცი, რა ღირს, სამაჯურიც ოქროსია. თუ 100 დოლარს მოგვცემენ, მე მივცემ სამგზავრო ფულს.

– კარგია, – თქვა მან – ჩვენი სასტუმროს პატრონმა იცის, ვინ ჩაიყვანს გერმანიაში. იცი, თბილისიდან ვიცნობ ამ ბიჭს, ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდა.

– ვიცი, მეც ვიცნობ – ვუპასუხე.

სასტუმროს პატრონთან მივედით. ჩემი საათი მან იყიდა. წესიერი კაცი აღმოჩნდა.

– ზუსტი ფასი არ ვიცი, მაგრამ 100 დოლარზე მეტი ღირსო, – თქვა.

– რასაც გაიმეტებ, მას მიეცი, იქ სახარჯო ფულიც ხომ უნდა – ვუთხარი – ახლა მაგვიანდება, ბათუმში თბილისის მატარებელს უნდა მივუსწრო.

– არ გინდა მატარებელი – მითხრა – ხილთან ავტობუსი ღვას, 10 საათზე გავა და თბილისში ჩაგიყვანს.

ბათუმში გადავდომა აღარ დაგვჭირდებოდა. ჩვენი ნაცნობები ღამე იქ რჩებოდნენ. ერთად ვივანშმეთ და ყავაც დავლიეთ, რომ ფხიზლად ვყოფილიყავით. წინ დიდი გზა გვქონდა.

სანდროც იქ იყო. ავტობუსში რომ ვჯდებოდი, ცალკე გამიყვანა, რომ მადლობა გადაეხადა.

– შენ ვერ წარმოიდგენ, შენი ლექსი, რომელიც მერაბს და ზურაბს მიუძღვნე, ისევ გულისჯიბში მიდევს და თან მიმაქვს, ძალას მმატებს.

– იცი, მე ეგ ლექსი არ მაქვს, ხელნაწერი წაიღეს და ხეებზე და კედლებზე გააკრეს. ის ხელნაწერიც სადღაც დარჩა.

– ვერ დავიტოვებ. ახლა როცა ამას ვკითხულობ, ის დრო მენატრება და ვფიქრობ, იქნებ ჯობდა, მეც მათთან ერთად მოვმკვდარიყავი. შენ მიცნობდი და ალბათ ჩემზეც დაწერდი ასეთ თბილ ლექსს. ლექსში მაინც დავრჩებოდი.

– არა, შენ დაბრუნდები და მე კიდევ ბევრს დავეწერ შენზე...

მან ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი ჩაიწერა.

ახლა, როცა მობილური ტელეფონები გვაქვს და ყველამ გააუქმა სახლის ტელეფონი, ჩემი სახლის ტელეფონი ისევ ჩართულია. მჯერა, ოდესმე ისევ ეროვნული მთავრობა მოვა სათავეში და ჩემი ტელეფონიც დარეკავს... და მაუწყებს იბულებით გადახვეწილი ხალხის დაბრუნებას!

მე და ნონა მარტო ვცხოვრობდით, მაგრამ საკმაოდ ხალისიანად ვატარებდით დროს. ტყეში დავდიოდით, წიგნებს ვკითხულობდით, სუფთა ჰაერს ვსუნთავდით და ყოველ საღამოს მოხუცების გვერდით ვატარებდით. საჭმელი ამ საყვარელ ბებიებს მოჰქონდათ. ყოველ დღით მოგვადგებოდნენ სავსე ჯიბეებით, საიდანაც ყველს, კვერცხს, ღორსა და ხილს მაგიდაზე მოკრძალებით ამოალაგებდნენ და კმაყოფილები ბრუნდებოდნენ უკან. პურს სახლში ვაცხოვდით. არაფერი გვაკლდა. ვტკებოდით ჩუმი დღეებით, ტყიდან მონაბერი ნიავეთ, რომელსაც ჩიტების ჭიკჭიკი ახლდა. ამინდიც შესანიშნავი იყო. პირველად განვიცადე ბუნებასთან სიახლოვეთ მონიჭებული ნეტარება.

ერთ დღესაც მთელი სოფელი ახმაურდა. უამრავი ხალხი ამოვიდა ქალაქიდან. აივსო მიყრუებული სოფელი.

სოფლის განაპირას პატარა ეკლესია იდგა. ამ ეკლესიის ეზოში ყოველ 21 სექტემბერს ღამისთევით ლოცვა და დიდი ქეიფი იმართებოდა. ღვთისმშობლობას ზეიმობდა დიდი და პატარა. ჩემთვის ძალიან უჩვეულო სანახაობა იყო. წირვის შემდეგ უზარმაზარი სუფრა გაიშალა. ცეკვა, სიმღერა, ერთმანეთის დალოცვა და სიყვარულის გაზიარება... ეს არ იყო ღრეობა, ეს იყო მადლიერება და პატივის მიცემა უფლისადმი, ღვთისმშობლისა და ამ მიწა-წყლისადმი. ადენი ხალხი ერთ ოჯახად ქცეულიყო, ერთმანეთს უზიარებდნენ პურ-ღვინოსა და სიყვარულს. ეს დღე მთელ სოფელს აერთიანებდა. ფესვები აიძულებოდათ, ერთი დღით მაინც მიეტოვებინათ თავიანთი საქმე და აქ ამოსულიყვნენ, ამ პატარა ეკლესიაში მიეღოთ ზიარება და დამტკბარიყვნენ მშობლიური კუთხის დიდებულებით. ტაძარი ყველა წასულს თავისთან აბრუნებდა და გულში იხუტებდა წელიწადში ერთხელ.

სამსახურიდან დაღლილი გამოვედი. პარასკევია. სულ ერთი კვირაა, რაც სწავლა დაიწყო. როგორ გაიწელა ეს კვირა. დედას ნახვა ვერ მოვახერხე. მხოლოდ ტელეფონით მოვიკითხავდი საღამოობით და მალე ნახვას ვპირდებოდი. სინდისი მქნჯნის, როცა დედას ვერ ვნახულობ. ვიცი, როგორ უჭირს მარტოობა. თვითონ სახლიდან ვერ გამოდის. ორი-ოდე მეზობელი შეუვლის ხოლმე, მასზე შედარებით ახალგაზრდა მოხუცები. ძალიან რომ მოიწყენს, აივანზე გადმოდგება და გამვლელებს ათვალიერებს, ზოგი კიდევ გამოელაპარაკება, მოიკითხავს. სინამდვილეში გზას გასცქერის და მელოდება.

დედასთან მივდივარ. ალბათ უკვე მელოდება კიდევ. წვნიანს დამახვედრებს, გადანახულ ტკბილეულს ამოალაგებს...

ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, ფეხებმა თვითონ წამიყვანა მაღალი კორპუსისკენ, დედას სახლის გვერდით რომ იდგა. ამ კორპუსში ჩემი თანაკლასელი ცხოვრობს, მასთან სტუმრობა და საუბარი ყველაზე დიდი განტვირთვაა ჩემთვის. დიდხანს არ გავჩერდები, გავიფიქრე და ლიფტის საღაროში ათთეთრიანი ჩავადე.

ნონას დიდი ოჯახი აქვს, სულ დაკავებულია.

მართალია, არ მუშაობს, მაგრამ მთელი დღე საოჯახო საქმეებს უნდება. ყოჩაღია, ძალიან კარგი დიასახლისი და მეგობარი. გაუხარდა ჩემი მისვლა. სამზარეულოს მაგიდასთან დავსხედით. ახალი ამბების მოსასმენად მოვემზადე. მე დიდი ხანია, სხვა უბანში ვცხოვრობ. ნონასგან ვიგებ თანაკლასელებისა და მეზობლების ამბებს.

— ხვალ ღვთისმშობლობაა, — ამბობს ნონა. რამდენი ხანია, ჩემს სოფელში აღარ ვყოფილვარ.

— ისევ იმართება ღამისთევები?

— კი, აბა რა! ჩემი ბიძაშვილები წავიდნენ დილას. მე ბავშვი მყავდა დატოვებული. ვითომ ცალკე ცხოვრობენ შვილები, მაგრამ სამსახურივით ყოველდღე დავდივარ მათთან, წელან მოვედი სახლში.

უცებ ნონას აღტაცებული მზერა დავიჭირე. — ხვალ ხომ შაბათია! მოდი, წავიდე. წავიდე და კვირას საღამოს აქ ვიქნებით. ამინდიც მშვენიერია, განტვირთვა არ გაწყენს.

— მომზადება არ გვინდა? — ვკითხე გაოცებულმა. თან ვიგრძენი, როგორ ამიფრიალდა მეკრძოში გული. რას მოვასწრებთ? დავგიდამდება გზაში!

— ნუ ნერვიულობ, — მითხრა თავდაჯერებით. გზა 80 კილომეტრით შემოკლდა. 3-4 საათში იქ ვიქნებით. შეიძლება არც კი დავგიდამდეს.

ნახევარ საათში ონისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსიში ვისხედით. ახალი გზის დიდი ნაწილი, ფაქტორივად, დაუსახლებელ, ტყიან ადგილებში გადის. მდინარე ხეორის ხეობას ზევით მიუყვებით და ალაგ-ალაგ შეყვითლებული ულამაზესი ტყის ხედებით ვტკებებით. ნონა ძალიან კმაყოფილია. ერთი სული აქვს, თავისი სოფლის ბილიკები შემოირბინოს, ნაცნობი და უცნობი ადამიანები მოინახულოს.

— ბოლოს რომ ვიყავი, ნახევარზე მეტს ველარ ვცნობდი, გაიზარდნენ თაობები. ჩემი შვილები სულ ორჯერ არიან ღამისთევაზე ნამყოფი. რაც გაიზარდნენ, ველა ვეუბნები, რომ ღვთისმშობლობაზე წავიდე. ყველას თავისი საქმე აქვს — ოჯახი, სამსახური... არადა მოიშლება ტრადიცია, ჩემი სოფლის ეს გამორჩეული დღესასწაული. რამდენი სითბო და სიყვარულია ამ ურთიერთობაში. ეკლესიები თბილისშიც ბევრია, მაგრამ იქ რომ ზიარებას მივიღებდი, ასე მეგონა თავიდან დავიბადე. ჩვენ დედღვთისმშობლის კალთა გვიცავს. წელიწადში ერთხელ მადლობის სათქმელად მაინც უნდა ამოვდიოდეთ, რომ კარგად გვყავს შვილები და ოჯახები.

მე ჩემი საფიქრალი მქონდა. ნონას ლაპარაკს ველარ ვუსმენდი. თვალწინ მედგა ჩემი დედიკო, რომელიც გზას გასცქეროდა და ვერც ტელეფონზე დარეკვას ბედავდა.

— იცი, ნონა, ერთი კვირაა, დედაჩემი არ მინახავს. დედასთან მივდიოდი, ცოტა ხნით შემოვიარე, ახლა კი სად ვარ!

— დაურეკე! — მითხრა დაჟინებით.

— არა, მოიცა! გზიდან ვერ დავურეკავ, ინერვიულებს. ჯერ ჩავიდე ადგილზე და მერე დავრეკავ, ახლა ვერ ავუხსნი სად და რატომ წამოვედი.

თვითონ იშვიათად მირეკავს დედა. არ ვიცი, როდის გცალია და არ მინდა შეგაწუხო. და თუ

მთელი დღე არ დავრეკე, ისე არ დაწვება, რომ ჩემი ამბავი არ გაიგოს, არ მომიკითხოს.

საათს დავხედე. 7 საათი ხდებოდა. ცოტა დრო კიდევ მქონდა. არ მინდოდა, რომ დაესწრო ჩემთვის დარეკვა.

კვლავ ფანჯრიდან დავიწყე ყურება. ულამაზესი პეიზაჟი თანდათან იცრიცებოდა, ფერებს კარგავდა. თავის ტკივილმა ზალიან შემაწუხა. გამახსენდა, რომ დილის მცირე საუზმის შემდეგ აღარაფერი მეჭამა.

მშიაო, — ნონამ წამჩურჩულა, თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხა. მე ხმა არ ამომიღია, მაგრამ მივხვდი, რომ ძალიან წინდაუხედავად მოვიქცეით, პატარა ბავშვებივით გამოვცვივდით, არც საგზალი გვაქვს, არც ღამისთევასზე წასაღები სანოვაგე.

— არა უშავს, ბიცოლა ჩემმა იმდენი რამე წაიღო, სუფრა ერთად იშლება. იქ ჩემი და შენი არ არსებობს, საჭმელ-სასმელის მეტი რა იქნება!

— როდის, წირვის შემდეგ? მანამდე მშვირები უნდა ვიყოთ?

— ონში ვიყიდოთ რამე, რაღა დარჩა.

დღის სინათლე ღამის წყვდიადმა მთლიანად შთანთქა. გარეთ აღარაფერი ჩანდა. ჩვენც დავიდალეთ საუბრით და ფიქრებში წავედით. ყველაფერი მტკიოდა — თავი, ყელი, მუცელი, ბეჭები მეწვოდა მოუხერხებელ სკამზე დიდხანს ჯდომით.

ონის მაღაზია თითქმის ცარიელი დავგვხვდა. ბურლულეულის, ზეთისა და კონსერვების გარდა არაფერი იყო. პურს მხოლოდ დილით ვიღებთ და შუადღემდე იყიდებაო. რამდენიმე ერთჯერადი ყავის პაკეტი ვიყიდეთ და ტაქსიში ჩავსხედით.

ბიცოლა ჩემთან შევიაროთ, გამოვართმევ რამეს, — იმეორებდა ნონა გზაში.

მიხვეულ-მოხვეული აღმართები, ალაგ-ალაგ მოხრეშილი დანგრეული გზა კიდევ უფრო გაიწელა. როგორც იქნა, ჩავადწიეთ სოფელში. ნონას სახლი მაღლობზე იდგა. სანამ აღმართს დავადგებოდით, მარცხნივ გადავუხვიეთ და ერთი სახლის ჭიშკარი დაუძახებლად შევალეთ. ყველა ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა. აივანზეც დაუძახებლად ავედით და ნონამ სახლის კარი შეაღო. მე იქვე

გავჩერდი. ახლავა შევნიშნე, რომ მაგიდასთან 4-5 წლის ბიჭი იჯდა, წინ ფაფით სავსე ჯამი ედგა და ხელში კოვზს ატრიალებდა. თევზზე სამი ნაჭერი პური იდო. ბიჭისკენ წაველი. გაკვირვებული მიყურებდა, ახლოს მივედი და თითქმის ჩურჩულთ ვუთხარი: — ერთი პური მომეცი რა!

ბიჭმა კიდევ უფრო გაიკვირვა ჩემი ნათქვამი, თითქოს ყურებს არ უჯერებდა, მერე პურის ნაჭერი აიღო და გამომიწოდა. ღიმილით ჩამოვართვი, ის იყო, მაღლობის გადახდა დავაპირე, რომ კარი გაიღო და ნონა გამოჩნდა. უკან ბიცოლა და ჩემთვის უცნობი 5-ნ ადამიანი მოყვებოდა. მარცხენა ხელი სასწრაფოდ უკან წავილე და ნონას შევხედე. ხელში თავისი ხელჩანთის გარდა არაფერი ეჭირა. მივხვდი, რომ სტუმრებთან ვერ გაუბედა ბიცოლას საჭმლის თხოვნა. პურის ნაჭერი მუჭში მოვიქციე და მაგრად მოვუჭირე. ბიცოლამ ჭიმკრამდე გამოგვაცილა. 11 საათზე დავიდრებით ეკლესიისკენ, არ ჩაგეძინოთ, ნამეზავრები ხართო.

ნონა ნირწამხდარი მოაბიჯებდა. მეც არაფერს ვეკითხებოდი. დავაპირე, ჩემი ნადავლის შესახებ მეთქვა, მაგრამ ჯიბეში ტელეფონი აწკრიალდა.

— დედა რეკავს, — აღმომხდა ხმაძალა.

— დედა!

— რა გამოართვი ბავშვს ცოტა ხნის წინ? — ჩამესმა ყურში.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. არ უკითხავს, სად ვიყავი, როგორ ვიყავი, ან იქ რა მინდოდა... ბავშვს რა გამოართვიო, — მკითხა. დედის ხმაში იყო დატუქსვა, ზრუნვა, ტკივილი, სითბო, გაკვირვება, პატიება...

აი, როგორ მუშაობს 21-ე საუკუნის ტექნოლოგია. ამ მიუვალ სოფელში, თბილისიდან 200 კილომეტრის დაშორებით, მშვიერმა პური ვითხოვე და ორ წუთში დედამ გაიგო, რომ მისი შემოილი შვილი შუალამისას მშვიერი დაეხეტებოდა რაჭის ერთ მიუვალ სოფელში და პურს ითხოვდა.

— ერთი ნაჭერი პური, — ვუთხარი და ხელის გულს დავხედე. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მართლა ხდებოდა ეს ყველაფერი, მართლა მეჭირა ხელში პურის ნაჭერი თუ სიზმარი იყო.



პოეტის დღიურიდან ჯუბა ლეჟაძე



ესპანური „კანტატა“

ესპანეთში მოხვედრისას, მისი სილამაზით, მრავალფეროვანი ბუნებითა და არაჩვეულებრივი ხუროთმოძღვრებით აღფრთოვანებულს, პირველი კითხვა რაც გინდობა, ესაა – როგორ ააშენა და დაამშვენა ამ „მუდამ“ მხიარულმა ხალხმა ეს დიდი ქვეყანა, სულ ზეიმი და „ფიესტები“ რომ აქვთ.

დიახ, ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც საშუალო დღე დილის 9 საათიდან შუადღის 1-2 საათამდე გრძელდება. 2-დან 5-მდე ისვენებენ, 3-4 საათია შესვენების შუალედი (და რვა საათზე მთავრდება მუშაობა), გარდა დიდი მარკეტებისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებისა, რომელთა მესაკუთრეები, ძირითადად, ლათინო-ამერიკელები არიან, ყველაფერი დაკეტილია. შესვენების გარეშე მუშაობენ, აგრეთვე, ჩინელები, რომელთა მაღაზიები ერთი-მეორეზე მიყოლებით არის განლაგებული ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში და დღითი-დღე მრავლდებიან.

გარდა ამ ოფიციალური საშუალო „შესვენებისა“, თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს, რაღაცას აღნიშნავენ და თავს დღესასწაულს უწყობენ... ეს დღესასწაული შეიძლება იყოს უბრალოდ რომელიმე ქუჩის დაარსების დღე, რომლის დროსაც სპეციალურ სამოსში გამოწყობილნი დაფდაფებითა და შეძახილებით დადიან და მღერავენ. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ ამ ქვეყანაში მოგზაურობისას ასეთ მსვლელობას გადაწყდით.

მეტად სახალისოა „ყველისა და პამიდვრის დღესასწაულები“, რომლებიც სხვადასხვა დროს იმართება. „ყველის“ რიტუალისას, შემალღებულ ადგილიდან აგორებენ მკვრივად შეკრულ რძის ნაწარმს და ვისი ყველიც შორს გაგორდება, გამარჯვებულიც ისაა...

რაც შეეხება „პამიდვრს“, ისინი დიდი ურმებით, ურიკებით გამოაქვთ, მოქალაქეები ერთმანეთის პირისპირ დგებიან, დასდევნ და ესვრიან ერთმანეთს. შედეგად, ყველა წითლად არის შეღებილი, რითაც ტკბებიან და ხარობენ.

კითხვაზე, როგორები არიან ესპანელები, ყველაზე შესაფერისი პასუხი არის ის, რომ ისინი წარმოუდგენლად ხალისიანები არიან. ამ ადამიანებს უყვართ ხმაური, გართობა და ყოველთვის

ცდილობენ თავიანთ ცხოვრებაში ამ წესის განხორციელებას.

სიტყვა „ფიესტა“ ადგილობრივებისთვის უბრალოდ სიტყვა არ არის. სინამდვილეში, ესპანელების უმეტესობისთვის წარმოუდგენელია ცხოვრება დღესასწაულების გარეშე.

ისინი განსაკუთრებით ეროვნულ დღესასწაულებს აფასებენ. მათ შეუძლიათ მთელი დღის განმავლობაში ქუჩებში ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა იარონ. ესენია წმინდანთა, ცნობილ პიროვნებათა, მუსიკის, პოეზიისა თუ სხვადასხვა სპორტული მიღწევების პატივსაცემად გამართული მსვლელობები.

აქ ერთნაირია გართობა – როგორც დიდ ქალაქებში, ასევე პატარა სოფლებში. გარდა ამისა, ესპანეთში არსებობს ცნება – „რეგიონული დღესასწაული“ და თითო რეგიონზე, სულ მცირე, სამი ასეთი დღესასწაული მაინც მოდის. ამას ემატება თითოეული ქალაქისთვის დამახასიათებელი საკუთარი დღესასწაული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ესპანეთი „კარნავალების“ რაოდენობით მთელ მსოფლიოში ლიდერობს. მერწმუნეთ, ადგილობრივები არც ერთ დღეს არ ატარებენ ზეიმების გარეშე. ამიტომაცაა, რომ ამ ქვეყანას უამრავი უცხოელი სტუმრობს დასასვენებლად და გასართობად. ნებისმიერ დროს აუცილებლად მოხვდებით რაიმე სახის ზეიმზე და შეძლებთ პირადად მიიღოთ მონაწილეობა. კლიმატური პირობებიც იძლევა საშუალებას, იაოროთ ქუჩებში თითქმის ყოველდღე, რადგან ყოველთვის თბილი და სასიამოვნო გარემოა.

შორს რომ არ წავიდეთ, მოკლედ და თანამიმდევრულად ჩამოვითვლით ძველი იბერიის ამ ულამაზესი ქვეყნის ყოველწლიურ დღესასწაულებს.

1 იანვარი. ახალი წელი. აქ კომენტარი არ არის საჭირო, რადგან ეს დღესასწაული მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

6 იანვარი. მეფეთა დღე. ეს დღესასწაული პირდაპირ კავშირშია იესო ქრისტეს დაბადებასთან. ამ დღეს აღიძვრენ სამ მოგვს, რომლებიც იესოსთან მივიდნენ მისი დაბადებიდან მეთორმეტე დღეს საჩუქრებით. ქუჩებში დადის სამი სპეციალური მანქანა, რომელთა ძარებზეც დგანან საგანგებოდ გამოწყობილი მოგვები. მათგან ერთი აუცილებლად შავკანიანი უნდა იყოს, ერთი ფერადკანიანი და ერთიც თეთრი. მოსახლეობა განლაგებულია ქუჩების პერიმეტრზე და ელოდებიან მეფეების გამოვლას. ისინი, თავის მხრივ, ტკბილეულს და სათამაშოებს ურიგებენ მოქალაქეებს.

თებერვალი. ეს თვეც დატვირთულია კარნავალებით, ხოლო 28 თებერვალი განსაკუთრებულია, რადგან **ანდალუსიის დღე** აღინიშნება. 1980 წელს ანდალუსიას მიენიჭა ავტონომიური თემის სტატუსი. ამ დღეს სკოლებიც კი დაკეტილია და არადადეგები ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. ადგილობრივები მას „**თეთრ კვირას**“ უწოდებენ.

19 მარტი – წმინდა იოსებისა და ფალიასის დღეა. დიახ, 19 მარტს ესპანეთში ორი დღესასწაულია, პირველი, – იოსების დღე, რომელიც ითვლება ყველა **დურგლის მფარველის** დღედ და დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება მადრიდში, ვალენსიაში, კას-



სან-ფერმინის დღესასწაული

ტილიაში, მურსიაში და ზოგიერთ სხვა რეგიონში. მეორეა – ფალიასის დღე, რომელიც ვალენსიის ყველაზე პოპულარულ დღესასწაულად ითვლება. ამ დღეს აღნიშნავენ გაზაფხულის დადგომას და „ცეცხლით განწმენდის“ რიტუალთა წარსულში ტოვებენ ყველაფერს, რაც ცუდი და უსიამოვნო იყო. ქალაქის მერი მოქალაქეებს გადასცემს გასაღებს ყველაზე დიდი ხანძრის დაასანთებად.

მარტი-აპრილი – წმინდა კვირა და აღდგომა. აქ ესპანელები ჩვენგან დიდად არ განსხვავდებიან. დიდმარხვის შემდეგ იმართება რელიგიური მსვლელობები.

აპრილის გამოფენა სევილიაში. ეს დღესასწაული აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ ტარდება. ყველა ადგილობრივი იცვამს ნაციონალურ კოსტიუმს და დადის ქალაქში. პარკებსა და სკვერებში მოწყობილია სპეციალური სადგომები, სადაც უგემრიელები კერძებითა და სასმელებით უმასპინძლებიან სტუმრებს. ეს შეიძლება ჩვენებურ „თბილისობას“ შევადაროთ. ამავე დროს ტარდება „კორიდა“ და ეს რიტუალი ყველაზე მნიშვნელოვნ ღონისძიებად ითვლება დღემდე.

23 აპრილი – „გიორგობა“. დღესასწაული ჩვენს „გიორგობას“ არაფრით არ ჰგავს. ეს შეყვარებულთა დღეა. ბიჭები და გოგონები ერთმანეთს საჩუქრებს ჩუქნიან და რესტორნებში ან სახლებში რომანტიკულ ატმოსფეროში ატარებენ დროს.

1 მაისი – შრომის დღე. დღესასწაული ჩვენთანაც აღინიშნებოდა და უცხო არ არის.

2 მაისი – მადრიდის დღე. ამ დღეს, XIX საუკუნეში, დაიწყო ესპანეთ-საფრანგეთის ომი, სადაც ოფიცრები აჯანყდნენ. ეს თარიღი ისტორიაში შევიდა, როგორც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლო.

ქრისტეს სხეულისა და სისხლის დღესასწაული – ტარდება აღდგომიდან ორი თვის შემდეგ. მას ყველა ქალაქში არ აღნიშნავენ და მადრიდის-ეროვნულ დღედ ითვლება.

24 ივნისი – წმინდა იოანეს დღე. ეს დღე ეძღვნება ცეცხლის დახმარებით ბოროტი სულების განდევნას. ადგილობრივები პლაჟებსა და სანაპიროებზე კოცონს ანთებენ და დილაშუალომდე ცეკვავენ.

4-16 ივლისი – სან ფერმინი. დღესასწაული ტარდება პამპლონაში და მიჩნეულია მსოფლიოში

ყველაზე ცნობილ ხარების რბენის დღედ. ხარები პირდაპირ ქუჩებში დარბიან და დასდევენ ადგილობრივებს. ღონისძიებაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს, მათ შორის არიან სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებიც.

„ტომატინა“, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ე.წ. „პამიდვრის ფესტივალი“ და ივლისის თვის ბოლო ოთხშაბათს ტარდება ქალაქ ბუნოლში. ერთი საათის განმავლობაში პამიდვრებს ისვრიან ქუჩებში. ამ დღესასწაულში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე უცხოელ ტურისტებს.

15 აგვისტო – ღვთისმშობლის მიძინება. ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით, ეს დღესასწაული აღინიშნება ღვთისმშობლის მიცვალებისა და ზეცად ამაღლების პატივსაცემად. ეს დღე სახალხო დღესასწაულია და მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება. ეკლესიებში ტარდება ღვთისმსახურება, რომელიც ქუჩებში ინაცვლებს სამღვდელოების წარმომადგენელთა წინამძღოლობით.

11 სექტემბერი – კატალონიის ეროვნული დღე. კატალონიის დამოუკიდებლობის დღეა. ამ დროს ბარსელონაში მარშები და სხვა ოფიციალური ღონისძიებები იმართება.

12 ოქტომბერი – ესპანეთის დღე. ითვლება ესპანეთის ყველაზე დიდ ეროვნულ დღესასწაულად, როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. დღესასწაული ასევე აღნიშნავს ამერიკასა და ევროპას შორის მჭიდრო ურთიერთობების დასაწყისს.

1 ნოემბერი – ყველა წმინდანის დღე.

დღესასწაული გარკვეულწილად განსხვავდება ტიპური ამერიკული ჰელოუინისგან. ამ დღეს ესპანელები გარდაცვლილი ნათესავების საფლავებს სტუმრობენ. გარდა ამისა, 1 ნოემბერი სახალხო დღესასწაულია მთელ ესპანეთში და დასვენების დღეაა გამოცხადებული.

6 დეკემბერი – ესპანეთის კონსტიტუციის დღე. კონსტიტუციის დღე ამ ქვეყანაში 1978 წლიდან აღინიშნება. სწორედ ამ დღეს, ფრანკოს დაცემის შემდეგ, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა კენჭისყრით მიიღეს ეროვნული კონსტიტუცია.

8 დეკემბერი – წმიდა ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვა. ამ დღეს ყველა ადგილობრივი მცხოვრები აღნიშნავს დიდი ზარ-ზეიმით. მღერავენ, ცეკვავენ და აღიდეგენ თავის მფარველ ღვთისმშობელს.

25 დეკემბერი – შობა. ამ დღისთვის ხელიწყვება საგანგებოდ ემზადება, აკეთებენ დიდ მაკეტებს ბეთლემისას, რაც მეტ ნაკლებად ასახავს ქრისტეშობის დროს. ეს, მართლაც, ესპანეთის ოჯახური დღესასწაულია და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის ქვეყნის ყველაზე პოპულარული დღესასწაულად ითვლება. ამ დღეს ადგილობრივი მაცხოვრებლები ოჯახებთან ერთად იკრიბებიან დიდი სუფრის გარშემო და ერთმანეთში საჩუქრებს ცვლიან.

ეს იყო ზოგადი მიმოხილვა ესპანეთის ტრადიციული დღესასწაულებისა, რაც ჩვენი ყოველდღიური მძიმე ყოფის გადმოსახედიდან, შეიძლება კიდევ უფრო ლამაზად მოგვეჩვენოს.

ქეთევან ლომიძე- გელაშვილი



მამულო ჩემო

„მამული, ენა, სარწმუნოება“
ხომ საყრდენია ჩვენი,
და თუკი ერთი ფეხი დაგვიცდა
ველარც უფალი გმველის

მაგრამ, ჰაი, რომ ისევ ელვარებს,
„ჩაკრულოც“ ისევ ისმის,
„ხორუმს“ ისევე ისე ცეკვავენ,
სისხლის ქართულის ღირსნი...

წვიმა იწყება? მერე რა მოხდა,
სიცოცხლის საწყისს ეძებს,
ბალახიც ისევ აბიბინდება,
მიწას მზის სხივებს შესძენს.

„მამული, ენა, სარწმუნოება“...
კვლავ ვართ ჩვენ მათი ღირსი,
ბედნიერი ვარ, დღეს რომ ქართული
სისხლის ყივილი ისმის!

მშვიდობის კალთა გადავაფარო

ლექსს სიხარული დაგაწერინებს,
დაგაწერინებს უფრო ტკივილი,
საით მიჰყავხარ ავბედით ქარებს
ან თეთრი რაში საით მიილტვის?

ზეცას ვაქარგავ ფერად ვარსკვლავებს
გზას გამინათებს მთვარე ნამგალა
და წვიმის წვეთებს ცრემლით ნაპკურევს
მივეფერები ლექსით ამგვარად:

მინდა აანთოს მზემ მობრდღვიალემ,
სხივებს სტყორცნიდეს მუდამ სამყაროს,
და დედამიწას ომების ნაცვლად
მშვიდობის კალთა გადავაფარო.

გაზაფხული

თვალთა ხედვა რასაც გასწვდა
გაზაფხულის ფერია,
ცაზე ღრუბლის ფთილას ართავს
ზეცის თეთრი ფერია.
ქარს ჯიუტად აერია
მზის და მთვარის მითები,
ატმის ტოტებს უფრიალებთ
ვარდისფერი ჩითები.
ღიღ-კილოებს ველარ იბნევს,
კაბის კალთა ფრიალებს,
ქარი ისევ დანავარდობს,
ცლის ღრუბლების ფიალებს.
წვიმაც, ქარიც და ტყემლებიც
დღეს ერთ ხმაში მღერიან
და ღრუბლების ფთილას ართავს
ზეცის თეთრი ფერია.

ნოსტალგია

იმ დროს, როცა ფიჩხის კონა
ტკაცუნობდა,
თონეში მეზობლებიც განიცდიდნენ
კუტი პურის ჩავარდნას...
დღეს ვიხსენებ:
ჭყვინტი ყველის გადატეხვას თონის პირას
და ბავშვების
ლახტა-ბურთის გამართვას.
ნეტავ რა სჯობს
იმ ზღაპრული მირაჟების დანახვას.

მზეც რომ ციდან
ცხრავე თვალთ გვიყურებდა,
ლამით ციციანთელების
გუნდს დაუდევდით თამამად,
ან მარტისპირს
მორცხვ ენძელებს ვიკიდებდით საყურედ და
შევეყურებდით ცას –
დიდებულ სანახავს,
ნეტავ რა სჯობს იმ
ზღაპრული მირაჟების დანახვას.

იასამნის ცელქი ტოტი
სულ სხვა სურნელს გვაპკურებდა,
და ვიყოფდით
ჭირსა და ღზინს
ერთმანეთთან თანაბრად,
ნეტავ წუთით დამაბრუნა ბავშვობაში,
თუნდაც მოკვდე,
ვარ მე ამის თანახმა,
ოღონდ წუთით,
თუნდაც წუთით,
კვლავ ხელახლა
იმ ბავშვობის
მირაჟები მანახა.

გზები და ადამიანები

ვერ მორიგებულან
გზები გასაყართან,
ვინ საით წავიდეს,
ველარ გაუგიათ,
იწილო, ბიწილო...
ყველა გზა საყდართან
მიგვიყვანს ნეტავი?
გულში გაუვლიათ.
დაისიც ფიქრით
და ოცნებით აქ არის,
განზე განდგომა
ხომ ახლა აუგია...

ვინ ქალაქს წავიდა
ვის ერგო სოფელი,
დაიწყეს ბოლოდან
და ზოგმაც თავიდან,
ვინ, როგორ გავიდა
იებით მოფენილ
გზებზე და
ველარსად რომ
ვერსად წავიდა.
დაისიც სევდის და
დარდების სწორფერი
წამოდგა მღიმარედ
ფიქრების ლამიდან.

იქით აბრამ ამცნო:
„ამ გზაზე ნუ წახვალ,
ინანებ, ეგ გზა და
ეგ ფიქრი ჩარაზე“,
მერე მიუბრუნდა
ცას გადაულახავს
და უთხრა, – იფიქრე,
ძვირფასო, ამაზე:
ჩვენ ერთად ვიზილავთ
სივრცეებს უნახავს
გავდივართ ტაძრისკენ
მიმავალ შარაზე.



თამარ ბაბოძე



გზები და ადამიანები

**ღია წერილი ნინო არსენაშვილს, მის
ლექსთა კრებულზე – „ხმა მომავლიდან“**

ვიხილე წიგნი – „ხმა მომავლიდან“ –
მეზობელ ზეცამ გამოძვლინა...
რაც შეგიქმნიათ უფლის კარნახით,
მომგვარა შოკი, თანაც კარგა ხნით!
აქ თითო ლექსი თითო წიგნად ღირს,
მალმერთებელი ქვეყნის, წინაპრის...
სიტყვასთან ომნი გადაგილახავს,
განძი ბაჯალო გადაგინახავს!
ციდან სხივად მზის ჩამომავალი,
ნინოს სეხნიავ, შთამომავალი,
ვათიე სამი უძილო ღამე,
საკადრი თქვენი როგორ ვთქვა რამე?!
„სიმაღლეების ქართული სევდა“
თქვენს გულის ფეთქვას საშუაოდ სდევდა,
გზედავთ უებარ მალამოდ ჩვენთა –
საკურნებლად – ყველა ქართველთა!..
ქრისტეშობისთვე გამიხალისდა
თქვენს ნაოცნებარ გამო იმედთა...
გამიასკეცდა რწმენა ზვალისა,
რაც ავტოგრაფმა გამოიმეტა!
სამყაროს უმზერო ყველგანმყოფივით,
ამომხვევებთ გულის უფსკრულებს,
მივეახლები თითქოს ფოფინით
მირონმდინარე ხატთა ლუსკუმებს!
ლექსთ-ქცეულთ ღზინად, თუ სიტყვა-ურვად,
ყველას კკითხულობ გულწრფელი ცრემლით,
დამღვარა წიგნმა ცრემლ-სიყვარულად
და გეფერებით პატივისცემით!
ოქროაზრების დოღი მაჩვენა –
ფანატიკოსად თქვენდა ვითვლები,
დალოცოს ღმერთმა თქვენი მარჯვენა!
გიმრავლოთ მუხამ ოქრორითმები!
ერის ღზინ-ვარამს, ქცეულთ საშუაოდ,
თქვენმა ლექსებმა მიუსაღებუნა!

აპნისი, 2025 – შობა უფლისა

დამშვიდობება

დამშვიდობება
გამიგონია –
ამბორით,
ცრემლით,
ან ჩახუტებით...
შენ ვერ მიმიხვდი
ნათქვამს, მგონია –
ბაგეზიც,
თვალზეც,
გაქვს ჩაფხუტები?!
ვიცი, უთუოდ
მოგენატრები,
შემოგაცვდება
როცა ხუნდები,
მაგრამ იქ, სადაც
დამშორდნენ
უბრად,
ოქროს
ჯაჭვითაც
აღარ
გბრუნდები!..

ვისი ბრალია?

ცხოვრებამ, გვიან ვხვდები,
რა გვიყო –
ერთად სავალი
გზები გაგვიყო.
კარი დახურა, მაგრამ იმედის
ციცქნა სარკმელი
აღარ გაგვიღო!..
ანაბეჭდები თითის კი არა,
წლებით ნატკენი
გულის აგვიღო...
ვისი ბრალია?!
ბედის, რომელმაც
უთქმელი სიტყვა
ველარ გაგვიგო?!
იქნებ ღუმილით ჩვენც დავაშავეთ,
ხარაკირი კი
ბედმა აგვიგო!
დავაგვიანეთ...
გესმის, ამიგო?!

ორი წამება...

დაყოფილია დრო სიცოცხლის,
წლებად, წამებად.
გამოირჩევა სატანჯველში
ორი წამება –
უბედურებაც წამებაა,
ბედნიერებაც,
ორი – სხვადასხვა – გემოთი
გულის ბედი ერევა:
უბედურება კაცს აწამებს
თავდასაღწევად,
ბედნიერება – წამებაა
შენარჩუნების!
ორივესი კი შეუძლია
კალამს აწევა –
რადგან ორივე თანაბარი
ზნეა ბუნების!
...უფლის ნებაა,
რომ სიცოცხლის
აკენის დარწევა,
ძალაც გვისაგზღა
ბედის შეცვლის,
შემობრუნების!

აღრე გეკითხა

როგორ მიყვარდი?
აღრე გეკითხა.
ახლა თუ მკითხავ,
ალბათ ვერ ვიტყვი...
დავაგვიანდა
შენ ეს შეკითხვა,
აღრე სხვა იყო
ჩემი ვერდიქტი.
როგორ კი არა,
გეკითხა „რატომ“?
მართლა სიყვარულს?
თუ პასუხს ნატრობ?
ახლა?
როდესაც აღმოჩნდი მარტო?!
დეკემბერი ხარ...
ტყუილად მარტობ!

პატარა ბავშვისთვის...

მომავალი ტყუილად



გამოცანები

**გამოცანა გამოხატავს საგანს ან მოვლენას
ნართაულად, მსგავსი საგნების ან
მოვლენების საშუალებით.**

1. გოგონაა ზღაპრის გმირი,
უყვარს დედა, ბები...
ტყეში მგელი შეეყვარა,
თურმე შეშინებია.
ვინც მის სახელს ვერ მიხვდება,
განა თქვენში ბევრია?

2. ცოცხზე უყვარს შემოჯდომა,
ისიც მხოლოდ ზღაპარში,
სიტყვა „ქარი“ ფიგურირებს
მის სახელში, თუ... გვარში.
პასუხს კელი, მჯერა შენი,
ხარ ნიჭიერი ბავშვი...
მგონი, კიდევ გამოიცან,
დავასრულოთ თამაში.

3. ფრინველთა მეფე გახლავარ,
მიყვარს კლდეები, მთა,
ძლიერი ფრთებით, კლანჭებით,
მეტი რა უნდა ვთქვა.

4. ზოოპარკის ბინადარი...
სამშობლო აქვს — ავსტრალია,
შვილს ატარებს მუდამ ჩანთით,
დარია თუ ავდარია.

5. ფრინველია ლამაზი,
მარაოს ჰგავს კუდით,
აბა მითხარ — სახელზე
თუ იფიქრე წუთით.

6. ცხოველია გრძელკისერა,
თავი კონტა, პატარა...
იმის სხვისგან გამორჩევას,
სხვა რა უნდა, აბა, რა!

7. წყლის ფსკერი, ლამი, ლაქაში...
აი, იმისი სამყარო...
არც კბენას დაერიდება,
კბილები თუკი წაგავლო.
მგონი, ვერ გამოიცანი,
სათქმელი უნდა განვავრცო:
უკან სვლით დაიარება,
როგორმე უნდა გაგაცნო!

8. მიწის მოხრელი, მატლის მტერი,
ქურჭი მოსავს შავი ფერის,
შვიდი ასო მარაგში გაქვს
სხვა რა უნდა — არაფერი.

9. პატარა და ეკლიანი,
მუქი ყავისფერი,
ერთხელ ვნახე, ლობისძირში,
გველს გამოჭრა ყელი.

10. ნადირთა მეფედ იცნობენ,
მამრს ამშვენებს ფაფარი,
მასზე უფრო ღონიერი,
ტყეში არვინ არ არის.

11. ვერ ვხედავ და მხოლოდ ვგრძნობ,
გამოიცან, აბა, მიდი...
აბსტრაქტულის და უხილავს,
თვალეები აქვს დიდზე დიდი!

12. ხან მწარეა და ხან ტკბილი,
გამოიცანი თითქმის...
ორი საკეტი ფარავს და
სამი ასოთი ითქმის.

13. უყვარს კომბოსტო, სტაფილო,
თავის სოროში ბუდობს...
ყველა აფრთხობს და ამინებს,
ბოსტანში მაინც ქურდობს.

14. გარეული ნადირია,
ჯაგრიტა და ეშვით...
ნუ ყოვნდები, მიპასუხე,
გასაგებად ვერ ვთქვი?

15. ხეზე გადადის ყირაზე,
კუდიანი და მანჭია...
შვიდი ასო დაიხმარე —
უმაღლესი — პაწია.

16. სითხეა ფორმა საწყისი,
გაყინავ, მყარი გახდება,
თუ გააცხელე ძალიან,
სულ აორთქლდება, გაქრება.

17. ნისკარტი აქვს გრძელი,
ასეთივე ფეხები...
ოთხი ასო მოიმარჯვე,
დავიჯერო, ვერ ხვდები?

18. ბუნაგში წევს თავისთვის,
ძლიერ უყვარს თაველი,
თქვი თამამად: რა ჰქვია?
ჩუმად ნათქვამს არ ვთვლი.

19. მეფემ რომ მოინადირა,
ლეგენდად იქცა ფრინველი,
ვინ მოიფიქრებს მის სახელს,
აბა, ვინაა პირველი?

20. კაცი ესვრის, მხეციც ერჩის,
ტყის მშვენება იმას ეთქმის,
რა ჰქვია, თუ ვერ მიმიხვდი,
ქორბუდაა იგი ერთი.

21. კაბა აცვია – გოგო არ არის,
ქოჩორს ატარებს – არაა ბიჭი,
ბაიასფერი, გვირილასფერი...
გამოიცანი? – გქონია ნიჭი!

22. ნანგრევში უყვარს ცხოვრება,
ფრინავს, არაა ფრთოსანი...
ერთ ცნობილ ლექსში ცნობილი,
აკრიტიკებდა მგოსანი.

23. ჭრელი და ბრჭყალებიანი,
შენ ნუ გგონია – ავაზა,
სწორ პასუხს უმაღ გაიგებ,
როცა ექვს ასოს დახარჯავ.

24. შხამიანი და უშხამო,
სრიალებს, განა დადის,
„ქვის ქვეშ იმისი ხსენება“ –
ამბობს ბებია დალი.

25. გადაძოვა ბალახი,
წყალში უყვარს ნავარდი,
ექვსი ასო დაიხმარე...
უნდა მიხვდე, ახლა კი.

26. ერთგულია კაცის, დარაჯია სახლის,
ვიცი, მისი სახელი ყველა ბავშვმა იცის...
ხან დაგიღრენს, ხან კიდევ
იწყებს კულის ქიცინს.

27. მწვანეა და ბურთსა ჰგავს,
ვთესავთ, ვთოხნით, ხანაც ვრწყავთ,
არ დავმაღავ, უნდა ვთქვა:
ასო უნდა, ზუსტად რვა.

28. რბილი ბაკანი,
შიგნით მარცვალი...
ძნელი გგონია? –
არ ხარ მართალი!

29. სოფლიდან ბებომ მოგვართვა,
თვითონ ააბა ნემსით...
აბა, რა ჰქვია იმ ნუგბარს,
უნდა მიმიხვდე წესით.

30. შინაური ფრინველია,
ვითომ... არ აქვს ჭკუა,
სისინებს ცუდ ხასიათზე,
გუნებაზე თუა.

31. ცას რომ შვიდფერად ანათებს,
ნეტავ, ვხედავდე ხშირად...
სულ ათი ასო იკმარე
და... ცას შეხედე მშვიდად.

32. მჭადსა ჰგავს და დღე იძინებს,
ხან სავესა, ხან არა...
კარგად თუ არ დაფიქრდები,
ან მიხვდები, ან არა.

33. წელიწადის ამ დროს,
მოუთმენად ველი,
რა ვქნა, ყველას მირჩევნია,
ოქტომბერში რთველი...
უნდა მიხვდე – რა დროა,
თქვი – სწორი თუ გამოვა.

34. გაზაფხულის ყვავილია,
თუ გგონია ია, ცდები,
ცხრა ასოთი დაგიზუსტე,
მე მგონია, უკვე ხვდები.

35. თბილ ქვეყნიდან მოიჩქარის,
მისი ბუდე აქ დარჩა –
აპრილისთვის გვესტუმრება,
ყველა, რაც კი გადარჩა.

36. გამომწვარი თიხისგან,
მრგვალი არის ფორმით,
საცხოვია იგივე
და... პატარა ზომის.

37. თავი აქვს და ტანი არა,
ჩაუხვევია ფოთლები,
უმი კარგია სალათად...
სახელს მეტყვიან ნორჩები.

38. ის მტაცებელი ცხოველი
ნაკვალევს კუდით წაგიშლის,
ემშაკი, გაიძვერა,
მაგრამ არაა საშიში.

39. ობოლი და უსუსური,
ერჩის მხეცი, ფრინველი,
ვაჟამ ისე აღგვიწერა
აატირა მკითხველი...
ნაკითხი და ჭკვიანია,
ვინც მიხვდება პირველი.

40. ცხოველია მეტად სუფთა,
მაღალი და ჭიხვინა,
ვთხოვე და ზურგზე შემისვა,
ჩემი ვედრება ისმინა.

41. იწველის, ძროხა არაა,
ულელში ვაბამთ, ვით ხარი,
შავი და ღონიერია...
რა ჰქვია, აბა, მითხარი.

42. წინ და უკან მოძრაობით,
ცოტას დადის თუ ბევრს,
ერთ ადგილს ტკეპნის, კერასდროს
გადააბიჯებს ზღუდეს.

43. თეთრი ფერია მიდამო,
მზე იშვიათად მოჩანს...
თქვი, წელიწადის რა დროა,
შენ გეკითხები – გოჩა.

44. ტრაბახა და ბაქია,
ზღაპრის გმირი ერთი,
ზარმაცსა და უქნარას
მაინც წყალობს ღმერთი.

45. ღამის ფრინველი, დიდთავა,
შეკითხვა რომ არ გავწელოთ,
მისი ნამდვილი სახელი
ორი ასოთი დავწეროთ.

46. ზოგი ხეებზე დაცოცავს,
ზოგსაც სცოდნია ფრენა,
თხილი, კაკალი... ზამთრისთვის,
უწყვია ფენა-ფენა.

47. ვირსა ჰგავს მგონი, ცოტათი,
შენ ნუ გგონია ჯორი...
დაფიქრდი, რადგან ამათგან
თუ განასხვავებს ზოლი.

48. მდელოზე თავი ამოჰყო,
ამშვენებს შავი ხალი,
წითელი ფერის ყვავილი,
მსურს, არ მოვწყვიტო თვალი.

49. წყალია მისთვის სამოთხე,
ხმელეთზე მალე მოკდება,
საჭმელად გემრიელია,
ბადეს ადვილად მოჰყვება.

50. ჰაერს წმენდს და ასუფთავებს,
მიწაში აქვს ფესვები...
იმ ორ ასოს გიკარნახებ,
თუკი მართლა ვერ ხვდები.

51. სარქველია თავისა
და სიმბოლო ნამუსის...
უკვე მზად აქვს პასუხი
პაწაწინა ანუსის.

52. ხელს რომ ვიბანთ, წასასმელად
რაც გვჭირდება, იცი, ილო,
მე გთხოვ, იმას დასაწყისში
ორი ასო მოაცილო...
ჯუჯა ცხენის სახელია,
სულ ადვილი სათქმელია.

53. ზოგჯერ ბუზს აბამს ბადეში,
მინახავს მათი ბრძოლა...
ხუთი ასოა საჭირო,
კარგად დაფიქრდი, ლოლა.

54. გრძელ ფეხებზე შემდგარი,
წყალში იჭერს ბაყაყს,
იმ ფრინველის სახელს,
თუ დავუმატებთ ქალაქს...
ერთ ქართულ სოფელს მივიღებთ,
მშვენიერსა და ლამაზს.

55. ის მავნებელი მწერია,
ყანის პირველი მტერია,
ხან დახტის, ხანაც დაფრინავს,
მწვანე ან ყავისფერია.

56. სხვის ბუდეში კვერცხებს დებს,
ის საძაგელი ფრინველი...
მითხარით, ვინ გამოიცნო,
ვინაა თქვენში პირველი?

57. თავქოჩორა კრუხი და
უხსენებელი გველი...
რა საერთო აქვთ ამ ორს –
პასუხს ახლავე ველი.

58. წვერცანცარა, კიკინა
დავაბი და მირჩინა,
იმ ცხოველის სახელს მეტყვის
თმანუჭუჭა ბიძინა.

59. შინაური ცხოველია,
მტერი არის თავგის,
ხის კენწეროს მოექცევა,
მოლოდინში საფრთხის.

60. დამე უყვარს ნადირობა,
მერე, როგორ ყმუის!
დაუნდობელი, საშიში,
არ ვიგონებ ტყუილს.

61. ხორცსაც გვაძლევს, რძეს და მატყლს,
ბეწვი მისი – სანიმუშო,
შემიქია ის ყმაწვილი,
ვინც პირველი გამოიცნობს.

62. დამისახელებთ? ერთ ცხოველს,
ღონიერსა და მშვიდს...
იმისი შვილის სახელი,
ჰქვია ფრინველის შვილს.

63. თუთის ფოთოლს შეექცევა,
მას ჭამს, როცა შია,
ხან დაცოცავს, ხან მუშაობს,
ხან ზის ციხეშია.
ბოლოს იქაც მოსწყინდება,
ფრინავს ჰაერშია.

64. ვთამაშობ და ვბანაობ,
ჩემთანა არის ტოლები...
წელიწადის რა დროა?
გამოიცნობთ რომელი?

65. ბუზია, კეფხვის ფერისა,
დალოცვილია ღმერთისგან,
მისი სახელი უნდა ეთქვა:
შეღება შვიდი ბერისგან.

66. ღონიერი, გონიერი,
ხარს ავლობა ღონითა,
აბა, რა ჰქვია, მითხარი,
შენ გეკითხები – დავითა.

67. გადაუქროლა მთა-ველებს,
უჩინარი და სწრაფი,
თავიდან ქუდი მომტაცა...
რა იქნებაო, რა თქვი?

68. ნელი სვლით არის ცნობილი,
ქვეწარმავალი ერთი,
მგონი, ვერ გატეხს, მის ზურგზე,
თუნდ სპილომ დაჰკრას ფეხი.

69. მიიკლანება გველივით,
ვიწრო, ზოგი კი – ფართო,
სამი ასოსგან შემდგარი –
სახელი მითხარ, ავთო.

70. ბუნებას რომ მოსწყინდება
ძილი, იწყებს გაღვიძებას,
მდინარე კი – მთის და ბარის,
ხმაურობს და ადიდდება.
წელიწადის რა დრო არის,
დაფიქრება დაგჭირდება?

• • •

გამოცანების პასუხები:

1. წითელქუდა
2. ჯადოქარი
3. არწივი
4. კენგურუ
5. ფარშევანგი
6. ჟირაფი
7. კიბორჩხალა
8. თხუნელა
9. ზღარბი
10. ლომი
11. შიში
12. ენა
13. კურდღელი
14. ტახი
15. მაიმუნი
16. წყალი
17. წერო
18. დათვი
19. ზოზობი
20. ირემი
21. სიმინდის ტარო
22. ღამურა.
23. ვეფხვი
24. გველი

25. ბაყაყი
26. ძაღლი
27. საზამთრო
28. ბროწეული
29. ჩურჩხელა
30. ბატი
31. ცისარტყელა
32. მთვარე
33. შემოდგომა
34. ყოჩივარდა
35. მერცხალი
36. კეცი
37. კომბოსტო
38. მელია
39. შვლის ნუკრი
40. ცხენი
41. კამეჩი
42. კარები
43. ზამთარი
44. ნაცარქექია
45. ბუ
46. ციფვი
47. ზებრა
48. ყაყაჩო

49. თევზი
50. ხე
51. ქუდი
52. პონი
53. ობობა
54. წეროვანი
55. კალია
56. გუგუნი
57. ნაშიერი (წიწილები)
58. თხა
59. კატა
60. მგელი
61. ცხვარი
62. ვირი
63. აბრეშუმის ჭია
64. ზაფხული
65. ფუტკარი
66. ტრაქტორი
67. ქარი
68. კუ
69. გზა
70. გაზაფხული


თარგმანი

რევაზ ინანიშვილი

Инанишвили Реваз



ქართულიდან ჩეჩნურად
თარგმნა მექა ხანგოშვილმა



კრეჭანა

Къиежанча

ლადოს კრეჭანას ეძახიან. ეს იმიტომ, რომ გან-განზე ამოსული დიდი კბილები აქვს და სულ იცინის, იცინის...

ერთხელ კრეჭანას მეველემ დაუძახა:

– მოდი აქ!

კრეჭანა გაიკრიჭა და მივიდა.

– მწიფე გულაბი არ გინდა? – ჰკითხა მეველემ.

კრეჭანა ისევ გაიკრიჭა და თავი დაუქნია:

– მინდა.

მეველემ ჩანთიდან ჩაყვითლებული გულაბი ამოიღო და გაუწოდა.

კრეჭანამ გულაბი იმწამსვე პირისაკენ გააქანა და ჩაკბინა.

მეველემ უცებ გულაბი ხელიდან წაართვა, ჩანთიდან მეორე გაკებნილი გულაბი ამოიღო და ახლადგაკებნილს შეადარა. ორივეს ერთნაირი ნაკბილარები ეტყობოდა.

მეველე კრეჭანას ყურში სწვდა:

– იყავი თუ არა ჩვენებიანთ გულაბზე?

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა.

– ვიყავი! – აღრიალდა კრეჭანა.

ასე დაიჭირა მეველემ ეს ონავარი ბიჭი ქურდობაზე.

Ладох къиежанча олура. Гена-гена йаьлла йаккхий цергаш йолу иза даима вoьлуш, къиежаш хетаваларна олура цунах иштта.

Цхьана дийнахь хехочо мохь туьйхира кIанте:

– Схьаволал кхуза! – аьлла.

Къиежанча, «вела а къежна», дIаволавелира.

– Мерза кхор ца беза хьуна? – хаьттира хехочо.

Къиежанчас, йуха а «вела а къежна», беза аьлла, корта ластийра.

Хехачо тоьрмиг чуьра кхор белира кIантана.

КIанта цу сохьта кхурах церг туьйхира.

Катоьхна кIантера кхор схьа а баьккхина, шен тоьрмиг чуьра кхечу кхураца буьстира хехочо.

Шинна а тIехь йолу цергийн лар цхьатера йара.

КIентан лерг а уозийна:

– Тхан бешара кхораш лечкьош вара хьо? – хаьттира хехочо.

«ХIа-хIа» бахарх гIуллакх хир дацара.

– Вара,– аьлла, жоп делира къежанчас.

Ишта лецира хехочо шена кьоладина кIант.

• • •

ნოველა დაბეჭდილია წიგნში

ჩეჩნური ენა
I კლასის
მოსწავლის რვეული

იდეის ავტორი, შემდგენელი
და მთავარი რედაქტორი
მექა ხანგოშვილი



გერმანული იტყები



გერმანულიდან თარგმნა
გიორგი გარამაშვილმა

შტრიკერი (? – დაახლოებით 1250)
წარმოშობით იყო რაინ-ფრანკონიის რეგიონიდან. მან დაწერა ეპოსები „შარლოს დიდი“ (1220) და „ფეავილების ველის დანიელი“, თუმცა მისი საყვარელი ლიტერატურული სტილი იგავები იყო, რისი საშუალებითაც ამორალურობას აკრიტიკებდა.

მამალი და მარგალიტი

ბელელში, სადაც თივის ზვინი იდგა, ერთი მამალი ცდილობდა საეკისის მოძებნას, თან ამაყად ეჭირა თავი. უცბად სულ სხვა რამ – მშვენიერი მარგალიტი იპოვა.

„ჩემთვის რამე სარგებლის მომტანნი რომ იყო, ან შენით რაიმეს გაკეთება შემეძლოს, ბედნიერი ვიქნებოდი შენი პოვნით, მაგრამ ვხედავ, რომ ერთმანეთისთვის არანაირი სარგებლის მომტანნი არ ვართ. შენ ახლა ჩემთან ხარ, მაგრამ ნეტავ შენ მაგივრად შვრიის მარცვალი მეპოვა“.

მამალი იმას ემსგავსება, ვისაც ჰკონია, ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწევს და, შესაბამისად, საკუთარი თავით ზედმეტად ამაყია, მაგრამ როდესაც ის მარგალიტს პოულობს, აღარ იცის, როგორ გამოიყენოს.

რას ნიშნავს მარგალიტი? ეს სიტყვაა, რითაც ღმერთის მიემართავთ და პატივისცენ ვისწრაფვით. თუ ადამიანს ასწავლი, როგორ შეიძლება ადამიანებისგან და ღმერთისგან იყოს პატივცემული, ჯერ უნდა აუხსნა, რაში სჭირდება ეს? ვილაც ვილაცას რომ ასწავლის, როგორ იმოქმედოს სწორად, მეორესთვის თუ არაფერს წარმოადგენს, ეს მისთვის უბრალოდ ვილაც შემოიღი იქნება.

როცა ადამიანი გზაზე მარგალიტს იპოვის და არ იცის, რა მოუხერხოს, ვერასდროს გამოიყენებს, ისე, როგორც ამ იგავში მამალმა.

კურდღელი

სიმართლეს გადმოგცემთ, კურდღელი, რომელიც ათი წელიწადია, ბაწარზე გამობმულია, როცა განთავისუფლდება, უცბად ველური გახდება.

ეს არის იგავი ადამიანზე, რომელიც პატიოსნად იქცევა მანამ, სანამ იქაურობას სიძვა მოიცავს. ასეთი ადამიანი უფრო მეტად უცხო გახდება, ვიდრე კურდღელი, რომელიც ბალახში დახტუნავს.

ქაჩალი და კოლო

კოლომ უჩხვლიტა ძალიან მწარედ ქაჩალს თავზე, როდესაც თავი მოშიშვლებული შენიშნა. კაცმა მოუქნია ხელი, მაგრამ ის ამ დროს უკვე გაფრენილი იყო. ცოტა ხანში კოლო ისევ მიფრინდა, კაცმა მოიქნია ხელი, მაგრამ კვლავ ნაკბენი და ხელმოცარული დარჩა. ასე გაგრძელდა, მანამ სანამ კაცმა დაიჭირა და მოკლა.

კოლოს მე ვადარებ ლატაკ ხალხს, რომელიც ძლევაძოხილს მუდამ სთხოვს რაღაცას და არ ზრუნავს, რაც სჭირდება, თავად იმოვოს, ასე ის შემაწუხებელი ხდება და, ბოლოს და ბოლოს, მდიდარი წყვეტს ლატაკთან ურთიერთობას, შემდეგ ლატაკი ნელ-ნელა უფრო და უფრო პატივმოყვარე ხდება და ტანჯვით იქამდე მიიყვანს ბატონს, რომ ერთხელაც ნაბრძანები იქნება, ლატაკის სახრჩობელაზე ჩამოხრჩობა, ანუ მას ისეთივე აღსასრული ექნება, როგორც კოლოს.

კატა

ყველა კატის თვისება არის, რომ დაინახავს უამრავ უყურადღებოდ დაგდებულ საჭმელს, იმისკენ ისწრაფვის, რისი ჭამაც არ შეუძლია. ასე ყველაფერს აბინძურებს, ყველასთვის არა სასიამოვნო, ზიზღისმომგვრელი ხდება.

ასე იქცევა ყველა მსიძავი, რომელსაც ბევრი ქალის გაშიჯნურება არ შეუძლია, როგორც მის გულს სურს. უამრავიდან მაინცდამაინც იმას ირჩევს, ვისაც ის საერთოდ არ აინტერესებს. მიუხედავად ამისა ვერ ანებებს თავს და მეძავებთან ატარებს დროს, ის რომ ასე იქცევა, ეს არ არის უგუნურება, რადგან იცის, რომ ასე მის სიკერაჲს შეასუსტებს და თავის სურვილზე დაიმორჩილებს.

ასე ცდილობს კაცი ქალის გულის მოგებას და ის ისე იქცევა, როგორც კატა და კატის მსგავს ქებას იმსახურებს.

ჩიტი და მიმინო

დილაადრიან მწვანე ტოტზე ერთი ჩიტი გალობდა. ის სიმღერაში ისე გართული იყო, რომ სულ დაავიწყდა ირგვლივ ყველაფერი. ჩიტი ასე იჯდა და მღეროდა მანამ, სანამ მიმინო არ დააცხრა და ბრჭყალებში არ მოიგდო. ჩიტს ხმა ჩაუწყდა და როდესაც მოკვდა, საბოლოოდ დადუმდა.

ასე განცხრომით ცხოვრობენ მიწიერი ადამიანები, რომელთაც ღმერთი დაეწყებული ჰყავთ და იმას აკეთებენ, რაც გაუხარდებათ მანამ, სანამ ყველანაირი შველა უკვე გვიანი იქნება, სიკვდილი მოაწვეს და მოახრჩობს.

ადამიანების განცხრომით ცხოვრებას უფრო ცუდი ბოლო აქვს, ვიდრე ჩიტს, რომელიც თავისთვის მღეროდა. ჩიტი, რომელიც გალობდა და საკუთარი თავი დაკარგა, ის ამ დროს ჭმუნვას იქარებდა, მაგრამ მიწიერს, რომელიც განცხრომამი ცხოვრობდა, სიკვდილის დროს ადამიანთათვის წარმოუდგენელი და მრავალმხრივი სადარდებელი უჩნდება.

პროზა

ამირან ფაჩუაშვილი



თოვლის კაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც თამაზი ერქვა და ბაკურიანში ცხოვრობდა. ეს კაცი აფხაზეთში, სოხუმში დაიბადა და ომის დროს იქიდან გამოქცევამ მოუწია. პატარა იყო მაშინ და, მისი მშობლების გადაწყვეტილებით, რატომღაც ბაკურიანში დასახლდნენ, სასტუმროში, რომელიც აფხაზეთიდან დევნილებმა თვითნებურად დაიკავეს. ერთი პატარა ნომერი ჰქონდათ და სამნი ძლივს ეტეოდნენ, მაგრამ სხვა არც წასასვლელი გააჩნდათ და არც გზა, ამიტომ ცხოვრობდნენ ამ მოცუტქნულ ოთახში, რომელსაც შეშის ღუმელით ათბობდნენ. მშობლები დღე და ღამე შრომობდნენ, რომ თავი გაეტანათ და მათ ბიჭს სასმელ-საჭმელი და ჩასაცვამ-დასახური ჰქონოდა, თან ბაკურიანში ხომ განსაკუთრებულად ციოდა, ამიტომ იმაზე თბილი სამოსი სჭირდებოდათ, ვიდრე სოხუმში, გაგრაში, ან თუნდაც თბილისში.

თამაზს ძალიან არ უყვარდა სიცივე, თოვლიც საკმაოდ მალე მოებზრდა და შესძულდა. იმაზე თბილად იცვამდა, ვიდრე სხვები და გარეთ გასვლა არ უნდოდა, მაგრამ სკოლაში ხომ აუცილებლად უნდა ევლო?! თოვლსა და ყინვაში, რომელიც იმაზე დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში, ფეხით მიდიოდა თავის სასწავლებელამდე. მეცადინეობაც არ მოსწონდა დიდად, სამაგიეროდ წიგნებს კითხულობდა, განსაკუთრებით კი, ზღაპრების კითხვა უყვარდა. მისი კლასელები თხილამურებზე იდგნენ, ზოგი კოხტადან ეშვებოდა და ზოგი — დიდველიდან, ის კი თხილამურებზე პრინციპულად არ დგებოდა, რადგან არ უნდოდა წაქცეულიყო, რაიმე ეტკინა და ჯანმრთელობა დაეზიანებინა. ბიჭი მთელი წელი ზაფხულზე ოცნებობდა და ძალიან უხაროდა, როდესაც დიდი ხნის ნანატრი სითბო მოიცავდა არემარეს, ამ დროს თვალს ვერ წყვეტდა სიმწვანეს და ცდილობდა, თითოეული წუთით დამტკბარიყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ თამაზმა ტექნიკურ სასწავლებელში ისწავლა და მისი დამთავრებიდან მალევე მუშაობა ბაკურიანში, ახლად გახსნილ

სასტუმროში დაიწყო. მისი ძირითადი მოვალეობა სასტუმროს ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის თოვლისაგან გაწმენდა იყო. იყვნებდა სპეციალურ აპარატს, რომელიც ბენზინზე მუშაობდა და რომლითაც თოვლს სხვა მიმართულებით ტყორცნიდა. დიდი სტაფილოსფერი ნიჩაბიც ჰქონდა, რომლითაც ისეთი ადგილებიდან იღებდა თოვლს, რომლებსაც აპარატით ვერ უდგებოდა. როგორც კი მოთოვდა და დადებდა, თამაზი თოვლის სამუშაოებს იწყებდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თოვლი დადებოდა, შემდეგ კი სხვადასხვა სამეურნეო საქმეში ეხმარებოდა სასტუმროს პერსონალს, რადგან სტუმრები არც ზაფხულში აკლდათ, საკეთებელიც სამყოფზე მეტი იყო.

ერთ ზამთარს, ბედობის მომდევნო დღეს, იმ სასტუმროს, რომელშიც თამაზი მუშაობდა, ოჯახთან ერთად ეწვია პატარა გოგონა, რომელსაც თოვლი ძალიან უყვარდა. გოგონას და მის დაიკოს ახალ წელს გასაბერი ციგა აჩუქეს და გოგონებს ერთი სული ჰქონდათ, თოვლზე როდის გამოცდიდნენ. დაბინავების შემდეგ გოგონების მამიკომ ციგა დაბერა და ქალბატონები საციგაოდ ჩაიყვანა სასტუმროს ეზოში. ძალიან მოილხინეს, ახალი ციგით ბევრი ისრიალეს და ბევრიც იხალისეს. დაილაღნენ, ციგა თან წაიღეს და სასტუმროს რესტორანში შევიდნენ, სადაც მათ უთხრეს, რომ იქ აღჭურვილობის შეტანა არ შეიძლებოდა და ციგა გარეთ უნდა დაეტოვებინათ. რას იზამდნენ, ციგა კართან დატოვეს და შიგნით შევიდნენ. რესტორანში ფრანგულად შემწვარი კარტოფილი მიირთვეს და ისევ გარეთ გავიდნენ. ციგა კარებთან არ დახვდათ, მიმოიხედეს და დაინახეს, რომ ვიღაც ბიჭი სრიალებდა. მივიდნენ, გამოართვეს და თავად განაგრძეს ციგაობა. ნელ-ნელა ჩამოხედა, გოგონებმაც მოიოხეს გული სრიალით და თავიანთ ოთახში ავიდნენ. თოვლიანი და სველი ციგა გოგონების მამიკომ აივანზე გაიტანა და იქ დატოვა.

ერთი კვირა იყვნენ გოგონები ბაკურიანში და კარგად გაერთნენ: ყოველდღე ციგაობდნენ, თოვლის კაცებს აკეთებდნენ და გუნდაობდნენ. ღამით დაძინება იყო პრობლემა, უმცროსს არ ეთმოვოდა სიფხიზლე, ისევ თამაში უნდოდა და დედიკოს მისი თოვლის კაცით შეშინება უწევდა. ფანჯრიდან ახედებდა და სტაფილოსფერი ნიჩბით შეიარაღებულ თამაზს აჩვენებდა. ეუბნებოდა, თუ არ დაიძინებ, ეს თოვლის კაცი მოვა და წაგიყვანსო. პატარა გოგონას ეშინოდა სადღაც წაყვანის, შესაბამისად, იმ ნიჩბიანი კაცისა, ვისაც ის სადღაც უნდა წაეყვანა და სწრაფად იძინებდა. ასე გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში.

სასტუმროში ყოფნის ბოლო დღეს გოგონებმა, წინა დღეების მსგავსად, ბევრი ისრიალეს, იგუნდავეს, თოვლის კაციც გააკეთეს და ფრანგულად შემწვარი კარტოფილიც მიირთვეს, რესტორნიდან გარეთ გასულებმა კი აღმოაჩინეს, რომ თხილამურების შესანახ ადგილას დატოვებული გასაბერი ციგა იქ აღარ იყო.

ბევრი ეძებეს, სად არ შეიხედეს, მაგრამ ვერსად

იპოვეს. პატარა გოგონამ ბევრი იტირა, ჩემი ცივა მინდა, ვინ წაიღო, მომიტეხნეთო, ამბობდა. გოგონების მამიკომ სასტუმროს ადმინისტრაციას მიმართა და დახმარება სთხოვა. დაჰპირდნენ, რომ გაერკვეოდნენ ვითარებაში და შეეცდებოდნენ ცივის პოვნას. როდესაც გოგონების მამიკო დაცვის ცვლის უფროსს ესაუბრებოდა, თამაზიც იქვე იყო და გაიგო, რომ ცივა დაიკარგა. როგორც კი თავის საქმეს მორჩა, სასტუმროს დაცვის ოთახში ავიდა და ეზოს კამერების ჩანაწერებს უყურა, შემდეგ ეზოში ჩავიდა და თოვლსა და სიბნელეში ფარნით დიდხანს ეძება გასაბერი ცივა.

გოგონები უკვე დასაძინებლად ემზადებოდნენ, როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. გოგონების მამიკომ კარი გააღო და ღერეფანში თამაზი დახვდა. სასტუმროს დასაქმებულს ხელში მათი გასაბერი ცივა ეჭირა და ილიმოდა. გოგონების მამიკომ ცივა გამოართვა და დიდი მადლობა გადაუხადა. თამაზმა თავაზიანად უპასუხა, დაემშვიდობა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. გოგონების მამიკომ ცივა შიგნით შეიტანა და გოგონები გაახარა. როდესაც ჰკითხეს, ვინ იპოვა ან ვინ მოიტანაო, თოვლის კაცმაო, უპასუხა ღიმილით და ცივა აივანზე გაიტანა. იმ ღამეს პატარა გოგონამ გვიან დაიძინა, რადგან ღედიკომ ვეღარ შეძლო თოვლის კაცით მისი შეშინება.

გასაბერი ცივის პოვნით და გოგონების გახარებით კმაყოფილი თამაზი სასტუმროს პარკინგის სართულზე მდებარე თავის პატარა ოთახში ჩავიდა და ელექტროგამამათბობელი ჩართო. საწოლზე წამოწვა და კედელზე ჩამოკიდებულ ზღვის პეიზაჟს შეხედა. ზღვაზე მოუნდა, მზეზე წოლა, გარუჯვა და შემდეგ თბილ წყალში ლივლივი... გაახსენდა, რომ ბაკურიანში იყო და თოვლის გარდა იქ არაფერი ელოდა. საწოლის ქვემოთ პატარა ჩემოდანი გამოაცურა და ტანსაცმელს რამდენიმე ნივთი დაამატა.


მეორე დღეს დიდი თოვლი მოვიდა, სასტუმროს ეზოშიც კარგად დადო, მაგრამ ის არავის გაუწმენდია. სასტუმროს ადმინისტრაციამ თამაზი მოიკითხა და როდესაც ვერსად იპოვეს, პარკინგის სართულზე ჩავიდნენ, მის ოთახში, სადაც შესულ დაცვის ცვლის უფროსს სიცხე, ჩართული რეფლექტორი, ცარიელი საწოლი და ზღვის პეიზაჟი დახვდა. თოვლის კაცი იქ არ იყო, ის აღარც ბაკურიანში გახლდათ, ის თბილი ქვეყნებისკენ წავიდა, რადგან მიხვდა, რომ უნდა აკეთო ის, რაც გინდა და არ აკეთო ის, რაც არ გინდა.

ჭირი იქა, ღზინი აქა, სიცვიე იქა, სითბო აქა.



ლევან გოთუა - 120

თამარ შაიშმელაშვილი



ფოტო – თამარ და ვალიკო ზუჭუების არქივიდან

„ოდესმე გამეგონოს თავისუფლება“ –

ლევან გოთუა, ილიას გზის გამგრძელებელი

ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის – პართენ გოთუას ოჯახში დაბადებული ლევან გოთუა იყო მე-19 საუკუნის ეროვნული იდეალებისთვის მებრძოლ ქართველ პუბლიცისტთა და, უწინარესად, ილია ჭავჭავაძის გზის ღირსეული გამგრძელებელი.

1921 წლის თებერვალში კოჯორში მოხალისედ წასული შეუერთდა თბილისის დამცველებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ფრთის ლიდერი მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში.

დაპატიმრეს ჯერ მეტეხის ციხეში, 1925 წლის აგვისტოში კი თბილისისა და მოსკოვის ციხეებში იმყოფებოდა, შემდეგ სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში მოათარეს, სადაც პატიმრობა ვლადიკავკაზში თავისუფალი გადასახლების შეუცვალეს.

იმყოფებოდა ნარიმისა და ბიისკის ყინულეთში. ლექსში „გზა-წიწამური“ ილია ჭავჭავაძეს ეძებს: სად ხარ, მშობელო, მითხარი რამეო... „ჩემი გზაც ისევ წიწამურია... და მიმიღია ტანჯვა ესოდენ“ (გოთუა... 1995:153).

ლევან გოთუა თერგდალეულების და, უწინარესად კი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და მისი გზის გამგრძელებელი რომ იყო, ამას მოწმობს მთელი მისი შეგნებული ცხოვრება-მოღვაწეობა. მეორე მსოფლიო ომის დროს პოლიტიკური ჯგუფის – „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტის“ შექმნის გამო, 1946-55 წლებში მესამედ გადასახლეს და ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მისი მხატვრული შემოქმედება, პუბლიცისტიკა და ეპისტოლარული მემკვიდრეობა გამსჭვალულია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრით და უკეთესი მომავლის იმედით.

ვორკუტიდან გამოგზავნილ პირველ წერილში ისევ და ისევ სამშობლოს თავისუფლებას დასტრიალებს: „სადაც გზაში გაგათენეთ ვაი ახალი წელიწადი. ფიქრებში ჩამომაწვა სახალწლო კრი-ალოსანი. გამახსენდა სახლი. მახლობელთ შორის ჟამი სასიკეთო. ურთიერთ მილოცვა, სამშობლოს მომავლის საუკეთესო სურვილები, ოდესმე გამეგონოს თავისუფლება“ (იქვე, 281).

მწერლის მრწამსი გაცხადებულია პუბლიცისტურ ნარკვევში „კავკასიონის „ილიადა“. 1957 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ლევან გოთუას ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ოცკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელმა, „ილიას გზით“ წაიყვანა ახალგაზრდები და ბოლოს, ბეთლემის გამოქვაბულში მიიყვანა. ნარკვევში იგი აღნიშნავს, რომ განდევნილებად კი არ მისულან იქ, არამედ ილიას შვილებად, მისი კალმისა და საქმის მეშვეობით.

ეს მრწამსი მთელი მისი მოღვაწეობის ბალავრად იქცა – გადასახლებაში და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც. ამის დასტურია მისი როგორც პუბლიცისტური, ასევე მხატვრული ტექსტები. მოთხრობა „წიწამურის მიწა“ არა მხოლოდ დიდი ტრაგედიის წინარე განცდითაა დატვირთული, არამედ ერისა და ქვეყნის ბედზე მოფიქრალი მწერლის დიდი გულისტკივილია გადმოცემული.

1927 წელს ვლადიკავკაზის თავისუფალი გადასახლებიდან იწყება ლევან გოთუას შემოსვლა ქართულ მწერლობაში. 22 წლის ახალგაზრდა სოლოვეციკიდან ვლადიკავკაზში ჩავიდა და ქართულ სკოლაში დაიწყო მუშაობა. აქედან იღებს სათავეს სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობაც.

30-იან წლებში რეპრესიების და დაუნდობლობის უმძიმეს ხანაში, მთამსვლელობა იყო მისი ერთადერთი თავშესაფარი, სადაც თავისუფლად გრძნობდა თავს. უყვარდა საქართველოს ყველა კუთხე და, გაჟას მინდისავით გრძნეული და მიუსაფარი, შორეული საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრის, მთებს და ბუნებას ესაუბრებოდა...

მალულად, ჩუმად შემოიპარებოდა ხოლმე ვლადიკავკაზიდან სამშობლოში და ასევე მალულად ბრუნდებოდა უკან. ხელფეხშებორკილი იყო იქ, სადაც ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრება და გაცემა ელოდა... მხოლოდ ბუნება და მწვერვალები გამხდარიყო მისი ნავსაყუდელი... საზღვართან სხვანაირად ტკბილი იყო საქართველოს მიწა... სულ სხვანაირი, „უფრო სხივოსანი იყო მზე საქართველოსი“... აქ, ამ ბუნებაში, სევდა იპყრობდა:

„უიძელობა... მარცხის მოლოდინი. ნუთუ ჩვენი ხვედრია კიდევ... და ძველებურად მიგორავს თერგი“ (გოთუა... 1995:100).

თერგს შემთხვევით არ ახსენებს მწერალი. სოლოვეციკის მონასტრიდან დაბრუნებულ ლევან გოთუას – „ღვენილს და მათუსალას“, სამინელი მელანქოლია და სასოწარკვეთა გამუდმებით უღრღნიდა გულს... თავისუფლების სურვილი სისხლშია ჩახშული – აქვე, ახლოსაა სამშობლო და მისი ნახვის საშუალებას არ აძლევენ, სწავლის გაგრძელება უნდა და ამასაც უკრძალავენ... გამუდმებით ფიქრობს, ილიას სამყაროშია მთელი არსებით.

ეს რომ ასეა, ესეკიზი „მრუმი ტიალიც“ დაგარწმუნებთ, რომელიც 1930 წელს დაიწერა ყიზლარის ველების ქართულ სოფელში, სადაც თავისუფალ გადასახლებაში მყოფი ლევანი ქართულის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ურმით მიმავალი ფიქრებში ჩაძირული ლევან გოთუა თერგს ესაუბრება, რომელიც ყიზლარის ველზე მიედინება.

„ჩალიანებში ამომხრჩვალი“ უსულოდ ქცეული თერგი დარიალის ხეობის თერგთან შედარებით – განსხვავებულია. ლევანი უშუალოდ ელის პასუხს თერგისგან, რატომ დაკარგა მან სიზვიადე და დაუდგრომლობა? ქართული გული?... „თერგი! შენა ხარ ნუთუ?! სად არის შენი სიზვიადე? დაუდგრომლობა? უბაღლო აღტკინება?! თერგი, შენა ხარ ნუთუ?! ვიმზერ... შენ ტანში... დამანახე გული – ქართული. მაუბნე მთის სიავეარგე. თერგი! არ გესმის... თერგი, ნუთუ ველარ მცნობ მწირ მოხეტიალეს (სუიცა, 304:24).

ყიზლარის ველზე თერგი გაუცხოებულია, დაძაბუნებულია. ილია ჭავჭავაძის მსგავსად, რომელიც თერგისა და მყინვარის შედარებით ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად პრინციპს გამოხატავს, ლევან გოთუაც მთლიანად თერგს ნატრობს, ისეთი ქართველობის ხილვა უნდა, რომელიც მთებში მქუხარე თერგივით, ფზიხელი, ენერგიული, შეუპოვარი და ზნეობრივი იქნება...

ესეკიზს რეფერენად გასდევს: „ო, საქართველო! რომ იცოდე, როგორ მომშივდი... მომწყურდი რარიგ. იცი განა არ... შენ არ შეჰკვანძე ამ გვარ ჩემი ფანდური... რომ: ყოველ დაკვრის ჟამს სისხლი დაედინოს... ო, საქართველო! რა რიგ მომშივდი, მომწყურდი რა რიგ!“ (იქვე, 328).

სამშობლოს მოწყვეტილ „მწირ მოხეტიალეს“ შორს დაღანდული კავკასიონი გულს უძგერებს და ვლადიკავკაზის სტეპებში სამშობლოს ნოსტალგიას უმძაფრებს. სისხლი თბება და კიდევ უფრო მეტად წითლდება... კავკასიონს მოაქვს სამშობლოს სურნელი და მონატრება.

„დაისის წირზე აქარგული ტეხილი ხაზი... ოდნავ სამხერი... ქედის წიაღში!! კავკასიონი!! გულმა ტკივილი იგრძნო და ზიდვა კავკასიონი!! სისხლს ალბად, სითბო შეემატა და სიწითლე... კავკასიონი!! ო, საქართველო! რა რიგ მომშივდი, მომწყურდი რა რიგ“ (სუიცა, 304:28).

„გულშიც: სიცივეა და შიმშილი... მე მშია სამშობლო“... (იქვე).

სამშობლო აქვეა, ვლადიკავკაზიდან ერთი ხელის გაწვდენაზე, მაგრამ აუკრძალეს მისი ხილვა. იქ საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავს ზემო-ბენ და თავისუფლებისათვის ბრძოლაც სისხლში ჩახშობილია, თუმცა ბრძოლა გრძელდება საპატიმროებსა და გადასახლებებში...

ლექსში „გზა-წიწამური“ ლევან გოთუა ილია ჭავჭავაძეს ეძებს, მას მშობელს უწოდებს... და თავადაც თითქოს იმ საბედისწერო წიწამურს გადის, რომელიც სისხლის დათხევებით დასრულდა. „ჩემი გზაც ისევ წიწამურია... და მიმიღია ტანჯვა ესოდენ“ (გოთუა... 1995:153).

ილია „მშობელია“, რაც ნათლად ცხადყოფს, რომ იგი თერგდალეულების და, უწინარესად კი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და მისი გზის გამგრძელებელია. მწუხარებასთან და ბედის კივილთან მარტო

დარჩენილმა იცის, რომ ეს ტანჯვა-წამებაც ისევ რაინდული ცხოვრებით უნდა გადალახოს, თუნდაც გზის ბოლოს წიწამური ელოდეს. ამიტომაც აქვს მის სტრუქტურებს სარგის თმოგველის ძალა, ღირსება და რაინდობა.

„და გადახვალ ამყად, როგორც სარგის თმოგველი...
...და წამებას აიტან რაღაც თავდავიწყებით“
(იქვე, 141).

„შავი ღრუბლით მოჭედილი“ ჩრდილოეთის ცის ქვეშ – „სულიერად გამოკეტილი და ეულია“:

„როდის გამოიდარებს, არ ვიცი, მაგრამ, მაინც არის ლოდინი სასწაულად შემზარავად. ერთადერთი, რაც შემრჩენია და ბევრი მაქვს, გულსავსე ტკივილი და სევდასეული, ესეც მოლოდინის შუა გზაა, გადაწარბული“ (იქვე, 142).

და უნებურად აღმოხდება: „სუნთქვა სუნთქვა – აღარ არის – აღარა“ (იქვე, 139).

ასეთი მძაფრი განცდებით, ილიას მონატრებით და თავისუფლებადკარგულ საქართველოზე განცდით იწყებოდა ლევან გოთუას მწერლობაში შემოსვლა... შემდგომაც, მთელი ცხოვრება, ილია მისი ცხოვრების თანამდევია.

ვორკუტის მესამე, ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებული ჯანმრთელობაშერყეული მწერლის თვალი ისევ სამშობლოსკენ იყო მიპყრობილი. სტალინის სიკვდილისა და ვორკუტის აჯანყების შემდეგ იმედი წყობის შეცვლისა გააუასკეცდა. ჯერ კიდევ ვორკუტიდან იწერებოდა: „**ვოცნებობ საქართველოზე და ოცნებაში იგი უფრო ლამაზი, უფრო სანდომი და უფრო მშობლიური მგონია, მაგრამ ამასთან ერთად გული მტკივა, როდემდის უნდა იყვეს ტუსადი, ასე შებოჭილი და დამონებული**“ (იქვე, 298).

საქართველოს მომავალზე ფიქრი ილიაზე იყო გადაჯაჭვული, ილიას საქმით მეტყველი სულის გამოძახილია ეს სიტყვები: „**ერი თავისი სამშობლოს კეთილდღეობისთვის აქტიური, მოქმედი და მოძრავი უნდა იყოს და არა გუბეში მჯდარი, ცივისსხლიანი და ირიბად მჭვრეტი**“ (იქვე, 446).

ერის ვალის მოხდა მხრებზე ტვირთად ეკიდა. ამ განცდით („აქტიური, მოქმედი და მოძრავი“) დაბრუნდა სამშობლოში და მთელი ენერგია ეროვნული საქმეებისკენ მიმართა, საკუთარ თავში დიდი ენერგია იპოვა, რომ მნიშვნელოვანი საქმეები განეხორციელებინა. 1959 წელს პირველად საბჭოთა კავშირში დაარსდა ნებაყოფლობითი ორგანიზაცია – „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება“. ლევან გოთუა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებლად და პრეზიდენტის წევრად მოიაზრებოდა და სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოების ხელმძღვანელთა შორის იყო. ძეგლების დაცვა-აღდგენის მიღმა დიდი მისია იმალებოდა – „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ დაარსებას ეროვნული მეხსიერება უნდა გამოეღვიძებინა. ვახტანგ ბერიძე წერდა:

„...ლევან გოთუა, ეს დევივით კაცი, გარეგნულად საკმაოდ მოუხეშავი, მაგრამ გულთბილი და კაცთმოყვარე, ყოველ საქმეში ენთუზიასტი, ჭაბუკივით დაუღლელი, სიყვარულით, შემოიღია ვთქვა, აღფრთოვანებითაც ეკიდებოდა ქართული ძეგლების

დაცვის საქმეს. ეს თავის სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა (ჯიშკარიანი, 2017:262).

სასიცოცხლო საქმე იყო ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებაც, რომელიც „უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კერა იყო. არსებული რეჟიმის პირობებში კარგად გააზრებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ერთადერთ რეალურ გზად რჩებოდა“ (ფრუიძე, 1995:10).

მწერალი ახალგაზრდებზე დიდ იმედს ამყარებდა და, მთელ ერთან ერთად, სწორედ მათ მოიაზრებდა ძეგლების უპირველეს დამცველებად. წინაპრების ამენებული ციხე-ტაძრები და სასახლეები ქვაზე დაწერილ დედა-ენად მიაჩნდა, მათ სიყვარულს დედა-ენასთან ერთად უნდა სწავლობდეს ახალ-გაზრდობა.

ასეთი გატაცებით, ფანატიზმითა და შეუპოვრობით შეუდგა ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ გამოცემას. 1964 წელს გამოვიდა ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ პირველი ნომერი, რომელიც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოამბეს წარმოადგენდა. ლევან გოთუა იყო ჟურნალის დამაარსებელი, სახელის შემრქმევი და პირველი რედაქტორი.

როგორც ჟურნალის მაშინდელი თანამშრომელი ნორა თიგიშვილი იხსენებს, პირველ ნომერს ჟურნალის სტატუსი ჰქონდა, ამიტომ „გამოსვლისთანავე ატყდა რუსეთიდან ერთი ამბავი. დიდი ზეწოლა იყო, ჟურნალის გაუქმება უნდოდათ. ბატონმა ლევანმა თქვა, ამისთვის მე ვიბრძოლებო. იბრძოლა და მიაღწია იმას, რომ ჟურნალი გადაარჩინა დახურვას“ (შაიშველაშვილი, 2018).

გრემზე შეყვარებულმა ლევან გოთუამ ჩაუყარა საფუძველი დღესასწაულ „გრემქალაქობასაც“, რომელიც ბევრი სხვა მსგავსი დღეობის თუ დღესასწაულის ნიმუშად იქცა. ლევან გოთუას თაოსნობით მოეწყო მუზეუმი გრემის კოშკშიც და ძველი, მიტოვებული ნაშთი კულტურის ცოცხალ კერად გადაიქცა (ბერიძე, 1973:84).

„გავიზნენოთ, იმ დროს ჩვენთვის ჩვეული თბილისობაც არ არსებობდა. საეკლესიო დღესასწაულები აკრძალული იყო იმ მიზეზით, რომ წმინცისთვის როგორმე თავი აერიდებინა ხალხს. ამიტომ „გრემის ქალაქობის“ აღნიშვნა 28 აგვისტოდან, მარიამობის დღეს დაიწყო. საერთო დღესასწაულის ფარგლებში მლოცველებს რელიგიური დღესასწაულის ჩატარების საშუალება მიეცათ. მაღლიერმა ხალხმა ლევანს „ლევან გრემელი“ შეარქვა“ (გოთუა, 2015:5).

დიდი ქართველი გიორგი ლეონიძე მას ყველგან გრემელად მოიხსენიებდა.

დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავზე, ლევან გოთუა დიდგორის სამახსოვრო ობელისკის აღმართვის წინადადებით გამოვიდა. სახალხო დღესასწაულ დიდგორობის დაწესება განსაკუთრებით ძვირფასი იყო მწერლისთვის. 1971 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ლევან გოთუას წერილი „ჩვენი ისტორიის დიდგორი“. მოგვიანებით სახალხო დღესასწაული აღდგა და 1991 წელს დიდგორის მემორიალი გაიხსნა. ბევრს

ზრუნავდა თბილისის კულტურის ძეგლებზე და მათ დასაცავად თავს არ ზოგავდა.

ლევან გოთუას პუბლიცისტური წერილები გამსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებით, დიდი სულიერებით, პუბლიცისტური სიმახვილით... იქნება ეს ქართული ენის, ოჯახის, ახალგაზრდობის, ზნეობის, სწავლა-განათლების, მივიწყებული ტრადიციების თუ სხვა საკითხები... ვფიქრობ, საახალწლო წერილების თემატიკით და განწყობით, ლევან გოთუა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ საახალწლო ნომრების პრობლემატიკას ეხმიანება. საახალწლო წერილში იგი ქართველი ერის დღეგრძელობის საიდუმლოსაც გვიმხელს: ოცნება ქართველი ერის დიდი, ბუნებრივი ოპტიმიზმია. ოცნებასთან ერთად ქართველი ერი თავდავიწყებულმა აღფრთოვანებამაც გადაარჩინა. ამიტომ ის სამ ღროში – აწმყოში, წარსულსა და მომავალში ცხოვრობსო. „ჩვენ ერთდროულად სამივე „განზომილებით“ ვცხოვრობთ და ეს განსაკუთრებით ახალ წელს იგრძნობა ხოლმე“ (გოთუა, 1965:3).

მწერლის აზრით, კერიისა და ფუძის, კარმიდამოს, საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულმა, თავდაცვით მდგომარეობაში ყოფნამ გადაარჩინა ქართველი ერი. ამავდროულად, ერის დღეგრძელობას მზეს უკავშირებს. როგორც მზე არ ბერდება, ისე არ ხუცდება ქართველობა – მზის ერი, რომელსაც თავდავიწყებული აღფრთოვანების ერად მიიჩნევს: „ჩვენ თავდავიწყებულ აღფრთოვანების ხალხი უფრო ვართ, ვიდრე თავდაკარგულ სასოწარკვეთის. ამან უთვალავეკერ გვიხსნა. დრომ მზეს შეგვაბერა, მაგრამ ვერ მოგვახუცა... გულიც საგულესა გვაქვს, შუბლის ძარღვიც. მოყვრობა – ნათესაობაც მისხის მისხამდე ვიცით“ (სუიცა, 324:2).

ამ ფიქრებით მოგზაურობდა მთასა და ბარში, ქართულ ციხე-კოშკებსა და ნაკვალევს ეძებდა ყველგან... პარალელურად ახლებურად ხედავდა და აცოცხლებდა წარსულს მოთხრობებში: „ხანძრის ზარი“, „ყინვისის ანგელოზი“, „კრწანისის სევდა“, „უგზო ქარავანი“, „წიწამურის მიწა“... მისი, როგორც მწერლის, ღირსება არის ის, რომ „იგი თავის ისტორიულ მოთხრობებში ხატავს ყველაზე უფრო რთულ და ყველაზე ტრაგიკულ მოვლენებს, მაგრამ ამ ტრაგიზმში ავტორი ნახულობს გამოსავალს და სიმბოლური სახით იძლევა მომავლის გმირს, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ერი და ქვეყანა“ (ვართაგავა, 1971:145).

ლევან გოთუა ძირის ძირამდე ჩასწვდა წიწამურის ტრაგედიას და სწორედ სამომავლო სათქმელი გადმოსცა მოთხრობაში „წიწამურის მიწა“. მოთხრობაში „არ ისმის არც თოფის გასროლის ხმა და არც დიდი ილიას უკანასკნელი ამოკენესა“ (იქვე, 148), ილიას სიკვდილისწინა განცდებია გადმოცემული, „დიდი ჭირისუფლის მჭვრეტელი თვალი და ფიქრი“ სწვდება ყველაფერს, – ქვეყნის სადარდებელსაც და საზრუნავსაც, კეთილ-ქართველების მისიასაც და „შავშუბლიანი, ხიწვიანი ჭრელ-ქართველების“ ვერაგობასაც, რომელთა უკანაც „კიდევ დიდი, ბრჭყალებიანი, აფვრთავაშლილი შავი ჩრდილია“.

„და მაინც: „არ მესვრიან! ისევე როგორც არ ესვრიან გუთნისდელას! სხვა თუ აღარა – ღვიძლი მაინც შერჩეობდათ“?! (გოთუა, 2019:334).

წიწამურის მიწის ძახილმა არ მოასვენა და ახალგაზრდა მწერლები ილიას გზით ატარა.

ნარკვევი „კავკასიონის „ილიადა“ ამ მოგზაურობის ნაფიქრია, სადაც ლევან გოთუამ ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და მისი მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებული მსვლელობის შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

ჯერ ბაზალეთის ლაჟვარდი დალანდეს, შორიდან ტბა თითქოს აკვანივით ირწეოდა. „ნიჩბებმა ბაზალეთის სარკის პირი რომ შეატოკეს, ლაჟვარდი ბადაზმად იქცა. მერმე კი თითქოს ყოველ ნიჩაბს სიღრმიდან ცისარტყელა ამოენასკვა. ოდნავი ჭავლი ილიას ფიქრიან ღიმილს გვაგონებდა“ (გოთუა, 1960:212).

ხოლო როდესაც ვაზისა და კაკლის ფოთლებისგან დაწნული გვირგვინები ტბაში ჩაუშვეს, შორიდან გვირგვინიც ამოტივტივებულ აკვანს ჰგავდა.

ლევან გოთუა არა მხოლოდ სიტყვის დიდი ოსტატია, ის მგრძნობიარე ესთეტიცაა. ამ პატარა ნაწყვეტში ორი სახე-სიმბოლოა: ილიას სახელის განუყრელი თანამდევი – აკვანი (ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვნის ასოციაციით) და ცისარტყელა („არდილის“ დასასრულის ასოციაციით). ამ სიმბოლოებით ავტორი არა მხოლოდ აცოცხლებს ილიას სამყაროს, არამედ რწმენასაც გამოხატავს, რომ ილიას ოცნება სამომავლოდ მაინც ახდება.

საინტერესოა ილიას გზით მსვლელობის დროს ფასანაურ-მღვითასთან ისტორიიდან გაცოცხლებული ფაქტი. „ახლა მხოლოდ სამი ფერია – მწვანე, ლურჯი და თეთრი. სწორედ ასი წლის წინათ ურთიერთს შეხვდა ორი ქართველი... რუსეთიდან მომავალი გრიგოლ ორბელიანი და რუსეთისკენ მიმავალი ილია ჭავჭავაძე. და აქვე, ამის შესახებ, მწერლებისა და მწვერვალების თანდასწრებით, ახალგაზრდა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა წაგვიკითხა ახალი მოთხრობა“ (გოთუა, 1960:214).

თხრობა აქ არ მთავრდება. ლევან გოთუა წარმოსახვით აცოცხლებს ერთმანეთის პირისპირ მდგარ ორ ეტლს და კითხვას სვამს, ნეტავ თუ იცოდნენ, რომ მათ ამ ადგილას შთამომავალნი გაიხსენებდნენო. „თითქოს ჩვენი მანქანა გაჰქრა... გზაზე მხოლოდ პირისპირ მდგარი ორი ეტლია... ერთში მსცოვანი ზის, მეორეში კი ახალგაზრდა. ნეტავ საოცნებოდა თუ ჰქონდათ მაინც, რომ ერთი საუკუნის შემდეგ მათი შთამომავალნი – ოცი მწერალი ერთად, მათ აქ შეხვედრას აღფრთოვანებული გულითა და მხატვრულ სიტყვით მოიგონებდა?! ნეტავ რა შეყრა მოხდება აქ, კიდევ ასი წლის შემდეგ“? (იქვე).

მწერლების მოგზაურობა ბეთლემის გამოქვაბულში მთავრდება.

„ჩვენ მივწვდით საწადელს – ბეთლემის ჯაჭვს, ერთად ვარხევთ და ვაჩხრიალებთ! განსაკუთრებით ის გვაძნევენ, რომ ჩვენ აქ განდევნილებად კი არ მოვსულვართ, არამედ ხალხის შეილებად, ილიას შეილებად, მისი კალმისა და საქმის მემკვიდრეებად. ბეთლემის ჯაჭვიც ახლა წასულსა და აწმყოს აკავშირებს. ამ ჯაჭვის ჩხრიალშია ამირანის ბრძოლაც, წიწამურის ტკივილიც, ხალხთან განუყრელობის გრძნობაც, აწმყოსა და მომავლის რწმენაც“! (იქვე, 217).

ერთი დეტალი – ბეთლემის ჯაჭვის ჩხრიალი

სიმბოლურად ერის ისტორიას და მის სამივე დროს იტევს, საპროგრამო თეზისადაც მოიაზრება და არა მხოლოდ ნაწარმოების იდეას ხსნის, არამედ ლევან გოთუას ცხოვრებისეულ და შემოქმედებით მრწამსსაც გამოხატავს – ილიას შვილია, მისი გზისა და იდეალების გამგრძელებელი.

დასკვნა

ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის თანამედროვეის, ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის – პართენ გოთუას შვილს საფუძველი მყარი და ეროვნული ჰქონდა. მწერლის ძმისშვილი მაია გოთუა იგონებს: „არამაზში ილიასეული „ენა, მამული, სარწმუნოება“ ცხოვრების წესად იყო ქცეული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბაბუაჩენი, პართენ გოთუა, იყო თვით ილიას, აკაკის, მეცენატ დავით სარაჯიშვილისა და მრავალი სხვა წარჩინებული მამულიშვილის თანამდგომი და თანამოაზრე“ (გოთუა, 2017).

ეს გარემო ასაზრდოებდა ლევან გოთუას, რომელიც მრწამსით, შეგნებით და იდეალებით „თერგდალეულების“ სულისკვეთებას აღვივებდა, სულს უდგამდა და თანამედროვე ქართველობას მის თანამოზიარედ აქცევდა. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება – გადასახლებაზე და გადასახლების შემდგომიც ამის დასტურია. ზემოხსენებული მსვლელობაც – ილიას გზით და „კავკასიონის „ილიადა“ გვიმყარებს აზრს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედრომის, ილია ჭავჭავაძის იდეები და აზრები ლევან გოთუასთვის მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო იყო.

ლიტერატურა:

1. ბერიძე, ვ. (1973). „ლევან გოთუა“. ჟურნალი „მეგობარი“ (31-32).
2. გოთუა, გ. (2015). „ყოველთვის მაკვირებდა ლევან გოთუას ნიჭი და ინტერესების მრავალფეროვნება“. გაზეთი „გურია Region“ (3).
3. გოთუა, თ., გოთუა, ა. (1995). „თავგადასავალი ლევან გოთუასი“. თბილისი: თარხანი.
4. გოთუა, ლ. (1965). „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“. გაზეთი „კომუნისტი“ (1).
5. გოთუა, ლ. (1960). „მგზავრული კრიალოსანი“. თბილისი: „ნაკადული“.
6. გოთუა, ლ. (1930). „მრუმი ტილი“. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 125. აღწერა 1. საქმე №304.
7. გოთუა, ლ. (2019). „მოთხრობები“. პალიტრა .
8. გოთუა, მ. (2017). „მაია გოთუა - ექიმი-ალერგოლოგი“. რადიო „თავისუფლება“. <https://www.radiotavisupleba.ge/a/liberty-diaries-maia-gotua/28674289.html>
9. ვართაგავა, ი. (1971). „თანამედროვე ქართველი მწერლები“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
10. ფრუიძე, ლ. (1995). „ბატონი ლევან გოთუა“. ერთგვრადი გაზეთი „ლევან გოთუა“.
11. შაიშველაშვილი, თ. (2018). „ლევან გოთუას გვერდით მუშაობა ჩემი ცხოვრების „ოქროს ხანა“ იყო“.
12. შაიშველაშვილი, თ. (2021). „მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა“. თბილისი. „საარი“.
- ინტერნეტპორტალი „კვირა“. <http://kvira.ge/432860>
12. ჯიშკარიანი, ჯ. (2017). „შურსა და ცილზე ამაღლებული“. თბილისი.

იამზე არგელაძე - ხმცურნიანი



შოთა ნიშნიანის უკვდავი პოეზია

„სანამდე ვცოცხლობ, მე ვარ სიზმარში“...

შ. ნიშნიანიძე

შოთა ნიშნიანიძემ მაღალ შემეცნებითი ფილოსოფიური აზროვნების სურათხატი ლექსებით, წარუშლელი კვალი გაავლო ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას და ამით პოეზიაში საკუთარი ავტოპორტრეტი შექმნა. როგორც თავადვე ამბობს, „ვეფხისტყავედ გადაშლილი სამშობლოს იალბუზივით“ თავზედამცქერმა და იმერეთის „ქართულ ზღაპარში“ აღზრდილმა იმერული ყოფა-ცხოვრების „თვითარსი“ და „შინასახე“ პოეზიაში გააუკვდავა. დადის იგი სამშობლოს მიწაზე გულანთებული, ჭეშმარიტი ქრისტიანი ქართველის ფიქრ-განცდებით და ქვეყნის ზეისტორიულ სახედ შთენილ ქვა-ციხე-ტაძრებს სისხლ-ხორცეული გზებით მიმართავთ:

„ო, ციხის ლოდო, ჩამოშლილო,

ჩამომსხვრეულო,

შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო, ჩემო სხეულო“...

წარსულის სატკივრით გაცეცხლებული პოეტი, იარების მოშუშებას და სულიერ სიმშვიდეს, მშობლიური მიწის განსხეულებაში და მისი ბედის გაზიარებაში პოულობს.

ბატონ შოთას რჩეული ლექსები ბავშვობაში გვაბრუნებს და უსაზღვრო ბედნიერებას გვაზიარებს. უტკბილესია: ჩვენი ერთობლივი ბავშვობის შიში და სიხარული, სამწყესური, ნიკორა და თხა. არღანი და ჭირვეული მაყარი. ჭინკები და „გამტყვრალი“ მეწისქვილე. მოკრძალებული ადგილის დედისადმი ლოცვა:

„ადგილის დედაო, შემიფარე.

მოძე ბედნიერი სიბერე, გული დამიყენე

საგულეს“.

ღიახ, ბავშვობის დროინდელი ბედნიერებიდან გამოსულნი, შემდგომი ცხოვრების ურყევი წესის მიერ დათრგუნულნი, ისევ ადგილის დედას ვთხოვთ შევლას.

დიდი პოეტი ლექსში „ხარი“ ღმერთს ევედრება, ოღონდაც ხარივით გამწვევი ძალის მქონე, მამულის გასახარისი სიტყვა ათქმევინოს და ამბობს კიდევ. ამ ლექსის კითხვისას წარმოგვესახება თვით პოეტი „საცრისოდენა“ თვალებით და მისწერი იერსახით, რომელიც დგას მშობელ მიწაზე ღრმად გამჯდარი ფესვებით და ამყარებს შინაურ არსებასთან სულიერ ნათესაურ კავშირს მისი დანიშნულების, შინაგანი განცდებისა და ტკივილების გაზიარებით:

„ფეხზე მაცმევი ქალამანს, ყანწს
მომაწვდიდი ნადიმში,
დაგკლავდი დიდ ზამთრობისას,
მამღრად გველოდა ბადიში...“

ცხედარიც მიპატიოსნე
ალაპ-ქელეხის წესებით,
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე
ტირილით ვწერე ლექსები“...

გულიანი პოეტი აქაც ვერ ასცდა ცხოვრების იძულებითი წესით დათრგუნვას, ამიტომ დარჩა ალალ-მართალი ლექსის გულისთქმაშიც.

მართლა ღვთისნიერი ადამიანი უნდა იყო, რომ შესძლო ხმამაღლა თქმა:

„სიკვდილშიც ვიბადებოდი, კაციც ვიყავი
ღმერთიცა.“

ქვესკნელს ჩავსულვარ ვარძიად, ცად
ავვარდნილვარ ხერთვისად,
მეც მისვამს წყალი ალგეთის, ხეკორძულისა,
მცხეთისა“.

კვითხულობთ შოთას ღვთიური სულით ანთებული სტრიქონებს და უმაღვე გვახსენდება ჩვენი თვალთ დახახული, ეულად მიტოვებული უძველეს ციხესიმაგრეთა მაცქერალი ისტორია, მათზე თავგანწირული შეპართებით რომ ამბობს:

„ერთი კი ვიცი: საქართველოში
მე მოკლული ვარ ყველა ციხესთან“.

ქართული მიწის და ზეცის სურნელებით აღტკინებული, მათრობელა სილამაზის და სიცოცხლის აპოლოგეტი შოთა შიშობს, მშობლიური მშვენიერების ბანგმა არ ჩააძინოს ჩვენი ამაყი ჯიში. მისივე აზრით, მხოლოდ ერთმანეთში შუღლს და მტრობას უნდა ეძინოს და არა ჩვენს სინდის-ნაბუსს, სულს და ხსოვნას. რა დასანანია, რომ ბატონ შოთას, ახლად გამოღვიძებულ მამულში დიდხანს სიცოცხლე აღარ დასცალდა. უფრო გულდასაწყვეტი ის რომ, სამშობლომაც იმ აურზაურში ვერ გაიაზრა, რამხელა პოეტი გარდაეცვალა. მჯერა, შოთა ნიშნის ვეება მშფოთვარე სული ზეციური საქართველოდან დღესაც მაჯისცემას უსინჯავს მამულს. განისვენებს იგი დიდუბის პანთეონის კარიბჭესთან, როგორც მცველი და სულიერი მხედართმთავარი დიდებული კორიფეებისა, კვლავაც მოზარედ ქართული სიტყვის უკვდავებისა.

შოთას დაბადებიდან სულზე ჰქონდა ამოტვიფრული ქართული წიგნის მაღლი. მან გოგებაშვილის „დედა ენას“ მამა-პაპათა გულის გამზარებული და ერის ბურჯი უწოდა, რომელიც მამულის გადასარჩენად ხარისოდენა ტვირთის მზიდველია:

„იდიდე, წიგნი, იდიდე, ქართული სულის ლაზათო,

ღმერთი თუ არა ღმერთკაცი იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო“...

შოთა ნიშნის მიხედვით სიყვარულით თავზე ევლება ქართულ ვაზს, როგორც ქართული ყოფიერების სიმბოლოს, ქართველი კაცის ბედ-იბდლის გამზიარებელს, მისი დაბადების ისტორიას და ჩვენს ეზოებში თავისუფალ ზრდას დაბლარიდან მაღლარამდე: შუშაბანდებზე, ჭის თავებზე, რომელიც სიყვარულით ეხვევა ყოველივეს, რასაც კი მიუწვდება. ახლაც ჩვენი მითოლოგიური არსობის დანაშთად, ათასწლეულებს რომ შემორჩენია და ვუცქერთ ტყეებში ცადაწვდილი ხის კენწეროებიდან ყლორტებად გადმოშლილთ. ვენახი ქართველი კაცის მარჯვენით შვილივით მოვლილი, ახარებ-ახალისებს ადამიანებს, მთლიანად ჩვენს მამულს – რთველით და ნადიმით. ყველამ იცის, ქართული სუფრა და მისი წეს-ჩვეულება, როგორც მსოფლიოში აღიარებული ფენომენი: „სუფრაზე ყველანი ერთნი და ლამაზები კართ, აქ ზრდილობა არავის ეშლება“. ბატონი შოთა ახერხებს ლექსში ფილოსოფიურ გადახვევას და აფრთხილებს მოწვეულ უცხოელ სტუმრებს:

„ – სალამი აქილევს! სალამი, ჰექტორ!
ქიშპობას კარები გადაურაზეთ!

თქვენ მტრები იყავით, ძმობილნო, ერთ დროს,
ახლა იმეგობრეთ ქართულ სუფრაზე“.

ქართველისთვის ვაზი საკრალური ყოფიერების დედაზრია, წმინდა ნინოს ჯვრის სახით და მისი ქრისტიანული მრწამსის გათვალისწინებით. პოეტის თქმით, ქართულ სუფრას ყოველთვის ესწრება ქეიფის ღმერთი, რომელიც სიცილით კვდება ნადიმის მონაწილეთა შაირ-აურზაურზე და ყოველ ნადიმს სუფრის დალოცვით იწყებს და ამთავრებს ყოვლადწმინდის სადღეგრძელოთი.

ამოუწურავია, ბატონ შოთას ლექსებში ჩადებული სამწუხარო თემები. ლექსი „სიკვდილის კარუსელი ბავშვებისათვის“ – სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირულ უმანკო ბავშვთა ხსოვნას ეძღვნება. შოთა აღელვებული მიმართავს საუკუნეთა მანძილზე სამშობლოს დადგასმული ბედისტრიის მემკვიდრეს:

„–ჰეი, მანდ კარუსელს ვინ ატრიალებს,
გამოდი, ბრძანე, მემკვიდრე“!

კარუსელი, რომელიც აღჭურვილია ყველაფრით, ყოვლის მომცველი ძალით, რათა კოლხეთის წიები და ცირები აახლოს სულთანს და ირანის ლომს.

„ვინც ყრმას დაამსგავსებს ბედით ოიდიპოსს,
უნდა მოითბოს!

ვინც მამულის ვენახს გამოაცლის ჭიგოს,
წყეულიმც იყოს“!

ამგვარ მშფოთვარე ფიქრებით მოსიარულე შოთას, არ ასვენებს უპატრონო ბავშვთა ბედუკუდმართი ისტორია, გამშვილებელი დედის შეურიგებელი ყოფა-არსი, თუ როგორ იზრდებიან უპატრონო შვილები ბავშვთა სახლებში, რომ მათ ბუდეებიდან ჩამოცვნილ ბარტყებს უწოდებს და, საერთოდ, ისინი, რომ თვალებით ყეფენ თავიანთ ბედისწერაზე. ბატონ შოთას ლექსები მისივე გულის სიმძაფრით და სულისკეთებით არიან

ნასაზრდოები. გულდასეტყვითელი წერს წარსულის გმირებზე, სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირულ ბერ თევდორეზე, სამაძულო ომის უმძიმეს გამოძახილზე და, ახლახან, 90-იანი წლების თავისუფლებისათვის ბრძოლის საშინელ შედეგებზე. ყურადღების ცენტრში ჰყავს ადამიანი და მისი სვე-ბედისწერა. ბატონი შოთას ლექსები ხშირად სულის მკურნალიცაა, იგი ლექსში „ილიადას მთარგმნელი“ მიმოიხილავს – უძველესი მომე ხალხის ბერძენთა და ქართველთა ყოფა-ცხოვრებისეულ ურთიერთობას. აქვე, ეპოსის ღმერთის და ჰეგზამეტრის შერკინებას, რომელნიც აალებს პოეტის გონებას. ამიტომ ამბობს, რომ ვერ ეგუება – „სულის სიგონჯეს“ და „ათასჯერ კვდება და იმარება, სამარესავით გაჭრილ სტრიქონში“. გაოგნებულია ისტორიაში შემონახული ტროას კედლებისა და აქილევის ზვიადი „ვეება ტანით ფარს დაყრდნობილის“ შემყურე, ამ ლექსით შოთამ ყველაზე ძლიერი გამოკვეთა, აქაველების საბრძოლო ყიჟინს ქართველების გმირული სული აადევნა:

„და აქილევის ფარს აჟღერიალებს
ფშავ-ხევსურული მთიბლურის ექო.
ეს ხმები კურნავს წარსულ იარებს,
აპოხიერებს ვენახს და ბეჭობს“...

ბატონ შოთას სულის საზრდო – ხელოვანობისთვის შეუთხზავს ლექსი: უოლტ უიტიმენის „ბალახის ფოთლები“. ეს ლექსი მრავალმხრივი ანალიზის მომთხოვნიანია, სადაც მგოსანი შინაგანი თვითარსის რეალიზებას ახდენს: როცა ზღვის ნაპირზე ზებრისფერი დღე მოელანდა და ნათელხილვა უწოდა მას. ნაპირზე ტალღების ხმაურით შეხების შემდგომ ჩამოვარდნილ სიჩუმეს, სასწაულებრივ განიცდის –

„ჭვრეტის ექსტაზი... აზრში დანთქმა...
ყველაფრად ქცევა...
რა არ მოჰყვება სიჩუმის წნევას“!...

ბუნების ქომაგი და მეგობარი პოეტი ლექსს ამთავრებს ჯადოქმნილი სიტყვებით:

„დე, სიცოცხლით მარად გაუქურდავი,
იყოს სიტყვა ბალახით უკვდავი“.

დიახ, ბალახით ხასხასა ენაზე მოლაპარაკეა შოთას მომდევნო ლექსის ფრაზაც:

„ბუხრისპირს უცებ აბოლდა ძაღლი...
სველი ჯირკიდან გარეთ გამოდის
დიდი ტყისა და წვიმების სული“.

შოთა გულით დაატარებდა იმერეთის მონატრებას, ბავშვობითვე დაუვიწყარი სოფლის ცხოვრების ყოველ დეტალს, მიწის და გლეხის დოვლათის მაღლის სიბოძს:

„ყოველამ თქვენთან თბილისიდან მოვიპარე...
მოვდივარ ნისლად, ნიაკქარად, მოვდივარ წვიმად...
მომელანდება: გობზე კვახი, ჭყინტი სიმინდი,
წისკეილის ღარში ღვინის დოქი ღვლეჭით
დაბმული“.

ზენაარის მაღლით ბოძებული დედაბუნების სილამაზით და სამშობლოს უძველესი ზეისტორიული ნაშთებით აღფრთოვანებული პოეტი მიმართავს მამულს:

„დაიფურცლება ენები, დაიფუშება ტახტები,
შენ კი აღსდგები ნინოს ჯვრით,
„ვეფხისტყაოსნით“ აღსდგები,
შენ ვისი შიში გექნება, რა ხიფათის და
გამოცდის –
ღინოზავრების შემმუსვრელს, მათ ნაკვალევზე
გამოზრდილს“.

უფლის კვართის მფლობელი სამშობლო შოთას ლექსის სტრიქონებში მარადისობის სიმბოლოდ დაქრიან და მღერიათ:

„ქართლ-კახეთი ლეგენდაა, იმერეთი ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა გაფრენილი ფაფარი,
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა სიზმარი.
ყველა ერთად ვენახია ჩვენი დასაფიცარი“...

ამბობენ, ქართველები ცოტათი ბავშვები არიანო, ჩვენ მაღლობას ვწირავთ ღმერთს ამისთვის. ბატონ შოთასაც აწუხებდა ალაღი, სამართლიანი უმანკო ბავშვური გული, როცა ლექსით მიმართავდა გარემომყოფთ:

„არავის გინდათ ბავშვის გული, ამაყი გული?
წაიღეთ ძმებო, მომაშორეთ, მე ვეღარ ვუვლი“.

კაცი-ადამიანი ქრისტეანულად დიდი უნდა იყო, რომ თქვა: ქვეყნის გზებზე მოსიარულემ ვეძებე და ვპოვე ჩემი თავი. თუმცა საკუთარ თავს მორგებული შოთა, მაინც ხდება შურის სამიზნე. ამიტომ ცხოვრებაში პოეტის ტკივილი ბრიყვი და რეგვენი ადამიანია. ლექსში კი ნატრობს:

„ოღონდაც მომცა თქვენი მწარე ქილიკა ენა
ო, დიდო სოკრატ!
ო, ძვირფასო მუსიე, ვოლტერ!
რომ მწარე ენით ვუმკურნალო სიბრიყვეს კაცთა
და შევაჩვენო რეგვენთა კასტა“.

ხოლო როცა ნიცშეს შეგონება წაიკითხა: „წაქცეულს წიხლი მიაყოლო“ – იმ წუთში ქართველი კაცის ნათქვამი დაუპირისპირა მას – „წაქცეული, მტერიც რომ იყოს, წამოაყენე“. უფრო მეტიც, მოგვიწოდებს – შევიცოდოთ ყველა ცოდვილი და სულიერი, სნეული და გზაბნეული. პატივი ვცეთ სხვის სიცოცხლეს.

„მაშინაც კი, როცა ვმხიარულობთ და ვმღერით,
გვახსოვდეს: იტანჯება და მშიერია ბევრი“.

შოთა ჯვრით და ბიბლიით ესტუმრა ერთ დროს ჯუნგლების ნახევრადველურ მოდემას. მათ ყოფა-ცხოვრებაში იმდენი სიბრძნე შენიშნა, ალტაცებით წამოიძახებს: „ბევრი რამაა აინშტაინის საუკუნისთვის გამოუცნობი“.

ბატონმა შოთამ კაცთა მოდემის სიხარბის, შურის, სიძუნწის და ყოველგვარი არაადამიანური საქციელის აცდენის მიზნით, ცხოვრებაში ნიღბების მორგება დაიწყო და მათი დახმარებით, სად როგორც დასჭირდებოდა, ათასგვარ როლებს იცვლიდა თურმე.

„ხდება: არჯალ კაცს ვთამაშობ ბრბოში,
ვიცი, ასეა ზოგჯერ საჭირო,
რომ იქნებ სულში უმწეო ბავშვი,
კეთილი ბავშვი გადავარჩინო“.

პოეტი საკაცობრიო საფიქრალსაც იძიებს: ავადა სიზმარ-სინამდვილის არსით. ვერ გაურკვევია, აქ

დარჩენა სჯობს, თუ იმ ქვეყანაში წასვლა, ან მარადიული უფრო სანდოა წარმავალ ცხოვრებაზე? რატომ არ იცის, ვინ იყო მოსვლამდე, ან ვინ იქნება წასვლის შემდეგ. შოთამ, რომელმაც ცხოვრების გზაზე მხოლოდ ღმერთი და ვარსკვლავები ეძება, თავთან ჭიდილით უდაო სულისმიერ ჭეშმარიტებას მიაკვლია:

„სინამდვილეა ეს თუ მირაჟი?
სულის ძილია ეს თუ სიფხიზლე?
სანამდე ვცოცხლობ, მე ვარ სიზმარში,
და რომ მოვკვდები – გამოვიღვიძებ“.

ალსანიშნავია ისიც, რომ შოთა ნიშნიანძე პოეტური ჟანრის მრავალსახეობით და ინდივიდუალური მოდერნით ენათესავება გენიალური გრიგოლ რობაქიძის პოეზიას. გრიგოლი ამბობდა სწორედ, რომ ჩვენს მამულს ყოველ კუთხე-კუნჭულში გენია აქვს. ჩემი აზრით, დიდმა შოთამ ეს გენია, დამბადებელ მიწაზე და ხალხში მახვილი თვალით დაინახა და სიღრმისეული ბრძნული აზროვნებით ლექსებში ააჟღერა. ამით ქართული გენიით ამალღებული უკვდავი პოეზია შექმნა.

თავად შოთამაც კარგად იცოდა დიდ პოეზიასთან ჭიდილის სიმძიმე და ამიტომ ამბობს:

„რადგან ყოველი ცოდნა-სიბრძნე, ძირამდე
წვდომა
მხოლოდღა სიწრით მიიღწევა და სიმწრით
ვზომავე“.

დაბოლოს, შოთას მისმა დიდებულმა პოეზიამ სიცოცხლეშივე აღიარება მოუპოვა. თანამედროვე მწერლობა სათანადოდ აფასებს მის ადამიანურ სისადავეს და შემოქმედების სიმაღლეს. როცა შოთა ამბობს:

„როგორც ჰორიზონტზე გუთნიანი ცხენი,
ის ცხოვრება ძველი – გამოძქერის წყენით“.

ჩვენი დროის ღირსეული ფილოსოფოსი და მეცნიერი სოსო სიგუა მაღალი ოსტატობით ესიტყვება მას: „ახალმა დრომ, სისტემამ და წესრიგმა პიროვნული ენერგია სხვა მიმართულებით წაიყვანა. მეომარი სული შემოქმედად გარდასახა. ამიტომ გარეგნულად შოთა ნიშნიანძე წყნარი და მშვიდი იყო, მორიდებული და უხმაურო, სამაგიეროდ მისი აღმოდებული სტრიქონები გვიმოწმებენ, თუ რა ცეცხლი მძვინვარებდა პოეტის სულის უფსკრულში... სამყაროს ფასი განიზომება სიცოცხლით და პოეტის ყოველი სტრიქონი მას მიემართება, მის მესაჭეს – დღევანდელ მშრომელს... კეისარს, ვისაც უნდა ჰქონდეს ნოსტელი ლომის და არსაკიძის მოჭრილი მკლავი – ე.ი. ომს ცვლის შრომა, ამბობს – მორჩილება, სისხლს – ოფლი. ისტორიის სისხლის ზღვიდან გამოსული, წერს მევენახისა თუ მოქანდაკის პურის მომკელისა და მხენელ-მთესველის სადიდებელ ჰიმნებს“.

წინამდებარე ჩემი წერილი მხოლოდ მცირედი ექსკურსია, შოთა ნიშნიანძის მგზნებარე პატრიოტული სულის სრულყოფილი წვდომისა და უბადლო ნაირსახეობის პოეზიის ბოლომდე წარმოჩენისა.

ლეილა ძიბოშვილი-სახლთს უცხოშვილი



შემორჩენილი ბარათების ქრონოლოგია*

„გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ყველანი მოთხრობები ვართ, დავდივართ – ერთუროს კკითხულობთ; ზოგი ცუდი მოთხრობა ვართ, ზოგი კარგი, ზოგი მოწყენილი, ზოგიც იმედით სავსე“...
გოდერძი ჩოხელი

აღმაშენებელზე ჩემს დიდი ხნის უნახავ კურსელს გადავეყარე, თავად რომ არ დაეძახა, შეიძლება ვერც კი მეცნო, ისე გასუქებულიყო... თმის ფერიც შეეცვალა; ალბათ, საათ-ნახევარი ვსაუბრობდით, ვინსენებდით უნივერსიტეტს, კურსელებს, ჯგუფელებს, ლექტორებს... მივედმოვედეთ იქეთურსა და აქეთურს... სასაუბროს რა გამოგვიღვედა... სწორედ ამ შეხვედრამ მიკარნახა გარკვეული ბარათების მზის სინათლეზე გამოტანა; წლებია, მათ სათუთად ვინახავ და ველოლიავები... საუბრისას – დოღომ თავმოწონედ მითხრა: – ისე დამალა წერილებმა და მოსალოცმა ბარათებმა, რომ ერთ დღესაც ერთიანად მოვხვეტე, დავხიე და გადავეყარე... გული მომიკვდა, თუმცა რაღას ვუშველიდი?! ის კი მოვახერხე-მოვასწარი, რომ „ჩა-ვუკომენტარე“: – თუ ფიქრობ, რომ ნევა-ფხრეწით წარსულის ეპიზოდებს ხელი დაუქნიე, ძალიან ცდები... ვიდრე მენსიერება ჯანმრთელად გაქვს, მათ აქედან ვერ წაშლი, – შუბლთან საჩვენებელი თითი დუნედ დავატრიალე... ამ შეხვედრიდან, ჩემს გონებას, მხოლოდ ეს დეტალი შემორჩა; რამდენიც გამახსენდებოდა, იმდენი თავს ვეკითხებოდი, – მაინც როგორ გაიმეტა, როგორ შეეღია და ასე დაუნდობლად მოიშორა თავიდან?!

კორნავეირუსისგან შეძრული, გაოგნებული-დამფრთხალი... მსოფლიოს იბულებითი არდადეგების დროს, როდესაც განცდებისა თუ ემოციისგან, საქმისა თუ უსაქმურობისგან ღობე-ყორეს ვედებოდი... ხელოვნურად გაყურული, შეჩერებული დროის უგემური დღეების ერთ ნისლიანსა და გა-ცრეცილ საღამოს, საწერი მაგიდის ქვედა უჯრიდან დასტად შეკრულ-შენახული წერილების შეკვრა ამოვიღე; – ღმერთო ჩემო! რამდენი რამ დამევიწყნია,

(დასაწყისი. დასასრული იხ. „ანეულის“ შემდეგ (№2, 2025) ნომერში.

მას აქეთ რამდენი დრო გასულა?! თითქოს გუშინ იყო... ამ გადმოსახედიდან – როგორ ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ, საინტერესოდ მსჯელობდნენ 80-90-იანი წლების ის ახალგაზრდები, რომლებთანაც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლიტერატურული სტუდიის წევრებსა თუ რესპ. სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების ქართული ლიტერატურის სექციებზე მომიხდა 35-წლიანი მუშაობა; შეიძლება გულუბრყვილოდ, მაგრამ ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, ქართული სიტყვისადმი... ისინი ვერც კი წარმოიდგენენ, თუ როგორი სიფრთხილით შემორჩა მათი წერილები ჩემს არქივს... რა თქმა უნდა, ნაწერებიდან შევარჩიე ისეთები, რომელთა შინაარსი ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველისთვისაც რაღაც კუთხით საინტერესო იქნებოდა... წარმოდგენილ წერილებს მივუმატე ოჯახის მეგობრების რამდენიმე ბარათი, რამაც, ვფიქრობ, შეავსო ნაწერის შინაარსობრივი მხარე... მაშ ასე!

– „საყვარელო, ლეილა მასწავლებელო! უპირველეს ყოვლისა, როგორ ბრძანდებით; ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი სიტყვა ვერ შევასრულე, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მე მარმანდელი წელი დამავიწყდა, ან დამავიწყდება ოდესმე. ხანდახან საოცრად მომიხდება, თქვენს მეცადინეობებზე ჯდობა... ახალი რომანი დავწერე, ვერ ვეშვები ისევ ამ რომანებს და რა ვქნა?! როგორც ყოველთვის, ჩემი პირველი მკითხველი თქვენ ბრძანდებით, პირველი და ბოლოც, რადგან მე ჩემს რომანებს არავის ვაკითხებ; ახლაც ტრადიციას ვერ ვღალატობ. გთხოვთ, აქვე რვეულში, მოკლე რეცენზიაც დამიწეროთ, თუ არ შეწუხდებით, ბოლოს ორი შეკითხვაც: დედა მეუბნება, – თავი დაანებე ამ ჩხაპნას, მაინც არაფერი გამოვივა... – თქვენ რას მირჩევთ? თქვენ როგორც მეტყვეობთ, ისე მოვიქცევი; მე თვითონ, ძალიან მინდა საწერო მეცადინეობებზე სიარული და წერის გარეშე, ხომ, ალბათ სულიერად მოვკვდები... და მეორეც, მე ისევ არ ვწყვეტ კავშირს გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციასთან; აგერ, გუშინაც ბარათი მივიღე, ჩემი მოთხოვნის – აი, მაშინ რომ წავიკითხეთ, მეგობრობაზე, „ლელა“ რომ ერქვა – მინდა გავგზავნო, რას მირჩევთ, გავგზავნო? დაბეჭდავენ? თუ გავგზავნო, ასე ვთქვათ, როგორი სახით, როგორი მიმართვა გავუკეთო? მე-ნ კლასში რომ ვიყავი, მაშინ გავგზავნე ერთი ჩანახატი, არ დამიბეჭდეს, ახლა არ ვიცი, ვყოყმანობ... თქვენ როგორც მირჩევთ, ისე მოვიქცევი. რვეული ნანას გამოატანეთ; ძალიან კარგი გოგოა, პატივს ვცემ, ერთმანეთს უუგებთ... გკოცნით ნინო“, – VIII კლ. 1980 წელი.

P.S. გავა წლები და მერე იგი ბევრ რამეს დაწერს, წიგნებსაც გამოსცემს და მის ფრაზებს მოვინიშნავ კიდევ... მაგალითად: „ჩემს სასთუმალთან ჩემი სიზმრების აბლაბუდა ჰკიდია, საიდანაც წარსული მკვდარი ბუზივით იმზირება“...

„ყოველ დღით, როცა მტკვარზე ხიდს გადმოვივლი და მის ამღვრეულ ტალღებს ჩავაკვირდები, მეჩვენება, რომ ჩვენი წარსული თან მიაქვს... ნაპირებიდან რეცხს ისტორიის ხსოვნას... ნუთუ შეიძლება მტკვარსაც დაავიწყონ საქართველო“?!

* *

– „გამარჯობა, ლეილა მასწავლებელო! ბოდიშს ვიხდი, რომ წერილის მოწერა კვლავ დამიგვიანდა – ყოველ კვირას საკონტროლოები და წერები გეკონდა... ახლა პირდაპირ პასუხზე გადავალ, იმ საკითხებზე, რომლებიც მთელ საქართველოს აღელვებს და რომელთა შესახებაც თქვენ მესაუბრებოდით... თქვენი აღშფოთება სამართლიანია, მაგრამ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რასაც მთავრობა და მისი ხელქვეითი პრესა იძლევა, რომელიც დამახინჯებულ ფაქტებს აქვეყნებს და ბეჭდავს „აღშფოთებულ მშრომელთა წერილებს“, რომლებშიც მოვლენათა მსვლელობა განგებაა დამახინჯებული. ჩემი პირველი მთაბეჭდილებები ემოციებზე უფრო იყო დამყარებული, ვიდრე ცივ გონებაზე, მაგრამ ძირითადი აზრი, არც ახლა, საკმაოდ ფიქრის შემდეგ არ შემცვლია; რაც შეეხება გამსახურდიას და მის თანამოაზრეებს, ადამიანის სულში დაფარულ აზრებს ჩვენ ვერ გავიგებთ, გამსახურდია მართლა ეროვნულ საქმეს ემსახურება, თუ სათავეში ასვლას ცდილობს, ამას მომავალი გაარკვევს, მაგრამ ის, რომ უადრესად განათლებული და ძალიან ძლიერი პიროვნებაა, ამას ვერავინ უარყოფს და იყოს ლიდერი, სწორედ ძლიერი ხელმძღვანელი სჭირდება ეროვნულ საქმეს, ისე კი არ გაიგოთ, რომ გამსახურდია ანგელოზად გამოძევას, მასაც ბევრი ნაკლი აქვს და შეიძლება ყველა ამ საქმეს პატივმოყვარეობის გამო აკეთებდეს, მაგრამ ეროვნულ საქმეს ემსახურება და ჩვეთვის ეს არის მთავარი... საბჭოთა საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობს, სახელი გაუტეხოს ყველა ამ არაფორმალურ გაერთიანებას და არა მხოლოდ თვისი ინიციატივით, არამედ დიქტატორის უშუალო მითითებითაც და ამას მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკვე მიაღწიეს. პრესის გარდა, ამ ბრძოლაში, ტელევიზიასაც იყენებენ, ამას მოწმობდა სწორედ ის ვიდეოფირი, რომელიც ამწინებზე აჩვენეს. მასში ყოველნაირად ცდილობდნენ ცუდი მხრით ეჩვენებინათ გამსახურდია და მისი თანამოაზრეები, ყველა ერთად ყაყანებდა და ერთმანეთს არ აცდიდა ლაპარაკს, მაგრამ რატომ არ გვაჩვენეს „რუსთაველის“ საზოგადოების“ კრება, სადაც ერთმანეთი დაჭამეს და რა არ წამოაძახეს იმიტომ, რომ ის მთავრობის ორგანოა, ან ცკ-ს პლენუმებს, თავიდან ბოლომდე, რატომ არ გადმოსცემენ?! იმიტომ, რომ იქ ზოგჯერ საქმე მუშტიკრივამდე მიდის, ასე რომ ნუ გავამტყუნებთ ნურავის ტყუილუბრალოდ, თანაც არაფორმალურ ორგანიზაციებში უამრავი დამსმენი და პროვოკატორია მთავრობის მიერ შეგზავნილი, რომლებიც ცდილობენ ეროვნულ საქმეს ძირი გამოუთხარონ და ბევრი ის საქმე, რომელიც მოსახლეობას აღაშფოთებს მათ მიერ არის ჩადენილი; არ დაგავიწყდეთ, რომ კომუნისტებიც, ლენინ-სტალინის მეთაურობით, მოღალატეებს ასე უსწორდებოდნენ.

შემომიღობის აქციის დროს ლიდერები სულაც არ „ნებივრობდნენ“, თვითონაც რომ ეშმიშმილათ, ამ აქციას ვილა უხელმძღვანელებდა? ისინი უსაქმოდ სულაც არ ყოფილან, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ და მოშმიშმილეებს საბნებით და სხვა აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფდნენ; ორგანიზებას უკეთებდნენ ხალხის მასებს, რომელთა რაოდენობა ათასობით იყო, რათა არავინ გადაეთელათ... ამ საქმეს ემსახურებიან ისეთი დიდებული

ადამიანები, როგორებიც არიან — აკაკი ბაქრაძე, პარმენ მარგველაშვილი და სხვანი და სხვანი... 25 თებერვალს, და საერთოდ, ამ ბოლო დროს, მთავრობამ თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა; მილიციელთა მთელი ურდოები ხელკეტებით, ტყვი-აგაუმტარი ფარებითა და ჩაჩქნებით იყო ხალხზე მისეული; მოხდა შეჯახებები, კიდევ კარგი მსხვერ-პლი არ იყო... ზოგი ფიქრობს, რომ შავების ჩაცმა საჭირო არ იყო; როგორ თუ არ იყო?! განა არ უნდა ვიგლოვოთ ის, რომ 117 წელი მონობის შემ-დეგ სახელმწიფო აღვადგინეთ და სამ წელიწადში კომუნისტებმა რუსეთის მხარდაჭერით, სისხლის ღვრაში, ცეცხლითა და მახვილზე ისევ თავზე დაგვანგრეეს და საკუთარი ხელისუფლება და-მყარეს; აბა, რა უნდა ილაპარაკო, როდესაც საბჭოთა მთავრობის სასახლე 300 ქართველი სტუდენტისა და იუნკრის ძვლებზეა აშენებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მოახლოებულ რუსებს 300 ქართველი წინ აღუდგა, როდესაც თბილისი და საქართველო უკვე დამცველთა გარეშე იყო დარჩენილი და უკლებლივ შეაკვდა მომხდურს... როგორ მოგწონთ მოსულ „დიდ მძათა“ და მათი ქართველი ხელკეტების კაცთმოყვარეობა? პრე-საში ნოე ჟორდანიას ლანძღავენ — საქართველო კატასტროფამდე მოიყვანაო, მაგრამ ობიექტურად განვსაჯოთ, ამხელა რუსეთის იმპერიამ 70 წლის მანძილზე ვერაფერს მიაღწია, თუ არ ჩამორჩა და რას მოვიტხოვთ პატარა საქართველოსგან, რო-მელიც თავისუფალი სულ სამი წელი იყო?! თუმცა, მე ღიდად არც ჟორდანია მეხატება გულზე, მასაც მიუძღვის ბრალი. მოკლედ, ყველაფერს უახლესი მომავალი დააზუსტებს...

ახლა პატიაშვილსა და დიქტატორზე ვისაუ-ბროთ; თქვენ მოგწონთ პატიაშვილი და გვერათ მისი. მაშუღიშვილად მიგაჩნიათ, რაღაც დროის განმავლობაში მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა გაურკვეველობაში ვარ ჩავარდნილი, ზოგი მისი გამოსვლა ამკარად რუსულ გავლენას ექვემდებარე-ბა, ზოგჯერ ნამდვილ ქართულ სულს ამჟღავნებს. ეს, ალბათ, მისი თანამდებობით აიხსნება, იძულებულია რუსეთსაც მოეფეროს და ქართველსაც დარჩეს; მე ვფიქრობ, რომ ჯობია, არ ეშინოდეს სკამის დაკარგვის და ქართველი ხალხის წინამძღოლი გახდეს და ეს ხალხი მას გასაჭირში არ მიატო-ვებს... დიქტატორს კი ნუ ამართლებთ, ეს ვითომ ჰუმანურობა მისი ნილაბია, დემოკრატია, საჯაროობა აწმყოს შეცდომების დასაფარავად უნდოდა, მაგრამ სადავებები ხელიდან გაეშვა და მის ნებაზე უკვე აღარ არის დამოკიდებული საჯაროობის შემდგომი განვითარება და ეროვნული და სხვა მოძრაო-ბების აღსაკვეთად ის შავრაზმელთა დანაყოფებს აყალიბებს; ასე ვთქვათ, „საბჭოთა კომანდოსებს“, წარმატებით იყენებს პრინციპს — „დაყავი და იბატონე“, ამის მაგალითია ყარაბაღი, სადაც ახლა რუსეთის ხელისუფლებაა; ჩვენთან, საქართველოში — აფხაზეთისა და ქართველების დაპირისპირება, მეორე ყარაბაღის მოწყობა სურს, მაგრამ ცდება; ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ხომ არ ვკონივართ?! ახლა იუგოსლავიას, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას მივხედოთ; რა ხდება კოსოვოში, სადაც ეროვნული გამოსვლები სასტიკი რეპრე-სიებით ჩაახშვეს, და რა თქმა უნდა, ეს ამბები რუსეთისა და კრემლის გარეშე არ მოხდებოდა.

ორი სიტყვით საქართველოს დამოუკიდებლობა-საც შევეხოთ; უეჭველად ძალიან გაგვიჭირდება, გარშემო მეზობლები, უკლებლივ, მტრად გვერგე-ბიან, ქვეყნის შიგნითაც კუთხეები ერთმანეთს დაე-ცინით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესეც რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რათა ხალხის გაერთიანებას ხელი შეუშალოს... უცხოელებსაც გაგვრეკავთ ჩვენი სამშობლოდან, მაინც მწამს, რომ ვერც სპარსეთი, ვერც თურქეთი, ვერც რუსეთი და შინაგანი არეულობა ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ საქართველოს თავზე წითელ-თეთრმა დროშამ იფრიალოს!...

ვრცელი საუბარი გამომივიდა, რადგან მინდოდა ყველა ამ საკითხზე ჩემი აზრი მეთქვა... სხვა, მე კარგად ვარ; სწავლის საქმეები კარგად მიდის... ბევრს ვკითხულობ... ახლა მარკუს ავრელიუ-სისა და სხვა ფილოსოფოსთა ნაწარმოებების შესწავლას ვცდილობ... საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით. — **ერეკლე, 27 მარტი, 1989 წელი, X კლ.**

* *

— „გამარჯობა, ლეილა მასწავლებელო! როგორ ბრძანდებით? მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, რადგან ჯანმრთელობის გარეშე ვერავინ ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს; იცოცხლეთ ღიდახანს და იყავით ბედნიერი! — ლეილა მასწავლებელო, მე თქვენ მიყვარხართ, მომწონს და მაინტერესებს თქვენი მეცადინეობებზე დასწრება, საუბრები ლიტ-ერატურაზე... მაგრამ, სამწუხაროდ, ჩამოსვლას ყოველთვის ვერ ვახერხებ; ჯანმრთელობის მხრივ კარგად ვარ, მაგრამ როგორც ყველა ქართველი, მეც ძალიან შეწუხებული ვარ ჩვენი სამშობლოს მდ-გომარეობით. ხშირად ძილიც არ მეკარება, მეშინია, როგორ ვიქნებით და რა მოხდება; თითქოს ყველა უცხოელს მოგწონვართ ქართველები, გვიგებენ. მაშ, რატომ მოხდა ის, რომ საქართველოში ძმებად მიღებულმა ოსებმა ასე გაგვწირეს და ასეთ საში-ნელ ამბებს გვაღწევენ — გვიხოცავენ მამაკაცებს, ქალებს და არც ბავშვებს იხილობენ. რატომ ხდება ასე, რა უნდათ?! ჩვენ, ხომ, არაფერს ვუშავებთ?! ოსებზე მეტად მე კიდევ უფრო ის მაწუხებს, რომ ქართველებს შორისაც გვყავს მათზე უარესები; მაგალითად, — „მხედრიონელები“... ხომ შეიძლება, რომ ყველა ქართველი საამაყო და კარგი ადამიანი იყოს?! მაშინ რა ბედნიერი იქნება მთელი საქა-რთველო! ალბათ მთელი მსოფლიო გაგვიცნობს და შეგვიყვარებს... მეტი რა მოგწეროთ პატივცე-მულო ლეილა მასწავლებელო; იყავით კარგად, გისურვებთ მალე გვეცხოვროს დამშვიდებულ და თავისუფალ საქართველოში!“ — **ნატო, ვარდახის რ.ს.საცხენისი, 1991 წლის 16 იანვარი, VII კლ.**

* *

— „ლეილა მასწავლებელო! ძალიან ნასიამოვნები დავრჩი თქვენი წერილით. თეონამ სკოლაში როცა მომიტანა, ვერ მოვითმინე და პირველივე გაკვეთილ-ზე, ბოტანიკის, წავიკითხე. წერილის ბოლოს თქვენ მისვამთ კითხვას, თუ რას ვაკეთებ თავისუფალ დროს. — თავისუფალ დროს მუსიკას ვუსმენ ან ტელეფონზე ვსაუბრობ, როცა კარგ განწყობაზე ვარ, სახლს ისე ვალაგებ ხოლმე, სამსახურიდან მოსული დედაჩემი კმაყოფილი და გაკვირვებული

რება, წიგნს მხოლოდ ძილის წინ ვკითხულობ, რადგან გუგული მასწავლებელმა ასე გვითხრა, რომ ამ დროს უფრო კარგად დაიმანსოვრებო წაკითხულსო. ამჟამად „გურანდას“ ვკითხულობ...

ოპერაში სამი წელია არ ვყოფილვარ, ჩვენი მეზობელი მუშაობს იქ და პატარა რომ ვიყავი, ძალიან ხშირად დაყვავდი. ნანახი მაქვს „გელდის ტა“, კიდევ სხვა საბავშვო სპექტაკლები, თუმცა, სამწუხაროდ, არცერთი არ მახსოვს. ძალიან მიყვარს ბალერინას კაბა და სულ ამ კაბებს ვუყურებდი ხოლმე...

მიყვარს თქვენი მეცადინეობები, განსაკუთრებით თავისუფალი თემების წერა. ჩემს ძმას რომ გამოცდები ჰქონდა, უმაღლესში რომ აბარებდა, თითქმის თემების მეტი ნაწილი მე „დავუშპარგალკე“; ხშირად ვეუბნებოდი, რად გინდა „შპარგალკები“, ისწავლე-მეთქი, მაგრამ ვინ მისმენდა?!.. ძალიან მინდა, რომ საწერო მეცადინეობებზე ოთხშაბათობითაც ვიარო, მაგრამ ამ დღეს თეონას მუსიკა აქვს, მე კი მარტოს არ მიშვებენ... იცით რა გამიკვირდა, თქვენ რომ წერილში მწერთ, — შენხელა რომ ვიყავი, ძალიან ბევრს ვკითხულობდიო. თავისუფალ დროს ყოველთვის წიგნებს ვკითხულობდიო?! — ძალიან საინტერესოა. რამდენიმე მეცადინეობა იმიტომ გავაცდინე, რომ მუსიკაში ბევრი სამეცადინო მქონდა; კონცერტები მქონდა, ორკესტრთან ერთად ფილარმონიაშიც კი დავუკარი. ისევ ძალით, დიდი ძალისხმევით; თავიდან ვამბობდი, რად მინდა ორკესტრთან ერთად დაკვრა-მეთქი, მაგრამ რეპეტიციაზე რომ დავუკარი, ისე მომეწონა, რომ რა ვიცი... მუსიკა ძალიან შემეყვარდა და მე და დედამ გადავწყვიტეთ, რომ მე-8 კლასიდან გავალ და მუსიკალურში ჩავაბარებ. თუ გამიმართლა, ხომ კარგი; თუ არა, და... არ ვიცი, ახლა დაგემშვიდობებით, ვისურვებთ ჯანმრთელობას და ყველაფერს კარგს. გკოცნით“! — **თამუნა, 29 აპრილი, 1991 წელი, VII კლ.**

* *

— „საყვარელ ძმას, სერ ლანსელოტ საბურთალოელს, უღირსი რაინდისაგან! ძმაო კახი, გწერს შენი ძველი მეგობარი ლევანი, მოხეტიალე ჰოლანდიელი. მეორე წელია, რაც აქა ვარ... რაღა დავიძლო და სამშობლო, მართლაც, ტკბილი რამ არის... ძმაო, ძალიან მომენატრე; მართალია, მომიხდა მარტობა-ყოველდღე ვლოცულობ; სულ მახსოვს შენი სიტყვები — გულით შენთან ერთად ვარო. გთხოვ, ილოცე ჩეთვის, დიდი სულიერი ძალაა საჭირო, რომ არ დაიღუპო. MTV-ს რომ ვუყურებ, სოდომისა და გომორის ამბავი მახსენდება. უნდა გამოგიტყდე, ეფრემ ასურის ლოცვამ გამაოცა — „უფალო და მეუფეო“... ერთი, თუ ვინიცობაა, შესძლო წერილის გამოგზავნა, ამხსენი მეტანია რას ნიშნავს, თორემ დავიტანჯე... აქ, ჰოლანდიაში, ცოტა ფაშისტებმა წამოყვეს თავი, ხომ იცი კუმ ფენი გამოყო. რა ისეთი უცხო ხილი უნდა მოიგონოს ჰოლანდიელმა ფაშისტმა, რაც ქართველი „დემოკრატიებისაგან“ არა გვაქვს ნაჭამი... ერთი კიდევ, ასეთი გემრიელი პროდუქტებისაგან, ასეთ უგემურ საჭმელებს როგორ ამზადებენ, არ ვიცი. პირში გემო არა აქვთ! მართლა, პოლიციამ შენი გამოტანებული არაყი წამართვა, ალბათ ასაფეთქებელი თუ ეკონათ რამე, თორემ მაგისი დამლევი

ჰოლანდიელი მე არ მეგულება, გული კი დამწყდა. ისე, სიმაღლე რომ გითხრა, მთლიანობაში, ძალიან გულკეთილი ხალხია, ყურადღებიანი; თუ რაღაცაში შეუძლიათ დაგეხმარონ, არ დაიზარებენ, და თავიდან ბოლომდე მიგყვებიან და გადაგყვებიან. ცუდს შენგან არ მოელოან და ისე ენდობიან, რომ ცდილობდნენ გაამართლოთ თქვენ.

ყოველ ღამე მანდაურობა მესიზმრება, ყველა მენატრებით... ერთი ქაშუეთში ჩემს სახელზე სანთლები დაანთე რა; ტყუილია, ქართულ ეკლესიებზე ლამაზი არაფერია, თვითონ შენობას შვება მოაქვს, რომ მახსენდება, გულს უხარია...

შენ რომ აქ იყო, რას ვისერიწებდი! ავიღებდი ორ ველოსიპედს და დავადგებოდი გზას, სულო და გულო — რამდენიც გინდა იხეტიალე, უამრავი ქალაქის დათვალიერება შეიძლება... იცი, რამდენს დავდივარ ველოსიპედით, 30-40 კილომეტრს როგორც არაფერი! თუ კარგი ველოსიპედი ჩამივარდა ხელში, ამსტერდამში ველოსიპედით ჩასვლას ვაპირებ, აქედან 150 კილომეტრია. გზად იმდენი ქალაქია, ერთი მეორეზე ლამაზი, რომ მანძილს ვერც კი იგრძნობ... ბევრი რაღა გავაგრძელო, მინდა მართლმადიდებლური ეკლესია მოენახო, სანთლები დავანთო, იმედი მაქვს ზიარება მივიღო... ღმერთმა გაძლება მოგცეს, შენი სულიერი სიძლიერე მეც გადმომეცა; იცოდე, შენი სიკეთე — ჩემი სიკეთეა, შენი გაჭირვება — ჩემი გაჭირვებაა. არ ვიცი რამდენი ხანი ვერ გნახავ, მაგრამ გული მეუბნება, რომ როგორც ღმერთმა ერთხელ შეგვახვედრა და დავგაძმობილა სამუდამოდ, აბა როგორ გავგყვრის, თუნდაც ამ წარმატალ წუთისოფელში?! ახლაც თვალწინ მიდგახარ და, ასე მეონია, ჩემ გვერდით ხარ.

მართლა, ჩრდილოეთის ზღვა ვნახე, ატლანტის ოკეანის ნაწილი, რვა დღე დიდ საპორტო ქალაქში ვცხოვრობდი. სამანძიანი დიდი ფრეგატი დავათვალიერე, ძალიან შთამბეჭდავი იყო. იმ ქალაქში ძველი გალავანი და ზარბაზნებია შემორჩენილი, რომლებსაც პირატების წინააღმდეგ იყენებდნენ... ამსტერდამიც ვნახე, მშვენიერია. ეტყობა, რომ ძველისძველი ქალაქია. ისეთი გრძნობაა, რომ ზეიშია, არადა უბრალო, ყოველდღიური ცხოვრება მიდის. იმდენი ჯურის ხალხი ირევა — ბაბილონი გვეკონება, მაგრამ ხელს არავინ არავის არ უშლის, ყველა თავისთვის გიჟდებაო, რომ იტყვიან ესაა. რაღა გითხრა მეტი, ესეთი ცხოვრება ნახად ღირს. უნდა ნახო, რომ ამის ავ-კარგი გაიგო... ერთი ნაცნობი საავადმყოფოში დააწვინეს, მთარგმნელად მივყვე. გადავირიე, აი საავადმყოფო მესმის! ზედმეტად არცკი შეაწუხებენ ადამიანს, ცდილობენ შეუძლეს უბუქონ ავადმყოფს იქ ყოფნა. რაზეა ლაპარაკი, არ ავიწყდებათ, რომ ადამიანი ხარ... ჩვენთვის იმდენი დეტალია გაუგებარი, რომ მეცინება...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჰოკეის თამაში მომენატრა შენთან... გულში გადაწყვეტილი მაქვს, რაღაც უნდა დამიჯდეს, იერუსალიმში ჩავიდე. ძალიან ვეცდები... ბიჭო, ეკა მომენატრა, ძალიან მომენატრა, რა ვქნა არ ვიცი, სულ თვალწინ მიდგას!.. მომიკითხე თქვენები; ბებია როგორ არის? იმედია, წერილის გამოგზავნის საშუალება გამოიჩნდება. აუცილებლად მომწერე. ღმერთი იყოს შენი მფარველი“! — **ლევანი, 14 ივლისი, 1994 წელი, 19 წლის.**

* *

– „ლეილა მასწავლებლო! ჩემი ორი ლექსი თქვენ:

*** /ეხლა წვიმს, წვიმა ქუჩაში დარბის / ფეხ-შიშველა და ღამენათევი, / და მიუწვდომელ ფიქრებზე დარდით – / დასველებია კაბის კალთები... / და ჩუქნის ყველას სევდიან ღიმილს, / გადაღლილ ღამეს, ფერგასულ ლოდინს... / შეხედეთ ზეცას, სიცოცხლე კივის / და ციდან უცხო ტკივილი მოდის. / მიწაზე შენზე ფიქრები ცვივა, / სისველეს თეთრი ობლობა მოჰყავს, / ჩამომივდება სარკმელთან წვიმა / და ყრუ ხმაურით აიკლებს ოთახს. /

*** /წლები გადიან თანდათანობით, / ცარიელდება / ქუჩები ისევ... / ქარი დაღლილა / მაწანწალობით / და ჯიბეს თეთრი ღრუბლებით ივსებს. / გადაფარვია სიჩუმეს ბინდი / და დღეც ამთავრებს / დაწყებულ სურათს. / დაღლილ თვალებზე / მაკოცებს ფიქრი, / მერე წავა, წავა და... / კარს გაიხურავს. / – **სიყვარულით თათია**“ – 17 მარტი, 1998 წელი, X კლ.

* *

– ძვირფასო ლეილა მასწავლებლო! – წვიმას აპირებს. შემოდგომის ქარით არეული ფოთლებით დაძრწიან ჩიტები და ქარს თავისი სუსტი ფრთებით უძკლავდებიან. მართლაც, რომ თავისუფლების მონები არიან; ილევა ზაფხული და კუს ნაბიჯებით შემოდგომა გვეპარება. რას ვიზამთ, ასეთია ჟამთასვლა, დღეთა ცვლა, ბუნების თვისება... მთავარია, რომ მე ამ ყველაფერს თვალყურს ვადევნებ, ვიმახსოვრებ... ბევრჯერ ვცადე წერილის დაწერა, მერე გადავდე, რადგან ჩავთვალე, რომ მოსაწერი არაფერი მქონდა; მოულოდნელად კი ისე მოხდა, რომ ერთი კვირა ვიყავი იქ, სადაც ყოველდღე „იისფერ ცაზე ვარსკვლავები მჭმუნვარედ აფასულებენ მოოქროვილ წამწამებს, სადაც სრული სიჩუმე სუფევს და ადამიანთა ბედს ბუნება წარმართავს... / აბასთუმანი! თავდაპირველად, არ მეგონა, თუ იგი წიწვიათი ტყეების შუაგულში იქნებოდა; ციხე-კოშკებით მთებით შემოსაზღვრული... ეს პატარა დასახლება თუ სოფელი სამცხე-ჯავახეთში, ახალციხიდან 38 კილომეტრის დაშორებითაა. მისი ჰაერი წიწვების სურნელითაა გაჟღენთილი, აქაურ სილამაზეს უამრავი მთა ამკობს. რთულია სიტყვებით გადმოსცე, თუ როგორ ფეთქავს აქ გული, როგორ გინდა ჩაეხუტო ნაძვს, ფიჭვს, სოჭს, ეთამაშო ქარს „გასწრობანა“ ამ ტყეთა ლაბირინთებში... ალბათ, ამის გამოა, რომ აქ ყველაფერს ივიწყებ: პრობლემებს, ცხოვრების მიეთ-მოეთს, უშინაარსო ადამიანებს... აქ ისეთი სიჩუმეა, რომ ნაძვიდან ჩამოვარდნილი თითოეული გირჩის ხმა ისმის, ციყვების ხიდან-ხეზე ფაცი-ფუცი, ცაში – არწივების ფრთების შხუილი, ახლად თვალახელილი მდიდური მამლების ყივილით გადაძახილი... / უცნაური და ლამაზი ადგილია აბასთუმანი, მაგრამ მასზე უფრო ლამაზი და გასაოცარი მისი ობსერვატორიაა, რომელიც ყანობის მთაზეა გაშენებული. ნუ იფიქრებთ, რომ ეს უზარმაზარი შენობაა, სადაც ერთი ტელესკოპით ხდება ამა თუ იმ ობიექტზე დაკვირვება; არა, ეს არის ტყეში გაშენებული, გაბნეული გუმბათების სამყარო, რომელთა შორისაც საცალფეხო ბილიკებია გაკეპილი. სულ ათი

გუმბათია, ე.ი. ათი ტელესკოპია; აქედან მხოლოდ ხუთია მოქმედი, დანარჩენი დაკეტილია და გაპარტახებული. თუმცა, გასაკვირი არცაა, ჩვენს დროში ხუთი მაინც რომ მუშაობს – ღვთის მადლიაო – ამბობენ აქაური მეცნიერ-თანამშრომლები; მათ შორისაა ჩემი პროფესორი ბაბუა, რომელსაც აქ ყოფნას ვუმაღლი...

მზის დაბნელება, რომლის მიზეზითაც ვიმყოფებოდი აქ, 11 აგვისტოს ოთხის ოც წუთზე უნდა მომხდარიყო. ყოველივეს ძალიან უცნაური, ენით გამოუთქმელი გრძნობით ველოდით; ელი, ელი იმას – რაღაც უცნობს, რომელიც პირველად უნდა ნახო, ხარ სრულ ეიფორიაში... მეცნიერებს ერთადერთი სურვილი ჰქონდათ, ღრუბლები მზეს არ მოფარებოდნენ, რათა დაბნელება სრული „რიგითა და წესით“ ჩატარებულიყო. ოთხის ოც წუთზე მზის მარჯვენა ქვედა კიდე შევიდის, დაბნელება დაიწყო! ძნელია, სიტყვებით გადმოვცე ის გრძნობა, რომელიც იმ წუთებში დამეუფლა; – შიში? – არა. რისი მეშინია... სიჩუმე? – არა. ალტაცება! დიახ ალტაცება! ალტაცებული ვიყავი ბუნების არაჩვეულებრივი მოვლენით. მიხაროდა! – ამას შევესწარი, ვნახე; რაც მთავარია, მის აღსაბეჭდად პროფესიონალებთან მივიღე მონაწილეობა... იცით, ლეილა მასწავლებლო, იმ წუთებში არაფერი მახსოვდა... ოთხ საათზე დაბნელებამ ზენიტს მიაღწია ანუ მზის ზედაპირის 94% მთვარემ დაფარა... იცით, როცა ცა გაბაცდა, ნაცრისფერი გახდა, როდესაც მზის ექვსი მეასედი ცაზე ანათებდა... რა იყო?! ბუნება სრულ უძრაობას გამოხატავდა, არ იძროდა ნიავე, არ შრიალებდა ტყე, ცაზე არ ფრენდნენ ჩიტები... მხოლოდ, ძალიან უცნაური ხმა ისმოდა... აი ისეთი, ფილმ „ნატურის ხე“-ში რომ ისმის – თითქოს მტრედების ფრთების ხმა!.. ეს ხმა ზუზუნებდა და ცის ზედაპირზე იმოტებოდა, იკარგებოდა, მერე ისევ ჩნდებოდა; დაბრუნებისას იყო სიჩუმე, სიწყნარე... მართალი გითხრათ, მე უფრო ბუნების გრანდიოზულ რეაქციას ველოდი... ახლაც, წერისას, ამ ყველაფრის გახსენებისას უჩვეულო ჟრჟოლას განვიცდი... / ამ ამბის შემდეგ, აბასთუმანში კიდევ ერთი კვირა დავრჩი; უმეტეს დღეებს ტყეში დავხეტიალობდი, ბუნებით ვტყებოდი და წერილებს ვწერდი. განვიცდიდი „ხომიერ მარტოობას“, რომელიც ძალიან მომიხდა... / ამ ამბის მოყოლა მომიხდა. არ ვიცი ეს წერილი თქვენამდე როგორ და როდის მოაღწევს; ფაქტია, ძალიან მინდა რომ წაიკითხოთ. ნუ გამიწყრებით გრამატიკული შეცდომებისთვის... მე ძალიან ვეცადე, დანარჩენი თქვენ იცით, როგორ „განაჩენს“ გამოიტანთ... დაბნელებისას ფოტოები გადავიღე და თუ გამოვიდა, აუცილებლად გაჩვენებთ... სწავლის დაწყებამდე გემშვიდობებით! / მარად თქვენი **ია** – „პეპილოტა“. 26 აგვისტო, 1999 წელი, XI კლ.

* *

– „ლეილა მასწავლებლო! თქვენ ერთადერთი მასწავლებელი ხართ, რომელიც მართლაც ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ; ყველა დანარჩენი ერთი და იგივე მოქანდაკის მიერ გამოძერწილი, სულჩაბერილი ქანდაკებები არიან... გიგზავნით ჩემს ნაწერს, სათაურით „ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს!“ – მიყვარს გაწევილი ქუჩაბანდები, სველი, მკრთალი სილუეტები, მტირალა იები და მათ

შორის თქვენ – მედიდური, ამაყი, მგრძნობიარე! / ხშირად ვსაუბრობ თქვენთან გონებით, არ ვიცი, როდის რას მიპასუხებთ და სწორედ ეს მიზიდავს! – ამოუცნობი პასუხები ქადაგებასავით ჩაგვესმის ჩვენ, ჯერ კიდევ ბავშვებს. ცხოვრებას სასახლის ლიტერატურული სტუდიის ოთახიდან გაგხედავ ხოლმე და მისი გაგება, ამოცნობა მიაღვივდება. / ვგრძნობ, რომ შევიცვალე. შემეცვალა გემოვნება, წერის სტილი, თვისებები, გრძნობები, მხოლოდ ერთი ადგილი, ჩემს ცხოვრებაში, მარადიული იგივეობით შემოისაზღვრა, ეს ბავშვობაა, მოგონებებითა და გაურკვევლობით, ოცნებით დაღლილი ხანა. მე, ხომ სულ პატარა ვიყავი, როდესაც თქვენთან მოვედი! / ლანდები ნელ-ნელა იზრდებიან, ფერმკრთალდებიან და სადღაც იქ, უკვდავების კარიბჭესთან აღმოაჩენენ, რომ ირგვლივ აღარაფერია, მაგრამ... დაავიანდათ, ჩასძინებიათ. ჭუჭყიან ეტლს გაჰყოლიან, გზაში ფეხი უღრმევიათ და, ჩარჩენილან ასე დაღლილნი, უსუსურნი, ამპარტავანნი; ცხოვრებისგან დავიწყებულინი, „მედიდური“...

კიდევ მოგწერთ წერილს ან უცნობად, ან ნაცნობად... გაივლის დრო და მართლა გავიზრდები, – ამ ცხოვრებისათვის, ხალხისათვის. ნაწერს დახედავთ და გაგელიმებათ, რადგანაც ის აღარ ვიქნები და იმ ჩემს წარმოდგენებსა თუ ოცნებებს ცხოვრების ყოველდღიურობა ჩაკლავს, ეს გარდაუვალია. დავიღლები მასთან ბრძოლით და დამარცხებული რაიმე ყოფითში, ძალიან რეალურში ვიპოვი „შეებას“, მაგრამ ილუზია იმ პატარა იმედისა, თავს არ მანებებს; იქნებ იქ, სადღაც მაინც დავრჩე მე, მე, როგორც თქვენი მოსწავლე. არა, თქვენ, რაღაც არარეალურ, ზეციურ ქმნილებად კი არ აღგიქვამთ, ეს სისულელეა, არც ისე პატარა ვარ, მაგრამ თქვენში აღმოვაჩინე ადამიანი, რომელიც ყველაში ცდილობს პიროვნების, ინდივიდის აღმოჩენას და ეს უკვე საოცარია. იქ, სადღაც მიუწვდომელის სივრცეში მომუშავე ფსიქოლოგი, იქ ცხოვრობს მოქანდაკე, მხატვარი, დედა, ქალი, პიროვნება და... უსასრულობა... / გიგზავნით ჩემს რამდენიმე ჩანახატს; გაამთრახეთ, მოიწონეთ ან დაიწუნეთ. მინდა, რომ ისინი თქვენთან ცხოვრობდნენ – ერთი „გაურკვევლის“ გასახსენებლად. საჯაროდ არ წავიკითხავ, რადგანაც ვიცი იქნება დამღლელი თვალები, აურზაური: „რატომ?... როგორ?... ვერ გავიგე!... ესე იგი, ესე იგი, რაა?!“... ყველაფრისაგან რაღაც კონკრეტულს თხოულობენ. მე ეს არ მიყვარს. ადრეც მქონდა რაღაც წერილები თქვენთვის. არ ვიცი რატომ, ისე, უბრალოდ ვწერდი, მაგრამ ძალიან ბავშვური იყო, სულელური და გადაყვარე. მე ხომ გავიზარდე, სულ ცოტათი მაინც?!... გოცნით, **ნინო**. 1999 წლის სექტემბერი, XI კლ.

* *

– „ლეილა მასწავლებლო! იმედია კარგად ბრძანდებით, კარგად არიან თქვენი ოჯახის წევრებიც; ჩვენც ვართ, ნელთბილად... აგარაკზე ვარ, ვისვენებ და თან ვკითხულობ და ვწერ. სექტემბრამდე ვერ ვითმენ და ამიტომაც ერთ-ერთ ნაწერს გიგზავნით, რომელშიც „ვეცადე“ ჩემი ფილოსოფიური ხედვა ჩამომეყალიბებინა...“

– „წუთისოფელი ასეა“... ეპიგრაფი: „პიროფლიანი ჭამდე პურს; ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან

მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერადვე იქცევი“. დაბ. 19. / არავინ იცის, ზუსტად რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც პირველი ადამიანი დაიბრუნა მიწამ. ათასწლეულის სიღრმიდან გვესმის ხმა უცხო და იღუმალის, სევდანარევი: „მიწა ხარ და მიწადვე იქცევი, მიწა ხარ და მიწადვე იქცევი“; ვინ არის ეს, უფალი თუ ჩვენი დიდი წინაპარი. იქნებ მიწაა. ვინ იცის?!

ადამიანები იბადებიან და კვდებიან. ადამიდან მოყოლებული ისყიდის კაცთა მოდგმა პირველ-ცოდვას. მიწიდან შობილი ისევ მიწას უბრუნდება და ასე დაუსრულებლად. ხოლო მიწიდან კვლავ მიწამდე არის პატარა შუალედი, რომელიც ზოგჯერ საკმარისია იმისთვის, რომ შეიცნო საკუთარი შუალედი, რომელიც ზოგჯერ საკმარისია იმისთვის, რომ შეიცნო საკუთარი თავი, გაიგო, ვინა ხარ, რა ხარ, საიდან მოდიხარ და სად უნდა წახვიდე. ამ შუალედს ქართველმა კაცმა წუთისოფელი დაარქვა. / წუთია წუთისოფელი... / მოგისმენიათ, როგორ ეცემა კუბოს თავს მიწის ბელტები? ხმა ყრუა, უცხო. მოდის შორიდან, ძალიან შორიდან, ნელ-ნელა, ნელ-ნელა გვიახლოვდება შორეული და იღუმალის, მიწა ხარ და მიწადვე იქცევი... მიწა ხარ და მიწადვე იქცევი, იმეორებენ ბელტები და თითქოს სულ ახლოს გრძნობ სიკვდილის სუნთქვას. მერე თანდათან მიჩუმდება ყველაფერი. საუკუნეების სევდა ისევ საუკუნეებს უბრუნდება...

საფლავის ქვა. ნაცრისფერი, როგორც სიკვდილი. ძველი, კლდეებამოტეხილი. ხავსი მოდებია. / „აქა განისვენებს მამუკა ზენ... დაბ. ჩყ... წელსა, გარდ. ჩყ... გამგლელო შენდობა უთ“... – მეტის გარჩევა შეუძლებელია, ანდა რა გასაკვირია, ქვა ხომ ძველია, თითქმის საუკუნის წინანდელი. / მამუკა... ვინ იყო ნეტა. ქვას მხოლოდ სახელი მოუნახავს მისი. არც ის ვიცი, ახალგაზრდამ დატოვა ეს წუთისოფელი თუ ბერიკაცმა მიაშურა იმ მარადიულ სოფელს. ვიცი მხოლოდ, რომ იყო კაცი, დაიბადა, იცხოვრა და მიწა იყო და მიწადვე იქცა. მეტი არაფერი... / კარგა ხანია ამ ქვეყნიდან გარდასულა. აღარავის ძალუძს მყოფროება დაურღვიოს, თუმცა გერაფრით ვიტყვით ირგვლივ სიწყნარეაო. სასაფლაოზე არ გეგონოთ თავი. შუაგულ სოფელში ვართ. სიცოცხლე ჩქეფს და გადმოჩქეფს. ყველა თავის საქმითაა დაკავებული, არავის სცალია საწყალი მამუკასთვის, რომელიც კვლავ და კვლავ შესთხოვს გამგლელო შენდობას. მხოლოდ საღამოობით, სოფლის ჭორიკანა გოგონები ჩამოსკუპდებიან ჯერ ისევ თბილ ქვაზე, მხიარულად აკნატუნებენ მხესუმზირას და ყვებიან აქეთურს, იქეთურს...

გაივლის კიდევ ასი წელი და ამ ქვას მთლიანად დაფარავს მიწა. აღარავის ეცოდინება, რომ ოდესღაც ამ ქვეყნად ცხოვრობდა მამუკა, რომელსაც ბედმა, სიკვდილის შემდეგაც, სოფელში ცხოვრება არგუნა, რომელიც გულადმა იწვა კაკლის ჩეროში და უხმოდ შეჰლადადებდა გამგლელო-გამომგლელოს: – შენდობა მითხარ! სოფლის ჭორიკანა გოგონებიც იმიერ ქვეყანაში გადასახლდებიან, მათ საფლავებსაც დაფარავს ხავსი და მათაც ისევე დაივიწყებენ, როგორც მრავალი მისცემია დავიწყებას. / ასეა წუთისოფელი... – **ნინო**, 1999 წელი, აგვისტო, XI კლ.



ვანის ქვაბები



ნაისას ტაძარი



ტაბაჭურის წითელსაყდარი

მხატვარი
თამაზ თამაზაძე

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

მაია არაბული-მჭედლიშვილი, თამარ გაბროშვილი, ნანა დემეტრაძე, ქეთევან ლომიძე-გელაშვილი, დალი მაზმიშვილი, მზევული ტყეშელაშვილი, თამარ შაიშმელაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



მხატვარი
ნინო გოგოლიშვილი



ახელა — გაბეჭდილი ხელა